



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და სოციოლოგია“

(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine

“AUTHORITY AND SOCIETY

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО

(История, Теория, Практика)“

№ (3) 7, ტომი II

2008

თიანეთის დიპლომატიის ასოციაციის  
სამეცნიერო ჟურნალი


Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association

Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

UDC 378(479.22)(051.2)

ბ. 402



## სარედაქციო ხოლავია:

**მთავარი რედაქტორი**

- მთავარი რედაქტორი

**ოთარ ქოჩორაძე**

- მთავარი რედაქტორის მოადგილე

**ოთარ ბალთაური**

- პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები: ნანა ავალიანი, მიხეილ ანდრეასიანი, ნანა ავალიანი, მიხეილ ანდრეასიანი (გარეგანი), გიორგი ბალთაური, ვახტანგ ბარათაშვილი, ვახტანგ გუგუნი, ჰარალდ ვარცი, თეიმურაზ თოღა, გენდი იაშვილი, როინ მებრევილი, ქეთი ქოჩორაშვილი, რუსუდან ქეთათაძე, მანა ჩხეიძე



ქურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

### მისამართი:

საქართველო, თბილისი 0175 კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი VIII

სართული ტელ. 36-45-14

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia. Tel. [995 32] 36.45.14

Mail: [DLPA@gtu.edu.ge](mailto:DLPA@gtu.edu.ge)

გარეკანის გაფორმება: დავით ბალთაური

ქრნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია მისამართზე:

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

ქრნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ატელრის მთარ

შრომათა კრებული ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავს.

კრებულში გამოქვეყნებულია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა  
და  
უზრნალ „ხელისუფლება და საზოგადოების“  
ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის  
„ხელისუფლება და საზოგადოება – 2008“  
მასალები

# სარჩევი

## პოლიტიკის თეორია, პრაქტიკა და სამართალი

### გიორგი ასტამაძე

პოლიტიკური რეალიზმის არსი-----

### ტერენს ჯაფარიძე, ირმა ხუციშვილი

პარადიგმები მაკიაველისა და გვინარდინის შემოქმედებაში---

### შალვა კიკალიშვილი

ინფორმაციული ომის სათავეებთან-----

### ქსენია გელაშვილი

ინტელექტუალური სამართალი აშშ-სა და ინგლისში-----

### თეონა ლავრელაშვილი

მომავლის სახელმწიფო მოდელები დასავლურ ფილოსოფიურ აზროვნებაში და თანამედროვე ალტერნატივები დემოკრატიულ რესპუბლიკაში -----

### ნინო როდონია

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები-----

### თინათინ დიაკონიძე

ნაციონალიზმი და პან-ნაციონალური მოძრაობები-----

### ნატალია აპრილაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოსათვის-----

### თამარ დალაქიშვილი

გენდერი საარჩევნო კამპანიებში-----

### ოლიგო გოზალიშვილი

პოლიტიკური კამპანიის წარმოების ტექნოლოგიის ზოგიერთი საკითხი-----

### ნუცა ჯაფახიშვილი

იმიჯის გარეგნული კომპონენტები (არავერბალური კომუნიკაციები)---

## სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა

### ზურაბ გირგულიანი

სახელმწიფო მართვის თეორიები -----

### ნინო მურდულია

საუკეთესო განათლების სისტემა მსოფლიოში – რას ვსწავლობთ ფინური გამოცდილებიდან -----

### მაია გელიაშვილი, მარიამ გელიაშვილი

ცოდნისა და რწმენის ურთიერთშეთავსებადობის საკითხი-----

### ნათია კაკულია

შრომითი ეთიკა საჯარო სამსახურში-----

**ირაკლი ხელაძე**

ევროპული ინსტიტუტები და საქართველოს ინტეგრაცია ევროპაში----

**შორენა ჭილაძე**

სახელმწიფო დაწესებულების კონსტიტუციური მართვა

საქართველოში -----

**რამინ სირაძე**

ეუთო და საქართველოს 2008 წლის 5 იანვრის რეგარეშე

საპრეზიდენტო არჩევნები -----

**ნინო ფაღავა**

PR და მარკეტინგი -----

**სოფიკო სტურუა**

მოლაპარაკების არსი, როლი და მნიშვნელობა-----

**გვანცა გოგიშვილი**

ქართული მჭევრმეტყველება-----

**დაჩი თაქთაქიშვილი**

სამი ექსპრომტი ქართული სიტყვის სამ მეცხოვრეს-----

**მარიამ ლომიძე**

საქართველოს სატყეო სექტორი -----

**ისტორია და ისტორიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფილოსოფიური გაკვეთილები**

**გიორგი ალადაშვილი**

ავსტრალიის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ახალი ხედვა -----

**ნინო მელელაშვილი**

წარსულის გააზრებისა და მეხსიერების პოლიტიკის როლი კონფლიქტური იდენტობის ჩამოყალიბებაში (მთიანი ყარაბაღის მაგალითი)---

**ნინო ჩიქობავა**

ახალი მსოფლიო წესრიგისა და გეოპოლიტიკური ტრანზაქციის საკითხები ჰენრი კისინჯერის “დიპლომატიაში”-----

**ნათია ფირანიშვილი, ინგა ყულოშვილი**

პაპი ბენედიქტე XVI -----

**ირაკლი თედორაძე**

ქართულ-რუსული ურთიერთობები გეორგიევსკის ტრაქტატამდე -----

**დავით ბრაგვაძე, გიორგი გონაშვილი**

მესხეთელი თურქების რეპატრაციის საკითხები-----

პოლიტიკის თეორია,  
პრაქტიკა  
და  
სამართალი

**გიორგი ასტამაძე**  
**პოლიტიკური რეალიზმის არსი**

XX საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა – გადატანილმა ორმა მსოფლიო ომმა, დიდი ზეგავლენა მოახდინა კაცობრიობის აზროვნების განვითარებაზე, რაც შესანიშნავად გამოიხატა პოლიტიკისადმი იდეალისტურ და რეალისტურ მიდგომებს შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებაში. დღეისთვის, რეალიზმის სახელით ცნობილი შეხედულებათა სისტემა, ფაქტობრივად უკვე ორ კონცეფციას – პოლიტიკურ რეალიზმსა და ნეორეალიზმს მოიცავს, რომელთაგან, ამ შემთხვევაში, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს პირველი მათგანი და მიყვებით მას თანმიმდევრობით.

პოლიტიკური რეალიზმი დაკავშირებულია პ. მორგენტაუს, ე. ქარის, ჯ. ქენანის, ჯ. ჰერცის, რ. არონისა და სხვათა სახელებთან და მისი ამოსავალი იმის მტკიცებაა, რომ ადამიანის ბუნებაში კონფლიქტურობა, აგრესიაა ჩადებული და რომ საერთაშორისო ურთიერთობები არის გარემო, სადაც სუვერენული სახელმწიფოების მთავარ მიზანს სამხედრო უსაფრთხოება, ძალაუფლებისთვის ბრძოლა წარმოადგენს. საერთაშორისო სისტემა კი თავიანთი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფისათვის მებრძოლი სუვერენული სახელმწიფოების ასპარეზია. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხედულებებს დღემდე ბევრი იზიარებს (მაკიაველის მოძღვრების მსგავსად), პოლიტიკური რეალიზმის ძირითადი პოსტულატები თავიდანვე კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა (იმავე მაკიაველის არ იყოს).

პოლიტიკური რეალიზმის შემოღრა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში დაკავშირებულია ედვარდ ქარის სახელთან, რომელმაც სათავე დაუდო ახალ აზროვნებას საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის საქმეში.

ედვარდ ქარი ახდენს უტოპიისა და რეალობის შეპირისპირებას იდეალიზმისა და რეალიზმის პოზიციებიდან გამომდინარე და მიიჩნევს, რომ უტოპისტი არის ვოლუნტარისტი, რომელსაც სწამს, რომ ნების გამოვლენით რეალობის მეტ-ნაკლებად რადიკალურად უარყოფა და მისი უტოპიით ჩანაცვლება შესაძლებელი, რეალისტი კი მოვლენათა წინასწარგანსაზღვრულ თანმიმდევრობას აანალიზებს, რომლის შეცვლასაც შეუძლებლად მიიჩნევს. უტოპისტი, რომელიც მუდმივად მომავალს შესცქერის, შემოქმედებითი სპონტანურობით აზროვნებს, რეალისტს კი ფესვები

წარსულში აქვს გადგმული და მიზეზობრიობის კუთხით ფიქრი ურჩევნია (4, 9-10).

უტოპიისა და რეალობის შეპირისპირებას თავისთავად მოსდევს თეორიისა და პრაქტიკის, ინტელექტუალიზმისა და ბიუროკრატის, მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის შეპირისპირებები. უტოპისტი თავისი ბუნებით თეორეტიკოსია, რომელიც თეორიას ნორმად აქცევს, რომელსაც უნდა დაემორჩილოს პოლიტიკის პრაქტიკა. რეალისტი კი პოლიტიკურ თეორიას პოლიტიკის ტაქტიკის ერთგვარ კოდიფიკაციად მიიხნევს. პოლიტიკაში თეორიისა და პრაქტიკის ანტითეზის კონკრეტული გამოხატულება „ინტელექტუალისა“ და „ბიუროკრატის“ დაპირისპირებაა. პირველი ხელმძღვანელობს აპრიორი დებულებებით, მეორე კი ემპირიული გამოცდილებით და საესეებით ბუნებრივია, რომ ინტელექტუალი იმ ბანაკში აღმოჩნდება, რომელიც პრაქტიკის თეორიისადმი დაქვემდებარებას ცდილობს, ბიუროკრატი კი პირიქით. უტოპიისა და რეალობის, ანუ თეორიისა და პრაქტიკის ანტითეზა კიდევ ერთხელ მეორდება რადიკალისა და კონსერვატორის, ანუ მემარცხენისა და მემარჯვენის ანტითეზაში. რადიკალი ხშირ შემთხვევაში უტოპისტია, ხოლო კონსერვატორი – რეალისტი. ინტელექტუალს, ანუ თეორიულ ადამიანს, ბუნებრივად უფრო მემარცხენეობა იზიდავს, ისევე როგორც ბიუროკრატს, ანუ პრაქტიკოსს – მემარჯვენეობა. მემარცხენეს აქვს გონება, ხოლო მემარჯვენეს – სიბრძნე. აქ ედვარდ ქარს ლორდ ბოლდუინის სიტყვები მოაქვს მაგალითად, რომელიც ამბობდა: „მხოლოდ სილოგიზმებით ხელმძღვანელობა უმოკლესი გზაა უძირო ორმოსკენ.“ აქვე იშლება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ორ მხარეს შორის – ეთიკის პრობლემა. უტოპისტი ქმნის ეთიკურ სტანდარტს და ცდილობს პოლიტიკა მას დაუქვემდებაროს, რეალისტისთვის კი ნებისმიერი სტანდარტის ღირებულება, გარდა ფაქტისა, ლოგიკურად მიუღებელია. პრაგმატი პოლიტიკოსისათვის ეთიკა პოლიტიკის თვალსაზრისით უნდა აიხსნას და პოლიტიკის მიღმა ეთიკური ნორმების ძიება წარუმატებლობისთვის არის განწირული (4, 10-17).

ედვარდ ქარის შრომის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, პოლიტიკური რეალიზმის თეორეტიკოსებს შორის უდავოდ განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს წარმოშობით ებრაელ გერმანელსა და მოგვიანებით ამერიკაში გადასახლებულ ჰანს იოახიმ მორგენტაუს, რომლის ნაშრომი „ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის“ ერთგვარ მანიფესტადაც კი ითვლება პოლიტიკურ რეალიზმში. მორგენტაუმ თავის წიგნში პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი ჩამოაყალიბა: 1. პოლიტიკა იმართება ობიექტური კანონებით, რომელთა ფესვები ადამიანთა ბუნებაშია. ეს კანონები ძირითადად



ისეთივე რჩება, როგორც პირველად აღწერეს ძველი ჩინეთის, ინდოეთისა და საბერძნეთის ფილოსოფოსებმა. საერთაშორისო პოლიტიკის ხასიათი შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ პოლიტიკური ქმედებებისა და მათი უშუალო შედეგების შეფასების გზით. სახელმწიფო მოღვაწემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საგარეო პრობლემასთან დაკავშირებით გარკვეულ პირობებში და ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს სპონტანური, გამომდინარე რეალური ვითარებიდან. 2. საერთაშორისო პოლიტიკაში გზის გაგნების მთავარი საშუალება ეროვნული ინტერესების კონცეფციაა. ეროვნული ინტერესები კი ძლიერებაში, ძალაუფლების მიღწევაში მდგომარეობს, ამიტომ პოლიტიკა ავტონომიურია სხვა სფეროებისაგან. სახელმწიფო მოღვაწე ფიქრობს და მოქმედებს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. პოლიტიკური რეალიზმი მიიჩნევს, რომ კარგი საგარეო პოლიტიკა არის რაციონალური საგარეო პოლიტიკა, რადგან იგი ამცირებს რისკს და ზრდის შედეგს. 3. ინტერესები გამოიხატება ძლიერებაში, ძალაუფლებაში და პოლიტიკური რეალიზმი მიიჩნევს, რომ სუვერენული სახელმწიფო და მისი ინტერესები ისტორიული პროცესის შედეგია. თუ სუვერენული სახელმწიფოების სამყარო აღარ იქნება, მაშინ ეროვნული ინტერესებიც აზრს კარგავს. 4. პოლიტიკურ ქმედებებს ზნეობრივი განზომილება და ზნეობრივი მნიშვნელობა აქვთ. ზნეობრივ მოთხოვნებებსა და შედეგიან პოლიტიკურ ქმედებას შორის ხშირად წინააღმდეგობა არსებობს. რეალიზმიდან გამომდინარე, უნივერსალური ზნეობრივი პრინციპები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფოთა ქმედებებთან მიმართებაში მათი აბსტრაქტული უნივერსალური მნიშვნელობით და ისინი უნდა „გაიფილტროს“ დროსა და სივრცის კონკრეტულ პირობებში. შესაძლებელი შედეგებიდან ყველაზე მომგებიანის „არჩევა“ პოლიტიკოსოს უმაღლესი მიღწევაა. 5. არც ერთი ერისა და სახელმწიფოს ზნეობრივი მიზნები არ შეიძლება მივიჩნიოთ საყოველთაო ზნეობრივ კანონებად. 6. პოლიტიკის სფერო ავტონომიურია. პოლიტიკის სფეროში შეფასებები უნდა მოხდეს არა საყოველთაო ზნეობრივი ნორმებისა თუ წესების თანახმად, არამედ პოლიტიკური შედეგიანობის მიხედვით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკოსი უზნეო უნდა იყოს, მაგრამ მისთვის უმაღლესი ზნეობა მისი ქვეყნის ინტერესებია. (1, 18-21).

მორგენთაუს ნააზრევმა იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაზე, რომ მისი თანამედროვე თუ შემდგომი ხანის თეორეტიკოსების უმრავლესობამ გამოთქვა მოსაზრება პოლიტიკური რეალიზმის ფუძემდებლისა და მისი ნაშრომის შესახებ.

ნეორეალიზმის იდეოლოგი კენეთ უოლცი მიიჩნევს, რომ მორგენთაუს შეხედულებების მიხედვით თანამედროვე (იმდროინდელი)

პოლიტიკური აზროვნება ორ სკოლად იყოფა – უტოპისტებად, მათი ოპტიმისტური ფილოსოფიით ადამიანისა და პოლიტიკის შესახებ და რეალისტებად, რომლებიც ხედავენ, რომ სამყარო „ადამიანის ბუნებაში თანდაყოლილად არსებული ძალების შედეგია“ (3, 48).

უოლცის აზრით, მორგენტაუ აღიარებს, რომ შეჯიბრი, შეზღუდული რაოდენობით არსებული დოვლათის ხელში ჩასაგდებად, რომელსაც მსაჯი არ ჰყავს და კონკურენტებს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა ადამიანის თანდაყოლილი ბოროტების განხილვის გარეშე შეიძლება აიხსნას. ძალაუფლებისთვის ბრძოლა იმიტომ იწყება, რომ ადამიანებს გარკვეული რამის ფლობა სურთ და არა იმიტომ, რომ მათ ბოროტი ზრახვები აქვთ. აქვე, მორგენტაუ იყენებს ფრაზას: „პოლიტიკური წარმატება იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია ერთ ადამიანს სხვებთან მიმართებაში საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება, გაზრდა ან დემონსტრირება.“ ძალაუფლება თითქოს თავისთავად მიზანია, მაგრამ პოლიტიკური დაპირისპირების პირველ მიზეზზე თუ გავამახვილებთ ყურადღებას, ძალაუფლება მხოლოდ კონკურენციის აუცილებელ ინსტრუმენტად მოგვევლინება. თუმცა, მორგენტაუ ძალაუფლებისკენ ადამიანის თანდაყოლილ სწრაფვას უფრო ძირითად ფაქტორად მიიჩნევს, ვიდრე იმ შემთხვევით პირობებს, რომლებშიც ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს, რაზეც მიაჩნებოდა მისი განცხადება, რომ „სამყაროში, სადაც ძალაუფლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაციონალური პოლიტიკის გამტარებელ არცერთ ერს არ აქვს არჩევანი ძალაუფლების უარყოფისა და მისი მოპოვების სურვილს შორის და რომც ჰქონდეს, ინდივიდის საკეთილდღეოდ მიმართული ძალაუფლების ჟინის წყალობით, ჩვენ მაინც აღმოვჩნდებოდით ნაკლებად შთაბეჭდავი, მაგრამ არანაკლებად საგულისხმო ზნეობრივი ნაკლოვანებების პირისპირ“ (3, 46-47).

მთლიანობაში, ხსენებული პრინციპები არ გვეჩვენება ახალ იდეებად, ეს იმიტომ, რომ რეალიზმი, როგორც იდეა, ანტიკურობიდან იღებს სათავეს. ასეთ მესაძირკველედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე, რომელიც თავის ნაშრომში „ისტორია“ საუბრობს პელოპონესის ომის წინამძღვრებზე და ხაზს უსვამს ათენის აღზევებას სპარტის საწინააღმდეგოდ, რაც იქცა ამ ომის მიზეზად. თუ მხედველობაში მივიღებთ პატარა პოლისების ლავირებას ძლიერებს შორის საკუთარი თავის გადასარჩენად, საერთოდაც, თანამედროვე პოლიტიკური ვითარება დაგვიგდება თვალწინ და გასაგები ხდება, თუ რატომ მიიჩნევა თუკიდიდე რეალიზმის წინამორბედად.

პოლიტიკური რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელია ფლორენციელი ნიკოლო მაკიაველი, რომელმაც თავისი პოლიტიკური მრწამსი ჩამოაყალიბა ნაშრომში „მთავარი“. მაკიაველი ისტორიულ მოვლენებს პრაქტიკოსის თვალთ უყურებს და საკუთარ

პოლიტიკურ ფილოსოფიას რწევა-დარიგების საბურველში ახვევს. მაკიაველის აზრით, პოლიტიკაში ზნეობრივი ნორმები ემორჩილება სახელმწიფოს ინტერესებს. „მიზანი ამართლებს საშუალებებს“ – ეს არის მაკიაველის ნაშრომის ფუნდამენტური აზრი (5, 181-183). მაკიაველისთვის პოლიტიკა და ზნეობა სხვადასხვა სფეროებია, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტი კი გარდაუვალი მოვლენა, რაც ზედმიწევნით ემთხვევა ჰანს მორგენტაუს ნააზრევს.

მესამე დიდი წინამორბედი პოლიტიკური რეალიზმისა არის ინგლისელი თომას ჰობსი, რომლისთვისაც სამყაროში, რომელშიც არ არის უზენაესი ხელისუფლება, ბუნებრივი მდგომარეობაა „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ.“ იქ, სადაც არ არსებობს უზენაესი ხელისუფლება, არ არსებობს კანონიც, ხოლო იქ, სადაც არ არის კანონი, არ შეიძლება არსებობდეს სამართლიანობა. ჰობსის შეხედულებათა თანახმად, ადამიანებისა და ხალხების ბუნებრივი მდგომარეობა ომისთვის მზადება და ომია. მშვიდობაც კი ომისთვის მოლოდონი და მისთვის მზადებაა.

რეალიზმის სამივე წინამორბედის შეხედულებებიდან ცხადად იკვეთება საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთი სურათი, რომელშიც ბატონობს ძალა და სადაც სუსტი განწირულია. ამ შეხედულებებიდან გამომდინარეობს აგრეთვე ისიც, რომ საერთაშორისო ვითარება ყოველთვის ანარქიით ხასიათდება, რომ ყოველთვის არსებობს ომის საშიშროება, რომ ამგვარ პირობებში ზნეობრივი ნორმების გამოყენება მეტად სათუთა.

რაც შეეხება თანამედროვე რეალიზმს, მის კონცეფციაზე დიდი გავლენა იქონია გერმანელი მაქს ვებერის შეხედულებებმა. მ. სმითის აზრით, სწორედ ვებერის სახელს უკავშირდება რეალიზმის ძირითადი საკითხების თანმიმდევრულად ჩამოყალიბება. ვებერის წვლილი რეალიზმის კონცეფციაში სულ ცოტა შემდეგია: 1. სახელმწიფოსა და პოლიტიკის სულ ცოტა მისეული განსაზღვრა; 2. საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც ქვეყნებს შორის დაუსრულებელი ბრძოლა; 3. პოლიტიკაში პასუხისმგებლობის ეთიკა. ვებერის აზრით, სახელმწიფოები ჩართულნი არიან გადარჩენისათვის დაუსრულებელ ბრძოლაში და ამდენად მშვიდობა მხოლოდ კონფლიქტის სხვა ფორმაა;

პოლიტიკური რეალიზმის თეორიის განვითარებაზე წარუშლელი კვალი დატოვა პროტესტანტმა თეოლოგმა რაინჰოლდ ნიბურმა, რომელიც თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა აქტიური პიროვნება იყო და მისმა თეორიებმა დიდი გავლენა იქონია აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე ცივი ომის პირობებში. ნიბურის აზრით, ზნეობრივი ქცევა ადამიანისთვის ძნელია, მაგრამ შესაძლებელი, თუმცა, როდესაც პიროვნება მოქმედებს ჯგუფის სახელით, ის კარგავს პიროვნულობას და ხდება მასის ნაწილი. ნიბურმა მკაცრად გააკრიტიკა მისი დროის ამერიკული

წარმოდგენები საგარეო პოლიტიკაზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ხანგრძლივი იზოლაციის შედეგად აშშ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში ვერ გრძნობდა იმას, რომ საერთაშორისო პოლიტიკის საფუძველს მაინც ძალა წარმოადგენს. აშშ ჩაერთო მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში და იდეალისტური წარმოდგენები მსოფლიო წესრიგზე დავიწყებას უნდა მიეცეს. ნიბურის აზრით, პოლიტიკური თეორია პოლიტიკური პრაქტიკიდან, სინამდვილიდან გამომდინარეობს.

პოლიტიკური რეალიზმის კიდევ ერთი არქიტექტორია დიპლომატი ჯორჯ ქენანი, რომლის მთავარი წვლილი პოლიტიკური რეალიზმის მძლავრ კონცეფციაში აქტიური დიპლომატიის გამოყენების იდეით გამოიხატება. ქენანი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს დიპლომატიურ მანევრირებას, მაგრამ არ ავიწყდება, რომ ისტორიული სინამდვილე და ეროვნული ინტერესები დიპლომატიურ შესაძლებლობებს გარკვეულ ჩარჩოებს უქმნიან, თუმცა როგორც დიპლომატი, დარწმუნებულია თავისი პროფესიის შესაძლებლობებში და მიაჩნია, რომ გულუბრყვილო მორალიზმთან და წმინდა სამხედრო მიღგომასთან შეადრებით, პოლიტიკურ მოქნილობას უპირატესობები მოეპოვება. საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიის მნიშვნელოვან როლს აღნიშნავს აგრეთვე ცნობილი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე ჰენრი კისინჯერი, რომელიც თანამედროვე რეალიზმის ერთერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად არის მიჩნეული.

პოლიტიკური რეალიზმის კიდევ ერთი თეორეტიკოსი, ფრანგი რაიმონ არონი ფიქრობს, რომ ჰეგემონური საერთაშორისო ურთიერთობები უფრო სტაბილური და მშვიდია. მისი აზრით, არსებობს მშვიდობის სამი ტიპი, რომლებიც გავლენას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკაზე, ესენია: 1. წონასწორობა. 2. ერთერთი მონაწილის დომინირება. 3. ერთერთი მონაწილის სრული უპირატესობა.

ამერიკელი არნოლდ ვოლფერსი საერთაშორისო ურთიერთობათა არსს სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთქმედებაში ხედავს და ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ვოლფერსი ყველაზე უფრო „მოქნილი“ რეალისტია. ის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ მიზნებს წყვილ-წყვილად აჯგუფებს: 1. „ფლობის“ მიზნები, ე.ი. ეროვნული დამოუკიდებლობა, ფიზიკური გადარჩენა, ტერიტორიული მთლიანობა. 2. „გარემოს“ მიზნები, ანუ ისინი, რომელთაც ეროვნულ საზღვრებს გარეთ საერთაშორისო გარემოზე ზემოქმედება უნდა მოახდინონ. ვოლფერსს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა უნდა წარმართოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო ეროვნული ინტერესები მოიცავს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობას და გადარჩენას. ამავე დროს, ეროვნული

ინტერესების განსაზღვრა ხდება ფასეულობათა იერარქიიდან გამომდინარე, მაგრამ ყველაზე ხშირად ყველაფერი ნაციონალური უსაფრთხოებით იწყება (3, 67-73).

მთლიანობაში, რეალიზმის კონცეფცია მიმართულია პოლიტიკური იდეალიზმის ანუ უტოპიზმის წინააღმდეგ და იგი უარყოფს საერთაშორისო სისტემის ძირითადი მახასიათებლების შეცვლისა და გაუმჯობესების შესაძლებლობებს. რეალიზმის თანახმად, საერთაშორისო სისტემის განმსაზღვრელი ბევრი ფაქტორი ვერასოდეს შეიცვლება. სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში და მათ ინტერესებში კარმონიის მიღწევა შეუძლებელია, ხოლო სუვერენული სახელმწიფოების ეროვნული მიზნები და ინტერესები ხშირად კონფლიქტური ხასიათისაა და ომების გამოძვევებიც. ამიტომ, ამგვარ პირობებში წინა პლანზე გამოდის სახელმწიფოთა ძალის, ძლიერების საკითხი. ძალის პრიმატი პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

სახელმწიფოს ძლიერება რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება, რომელთა შორისაც, პირველ ყოვლისა ქვეყნის გეოგრაფიულ მახასიათებლებს ასახელებენ. „მთავარ რეალისტს“ - ჰანს მორგენტაუს, მიაჩნია, რომ „ყველაზე სტაბილური ფაქტორი, რომელსაც ქვეყნის ძლიერება ემყარება, მისი გეოგრაფიული თავისებურებებია.“ სახელმწიფოს ძლიერების სხვა კომპონენტებია ბუნებრივი რესურსები, სამრეწველო პოტენციალი, მოსახლეობა, ქვეყნის მთავრობა, რომელმაც გადაწყვეტილი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის ყველა რესურსის მობილიზაციისა და სათანადო შემთხვევებში პოზიტიურად გამოყენების კუთხით. აქვე უნდა აღვნიშნოთ ეკონომიკური ფაქტორის როლი, რომელიც სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება დღესდღეობით. ყოველივე ზემოხსენებული კი სახელმწიფო ძლიერების ყველაზე ნაცად ინდიკატორს – სამხედრო ძლიერებას ექვემდებარება. პოლიტიკური რეალიზმი მიიჩნევს, რომ ვინაიდან საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, ძალა და პოლიტიკა ურთიერთდაკავშირებულია. სამხედრო ძალა თავისთავად გადარჩენის და კეთილდღეობის გარანტია ვერ იქნება, მაგრამ იგი ორივეს არსებითი კომპონენტია. ძალა სახელმწიფო დიპლომატიის ზურგიც ხდება, მის გარეშე დიპლომატიას აზრი ეკარგება, რადგან ძალა ნებისმიერი სახელმწიფოს ბოლო კომპონენტია პოლიტიკურ ბატალიებში. დიპლომატიები მიდიან გარიგებაზე, კომპრომისზე, რადგან იციან რა მოხდება ძალის გამოყენების შედეგად, ანუ როგორც თომას შელინგი ამბობდა, როცა საკმარისი ძალა გაქვს, „ვაჭრობაც“ აღარ გინდა (2, 82-83). დიდი სამხედრო ძლიერების მქონე სახელმწიფოს ძალით შეუძლია მოიპოვოს ის, რაც სჭირდება და დაიცვას ის, რაც აბაღია. ქვეყანას ყველაფერი ძალუძს, თუ მას აქვს საკმარისი

ძლიერება, ანუ საკმე დგას ომის დაწყება-არდაწყებასთან. სამხედრო ძალის გამოყენება ომს, ძალადობას ნიშნავს, ომი კი სულიერი ფასეულობებისა და მატერიალური რესურსების ზარალს ნიშნავს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს გარდაუვალი აუცილებლობაა, ასე თვლის რეალიზმი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე რეალიზმის თეორია შემდეგნაირად განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობებს: 1. საერთაშორისო სისტემის წამყვანი მონაწილეები ერი-სახელმწიფოები ანუ სუვერენული სახელმწიფოები არიან. 2. საშინაო პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკა განსხვავდება. 3. საერთაშორისო პოლიტიკა ანარქიულ გარემოში ძალაუფლებისთვის ბრძოლას წარმოადგენს. 4. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სუვერენული სახელმწიფო თანასწორუფლებიანია, ძლიერი და სუსტი სახელმწიფოს შესაძლებლობები და როლი საერთაშორისო ურთიერთობებში მაინც განსხვავებულია.

პოლიტიკური რეალიზმის თეორიის განხილვა ნათელს ჰფენს იმას, რომ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარმა ორმა მსოფლიო ომმა კაცობრიობის აზროვნებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა და წინა პლანზე წამოწია ძალის პრიმატი. ამ თეორიას მომდევნო ხანებში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა თუნდაც მისი მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამა თუ იმ ეპოქის გაბატონებული თეზისები ასახავს შესაბამისი ეპოქის ხალხის უმრავლესობის სულისკვეთებას და რადგან კაცობრიობას ყოველთვის ექნება მიდრეკილება პოლიტიკური პირველობისკენ, შესაბამისად პოლიტიკური რეალიზმის თეორიაც არასდროს დაკარგავს თავის აქტუალობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაკიაველი ნიკოლო, მთავარი, თბ., 1984
2. მორგენტაუ ჰანს, „პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი“, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია, თბ., 2004
3. რონდელი ალექსანდრე, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006
4. უოლცი კენეთ, ადამიანი, სახელმწიფო და ომი, თბ., 2003
5. ქარი ედვარდ, „უტოპია და რეალობა“, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია, ქრესტომათია, თბ., 2004

## Summary

**Georgi Astamadze**

### **The concept of political realism has**

The concept of political realism has developed since ancient times. The first representative of this concept was a Greek historian Thucydides, who started the process of analyzing and evaluating the deeds of the Greek city-states. Later, the most noted representatives of the concept were English Thomas Hobbes and Italian Niccolo Machiavelli, who played a significant role in the formation of political realism as a concept of the world-wide scale.

Foundation of political realism as a political science is connected with the name of American Jewish scientist – Hans Joachim Morgenthau, who summed up the main features of the human psychology and concluded that the main attributes to the world politics are aggressive human nature, national interests and the passion to political power, where the morale plays less or absolutely no role in the whole process. Among the followers of Morgenthau's theory where such distinguished political scientists and public men as George Kennan, Henri Kissinger, Reinhold Niebuhr and others, who never doubted that the bedrock of the world politics has always been and will always be based on pragmatic and realistic interests of the world's most superior nations.

## Резюме

**Георгий Астамадзе**

### **Суть политического реализма**

Концепция политического реализма развивалась с древнейших времен. Первым представителем этой концепции был греческий историк Фукидид, а затем самыми выдающимися представителями концепции были итальянец Николо Макиавелли и англичанин Томас Гобс.

Основание политического реализма как политической науки связано с именем американского ученого-политолога Ганса Иоахима Моргентхау, который сделал вывод, что агрессивный человеческий характер, национальные интересы и страсть к политической власти являются сущностью мировой политики. Среди самых известных сторонников Моргентхау были такие политологи мирового ранга, как Джордж Кеннан, Генри Киссинджер, Райнхольд Нибур и другие, которые считали, что мировая политика всегда была и будет основана на прагматических и реалистических интересах нации.





**ტერეზა ჯაფარიძე, ირმა ხუციშვილი  
პოლიტიკური პარადიგმები ნიკოლო მაკიაველისა და  
ფრანჩესკო გეჩარდინის შემოქმედებაში**

ჩვენს მიერ წარმოდგენილი თემა მიზნად ისახავს დიდი იტალიელი სახელმწიფო მოღვაწეებისა და მოაზროვნეების ნიკოლო მაკიაველისა და ფრანჩესკო გეჩარდინის პოლიტიკური შეხედულებების ანალიზს, მათი პოლიტიკური ტრაქტატების „მთავარისა“ და „თხზულებების“ საფუძველზე. მათ წინაშე გადაშლილი იყო ქაოტურად ჭრელი სამყარო, რომელიც ანალიტიკური გონებისა და მკაცრი ლოგიკისათვის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტი გახლდათ. მაკიაველი და გეჩარდინი შეუენელებელი ყურადღებით აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ, იკვლევდნენ სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებს, მათ არსებით ნიშან-თვისებებს, სახელმწიფოთა ეკონომიკურ საფუძვლებს, კანონმდებლობას, ხელისუფლების ორგანოებს, კულისებსმიღმურ ინტრიგებს, დიპლომატიურ ხრიკებს, რასაც ესოდენ უხვად სთავაზობდა მაშინდელი ევროპის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

გეჩარდინისა და მაკიაველის პოლიტიკური მოძღვრება მიზნად ისახავს პასუხს ვასცეს ისეთ კითხვებს, თუ როგორი უნდა იყოს ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო წეს-წყობილება, როგორ შეიძლება პოლიტიკური კრიზისის დაძლევა, იტალიის ამადლება ერთიანი სუვერენული სახელმწიფოს დონემდე და უცხოელ დამპყრობთა განდევნა.

პრაქტიკული პოლიტიკის კვლევისას მაკიაველისა და გეჩარდინის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. სწორედ მათი მოქმედებების გაანალიზებას და შეფასებას მიეძღვნა მათი ბრწყინვალე ნაშრომები. სანამ, უშუალოდ პოლიტიკური პარადიგმების განხილვაზე გადავიდოდეთ, თვალთ გადავაავლოთ იმდროინდელი იტალიის კულტურულ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

რენესანსის ეპოქაში იტალია ევროპული კულტურის მედროშე ხდება. ევროპის სხვა ქვეყნები ისეთივე განცვიფრებითა და შურის თვალთ უყურებენ იტალიური ხელოვნებისა და მეცნიერების ტრიუმფს, მის სიმდიდრესა და ფუფუნებას, როგორც ოდესღაც გერმანელი ბარბაროსები უთვალთვალებდნენ რომის დიდებას.

მაგრამ, მთელი ეს ბრწყინვალეობაც კი ვერ მაღავს იტალიის ურიცხვ სატკივარს, მის სისხლიან ჭრილობებს, მის ეროვნულ უბედურებას. პირველ რიგში, ეს გახლავთ ქვეყნის შინაგანი

გათიშულობა და დაქსაქსულობა. იმ დროს, როდესაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში-საფრანგეთში, ესპანეთსა და ინგლისში უკვე დასრულდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების პროცესი, შინაგანი წინააღმდეგობებით გამოფიტული, სამოქალაქო ომებით სისხლდაცლილი, საერთო ნაციონალური ინტერესების მოღალატე მთავრებისა და პაპების საპარპაშოდ ქცეული იტალია ურთიერთმოშუდლევ წვრილ ფეოდალურ სამთავროებად თუ თვითმმართველ რესპუბლიკებადაა დაყოფილი: ვენეციისა და გენუის რესპუბლიკები და მილანის საჰერცოგო ჩრდილო იტალიაში, ფლორენციის რესპუბლიკა, მედიჩების სამფლობელო-შუა იტალიაში, პაპების სახელმწიფო შუა და ჩრდილო იტალიაში, სპოლეტოდან-რავენამდე გადაჭიმული ნეაპოლის სამეფო სამხრეთ იტალიაში; სიენისა და ლუკას საქალქო რესპუბლიკები ტოსკანაში, უამრავი სინიორიები, მარკიზატები და საჰერცოგოები... ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გამაოგნებელი სიჭრელე და სხვადასხვაობა; შინააშლილობების, დიპლომატიური ინტრიგების, პოლიტიკური ავანტიურების წარმოუდგენლად რთული ხლართი-ასეთია მაკიაველისა და გვიჩარდინის დროინდელი იტალიური სინამდვილის ზოგადი სურათი.

შექმნილმა მდგომარეობამ გარკვეული გავლენა მოახდინა იტალიური პოლიტიკური აზრის განვითარებაზე. ამ პერიოდის პოლიტიკურ მოაზროვნეთა შორის თავისი სიღრმითა და სიდიადით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნიკოლო მაკიაველისა და ფრანჩესკო გვიჩარდინის. მათი ზოგიერთი შეხედულება პოლიტიკურ თუ მორალურ საკითხებზე სხვადასხვა რეაქციას იწვევს. ამიტომ მათი სწორად გაგებისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმ ეპოქის გააზრება, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. სტენდალმა გვიჩარდინის „მოღალატე არამზადა უწოდა“. ელგარ კინემ კი ხუთგვერდიან, „იტალიურ რევოლუციებში“ შეაგროვა გვიჩარდინის საწინააღმდეგო ბრალდებები. მათგან ნახევარი მაინც რომ ყოფილიყო სიმართლე, არცერთი იტალიელი არასოდეს წარმოთქვამდა მის სახელს ზიზღის გარეშე. სტენდალი დამსჭვალული იყო თავისუფლებისა და ერთიანობის იდეებით, არ უყვარდა გვიჩარდინი იმდენად, რამდენადაც უყვარდა მაკიაველი. გვიჩარდინი ხომ წინააღმდეგი იყო ერთიანობის, კმსახურებოდა პაპებს, მედიჩებს, გაიქცა ფლორენციიდან საკუთარი კეთილდღეობის დასაცავად. ყველა ეს ფაქტი ფასდებოდა, როგორც უმიძიებელი დანაშაული სამშობლოს წინააღმდეგ. მაგრამ როდესაც ჯუზეპე კანესტრინის მიერ დაბეჭდილი ატომეული გამოვიდა, გვიჩარდინის ადრინდელი უსამართლო შეფასებების შესახებ, პირველად ფრანგი ეჟენ ბენუა ალაპარაკდა. მისი მოსაზრებები კი განამტკიცა დიდმა იტალიელმა ისტორიკოსმა პასკუალე ვილარიმ. გვიჩარდინის ნაშრომის გააზრება რთული იყო. ის წერდა და მოქმედებდა ისე,

რომ მისი აზრების ამოცნობა ყოველთვის ადვილი არ იყო. ამიტომაც, მისი არასწორი შეფასება სირთულეს არ წარმოადგენდა.

გვიხარდინის მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს „ფლორენციის ისტორია“, რომელიც 1508-1509 წლებში დაიწერა. მან აღწერა მოვლენები 1378 წლიდან 1509 წლამდე და გააკეთა პოლიტიკური სისტემების შედარებითი ანალიზი. დემოკრატია შეადარა მედიხების ტირანიას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოპტიმალური მმართველობის ფორმა ფლორენციაში ოლიგარქია იყო. ის არ ამართლებდა ერთპიროვნული მმართველობის სისტემას, რჩებოდა რესპუბლიკური პრინციპების ერთგული. გვიხარდინი ცდილობდა გარკვეულიყო პრობლემაში ფლორენციის ევოლუციის ისტორიული ანალიზის, პოლიტიკური მოსაზრებების მიხედვით. იგი შენერდა სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმაზე და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: იქ, სადაც არ არის ნდობა გამოცდილი ადამიანებისადმი და სადაც საქმე წყდება სუსტი და გამოუცდელი ხალხის მიერ, სახელმწიფო დაემსგავსება სამარეს.

გვიხარდინი ძალიან აფასებდა მაკიაველის. 1521 წლის 12 მაისით დათარიღებულ წერილში მას წერდა: „თქვენ ყოველთვის იყავით ექსტრავაგანტური, განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანი და ყოველთვის იყავით გამომგონებელი ახალი და უჩვეულო ამბებისა“ (3.133)

მაკიაველის იდეალია ერთიანი იტალიის რესპუბლიკა. მას პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მთავარ მიზეზად პაპობა და დაქირავებულ ლაშქარზე აგებული სისტემა მიაჩნდა. იტალიის ერთიანობის მისაღწევად კი მაკიაველი ერთადერთ გზად ტირანიას თვლიდა, რომელიც ნებისმიერი საშუალებით გააძევებდა უცხოელ დამპყრობლებს ქვეყნიდან და გააერთიანებდა იტალიას. იგი მხსნელად ყოფნის მოვალეობას აკისრებს მთავარს, რომელსაც სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა.

ნიკოლო მაკიაველის ხედვა იტალიის გადარჩენაზე, მის აღდგენაზე უკავშირდება მედიხების საგვარეულოს. სწორედ მათ წარმომადგენელს ლორენცო მედიჩის მიუძღვნა ეს ნაწარმოები. „ამჟამად არავინაა ისეთი, ვისზედაც იგი (იტალია) უფრო მეტ იმედს ამყარებს, ვიდრე თქვენს ბრწყინვალე გვარზე“ წერდა მაკიაველი მედიჩებს. (2.231) მისი აზრით, იტალიელები ძლიერების, სიმარჯვისა და საზრიანობის მხრივ მადლა დგანან. მაგრამ, როდესაც ისინი მრავალრიცხოვან ლაშქრად ერთიანდებიან, შორელი მათი ღირსება ქარწყლდება, ვინაიდან საქმის მცოდნენი ურჩნი არიან, ხოლო ყველას სურს საქმის მცოდნედ წარმოაჩინოს თავი. რადგან ჯერ არ გამოჩენილა სიქველთ ყველაზე მადლა მდგომი კაცი, რომელსაც ყველა უყოყმანოდ დაემორჩილება. სწორედ, ამიტომაც რომ ამდენი ხნის განმავლობაში მხოლოდ იტალიელებისგან შემდგარი ჯარი ყოველთვის მარცხს განიცდიდა. მაგრამ მედიჩებმა მისი იმედები ვერ

გაამართლეს, რისი მიზეზიც კარგად აქვს გაანალიზებული ფრანჩესკო გვიჩარდინის.

გვიჩარდინის არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მედიებისათვის მართვის უფლებების ჩამორთმევის მიზეზს წარმოადგენდა მათ მიერ გამოყენებული თავისუფალი მართვის ხერხები. მედიებს რომ პოზიციები შეენარჩუნებინათ, მათ მხარში უნდა ამოდგომოდნენ მეგობრები. ხალხს ღრმად ჰქონდა გამჯდარი სიყვარული დიდი საბჭოს მიმართ, შესაბამისად ვერანაირი სიტბო და დახმარება ვერ ამოძირკვავდა ამ გრძობას. ხალხის მთავრობა სხვაგვარად უნდა იქცეოდეს-თუ ხელისუფლებას არსებობა სწადია, ის უნდა იყოს სასიამოვნო ყველასათვის და აარიდოს თავი მოქალაქეთა შორის განხეთქილებას. თუ ეს ვერ იქნება მიღწეული, მაშინ შედეგად ვიღებთ ხელისუფალთა ცვლას.

რელიგიას მაკიაველი განიხილავდა არა, როგორც ქრისტეს კულტს, არამედ როგორც იარაღს საერო ხელისუფლებისა და პატრიოტიზმის განმტკიცებისათვის და საერთოდ, რელიგიური-იდეოლოგიური სისტემის შეცვლა მაკიაველის ღრმა ისტორიულ პრობლემად მიაჩნდა. მაკიაველის ღრმა პატრიოტიზმა დიდი ასახვა ჰპოვა XIX საუკუნის იტალიაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს და პოეტმა ჯუზეპე კარდუჩიმ ასე გამოხატა იგი: “მე ვარ იტალია დიდებული და ერთიანი და მე აღმზარდა ნიკოლო მაკიაველიმ” (4.66).

მაკიაველისაგან განსხვავებით, გვიჩარდინიმ იტალიის გაერთიანების რეალურ ვარიანტად კონფედერაციის იდეა წამოაყენა. მან არანაკლები პოლიტიკური რეალიზმით დაგვანახა თუ როგორ უნდა მომხდარიყო იტალიის გაერთიანება: ცალკეულ სახელმწიფო ორგანიზმებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განსხვავება თანმიმდევრულად შეიძლება წაშლილიყო მხოლოდამხოლოდ ასეთი ტიპის გაერთიანების ჩარჩოებში. ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სწორედ ასეთი ტიპის გაერთიანება მოხდა XIX საუკუნის იტალიაში. მაკიაველი მაღალ შეფასებას აძლევდა გვიჩარდინის: - “რა ბედნიერება იქნებოდა იტალიისათვის, რომ ამ ადამიანმა შეძლოს გააკეთოს ყველაფერი, რაც მას სურს”- წერდა ის. (4.67). მაგრამ, გვიჩარდინის სიტყვებმა “მე არ ვიცი ერთიანობის არ ქონა ბედნიერება იყო თუ უბედურება ჩემი ქვეყნისა, რადგან თუ იტალიამ უფრო მეტი უბედურება გადაიტანა როცა დაშლილი იყო, ვიდრე ერთიანი, სამაგიეროდ მთელი ამ ხნის მანძილზე მას თავის მიწაზე ჰყავდა იმდენი აყვავებული ქალაქი, რამდენიც ერთობის შემთხვევაში არ ეყოლებოდა” - საყოველთაო სიძულვილი გამოიწვია XIX საუკუნის ახალგაზრდა იტალიელთა შორის. კონსერვატორები და ფაშისტები კი მას ამისთვის აღიდებდნენ.

პოლიტიკური შეფასებებიდან გამომდინარე, მაკიაველი სულ უფრო მეტს ფიქრობდა ზოგადად იტალიის და კონკრეტულად, ფლორენციის გაჭირვებაზე და ცდილობდა მოეძებნა გამოსავალი. იგი სერიოზულად და ღრმად იწყებს ფიქრს ადამიანის ბუნების, მმართველისადმი მოთხოვნებისა და მისი პიროვნების მორალური ღირებულების შესახებ. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ადამიანის ფსიქოლოგიის შესწავლის ინტერესი, რაც დამახასიათებელი იყო აღორძინების ეპოქისათვის, მაკიაველის შემოქმედებისა და ცხოვრების ძირითად მოტივად იქცა. მაკიაველი ცდილობდა დიპლომატიური ხელოვნების ჩაყენებას სახელმწიფო სამსახურში. დიპლომატია კი ადამიანის ფსიქოლოგიური შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია.

ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები, რომელიც მაკიაველიმ შექმნა “მთავარი” იყო (1513). მან საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო. დაღვინებული პოლიტიკოსისა და გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწის ნააზრევმა თავისი პოლიტიკური თეორიებით მკვეთრად გაუსწრო თავის ეპოქას. “მთავარს” ყოველთვის თან ახლდა სკანდალური და უმაგალითო დიდება, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება “მაკიაველიზმის” გაგება, რომელმაც თავისთავად მომავალი თაობებისათვის შექმნა ორი განსხვავებული სახე. ერთი მხრივ, ვერაგი, უპრინციპო, მკაცრი და მეორე მხრივ, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული პოლიტიკოსისა.

მაკიაველის მიაჩნდა, რომ ყოველი ქვეყანა თავად უნდა ეძებდეს საკუთარი ქვეყნის შიგნით იმ პოტენციალს, რომელიც მას გარეშე ძალების დამარცხებაში დაეხმარება. ამასთან დაკავშირებით ის წერდა: “უცხოელი მოხალისენი არასოდეს არ ეკუთვნებიან საუკეთესო ჯარისკაცების რიცხვს. პირიქით, ესენი არიან ქვეყნის ნაძირალები” (1.34).

ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად მაკიაველი ძლიერი ლაშქრის ყოლას მიიჩნევდა და მმართველის მთავარ როლზე და პასუხისმგებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. მმართველისა, რომლის მთავარი ხელობა და საზრუნავიც ომი უნდა იყოს ყველა იმ ძალის მიმართ, რომელიც მისი ქვეყნის დაპყრობას მოინდომებს.

იტალიის დამხობა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ამდენი წლის მანძილზე მისი სამხედრო ძლიერება მარტოოდენ დაქირავებულთა რაზმებს ემყარებოდა. როგორც, კი იმპერატორის ძალაუფლება შესუსტდა იტალიაში და პაპის გავლენამ საერო ცხოვრებაში საგრძნობლად იმატა ქვეყანა მრავალ სამთავროდ დაქუცმაცდა, ვინაიდან ბევრმა დიდმა ქალაქმა აღმართა იარაღი თავისი დიდებულების წინააღმდეგ, რომლებიც ადრე იმპერატორის წყალობით ჩაგრავდნენ მათ. ეკლესია პირიქით, ქალაქებს

მფარველობდა საერო ცხოვრებაში თავისი გავლენის გასამტკიცებლად, ბევრ ქალაქში მათთვის მოქალაქენი დასხდნენ მთავრებად. საბოლოოდ, იტალია პაპისა და რამდენიმე რესპუბლიკის ხელში აღმოჩნდა. მაგრამ, რაკი არც პაპებს, არც მოქალაქეებს სამხედრო საქმის არაფერი გაეგებოდათ, ამიტომ უცხოელების დაქირავება დაიწყო.

მაკიაველი თანამედროვე ისტორიკოსებისგან განსხვავებით სახელმწიფო პრობლემებს განიხილავდა საერო და არა თეოლოგიური პოზიციიდან და ცდილობდა აეხსნა საზოგადოებრივი განვითარების კანონები, რომლებიც ეყრდნობოდა ისტორიის მოვლენებს, ადამიანის ფსიქიკას, რეალური ფაქტებისა და ვითარების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, იგი მივიდა დასკვნამდე, რომ დამოუკიდებელი იტალიური სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ ძლიერ ხელისუფალს შეეძლო. იდეალური მმართველის მაგალითად კი მაკიაველის რომანიის ჰერცოგი ჩეზარე ბორჯა მიაჩნდა, რომელმაც კანონიერების იგნორირებით შესძლო აქცენტი გაეკეთებინა ზნეობრიობაზე და ისე განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება.

აქედან გამომდინარე, ყველაფერი რაც პოლიტიკას ემსახურება, დადებითად უნდა ჩაითვალოს, ხოლო რაც ეწინააღმდეგება უარყოფითად. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, კი ის ნებისმიერ საშუალებას დასაშვებად მიიჩნევდა, რადგან “მიზანი ამართლებს საშუალებას”, გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ.

მაკიაველის აზრით, ერთი მთავარი ვერ შეძლებს, რომ ყველა თავისი ქვეშევრდომის სიყვარული დაიმსახუროს. მაგრამ იმდენი გონიერება კი უნდა გამოიჩინოს, რომ პირადმა ურთიერთობებმა ქვეყნის ინტერესები არ დააზიანოს. ასევე იგი ზომიერად გულუხვი უნდა იყოს. მთავარი რომლის მიზანიცაა გულმოწყალის სახელის მოხვეჭა, ფუფუნებასა და ხელგაშლილობაზე უარს ვერ იტყვის, რაც “ბოლოსდაბოლოს იძულებულს გახდის გადასახადებით ხალხს სული ამოხადოს, მეზაჟედ იქცეს და ფულის საძიებლად არაფერზე უარი არ თქვას. ასე თანდათანობით შეაძულებს თავს ქვეშევრდომებს (და გაღატაკებული საბოლოოდ დაკარგავს მათ პატივისცემას)” (2.175)

ამის თაობაზე ვიჩინარდინს შემდეგი აზრი აქვს: მთავრები ხელისუფლებაში მოყვანილი არიან არა პირადი ინტერესების გათვალისწინებით, არამედ მთლიანად ხალხის. მათ მიეცათ შემოსავალი არა, იმიტომ რომ, საკუთარი ქონება შეენახათ. ამიტომ, სიძუნწე, როგორც მთავრის დამახასიათებელი თვისება უფრო ამაზრზენია, ვიდრე კერძო პირში. მაგრამ, ძუნწობაზე საძაგელი მფლანგველობაა. ქვეშევრდომისათვის გამორთმევა უფრო შეურაცხყოფელია, ვიდრე საერთოდ არ მიცემა. მაგრამ ხალხს

მოსწონს მფლანგველი მმართველი, რადგანაც მათში იმედი დიდია იმისა, რომ მალე ისინიც იქნებიან მიმღებთა რიგებში. (1.162)

მთავარი ან საკუთარსა თუ თავის ქვეშევრდომთა სიმდიდრეს ფლანგავს ან სხვებისას. პირველ შემთხვევაში მას მომჭირნეობა მართებს, მეორეში კი მის გულუხვობას არ უნდა ჰქონდეს საზღვარი. მთავარი უხვად უნდა გასცემდეს ლაშქრობის ნადავლს მოლაშქრეებს.

მაკიაველის მთავრის ერთ-ერთ ღირსებად საუკეთესო მრჩევლის ყოფას მიიჩნევს: “მთავრის უნარიანობაზე, უწინარეს ყოველისა, იმ პირთა მიხედვით მსჯელობენ, რომელიც მას გარს ახვევია. თუ მათ თავიანთი ადგილი აქვთ მიჩენილი და მისი ერთგულნი არიან, მთავარი ყოველთვის ბრძენ კაცად იქნება მიჩნეული” (1.215). მაგრამ, თუ საქმე სხვაგვარადაა მთავარს შეიძლება ყოველთვის ცუდი თვალთ უყურებდნენ, რადგან კარისკაცთა არასწორი არჩევანი უკვე მისი პირველი შეცდომაა. როდესაც მთავარი ხედავს, რომ მისი კარისკაცი თავისთავზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე მასზე და რომ ყველაფერში მხოლოდ საკუთარ გამორჩენას ეძებს ასეთი კაცი არასოდეს არ ივარგებს კარისკაცად.

ძლიერი მთავრებიც კი საჭიროებენ მრჩევლების დახმარებას. მმართველებს გვიჩარდინი ორ ჯგუფად ჰყოფს: არც თუ ისე გონიერნი, რომლებიც ვერ ახერხებენ ხალხის გამოცნობას და ძუნწები. ხდება ისეც, რომ მრჩევლის დახმარებას ის მთავრები საჭიროებენ, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილნი ზემოთსენებული ერთ-ერთი თვისებით მაინც. მთავრის მრჩეველი უნდა გამოირჩეოდეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობებით, ასეთი ხალხი კი იშვიათობაა. თუ ქვეშევრდომი მიატოვებს მთავარს ამის ძირითადი გამომწვევი მიზეზი ის არის რომ, მმართველი პირადი წყენის გამო ამჟღავნებს მათდამი სიძულვილს.

ფრანჩესკო გვიჩარდინი მმართველობას ჰყოფდა სამ ფორმად: ერთი პირის მიერ, რამდენიმეს ერთად და უმრავლესობის მიერ. მისი აზრით, ყელაზე რთული იყო ოპტიმატების მმართველობა, რამდენადაც იგი არაბუნებრივი იყო. პატივმოყვარეობით ოპტიმატები ჩალოდნენ ყველა ბოროტებას, რასაც ტირანია იკადრებდა. ყველას სწამს, რომ ერთი ადამიანის ყოფნა ქვეყნის სათავეში უფრო მისაღებია. იგი კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ ასეთმა მმართველობამ შეიძლება ცუდი სახე მიიღოს და იგი მემკვიდრეობითი გახდეს. თავისუფლება რესპუბლიკაში არის სამართლიანობის მოსამსახურე. იგი იცავს ერთს მეორეს ხელყოფისაგან. გვიჩარდინს სწამს, რომ თუ ერთი ან რამდენიმე პირის ძალაუფლების დროს შენარჩუნებული იქნება სამართლიანობა, მაშინ თავისუფლების სურვილი არცთუ ისე დიდი იქნება.

სასურველია ნებისმიერი მოქალაქე არ დაიბადოს ქვეშევრდომად და თუ ეს მაინც ასე მოხდა, სჯობს მთავარს ემსახუროს, ვიდრე

რესპუბლიკას. ეს უკანასკნელი ქვეშევრდომებს უფრო ამდბლებს, ვიდრე მოქალაქეებს. მთავარი კი ორივეს ერთნაირად. აი, ასეთ შეფასებას აძლევს მმართველობას გვიჩარდინი.

მაკიაველი მთავარს დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნების გზებსაც უსახავს. თუკი ზნე-ჩვეულებებითა და კულტურულად მსგავსი სამფლობელოს ხელში ჩაგდება სურს მთავარს, მან მუსრი უნდა გაავლოს უწინდელი მთავრის საგვარეულოსა და უცვლელი დატოვოს მათი კანონმდებლობა და ხარკის აკრეფის წესი. უცხო სამფლობელოს დაპყრობისას, კი იგი მთავარს ურჩევს თვითონ დასახლდეს დაპყრობილ ტერიტორიაზე, რაც განამტკიცებს და გაახანგრძლივებს მის მფლობელობას, რადგან მთავარი ჩანასახშივე ადვილად შენიშნავს და ჩაახშობს დაპყრობილ ხალხთა ამბოხებას. მთავრის იქ ყოფნა უცხოელ თავმდასხმელებს დააფრთხობს და იგი პირადად გააკონტროლებს ადმინისტრაციულ მმართველებს.

ახალი სამთავროების შესანარჩუნებლად მაკიაველი მთავარს ურჩევს ორ-სამ ადგილას კოლონიების დაარსებას, რომლებიც გარკვეული აზრით, ამ ქვეყნის დამცველთა როლს შეასრულებენ ან დაპყრობილ ქვეყნაში ცხენოსანთა თუ ქვეითთა მრავალრიცხოვანი რაზმების ჩაყენებას. კოლონიები არც ისე ძვირი უჯდება მთავარს და მართლაც, ისტორიულმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ კოლონიების დაარსებამ საშუალება მისცა ბევრ ხელისუფალს, მტკიცედ მოეკიდა ფეხი ამა თუ იმ ანექსირებულ ქვეყანაში. ხოლო, რაც შეეხება ლაშქრის ყოლას დაპყრობილ ტერიტორიაზე, ნაკლებად სასარგებლოა, რადგან მათი შენახვა ძვირი უჯდება მმართველს და ამავე დროს მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს მათი ქვეყნის მოლაშქრეთა ბანაკად გადაქცევა.

თავისუფლებას ნაჩვევი ქალაქის მართვა გაცილებით ძნელია მთავრის ძალაუფლებას ნაჩვევ ქალაქთან შედარებით. რესპუბლიკებში, სადაც ცხოვრება დულს, არასდროს ჩაქრება დაკარგული თავისუფლების ხსოვნა. მისი შენარჩუნება ისევ საკუთარი მოქალაქეების მეშვეობითაა შესაძლებელი. მაგრამ მაკიაველის მოსაზრებით, ყველაზე საიმედო ხერხი მისი შენარჩუნებისა არის ქალაქის დანგრევა და დაქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეები ყოველთვის ეცდებიან ამბოხების გზით დაიბრუნონ თავისუფლება.

შემდგომ სიძნელეს წარმოადგენს ახალი წეს-წყობილების დამყარება, რომელიც აუცილებელია ძალაუფლების შესანარჩუნებლად. არ არსებობს უფრო ძნელი, უფრო საეჭვო და სახიფათო გზა წარმატებისაკენ, ვიდრე ახალი წესრიგის დაფუძნება, რადგანაც სიძნელის დანერგვას ყველა ეჭვის თვალით უყურებს, მით უმეტეს ისინი, ვისთვისაც ხელსაყრელი იყო ძველი წესრიგი. გვიჩარდინი ამის თაობაზე წერს, რომ თუ ქვეყანაში ისეთი წყობაა, რომლის ატანა შესაძლებელია, მაშინ მოქალაქეები



რესპუბლიკაში მცხოვრები არ ეცდებიან შეცვალონ იგი უკეთესობისაკენ, რადგანაც მას ხშირად გაუარესება მოსდევს. თავისუფლების მიზანი ის არ არის, რომ ყველამ მართოს სახელმწიფო. მმართველი უნდა იყოს ის, ვინც იმსახურებს ამ თანამდებობას. მნიშვნელოვანია კანონების გათვალისწინება. თავისუფალი წყობის პირობებში კანონები უფრო მკაცრად არის დაცული ვიდრე ერთი ან რამდენიმე პირის მართვის ქამს. იტალიის უბედურება, აღნიშნავდა გვიჩარდინი, ის არის რომ ხალხისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ თავისუფლება და ისინი არ კმაყოფილდებიან, მანამ სანამ არ მიიღებენ მონაწილეობას მართვაში. (1.142-143)

მაკიაველის აზრით, გამართლებულია, სისასტიკის გამოყენება, როდესაც მხოლოდ ერთხელ მიმართავენ მას, როგორც თავდაცვის აუცილებელ საშუალებას, შემდეგ კი ხელს იღებენ მასზე. ხოლო ავად იყენებენ წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა თანდათანობით და სისტემატურად ავლენენ თავიანთ სისასტიკეს. აქ კარგად ჩანს მაკიაველის დიდი ფსიქოლოგიური ნიჭი და დაკვირვება. სრულიად საპირისპიროს წერს გვიჩარდინი. მისი მეფისნაცვლობის დროს არასდროს არ სცემდა პატივს სიმკაცრესა და სასტიკ სასჯელებს, რაც საბოლოო ჯამში სასურველ შედეგს იშვიათად აღწევდა.

სასურველია, რომ მთავარი მის ქვეშევრდომებს უყვარდეთ და ეშინოდეთ კიდევაც მისი, მაგრამ რაკი ორივეს შეთანხმება ძნელია, თუკი იძულებული იქნება მათგან ერთ-ერთი აირჩიოს მაშინ უჯობს შიშს უნერგავდეს ხალხს და არა სიყვარულს. რადგან სიყვარული მხოლოდ მოვალეობის გრძნობაზეა დაფუძნებული, რომელიც კაცთა სულმოკლეობის გამო ადვილად ქარწყლდება, როგორც კი ამას ანგარება დაუპირისპირდება. მაშინ როდესაც, შიშს განაპირობებს ისევ შიში, სასჯელის შიში. მთავარი ისე უნდა ნერგავდეს შიშს, რომ თუკი სიყვარულს ვერ მოიხვეჭს, სიძულვილი მაინც აიცილოს თავიდან. ისიც დიდი საქმეა, რომ ხალხს ეშინოდეს შენი, მაგრამ არ სძულდე.

ძალიან დიდი სხვაობაა იმას შორის თუ როგორ ცხოვრობენ და როგორ უნდა ცხოვრობდნენ კაცნი. ვინც იმის გულისათვის, რაც უნდა მომხდარიყო იგიწყებს იმას რაც ახლა ხდება, უმაღლ თავის დამხობას უწყობს ხელს, ვიდრე თავისავე დღეგრძელობას. ამიტომ მთავარს, რომელსაც ძალაუფლების შენარჩუნება სურს უნდა აქონდეს მისი უნარი, რომ დროდადრო იგიწყებდეს სიკეთეს და გარემოებებისდა მიხედვით, იყენებდეს ან არ იყენებდეს ამ უნარს. მაკიაველის აზრით, არ მოიძებნება ისეთი კაცი რომელიც შემკული იქნება ყველა სიკეთით და ღირსებით, მაგრამ მთავარი იმდენად კეთილგონიერი კი უნდა იყოს, რომ თავიდან იცილებდეს ყველა იმ ბიწიერებას, რასაც შეუძლია ძალაუფლება დააკრავინოს. თუ კარგად გავაანალიზებთ ყველაფერს, აღმოჩნდება რომ არის ზოგი რამ, რაც

ერთი შეხედვით შეიძლება სიქველედ მოგვეჩვენოს, მაგრამ დაღუპვას უქადდის მთავარს, რომელიც მიზნად დაისახავს ბოლომდე უერთგულოს მას. ზოგიერთი ბიწი შეიძლება მთავარს და ქვეყანას სასიკეთოდ წაადგეს. მთავარი ვერ უერთგულებს იმას, რის გამოც ადამიანს კარგ კაცად თვლიან, ვინაიდან სახელმწიფოს შესანარჩუნებლად ხშირად იძულებულია იმოქმედოს ერთგულების, მოყვასისადმი სიყვარულის, ადამიანობის, სარწმუნოების საპირისპიროდ.

მთავრები ხშირად აკეთებენ არა იმას, რაც საჭიროა, არამედ იმას, რაც ჰგონიათ მიზანშეწონილად. მთელი უბედურება ისაა, რომ ხალხი ვერ ხვდება, თუ რაოდენ საშიშია ცხოვრება იმ ადამიანის ძალაუფლების ქვეშ, რომელსაც არ შეუძლია მართვა. ეს საბოლოოდ ქვეყნის განადგურებას იწვევს.

გვიჩარდინის აზრით, სახელმწიფოები ისეთივე მოკვდავი არიან, როგორც ხალხი. სახელმწიფო კვდება არა მატერიალური უკამრისობით, არამედ მანვე მმართველობით. სახელმწიფოს ძლიერი აღნაგობა აქვს, კარგად ახდენს წინააღმდეგობის გაწევას. იგი კარგად რომ იმართებოდეს მუდმივი იქნებოდა.

გვიჩარდინის ნააზრვეის ანალიზისას შეიძლება პარალელი გავაღოთ დღევანდელ ყოფიერებასთან. იგი თავის "თხზულებებში" აღნიშნავს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ჩინოვნიკს ავუკრძალოთ ქურდობა. მისი მსახურობის დროს დაქვემდებარებაში იყვნენ გუბერნატორები და მიუხედავად მცდელობისა ვერ ახერხებდა ებრძოლა კორუფციასთან. გვიჩარდინის აზრით, მდიდარს უფრო მეტ პატივს სცემენ ვიდრე წესიერს.

სამი რამის ნახვა სურდა გვიჩარდინის სიცოცხლის ბოლომდე, თუმცა აღნიშნავდა რომ, რაც არ უნდა დიდხანს ეცოცხლა ამას ვერ მიაღწევდა: 1). კარგად მოწყობილი რესპუბლიკა მის ქვეყანაში; 2). იტალია-გათავისუფლებული ყველა ბარბაროსისგან; 3). მსოფლიო - გათავისუფლებული ტირანიისგან და პაპებისგან.

ამგვარად, აღორძინების პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში მაკიაველისა და გვიჩარდინის მიერ შექმნილი იტალიის გაერთიანების თანმიმდევრული თეორია მნიშვნელოვანი შენაძენი იყო, რომელიც ეფუძნებოდა რეალური ვითარების ანალიზს და ნაკარნახევი იყო ღრმად გაანალიზებული პატრიოტიზმით.

თუკი ჩვენ იტალიის ისტორიას შევადარებთ თანამედროვე ეპოქას, დავინახავთ ძალიან ბევრ მსგავსებას დღევანდელობასთან. ყოველ ეპოქაში ამა თუ იმ სახელმწიფოს დამარცხების მთავარი მიზეზი იყო და იქნება შიანგანი გათიშულობა. დღესაც ჩვენს ქვეყანაში ეს გათიშულობა შეინიშნება, რასაც შესანიშნავად იყენებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. დამაბულობის დროს ქვეყანაში გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც მოხერხებულად იყენებენ შექმნილ სიტუაციას საკუთარი თავის განდიდებისთვის.

ამიტომაცაა, რომ მაკიაველისა და გვიჩარდინის შეხედულებები სახელმწიფოს საუკეთესო მმართველის საქმიანობის შესახებ დღესაც ძალიან აქტუალურია. თავის დატვირთვას არ კარგავს არც მათი, განსაკუთრებით კი მაკიაველის შეხედულებები ომისა და ჯარის შესახებ. ვინაიდან, მსოფლიო ისე როგორც არასდროს დგას შეიარაღებული საფრთხის წინაშე. ამიტომაც, ყველა ხელისუფალისათვის და საერთოდ ყველა ჩვენთაგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დაფიქრება და გააზრება გვიჩარდინის სიტყვებისა: „ის რაც ახლა ხდება და რაც მოხდება მომავალში, უკვე იყო წარსულში. მხოლოდ სხვა სახელითა და სხვა ელფერით. მაგრამ ამის შეცნობა მარტო მას შეუძლია, ვინც ამ ყოველივეს მახვილი თვალითა და ყურადღებით აკვირდება და იცის როგორ მოიქცეს“ (Ricordi politici e civili, 76).

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1). ნ. მაკიაველი “მთავარი”, თბ., 1984
- 2). ფ. გვიჩარდინი “сочинения”, М, 1934
- 3). ლ. ხუბაშვილი “მაკიაველის იდეების ასახვა XVI-XVIII სს. ინგლისურ დრამატურგიაში”, შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, კრებული №2, თბ., 2000
- 4). ლ. ხუბაშვილი “იტალიური ნაციონალიზმისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის სათავეებთან (XIII-XVI სს.), კრებული “ეთნიკურობა და ნაციონალიზმი”, თბ., 2002
- 5). ზ. ჩიმაკაძე, ა. გვიმრაძე “მაკიაველი და მისი ეპოქა”, თბ., 2005
- 6). [ru.wikipedia.org](http://ru.wikipedia.org)
- 7). [www.krugosvet.ru](http://www.krugosvet.ru)
- 8). [www.lib.ru](http://www.lib.ru)

## Summary

### **Irma Khychishvili, Tereza Djaparidze Political paradigms in the creativity of Nicolo Machiavelli and Francesco Guicciardini**

The theme presented by us sets as the purpose the analysis of political views of great Italian statesmen and thinkers Nicolo Machiavelli and Francesco Guicciardini on the basis of their outstanding works "Prince" and "Compositions".

The political doctrine of these thinkers gives answers to questions—how it should be a healthy and valuable political system, how it can be overcome political crisis in the country. They investigated economic bases of the state, various forms of socio-political organizations and they offered the best of them to the governors of the states.

Our purpose was finding political paradigms in creativity of these great thinkers, which revealing and acceptance will be expedient for statesmen of any epoch.

## Р Е З Ю М Е

### **Ирма Хуцишвили, Тереза Джапаридзе Политические парадигмы в творчестве Никколо Макиавелли и Франческо Гвичардини**

Представленная нами тема ставит целью анализ политических воззрений великих итальянских государственных деятелей и мыслителей Никколо Макиавелли и Франческо Гвичардини на основе их выдающихся произведений “Князь” и “Сочинения”.

Политическое учение этих мыслителей дает ответы на вопросы – каким должен быть здоровый и жизнеспособный государственный строй, как надо преодолеть политический кризис в стране, исследовали экономические основы государства, различные формы социально-политической организаций и наилучшие предлагали правителям государств.

Нашей целью было найти в творчестве этих великих мыслителей политические парадигмы выявление и принятие которых будет целесообразным для государственных деятелей любой эпохи.

**შალვა კიკალიშვილი**  
**ინფორმაციული ომის სათავეებთან**

კაცობრიობის ისტორია სავსეა ომებით, კონფლიქტებით, დაპირისპირებებით და რა თქმა უნდა წარმოუდგენელი იქნებოდა მათი წარმართვა ინფორმაციული ბაზის გარეშე. სწორედ ინფორმაციის ამა თუ იმ გზით მიწოდება იგებდა ან იწყებდა ახალ ომს. დღევანდელი გადასახედიდან კარგად შეიძლება გავაანალიზოთ და განვიხილოთ ის უამრავი მაგალითი რომელიც მოგვეპოვება ამ კუთხით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით ისტორიული ფაქტების სერიოზული კვლევა თითქმის არ ჩატარებულა საქართველოში. ეს კი კიდევ უფრო მატებს საკითხს აქტუალობას და თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ დღეს საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ ინფორმაციული ომის სწორად წარმართვა და ჩვენთვის ლოგიკურ შედეგამდე მიყვანა, მაშინ საკითხი კიდევ უფრო პრიორიტეტული ხდება.

დღესდღეობით საერთაშორისო არენაზე მიმდინარეობს კვლევა ინფორმაციული ომისა და ინფორმაციული იარაღის ირგვლივ. გავრცელებული განმარტებით ინფორმაციული იარაღი არის ის რამაც ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ადამიანის გონებაზე, მენტალობაზე, მის უფლებებსა და თავისუფლებებზე. 2000 წელს სენატორმა დენის ჯ. კუსინიმა წარადგინა ბილი, რომელშიც საუბარი იყო იარაღზე. ბილი შეიცავდა იარაღთა ნუსხას: „იარაღად ითვლება ის რასაც მოაქვს სიკვდილი, ზიანი, განადგურება პიროვნებისა, ბიოლოგიური სიცოცხლისა, მენტალური ჯანმრთელობისა, მოსახლეობის მიზანში ყოლა ინფორმაციული ომისა ან მათი გონების კონტროლის მიზნით.“

წინამდებარე ნაშრომში შევეცდები განვიხილო ის ისტორიული მაგალითები, რომლებიც ასე თუ ისე კავშირში არიან ინფორმაციულ ომთან. მართალია ინფორმაციული ომი იმ მომენტიდან იწყება როდესაც გველის სახით ეშმაკმა აცდუნა ევა, მაგრამ ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოთავსებულია VIII საუკუნის შუა წლებსა და XVI საუკუნის შუა წლებს შორის. რა თქმა უნდა ყველა ფაქტის აღნუსხვა და გაანალიზება ვერ მოხერხდა დროის სიმცირისა და მასალის სიდიდის გამო, მაგრამ წარმოდგენილი იქნება ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მოვლენები და განხილული იქნება მათი მნიშვნელობა.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა პაპების საეკლესიო სამეფო იმ მიწებისაგან, რომელიც პიპინ მოკლემ გადასცა პაპ სტეფან II. ამ მიწების გადაცემა სათანადო აქტითაც გაფორმდა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი პაპებისათვის, რადგან იგი პაპს კაროლინგებისადმი დაქვემდებარებულს ხდიდა. ხელისუფლების დასაკანონებლად პაპებმა დაიწყეს თავიანთი უფლებების თეორიული დასაბუთება, იმის დამტკიცება რომ ეს საჩუქარი მოდიოდა არა პიპინ მოკლესაგან არამედ იმპერატორ კონსტანტინე დიდისაგან (306-337). ასე ჩაეყარა საფუძველი ყალბ დოკუმენტ „კონსტანტინეს ნაბოძვარს.“ „კონსტანტინეს ნაბოძვარს“ საუკუნეების მანძილზე ეფუძნებოდა პაპობის თეოკრატიული პრეტენზიები. მასში ეჭვი არავის შეჰქონდა. იგი იმდენად განმტკიცდა, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, საერთაშორისო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. პაპობა ყოველთვის გამოირჩეოდა ინფორმაციული ომის წარმართვაში, ისინი ყოველთვის სათავისოდ იყენებდნენ შეთხზულ თუ ნამდვილ ფაქტებს. ამის შესანიშნავი მაგალითია ზემოთ ხსენებული „კონსტანტინეს ნაბოძვარი,“ რომლის სიყალბე მხოლოდ XV საუკუნეში დაასაბუთა იტალიელმა ჰუმანისტმა, ლორენცო ვალამ (1407-1457). თუმცა არც ამის შემდეგ მომხდარე მიწების ჩამორთმევა, რადგან პაპობამ „ომი“ მოიგო. ეს „სამეფო“ დღესაც არსებობს ვატიკანის სახით.

კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი რაც პაპობის მიერ წარმართულ ინფორმაციულ ომს შეეხება არის „ჯვაროსნული ლაშქრობები.“ 1095 წლის 26 ნოემბერს საფრანგეთის ქალაქ კლერმონში ღია ცის ქვეშ შედგა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა 14 არქიეპისკოპოსი, 225 ეპისკოპოსი და 100 აბატი. აქვე იყვნენ დაბალი საეკლესიო იერარქიის წარმომადგენლებიც და მრავალი საერო პირი. რომის პაპმა ურბან II მგზნებარე სიტყვით მიმართა საზოგადოებას. მან დამსწრეებს შეახსენა, რომ უკვე კარგა ხანია იერუსალიმისა და პალესტინის წმინდა ადგილებს ურჯულო სელჯუკები დაეპატრონნენ, ისინი ბილწავენ ქრისტიანულ სიწმინდეებს, შეურაცხყოფენ მისიონერებს, მლოცველებს და კიდევ მრავალ ბოროტებას ჩადიან. ამიტომ ის როგორც ღვთის მსახური დედამიწაზე, ვალდებულია თვლის თავს მოუწოდოს საღვთო ომისაკენ ყველას, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, გაილაშქრონ ურჯულოთა წინააღმდეგ და გაანთავისუფლონ ქრისტეს საფლავი, რომელიც განსაცდელშია. ეს არის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განცხადება, რომელსაც მოჰყვა ჯვაროსნული ლაშქრობების წამოწყება.

ეს ის პერიოდაა როდესაც რომის ეკლესია მოწოდების სიმადლეზე დგას, მას ადვილად შეუძლია ზემოქმედება იქონიოს მის სამწესოზე, რომელიც ძალიან დიდია. პაპმა ურბან II დროც

შესანიშნავად შეარჩია და დაძრა თავისი არმია აღმოსავლეთის მიწებისკენ, რომელსაც მან “რძისა და თაფლის მდინარეები”(1, 227) უწოდა. თითქოს მნიშვნელოვანი არაფერია ამაში მაგრამ, პაპმა ალბათ სწორად გათვალა თავისი ნაბიჯი. მან იცოდა, რომ ბევრი იქნებოდა იმათი რიცხვი რომლებიც რწმენის გამო წავიდოდნენ აღმოსავლეთში, მაგრამ მან ისიც იცოდა თუკი მატერიალური გამდიდრების პერსპექტივას დასახავდა მაშინ „მორწმუნეთა” რიცხვი გაორმაგდებოდა. ამით იყო გამოწვეული ის ფაქტი რომ ჯვაროსნული ლაშქრობებით საზოგადოების ყველა ფენა დაინტერესდა. ინფორმაციის მიწოდებით პაპს საშუალება მიეცა მანიპულირება მოეხდინა ადამიანთა გონებაზე.

კლერმონის საეკლესიო კრების შემდეგ რომის პაპმა სპეციალური ლეგატები დაგზავნა სხვადასხვა მხარეში მოსახლეობის დასარაზმად. ეს ყველაზე კარგი გზა იყო ინფორმაციის გასავრცელებლად, თან სასულიერო პირებს უფრო მეტი ნდობით შეხედავდნენ და მათი ქადაგებაც უფრო დამაჯერებელი იქნებოდა.

ამ პერიოდის ლეგატებს შორის სახელი გაითქვა პეტრე მწირმა (მეუღაბნოემ), ანუ პიერ ამიანელმა. იგი ჯერ კიდევ 1094 წელს ყოფილა იერუსალიმში და მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია წარმართთა საშინელებებს. ცნობის თანახმად წმინდა საფლავთან ლოცვაში ჩაძინებულ პეტრე მწირს მაცხოვარი გამოეცხადა და აუწყო: „ძვირფასო შვილო პეტრე, ადექი წადი ჩემს პატრიარქთან და გამოართვი ჩემ მიერ გაგზავნილი წერილი, სამშობლოში შენ უნდა მოუყვე იმ უბედურებათა შესახებ რომელიც თავს დაატყდა წმინდა ადგილებს. შენ უნდა გამოადვილო მორწმუნენი რათა განწმინდონ იერუსალიმი და დაიხსნან წმინდანები წარმართთა მსახვრალი ხელისაგან, რამეთუ სამოთხის კარი ღიაა მათთვის ვინც მე ავირჩიე და ვისაც მოუწოდებ”.(1, 227) სერიოზული იდეოლოგიური საფუძვლების შემზადების შემდეგ პეტრე მწირმა ქადაგება დაიწყო და შესანიშნავად გაართვა თავი. მალე მან ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ მის ჯორს ბეწვს აძრობდნენ და ინახავდნენ, როგორც უწმინდეს რელიკვიას.

მიუხედავად იმისა, რომ პეტრე მწირის მიერ შეგროვილმა ხალხმა მიზეზთა გამო ვერ მიაღწია დასახულ მიზანს ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ერთმა ადამიანმა მოახერხა და გავლენა იქონია თითქმის მთელს ცენტრალურ და ჩრდილოეთ საფრა-ნგეთზე. რელიგიური მოტივით იგი შესანიშნავად ახდენდა ხალხით მანიპულირებას, რომელთათვისაც მაცხოვრის მიერ გამოგზავნილი წერილის ნახვაც კი საკმარისი იყო.

ასეთი მქადაგებლები მთელი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მრავლად იყვნენ. მაგალითად პაპ ეგვენი III დროს გამორჩეული იყო აბატი ბერნარდი კლერმონიდან, რომელმაც

დაარწმუნა საფრანგეთის მეფე ლუი VII და გერმანიის იმპერატორი კონრად III მეორე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიეღოთ მონაწილეობა და 1147 წ. დაიწყო კიდეც “მოგზაურობები”.

ასევე აღნიშვნის ღირსია IV ჯვაროსნული ლაშქრობის იდეოლოგი ინოკენტი III. მის მოწოდებას მრავალი მომხრე გამოუჩნდა განსაკუთრებით აქტიურობდა სამღვდლოების ქვედა იერარქია. მხარდამჭერთა შორის გამოირჩეოდა ფულკო ნელსონი, გაუნათლებელი მაგრამ მჭევრმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული ფანატიკოსი. მისი სიტყვა ხალხზე წარმოუდგენელ ზემოქმედებას ახდენდა, ხმები გავრცელდა ფულკოს სასწაულმოქმედი ძალით ავადმყოფთა განკურნება და სხვა მრავალი სასწაულის მოხდენა შეუძლიაო. ათასობით ადამიანი იღებდა ჯვარსა და მახვილს, როდესაც ის ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდებდა.

მქადაგებელთა შორის ასევე გამოირჩეოდა ცისტერციანელთა მონასტრის აბატი მარტი; ქალაქებში, განსაკუთრებით ბაზელში ის მორწმუნეებს მოუწოდებდა წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად, ამასთანავე დასძენდა რომ გარდაუვალ ჯილდოს ზეცაში თან დაერთოდა ამქვეყნიური სიკეთეებიც “ეჭვი არ გვეპარება - ამბობდა ის - რომ მრავალი თქვენგანი ბედნიერებას პოუვებს მიწიერ საქმეებშიც.” (1, 241)

მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობაშიც სულიერთან ერთად წინა პლანზე იყო წამოწეული მატერიალური კეთილდღეობის საკითხიც. ჩემი აზრით, სწორედ ამან განსაზღვრა მისი წარმატება. პაპებმა სწორად მიაწოდეს ინფორმაცია საზოგადოებას და ყველა იმით დააინტერესეს რაც ნამდვილად სჭირდებოდათ ამან კი, ჯვაროსნები „დიდ გა-მარჯვებამდე“ მიიყვანა.

საერთოდ ომს იგებს ის ვისაც მეტი ინფორმაციული ბაზა აქვს. ომი აქ არ უნდა იყოს გაგებული პირდაპირი მნიშვნელობით. აქ შეიძლება საუბარი იყოს იდეოლოგიურ დაპირისპირებაზეც. მაგალითად აღნიშვნის ღირსია არნოლდო ბრეშიელი, რომელიც არის რომის კომუნის იდეოლოგი. შესანიშნავი განათლების მქონე ბრეშიელი იმ ეკლესიას დაუპირისპირდა, რომლის მსახურიც გახლდათ. ის ქადაგებდა: “ეკლესიის ფუძემდებელი იესო ქრისტე და მისი მოწაფე-მოციქულები სრულ სიღარიბეში ცხოვრობდნენ, ამიტომ თუ თქვენ ეკლესიას მთელს ძალაუფლებასა და სიმდიდრეს წაართმევთ, თქვენ კეთილი ქრისტიანები გახდებით, ეს სამართლიანი და ღმერთისთვის მისაღები საქმეა.” (1, 273)

მას სამ პაპთან ჰქონდა დაპირისპირება: ინოკენტი III, ევგენი III და ადრიანე IV 1139წ. ლატერანულმა კრებამ მისი მოძღვრება ერეტიკულად გამოაცხადა, ჩამოართვა მას მღვდლის წოდება და შეაჩვენა. მაგრამ ბრეშიელი არ ფიქრობდა დანებებას, ამის შემდეგ ის კიდევ ორჯერ შეაჩვენეს საბოლოოდ კი იგი 1155 სიკვდილით დასაჯეს. ჯერ ჩამოახრჩვეს, შემდეგ დაწვეს და ფეფრფლი მდინარე



ტობრში გადაყარეს. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით „რომ არა შიში ხალხი მის ფერფლს შეაგროვებდა და პატივს მიაგებდა როგორც წამებულს“ (6) რადგან სიკვდილის წინაც ერთად-ერთი ღოცვის ნება ითხოვა და დიდი სიმამაცით შეეგება სიკვდილს.

დიდი დაპირისპირება არსებობდა ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენსა (1144-1250) და პაპ გრიგოლ IX (1227-1241) შორის. გრიგოლ IX განაკვეთა იმპერატორი იმ ბრალდებით, რომ იგი არ გაემგზავრა ჯვაროსნულ ლაშქრობაში, მაგრამ ფრიდრიხი მაინც წავიდა და უომრად, ზავით მოახერხა ის რასაც თავის დროზე მრავალი სიცოცხლე შეეწირა. 1229წ. მან ზავი დადო სულთან ალქამილთან და ათი წლით იერუსალიმი, ნაზარეთი, ბეთლემი მის ხელში გადავიდა. ამავე წელს მან თავისი ხელით დაიდგა თავზე იერუსალიმის მეფის გვირგვინი ქრისტეს საფლავის ტაძარში.

გრიგოლ IX ყველა საშუალებით ცდილობდა ფეოდალთა ამხედრებას ფრიდრიხის წინააღმდეგ. მისი წაქეზებით ვენეციელები თავს დაესხნენ იმპერატორის სამფლო-ბელოებს სირიაში. გერმანიაში დომინიკანელების მეშვეობით აგიტაციას ეწეოდა სხვა მეფის ასარჩევად. 1230 წ. მოხდა დაპირისპირებულთა მცირე დროით შეთანხმება. მაგრამ ბრძოლა მომდევნო პაპმა ინოკენტი IV გაგრძელდა და საბოლოოდ გამარჯვებული პაპი გამოვიდა. მაგრამ გამარჯვებას სხვისი ხელით - იტალიური ქალაქების ძალითა და იტალიაში მოწვეული უცხოელებით მიადგა.

პაპებმა კარგად წარმართეს ეს ბრძოლა და გაიმარჯვეს ფრიდრიხ II-ზე ინფორმაციის გავრცელებითა და ინფორმაციული იარაღის გამოყენებით. ეს მათი უფრო აღსანიშნავი გამარჯვებაა, რომ XII-XIII საუკუნეებში გავრცელებული იყო წარმოდგენა შტაუფენებზე როგორც უკანასკნელ იმპერატორთა დინასტიაზე მეორედ მოსვლის წინ, ხოლო იერუსალიმის გათავისუფლება ურწმუნოთაგან, სამყაროს დასასრულის სამყაროს დასასრულის მნიშვნელოვანი პუნქტია წინასწარმეტყველებაში; ამიტომ იყო, რომ სწორედ ფრიდრიხ II-ში არცთუ იშვიათად ხედავდნენ იმპერატორს, რომელსაც მსოფლიო ისტორია უნდა დაესრულებინა. თვით ფრიდრიხ II სულ უფრო და უფრო უსვამდა ხაზს თავისი ძალაუფლების მესიანისტურ ხასიათს, თავის თავს კი უზენაესის განსახიერებასა და სამყაროსა და ოთხი ელემენტის მბრძანებელს, ახალ კონსტანტინესა და ოქროს საუკუნის ფუძემდებელს, იერუსალიმში კორონაციის შემდეგ კი მეფე დავითის მემკვიდრეს უწოდებდა. ადგილს სადაც იმპერატორი დაიბადა ბეთლემს ადარებდნენ, ფრიდრიხის კანცლერს - პავლე მოციქულს. საზეიმო პროცესიის დროს იმპერატორი ხალხს ღოცავდა ისე თითქოს სასულიერო პირი იყო ანდა მესია. მტრები კი ანტიქრისტეს უწოდებდნენ. თვითონ ფრიდრიხ II შორს იყო რელიგიური ფანატიზმისაგან. მოსეს იესოსა და მუჰამედს ის ისტორიის სამ უდიდეს

მატყუარას უწოდებდა. სულთნის წარმომადგენლებთან საუბარში ის თავს ნებას აძლევდა დაეცინა ქრისტიანებისათვის და კეთილგანწყობით ეკიდებოდა მაჰმადიანურ ადათ-წესებს. ფრიდრიხ II-ს გარდაცვალების შემდეგ, 1250 წელს, ლეგენდაც კი შეთხზეს, რომ იმპერატორი კი არ გარდაიცვალა, არამედ საიდუმლოდ გაქრა, რათა სამეფოს დასასრულს გამოჩნდეს, ეკლესიის რეფორმაცია მოახდინოს და მსოფლიო მეფობა დაამყაროს. ეს ლეგენდა იმდენად პოპულარული გახდა, რომ მთელი XII საუკუნის მანძილზე იტალიასა და გერმანიაში გამოჩნდნენ თვითმარქვეები, რომლებიც თავის თავს ფრიდრიხ II-ს უწოდებდნენ. (1, 292-293)

ინფორმაციული ომის კარგი მაგალითი მოგვეპოვება ინგლისის ისტორიაშიც ჰენრი II პლანტაგენეტისა (1154-1184) და კენტერბერის არქიეპისკოპოსის ტომას ბეკეტის დაპირისპირების სახით.

ჰენრი II-მ საეკლესიო რეფორმაში მარცხი განიცადა იგი ვერ ეგუებოდა მის დამოუკიდებლობას და დამორჩილება სურდა. თუმცა იცოდა, რომ კენტერბერის არქიეპისკოპოსის თანხმობის გარეშე ამას ვერ გააკეთებდა. ამ თანამდებობაზე ისეთი პიროვნება იყო საჭირო, რომელიც საეკლესიო რეფორმის გატარებაში დაეხმარებოდა. ასეთ პიროვნებად მეფეს მისი მეგობარი ტომას ბეკეტი მიაჩნდა, ეს იყო განათლებული საეკლესიო პირი, რომელიც ისე ცხოვრობდა როგორც სურდა. იყო მხიარული და ნადიმების მოყვარული, მეფესთან შეხუმრებულიც კი. მას ერთხელ უთქვამს მეფისთვის, რომ „ეკლესია მეფეს უნდა ემორჩილებოდესო“ და ბუნებრივია ასეთი კანდიდატურა აწყობდა ჰენრი II.

1162 წ. ტომას ბეკეტი კენტერბერის არქიეპისკოპოსი ხდება. მაგრამ იგი ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავიდა გახდა ასევე, პატივმოყვარე, უარი თქვა ნადიმებზე, და ხმელი პურისა და წყლის ამარა დარჩა. იგი თვითგვემადეც კი მიდიოდა. მან არ ცნო ჰენრი II-ის მიერ გამოცემული „კლარენდონის დადგენილება“, რომლითაც ეკლესია მეფის ყმა ხდებოდა. მეფე ამან აღაშფოთა. ბეკეტს ბრალი დასდეს ფიცის გატეხასა და სამეფო თანხის მითვისებაში და მისი გასამართლება მოითხოვეს სამეფო სასამართლოზე. სასამართლოს წინაშე ბეკეტმა განაცხადა: „ვით ოქრო ძვირია ტყვიანზე, ისე სასულიერო ხელისუფლება მაღლა დგას საეროზე.“ სასამართლოს განაჩენი მძიმე იყო და ბეკეტი სამშობლოს დალატში დაადანაშაულეს. იგი პარიზში გაიქცა პაპთან. მას მისი დანმარების იმედი ჰქონდა მაგრამ პაპი ამ დროს ფრიდრიხ ბარბაროსას ებრძოდა და მოერიდა ინგლისთან ურთიერთობის გაფუჭებას.

ბეკეტი ინგლისში დაბრუნდა და განაგრძო ოპოზიციური საქმიანობა. როდესაც ამის შესახებ მეფეს აცნობეს მან თქვა: „ნუთუ ჩემს ქვეყანაში არ მოიპოვება კაცი, რომელიც ამ აბეზარ ბერს

თავიდან მომავლად?”(4) ეს გაიგონეს იქვე მყოფმა რაინდებმა, რეგინალდ ფიტზურსემ, ჰუგ დე მორავილემ, ვილიამ დე ტრასიმ და რინარდ ბრიტომ. მათ მეფის სიტყვები პირდაპირ ბრძანებად მიიჩნიეს და 1170 წელს 24 დეკემბერს საშინელი მკრეხელობა ჩაიდინეს, ტომას ბეკეტს საკურთხეველთან მოკლეს. ამ ფაქტმა საზოგადოების მღვდვარება გამოიწვია. მეფე იძულებული გახდა მისულიყო ბეკეტის სასაფლაოზე, პატიება ეთხოვა და დაეფიცა, რომ მისი სიკვდილი არ იყო მისი მიზანი. ამავე დროს მან უარი თქვა კლარენდინის დადგენილებაზეც.

როგორც გ. შილერი აღნიშნავს „მიზნის მისაღწევად მანიპულაცია შეუძნეველი უნდა დარჩეს. წარმატება მაშინაა გარანტირებული თუ მანიპულირებულს სჯერა, რომ რაც ხდება ბუნებრივია და გარდუვალი. ერთი სიტყვით მანიპულაციისთვის საჭიროა ყალბი რეალობა რომლის არსებობაც არ შეიძლება.“(5) დანამდვილებით ვერ გეტყვით, რომ ტომას ბეკეტმა მეფის მანიპულირების ან მისი მხარდაჭერის კიდევ უფრო გაზრდის გამო უთხრა მეფეს ის რისი გაგონებაც მას სჭირდებოდა: „ეკლესია მეფეს უნდა ემორჩილებოდესო“, მაგრამ ფაქტია, რომ მან თავის მიზანს მიაღწია და კენტერბერის არქიეპისკოპოსი გახდა. არც იმის თქმა შეიძლება, რომ მეფემ დაუფიქრებლად წარმოთქვა ბეკეტის დამღუპველი ფრაზა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მიზანი მიღწეული აღმოჩნდა. ბეკეტმა მეფეზე იქონია გავლენა და შეუქმნა „ყალბი რეალობა“, ხოლო მე-ფემ ანალოგიური ხერხი გამოიყენა რაინდების მიმართ. მიზანი ამართლებს საშუალებას.

ზოგადად, ხალხის მასების დასარაზმად ყველაზე ადვილი და ნაყოფიერი გზაა ინფორმაციის გავრცელება. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება ასწლიანი ომის მესამე ეტაპის 1415-1453) ის პერიოდი რომელიც ჟანა დარკს უკავშირდება. ამ პერიოდში საფრანგეთის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. არეულობა ქვეყნის შიგნითაც. ინგლის ფრანგი მოკავშირეები უწევენ დახმარებას. ყოველის მომცველი ანარქია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ასუსტებდა და ინგლისს უიოლებდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადებას. ასეთ ვითარებაში საფრანგეთში გავრცელდა ხმა, რომ ქვეყანას „დაღუპავდა ქალი და იხსნიდა ლოთარინგიელი ქალწული.“(7) „ქალში“ იგულისხმებოდა დედოფალი იზაბელა და ტროუას ზავი, ხოლო „ქალწულში“ ჟანა დარკი. გავრცელებულმა ინფორმაციამ გორაკულწილად ნიადაგი შეამზადა შემდგომი მოვლენების განვითარებისთვის და რაღაც საკრალური შეიტანა პოლიტიკაში. ჟანამ მართლაც მოა-ხერხა დიდი არმიის დარაზმვა. მან წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ შარლ VII ვერ შეაფასა სათანადოდ იგი და საბოლოოდ ჟანა ინკვიზიციამ ცეცხლზე დაწვა.

მაგრამ ყველაზე კარგად ბრძოლის ამ ხერხს რელიგია იყენებს. მისი წარმმართველები ყველაზე ხშირად მქადაგებლები

არიან. დაპირისპირებებიც ეკლესიასთან სწორედ ინფორმაციის გავრცელებით იწყება. მაგალითად რეფორმაციის დასაწყისი გერმანიისში. კათოლიკური ეკლესიის მიერ ინდულგენციებით ვაჭრობას წინ აღუდგა ვიტენბერგის უნივერსიტეტის დოთისმეტყველების პროფესორი მარტინ ლუთერი (1483-1546). მან 1517 წელს წამოაყენა და გაავრცელა „95 თეზისი,“ რომელიც გამოხდა ინდულგენციებით ვჭრობას. ასე დაიწყო რეფორმაცია გერმანიაში, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა და ახალი იდეების გამავრცელებელი გახდა მთელს ევროპაში.

ინფორმაციული ომის შესანიშნავი მაგალითები მოგვეპოვება საქართველოს ისტორიაშიც. გავიხსენოთ დავით IV აღმაშენებელი. სახელმწიფო მმართველობის მოწესრიგებისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციის თვალსაზრისით დავითის მიერ გატარებულ ღონისძიებათ შორის მნიშვნელოვანია მსტოვართა ინსტიტუტის შექმნა. ისტორიკოსი გადმოგვცემს, თუ როგორ იყო მეფე ყოველივე იმის კურსში, რაც მის სამეფოში ხდებოდა. მეფემ ყველაფერი იცოდა რაც ხდებოდა ლაშქარში, მონასტრებში, დიდ ფეოდალთა სასახლეებში. ასეთი კარგად აწყობილი სამეთვალყურეო აპარატი საგრძნობლად ზღუდავდა მეფისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებათ შესაძლებლობებს, მეფე დროულად ახერხებდა მის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ლიკვიდაციას. ერთ-ერთი ამის მაგალითია დავითის მიერ ლიპარიტ ბაგვაშის ორგზის შეპყრობა. წყაროებში ნათლად არ სჩანს რომ ლიპარიტს რაიმე მოემოქმედოს დავითის წინააღმდეგ მაგრამ მეფე მას მაინც იპყრობს. სავარაუდოდ დავითისთვის ცნობილი გახდა ლიპარიტის განზრახვა და დროულად იცილებს მას. დავითის ისტორიკოსი აცხადებს: „მარავალნი განპატიუებულნცა იყვნეს და მხილებულ ესევითართათვის. ამისთვისცა ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი რაითურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო.“ (2)

სავარაუდოდ მსტოვართა ინსტიტუტი ქვეყნის გარეთაც მოქმედებდა და ხელს უწყობდა დავითის ინფორმირებას მისი მეზობლებისა და მტრების მდგომარეობის შესახებ. ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი რომ დავითმა მაშინ შეუწყვიტა ხარკის მიცემა თურქ-სელჩუკებს როდესაც სულთ ნს არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა სასულთნოში. დავითისთვის ცნობილი იყო 1095 წ. გამოცხადებული ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებაც. ამის გათვალისწინებით 1097 წ. მან ხარკის მიცემა შეუწყვიტა სულთანს.

დავით IV მტერს ცრუ ინფორმაციის მიწოდებითაც აბნევდა. ისტორიკოსი გა-დმოგვცემს, რომ დავითი, რომელსაც თურქთა მსტოვრები უთვალთვალებდნენ, სე-ლჩუკთა სიფხიზლის მოდუნების მიზნით გადადის დასავლეთ საქართველოში. ამით იმედ მიცემული

მტერი იწყებს ქვეყნის ნაპირების დარბევას. მაშინ მეფე ზამთარში მო-ულოდნელად ესხმის მათ და ამარცხებს. დავით აღმაშენებელმა მტრებს სასტიკი მა-რცხი აგემა როგორც პირდაპირ ისე ინფორმაციულ ომში. ამან კი ქვეყანა გა-ერთიანებამდე მიიყვანა.

ინფორმაციის გავრცელება დღეს დეობით ჟურნალისტიკასა და ჟურნა-ლიზმს უკავშირდება. ამიტომ ჟურნალების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ჟურნალისტიკის ფუძემდებლები და, ასე ვთქვათ, პირველი ჟურნალისტები. დღესდღეობით პირველ ჟურნალისტად სამართლიანადაა მიჩნეული პიეტრო არეტინო, რომელიც XVI საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი მაშინ გამოდიოდა ინფორმატორის როლში როდესაც არც ჟურნა-ლისტიკა არსებობდა კლასიკური ფორმით და არც ის რასაც ეს სიტყვა აღნიშნავს.

დვთაებრივი პიეტრო არეტინო კრიტიკით, პასკვილებითა და კომედიებით გახდა ცნობილი. მან ინფორმაციული ომის წარმართვის ეს გზა აიჩნია და პოპულარობაც მოიპოვა. მისი პირველი პასკვილია „სპილოს ანდერძი“ სადაც საუბარი იყო პაპ ლეო X-ზე, რომელსაც სპილო აჩუქა პორტუგალიის მეფე მანუელმა. ეს პასკვილი რომში ხელიდან ხელში გადადიოდა. მალე პაპის ინტერესიც მიიპყრო, რომელმაც კარგად შეაფასა ის საფრთხე რაც არეტინოსგან მოდიოდა და ის სარგებელი რაც მას შეეძლო მოეტანა. მან იგი თავისთან მიიწვია, მას შემდეგ რაც გავრცელდა ერთ ტაპეიანი ლექსი:

„სჯობს არეტინო გყავდეს მეგობრად,

რადგან მძიმეა მისი მტერობა

მას სიტყვით ძალუხს დაამხოს პაპი,

ღმერთი გფარავდეთ მისი ენისგან“ (3, 104)

ამის შემდეგ არეტინოს ყველაზე ძლევამოსილი მფარველი გაუჩნდა, რომის პაპი. მაგრამ 1521 წელს პაპი გარდაიცვალა. და არეტინო ჩაება პაპის არჩევნებში. მან პოპულარობის გაზრდის მიზნით კარგად გამოიყენა ის ფაქტი, რომ მთელი ევროპის ყურადღება რომისკენ იყო მიპყრობილი. მისი სარკაზმული და იუმორისტული ლექსები ევროპის ყველა მეფის კარს მისწვდა.

შემდგომი პერიოდი პიეტრო არეტინოსათვის გახდა დიდი წარმატების მომტანი. მართალია მომდევნო პაპებმა ვერ შეაფასეს მისი ნიჭი და უნარი, მაგრამ მას არანაკლები მფარველები ღმოაჩნდა. თავისი კალამი უპირველეს ყოვლისა პაპებისაკენ მიმართა და წარმატებასაც მიაღწია. იგი ამბობდა: „მე მაქვს მხოლოდ ბატის ფრთა და ქაღალდი მაგრამ მე დავცინი მთელს სამყაროს.“ (3, 113)

პიეტრო არეტინო 1556 წლის 21 ოქტომბერს გარდაიცვალა. მისი შემოქმედება შესანიშნავი მაგლითია იმის თუ როგორ უნდა წარმართო ინფორმაციული ომი. ყველა დაპირისპირებაში პაპთან არეტინო გამოდიოდა გამარჯვებული. ამის დასადასტურებლად ისიც

საკმარისია, რომ მის ქმნილებებს ყველა იცნობდა და ყველა კითხულობდა.

როდესაც პატივსაცემ ადამიანს ესმის გონების კონტროლის შესახებ, იგი ფიქრობს რომ მას ვერ მოატყუებენ. ის – ინდივიდუალური, საზოგადოების თავისუფალი ატომი. მაშ როგორ მოვახდინოთ მასზე ზემოქმედება? ატომი კი ატომია მაგრამ აღმოჩნდა რომ ამ ატომის გაყოფაც შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „ატომი“ „გა-ყოფელს“ ნიშნავს.

ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გზა მისი ზეგავლენის ქვეშ მოსაქცევად არის იმ ინფორმაციის მიწოდება რაც მისთვისაა საჭირო. ეს კი ისე უნდა განვახორციელოთ როგორც გ. შილერი გვთავაზობს: მოვათავსოთ იგი ყალბ რეალობაში ისე თითქოს რაც ხდება ყველაფერი ბუნებრივია. სწორედ მოქმედების ამ ტაქტიკას მიმართავდნენ და მიმართავენ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები, რომლებიც ქვეყნის სამსახურში არიან.

ზემოთ მოყვანილმა ისტორიულმა ფაქტებმა დაგვარწმუნა, რომ ინფორმაციის სათანადოდ გავრცელებას შეიძლება დიდი უბედურებაც მოჰყვეს და დიდი ბედნიერებაც. ისტორიის ამ კუთხით შესწავლა ალბათ პატრა ქვეყნებისთვის უფრო სასურველი იქნება რადგან ხშირად დაპირისპირება უხდებათ დიდ სახელმწიფოებთან. თანამედროვე და-პირისპირებები აღარ ხდება ორ კონკრეტულ მხარეს შორის, რადგან მასში ყოველთვის მონაწილეობს მესამე მხარე, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია სხვა ხერხების მოძებნა და გამოყენება რათა დასახულ მიზანს მიაღწიო და არ გახდე ყოველმხრივი შეტყვის ობიექტი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შუა საუკუნეების ისტორია, რედ. გ. კუტალია, თბ. 2005
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III, რედ. ზ. ანჩაბაძე და ვ. გუჩუა. თბ. 1979
3. პ. ნაცვლიშვილი შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, კრებული № 7, თბ. 2005
4. [http://en.wikipedia.org/wiki/Thomas\\_Becket](http://en.wikipedia.org/wiki/Thomas_Becket)
5. [http://www.situation.ru/app/rs/books/manipul/manipul\\_word.zip](http://www.situation.ru/app/rs/books/manipul/manipul_word.zip)
6. <http://www.newadvent.org/cathen/01747b.htm>
7. [http://en.wikipedia.org/wiki/Joan\\_of\\_Arc](http://en.wikipedia.org/wiki/Joan_of_Arc)

## **Summary**

**Shalva Kikalishvili**

### **To The Sources Of The Informational War.**

In present paper we are considering the methods and ways of the informational war. We are analyzing historical facts from half of the 7<sup>th</sup> century to the half of the 16<sup>th</sup> century. In the essay it is discussed all the events between the chronological frame, which gave rise to the informational war. It is more important to study historical facts for Georgia, if we foresee, that Georgia is leading long ago started informational war. The conclusion is estimation of the spread of information and what results it may have.

## **Резюме**

**Шалва Кикалишвили**

### **К Источникам Информационной войны.**

В предыдущем докладе мы рассматриваем методы и пути информационной войны. Мы анализируем исторические факты с половины 7-ого столетия до половине 16-ого столетия. В эссе обсуждено все события внутри хронологической сети, которая давала начало информационной войне. Это тем более важно изучить исторические факты для Грузии, если мы предвидим, что Грузия ведет давно начатую информационную войну. Заключение это оценка распространения информации и какие результаты оно может иметь.

**ქსენია გელოვანი**  
**ინტელექტუალური საკუთრების სამართალი**

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა საერთო კანონების აუცილებლობის საკითხი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად წამოიჭრა.

პიროვნებისადმი ან კომპანიისადმი ინტელექტუალური სახის პროდუქტებისათვის ან გამოგონებებისათვის სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ უფლებებს შეიძლება ვუწოდოთ უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე. ამ უფლებების მინიჭება შეიძლება პიროვნებაზე მის მიერ შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ექსკლუზიური გამოყენებისათვის. 1900 წლამდე არ ხდებოდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღიარება და დაცვა. უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე (IPRs) ერთის მხრივ შეიძლება ჩაითვალოს როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი შეიძლება დაიყოს სხვადასხვა დარგებად, როგორიცაა: საპატენტო, საავტორო და კომერციული აღნიშვნების სამართალი. ჩვენ შევეცადეთ დეტალურად განგვეხილა თითოეული ეს დარგი.

საქართველოში ამჟამად მოქმედი კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსის მიღებამ მყარი საფუძველი ჩაუყარა ადამიანის შემოქმედებითი შრომის შედეგების სამართლებრივ დაცვას. მცნება „ინტელექტუალური საკუთრება“ დამკვიდრდა საკანონმდებლო ტერმინად. საერთაშორისო სამართალში ეს მცნება მიღებულ ტერმინად იქცა 1967 წლის 14 ივლისს ხელმოწერილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების კონვენციის ძალით. აღნიშნული კონვენციის სათაურმა თავადვე დააკანონა მცნება „ინტელექტუალური საკუთრება“, ხოლო მისმა მეორე მუხლმა განსაზღვრა მოცულობის ფარგლები, მასში ნათქვამია: ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლის პირველი, მეორე და ნაწილობრივ ბოლო პოზიცია განსაზღვრავს საავტორო სამართლის მოქმედების სფეროს, ხოლო დანარჩენი უმთავრესად სამრეწველო საკუთრების სამართალს ეკუთვნის. 1997 წლამდე საქართველოს ახლანდელი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე ავტორთა უფლებების დაცვას ითვალისწინებდა საქართველოს სსრ. სამოქალაქო კოდექსი, რომელიც შეიცავდა სპეციალურ კარს, სათაურით „სავტორო სამართალი“. აღნიშნული კოდექსი სამოქმედოდ 1965 წლიდან იქნა შემოღებული და დააწესა



ავტორთა, როგორც ქონებრივი, ასევე პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა

1999 წლიდან ძალაში შევიდა საქართველოს საავტორო და მომმიჯნავი უფლებების შესახებ კანონი, რომლის მიღებამ გამოიწვია სამოქალაქო კოდექსით წარმოდგენილი საავტორო სამართლებრივი ნორმების მოქმედების შეწყვეტა. სამოქალაქო კოდექსი საავტორო და მომმიჯნავი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით დარჩა ერთი ნორმა საავტორო და მომმიჯნავი უფლებების შესახებ კანონზე მითითებით. მიღებულმა კანონმა საავტორო უფლებების მოქმედება გაახანგრძლივა 70 წლამდე გაერთიანებული ევროპის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით

რაც შეეხება საპატენტო სამართალს, საქართველოს საპატენტო სამართალი ძირითად ასპექტებში მისდევს კონტინენტური ევროპის საპატენტო-სამართლებრივ სისტემის შეხედულებას, თუმცა სხვა ქვეყნების მიერ ახალშემუშავებული კანონების მსგავსად მასში მრავლად მოიპოვება დანარჩენი საპატენტო სისტემების შეხედულებების ამსახველი ნორმები, რომლებიც უკეთესად ეგუება თანამედროვე პირობებს და ეროვნულ თავისებურებებს. ტერმინი „სამრეწველო საკუთრება“ პირველად შემოდებულ იქნა მე-18 საუკუნის ბოლოს, როდესაც ყალიბდებოდა საპატენტო სამართალი. ამ დროს სამართლის თეორიებს შორის გაბატონებული იყო ბუნებითი სამართალი და სამრეწველო საკუთრების თეორიები. 1883 წელს დაიდო სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, რომლის ნორმებითაც ტერმინმა „სამრეწველო საკუთრება“ ასახვა ჰპოვა საერთაშორისო სამართალში და დღეს ეს მცნება საყოველთაოდაა აღიარებული მათ შორის საქართველოშიც, რომლის სამოქალაქო კოდექსის მეოთხე წიგნის მეორე კარის სათაურია „სამრეწველო საკუთრება“ და მოიცავს 1100 მუხლიდან 1105 მუხლების ჩათვლით.

საქართველოში ისევე როგორც პარიზის კონვენციის წევრ სხვა ქვეყნებში, საპატენტო დაცვა ხორციელდება დამცავი დოკუმენტის პატენტის გაცემით.

იმის გამო რომ საქართველო დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდა ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ჩვენს ქვეყანაში მოქმედებდა როგორც რევოლუციამდელი რუსეთის პატენტი, ისე სსრ კავშირის მიერ შემოდებული დამცავი დოკუმენტის განსხვავებული ნაირსახეობა საავტორო მოწმობა. აღსანიშნავია, რომ პარალელურად უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის მოქმედებდა პატენტი. საავტორო მოწმობა არ კრძალავდა გამოგონების გამოყენებას სსრ კავშირის იურისდიქციას დაქვემდებარებულ მოქალაქეთა მიერ.

ამჟამად მოქმედებს საქართველოს საპატენტო კანონი, რომელიც ცნობს შემდეგი სახის პატენტს: გამოგონების პატენტი, სასარგებლო მოდელის პატენტი და სამრეწველო ნიმუშის პატენტი. გამოგონების პატენტი შეიძლება იყოს ძირითადი და შემოტანილი პატენტი. ამ უკანასკნელს საპატენტო კანონის მეოთხე მუხლი აწესებს. მისი ძირითადი არსი არის ის რომ, თუ უცხო ქვეყნის მოქმედი პატენტი არსებობს, მაშინ მის საფუძველზე შეიძლება საქართველოს პატენტი გაიცეს.

თანამედროვე გაგებით ტერმინი „პატენტი“ შემოვიდა XVII საუკუნის ინგლისის პრაქტიკიდან და ნიშნავდა ღია სიგელს. საპატენტო სიგელის ტექსტი ღიად იყო წარმოდგენილი.

დღესდღეობით პატენტის გაცემა ხდება მხოლოდ იმ პირობით, რომ გამოქვეყნდეს დაპატენტებული ობიექტის, მაგალითად გამოგონების აღწერილობა და ფორმულა, ანუ გამოგონების აღწერილობის ტექსტი ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე უნდა იქნეს წაკითხული. რაც შეეხება სასაქონლო და მომსახურების ნიშნების სამართალს 1999 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 24 თებერვალს და ძალაში სამი თვის შემდეგ შევიდა. კანონმა უმთავრესად დააკმაყოფილა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნა, თუმცა ამჟამად შემუშავებული მასში შესატანი ცვლილებები.

საბჭოთა კავშირის სისტემაში ყოფინასა საქართველოს გააჩნდა ნორმები სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ, სამოქალაქო კოდექსში 28-ე მუხლი და სისხლის სამართლის კოდექსში 166-ე მუხლი რომლებსაც სოციალისტური შინაარსის გამო, პრაქტიკული გამოყენება არც ქონდა. XX საუკუნის საკანონმდებლო ნორმების განვითარება შემდეგი მიმართულებით ხასიათდება: სასაქონლო ნიშნებზე უფლებების წარმოქმნა მათი გამოყენების ფაქტით. განსაკუთრებული უფლებების წარმოქმნა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ფაქტით, სასაქონლო ნიშნის გამოყენების ახალი სახეობების დამკვიდრება, ნიშნის გადაცემა და ლიცენზირება, სასაქონლო ნიშნების დაცვის ახალი კონცეფციების აღიარება.

სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით მიღებულია და მოქმედებს მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება.

საქართველო მონაწილეა მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი პარიზის კონვენციისა და ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლისა.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს დღესდღეობით ყოველ ქვეყანას აქვს თავისი სისტემა, რომელთაც უზრუნველყოფს ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა. ის, თუ რამდენად კარგადაა

დაცული ინტელექტუალური საკუთრება დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ პირობებსა და მის სოციალურ მდგომარეობაზე

## Резюме

**Ксения Геловани**

### **Интеллектуальное право собственности**

Процессы глобализации, протекающие в мире, на повестку дня вынесли вопрос об обязательности общих законов, который возник для защиты интеллектуальной собственности.

Государством присвоенные личностям и компаниям права на интеллектуальные виды продуктов или изобретений можем назвать правами на интеллектуальную собственность. Эти права могут быть присвоены личностям на созданные ими объекты интеллектуальной собственности для их эксклюзивного использования. До 1900 года не были признаны права на интеллектуальную собственность (IPR'S) и др. Права на интеллектуальную собственность, с одной стороны, можно считать как нематериальное добро. Право на интеллектуальную собственность можно разделить на различные отрасли, такие как например: право на патентные, авторские и коммерческие обозначения. Мы постарались детально рассмотреть каждый из этих отраслей.

## Summary

**Ksenia Gelovani**

### **The intellectual property right**

The processes of the current globalization in the world have raised the issue of necessity of the common laws that was raised for defending the intellectual property in the agenda.

The rights granted to the person or company for intellectual product or invention by the state may be called the rights on the intellectual property. Such rights may be granted to the person for his/her creation of exclusive application of the object of the intellectual property. Till 1900 the rights on intellectual property were not acknowledged and defended. The rights for intellectual property on the one hand may be considered as a non-material property kindness. The law of the intellectual property may be divided into the different branches such as, for example: patent, authorship and commercial notes law. We have attempted to discuss every these branches in details.

**თეონა ლავრელაშვილი**  
**„მომავლის სახელმწიფო მოდელები დასავლურ**  
**ფილოსოფიურ აზროვნებაში (თომას ჰობსი და ჯონ**  
**ლოკი)“**

რა არის სახელმწიფო, როგორია მისი ბუნება და რა ინტერესებს გამოხატავს იგი? აღნიშნული საკითხი ყოველთვის იწვევდა დავასა და პოლემიკას. არის სახელმწიფო დამოუკიდებელი საზოგადოებისაგან? არის სახელმწიფო საზოგადოების პროდუქტი? ემსახურება იგი საზოგადოების კეთილდღეობას? ყველა ეპოქის მოაზროვნეები ცდილობდნენ, პასუხი გაეცათ ამ კითხვებზე, რომლებიც სახელმწიფოსთან, ამ კომპლექსურ სისტემასტანაა დაკავშირებული. მსჯელობა საკითხის ირგვლივ დღესაც აქტუალურად გრძელდება. მსოფლიოში მიმდინარეობს რთული პროცესები, რომელთა პარალელურად სახელმწიფოს არსებობის საკითხი სადავო და სადებატო ხდება.

ტერმინი „სახელმწიფო“ გამოიყენება სრულიად სხვადასხვა საგნების მიმართ.. ესაა ინსტიტუტების ნაკრებიც და გეოგრაფიული ცნებაც, ფოლოსოფიური იდეა და იძულებისა და ჩაგვრის იარაღიც.

სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებზე ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან მსჯელობდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია XVII საუკუნის ინგლისელი მოაზროვნეების, **თომას ჰობსისა** და **ჯონ ლოკის** შეხედულებები, რომლებიც მომავლის სახელმწიფო მოდელებზე ავითარებდნენ მსჯელობას.

თომას ჰობსი გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნე და ფილოსოფოსია(1588-1679). მან ნაშრომში „ლევიათანი ანუ საეკლესიო და სამოქალაქო სახელმწიფოთა მატერია, ფორმა და ხელისუფლება“ ჩამოაყალიბა სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების, შესაფერი სახელმწიფო მმართველობისა და მმართველისათვის დამხასიათებელი ნიშან-თვისებების შესახებ.

**ადამიანები ბუნების მიერ თანასწორად არიან შექმნილები**—ეს არის თომას ჰობსის ნაშრომის განმსაზღვრელი თეზისი. ჰობსის შეხედულებით, ისინი თანასწორნი არიან ფიზიკურად, გონებრივად. განსხვავება მხოლოდ შესაძლებლობების რელიზების საკითხშია.

ჰობსისეული **ბუნებრივი მდგომარეობა გულისხმობს** საომარ ვითარებას, რომელშიც ადამიანები იმყოფებიან სამოქალაქო საზოგადოების არარსებობის პირობებში. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ **„ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“**, რადგან ადამიანებს არ გააჩნიათ უსაფრთხოების დაცვის გარანტიები. ომში არაფერია

უსამართლო. აქ არ არსებობს სამართლიანობისა და უსამართლობის, მართებულობისა და არამართებულობის ცნებები. „იქ, სადაც არ არის ხელისუფლება, არ არის არც კანონი, ხოლო სადაც არ არის კანონი, არ არსებობს არც უსამართლობის გაგება“. ჰობსი თვლის, რომ თმის დროს არ არსებობს არც საკუთრება: „ყოველი ადამიანი თავის საკუთრებად თვლის მხოლოდ იმას, რისი მოპოვებაც მას შეუძლია და მხოლოდ მანამ, სანამ მას ამ საკუთრების შენარჩუნება ძალუძს“. ჰობსი მსჯელობს აგრეთვე ბუნებრივი კანონებისა და ბუნებრივი უფლებების შესახებ.

**ბუნებრივი უფლება** არის თავისუფლება ყველა ადამიანისა, თავისი სურვილისამებრ განკარგოს სიცოცხლე, ხოლო **ბუნებრივი კანონის** მიხედვით, ადამიანს ეკრძალება იმგვარი ქმედების ჩადენა, რაც დამღუპველია მისი სიცოცხლისათვის. ჰობსის აზრით, ბუნებრივ მდგომარეობაში ყველას ყველაფრის უფლება აქვს, რამდენადაც ადამიანები საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან. რატომ

წარმოიშვა სახელმწიფო? ჰობსი თვლის, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში ყოფნისას ადამიანის არსებობისა და გადარჩენის საკითხი ეჭვქვეშ დგება. სახელმწიფოს მიზანი კი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ჰობსის აზრით უსაფრთხოების გარანტიას ვერ იძლევა ვერც ოჯახები, ვერც გაერთიანებები, რადგან იქ ყველა საკუთარი ინტერესების გამო იბრძვის. სწორედ ამიტომ, ადამიანები თანხდებიან და დებენ ხელშეკრულებას, რომ შექმნან სახელმწიფო. ჰობსი სვამს კითხვას. თუკი ზოგიერთ არსებას(მაგ: ფუტკრებს, ჭიანჭველებს) შეუძლიათ ერთად ცხოვრება, რატომ არ შეუძლიათ ადამიანებს ასე ცხოვრება? იგი ამ კითხვას თავადვე ჰპასუხობს. იმიტომ, რომ

- ადამიანები შურის გამო მუდმივად ერთმანეთს ეჯიბრებიან
- ყველა ადამიანს პირველობა სურს, სხვა არსებები მი საერთო სარგებელზე არიან ორიენტირებული

- ამ არსებებს არ უნდვებთ სურვილი, შეცვალონ საქმეთწარმოება („რადგან არ აქვთ გონი“). ადამიანები კი მუდამ ცდილობენ, გააკრიტიკონ და გარდაქმნან სახელმწიფო წყობილება.

ერთ-ერთ ძლიერ არგუმენტად ჰობსს მოჰყავს ის ფაქტორი, რომ ამ არსებათა თანხმობა ბუნებრივია, ხოლო ადამიანთა თანხმობა-ხელოვნური. ამიტომ, ადამიანებს სჭირდებათ „ხელისუფლება, რომელიც მათ შიშის ქვეშ ამყოფებს.

ჰობსი თვლის, რომ ხელისუფლება შეიძლება შეიქმნას ერთადერთი გზით: „იგი გადავიდეს ერთი ადამიანის ან კრების ხელთ, ანუ ადამიანები თავიანთ წარმომადგენლად ნიშნავს სხვას და გადასცემს მას მართვის უფლებას. ერთ პიროვნებაში გაერთიანებულ მრავალ ადამიანს ეწოდება სახელმწიფო, ლათინურად—**Civitas**. „ასე იბადება ის მოკვდავი ღმერთი, რომელსაც ჩვენ, უკვდავი ღმერთის

გამგებლობაში მყოფნი უნდა ვუმადლოდეთ მშვიდ ცხოვრებასა და მფარველობას.

ჰობის სუვერენის უფლებებს შემდეგნაირად აყალიბებს:

- ქვეშევრდომებს არ შეუძლიათ, შეცვალონ მმართველობის ფორმა, რადგან მათ არ აქვთ უფლება, დაარღვიონ დადებული ხელშეკრულება.

- უზენაესი ხელისუფლების დაკარგვა შეუძლებელია, რადგან სუვერენის დადგინება ხელშეკრულების გზით ხდება.

- თუ ვინმე აპროტესტებს სუვერენის გადაწყვეტილებას, იგი არღვევს სამართლიანობას, რადგან სუვერენი უმრავლესობით არის აღიარებული.

- ქვეშევრდომებს არ შეუძლიათ, განიკითხონ სუვერენის მოქმედებები, რადგან სახელმწიფოს შექმნისას თითოეული ადამიანი ნდობას უცხადებს სუვერენს.

ჰობის აზრით, ქვეშევრდომებს არ შეუძლიათ სუვერენის დასჯა, სუვერენი წყვეტს, თუ რა დოქტრინები უნდა ისწავლონ ქვეშევრდომებმა და ა.შ. ანუ სუვერენს ენიჭება აბსოლუტური ძალაუფლება.

ჰობის თვლის, რომ სახელმწიფოს მმართველობის ფორმა შეიძლება იყოს სამი სახის. თუ წარმოდგენილია მეფე, სახელმწიფო არის მონარქია, თუ კრებაში მონაწილეობს ყველა, ეს არის დემოკრატია, ხოლო თუ უმადლესი ხელისუფლებით სარგებლობს მოსახლეობის მხოლოდ ნაწილი, არის არისტოკრატია. რაც შეეხება ტირანიას, ოლიგარქიას და ანარქიას, ესაა მმართველობის არა განსხვავებული, არამედ ზემოთხამოთვლილთა უარყოფითი ფორმები. ჰობის მონარქიას ადარებს სხვა წყობილებებს და გამოჰყოფს მის დადებით და უარყოფით მხარეებს:

1. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანთა ვნებები უფრო ძლიერია, ვიდრე გონება, მმართველობის დროს წინ იწევს პირადი ინტერესები, ამიტომ დემოკრატიის ან არისტოკრატიის დროს, ქვეშევრდომებში ხდება დაპირისპირება, რაც ასუსტებს ქვეყანას. მონარქიის დროს კი დაპირისპირებულ მხარეთა რაოდენობა არის ნაკლები.

2. მონარქს ნებისმიერ დროს შეუძლია, მიიღოს რჩევა კომპეტენტური ადამიანისაგან, საბჭოს დროს კი ადამიანთა მრავალრიცხოვნობის გამო ვერ თანხმდებიან ერთ კონკრეტულ საკითხზე.

3. მონარქის მიერ მირავებული გადაწყვეტილებები ნაკლებად არის ცვალებადი, საბჭოს დროს კი ერთმა განსხვავებულმა აზრმა შეიძლება სრულიად შეცვალოს ყველაფერი

4. მონარქი შურის გამო საკუთარ თავს არ დაუპირისპირდება, კრების დროს კი დაპირისპირება შესაძლოა ომში გადაიზარდოს.

ჰობსი მონარქიის ნაკლად მიიჩნევს ცუდი მრჩეველების ყოფასა და მემკვიდრეობის საკითხს, თუმცა იქვე დასძენს, რომ მმართველობის სხვა ფორმის არსებობის შემთხვევაში ეს საკითხები უფრო მწვავედ დგას, რადგან მრჩეველთა რაოდენობაც და მემკვიდრეობის მოსურნეთა რაოდენობაც უფრო დიდია.

ჰობსი მსჯელობს აგრეთვე სამოქალაქო კანონის შესახებ. მისი აზრით, სამოქალაქო კანონი არის წესები, რომელიც დაადგინა სახელწიფომ და ეს წესები უნდა იცოდეს ყველამ. ჰობსისეული ძირითადი წესები შემდეგია:

1. **სუვერენი არის კანონმდებელი**
2. **სუვერენი არ ექვემდებარება სამოქალაქო კანონებს**
3. **კანონი ძალაშია მხოლოდ სუვერენის თანხმობით**

ინგლისელი მაზროვნე ჯონ ლოკი(1632-1704) თომას ჰობსის ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსია. მან ნაშრომში ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ ჩამოაყალიბა იდეები სახელმწიფოს, საკუთრების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ. ლოკისთვის პოლიტიკური ხელისუფლება ნიშნავს კანონების მიღების უფლებას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საკუთრების დაცვაზე. ლოკისათვის ბუნებრივი მდგომარეობა ნიშნავს თავისუფლების მდგომარეობას, როდესაც ადამიანები არავისთან ათანხმებენ საკუთარ ქმედებებს. ლოკისთვის აღნიშნული მდგომარეობა არ არის თვითნებობის მდგომარეობა, რადგან მოქმედებს ბუნებრივი კანონი-გონიერება, რომელიც ადამიანებს ასწავლის, რომ ერთმანეთის ქონებას, სიცოცხლესა და თავისუფლებას ზიანი არ უნდა მიაყენონ. ლოკითვის საომარი მდგომარეობა კი ნიშნავს მდგომარეობას, როდესაც ერთი შეეცდება სხვის დამორჩილებას მისი თანხმობის გარეშე.

ლოკისათვის თავისუფლება არ ნიშნავს ადამიანის სრულ განთავისუფლებას ყოველგვარი კანონისაგან. ის ფიქრობს, რომ ხელისუფლების არსებობის პირობებში საერთო წესების დაცვა აუცილებელია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი მონა უნდა გახდეს.

ლოკი საკმაოდ ვრცლად აყალიბებს იდეებს საკუთრების შესახებ:

- ყველა ადამიანი ფლობს საკუთრებას
- შრომა წარმოშობს კერძო საკუთრებას
- ადამიანი იღებს(საკუთრებას), რამდენიც საჭიროა მისი სიცოცხლისათვის

ლოკი თვლის, რომ ადამიანები ფლობენ სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებას. მისი აზრით ადამიანები ქმნიან პოლიტიკურ საზოგადოებას, რათა დაიცვან საკუთრება. ადამიანები ბუნებრივი მდგომარეობიდან გადადიან სახელმწიფო მდგომარეობაში, როდესაც აღმასრულებელ ხელისუფლებას გადასცემენ სხვას.

ლოკის აზრით, აბსოლუტურ მონარქია უთავსებადია სამოქალაქო საზოგადოებასთან, რადგან ამ დროს არ არსებობს ორგანო, სადაც ყველა შეიტანს სარჩელს და განიხილება იგი ობიექტურად. ლოკის აზრით, თუკი მონარქი იქნება მფლობელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იქნება ავტორიტარული. ადამიანი ამ შემთხვევაში ვერ დაიცავს საკუთარ უფლებებს, ანუ იგი კვლავ ბუნებრივ მდგომარეობაში რჩება. ლოკი არ ფიქრობს, რომ მონარქია მმართველობის ერთადერთი სწორი ფორმაა, რადგან ადამიანები ვერ გამოხატავენ საკუთარ აზრებს და თუკი გაბედავენ პროტესტს, მას ეს დალატად ჩაეთვლება.

ლოკის აზრით, ადამიანები პოლიტიკურ გაერთიანებას ჰქმნიან იმიტომ, რომ დაიცვან საკუთრება, რადგან ბუნებრივ მდგომარეობაში არ არსებობს სამართლიანი მსაჯული. ლოკი თვლის, რომ სახელმწიფოში მოსამართლეებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება და არა კერძო პირმა. ლოკის აზრით, საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა აირჩიოს ხალხმა და არა მონარქმა, რადგან კანონები იქმნება ხალხისათვის. ლოკი თვლის, რომ ადამიანთა თემი მუდმივად ინარჩუნებს უმაღლეს ხელისუფლებას, რომ ხალხის თანხმობის გარეშე არ შეიძლება ხელისუფლების შექმნა.

ლოკი თვლის, რომ სახელმწიფო სუსტდება მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ორგანო არასწორად ფორმირდება, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება ხალხის თანხმობის გარეშე. ლოკი მტკიცედ დგას იმ აზრზე, რომ ხალხია უმაღლესი მსაჯული და ის წყვეტს, არის თუ არა მონარქი სამართლიანი. **ხალხი ფლობს უფლებას, შექმნას ახალი საკანონმდებლო ორგანო.**

ამგვარად, ორივე მოაზროვნე ეთანხმება იდეას, რომ ადამიანები ღვთის მიერ თანასწორად არიან შექმნილნი (ისინი თანასწორნი არიან ფიზიკურად და გონებრივად), რომ ისინი თანხმობით ერთიანდებიან პოლიტიკურ საზოგადოებაში. ლოკი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს წარმოშობის უმთავრესი მიზეზი საკუთრების დაცვაა, ხოლო ჰობსი- მშვიდობის შენარჩუნებას. ჰობსისგან განსხვავებით ლოკი თვლის, რომ ადამიანებს ბუნებრივ მდგომარეობაშიც შეუძლიათ შეინარჩუნონ სიმშვიდე, ჰობსი კი თვლის, რომ ბუნებრივი მდგომარეობა არის „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“. ჰობსი და ლოკი ერთმანეთს მკვეთრად



უპირისპირდებიან მონარქიული მმართველობის განხილვისას. როგორც ჰობსის ნაშრომის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, ჰობსი მონარქს აბსოლუტურ ძალაუფლებას ანიჭებს მასვე აბარებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას. ლოკი არ ეთანხმება ამ იდეას და ფიქრობს, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთმანეთისაგან უნდა იყოს გამიჯნული, რომ საკითხს უნდა წვევებდეს მოსამართლეები და არა კერძო პირი, რომ დაცული უნდა იყოს ხალხის უფლებები, ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლება. ჰობსი ქვეშევრდომებს არ ანიჭებს პროტესტის უფლებას, ლოკი თვლის, რომ ხალხია მსაჯული და მას აქვს უფლება, შეიტანოს ცვლილებები საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ლოკი საკუთრებას უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს, რომელიც ადამიანს ბუნებრივ მდგომარეობაშიც აქვს შრომის გაწვევის პირობით, ჰობსი კი თვლის, რომ სახელმწიფოს არ არსებობის პირობებში არ არსებობს საკუთრება და რომ სახელმწიფო განსაზღვრავს, თუ ვის რა სახის საკუთრება უნდა მიენიჭოს. ლოკი თვლის, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას ადამიანის საკუთრება, რადგან ადამიანები სწორედ ამ მიზნით ერთიანდებიან პოლიტიკურ საზოგადოებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰობსი აბსოლუტურ მონარქიას ანიჭებს უპირატესობას, რაშიც არ ვეთანხმებით, რადგან იქ, სადაც ერთპიროვნული მმართველობაა, უნდა მოველოდოთ ტირანიას. მონარქიისა და უაზენაესი ასამბლეის შედარებისას ჰობსის მიერ წამოყენებული არგუმენტები სუსტია. მისი მთავარი ნაკლი ისაა, რომ ჰობსისეული მონარქიის დროს ადამიანის თავისუფლება ძლიერ იზღუდება. ჰობსს ალბათ ავიწყდება, რომ **ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ადამიანების ბრძოლა თავისუფლებისათვის**. თუმცა ჰობსი ვარგისადაც კი არ მიიჩნევს ბერძენ-რომაელთა ნაშრომებს და თვლის, რომ უმჯობესია, კაცობრიობას სულ არ ესწავლა ბერძნული და ლათინური, რადგან ისინი უძღვრიან იმ თავისუფლებას, რომელმაც კაცობრიობას ბევრი სისხლი მოუტანა. ვეთანხმებით ჯონ ლოკს, რომ ხელისუფლება დანაწილებული უნდა იყოს სხვადასხვა ორგანოს შორის, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს ხალხის ინტერესები. მართალია, ჯონ ლოკმა არ მიანიჭა უპირატესობა რომელიმე მმართველობას, მაგრამ იგი თანამედროვე ლიბერალიზმის მამამთავრად გვევლინება.

როგორია მომავლის სახელმწიფო მოდელები? როგორ გვესახება მომავლის სახელმწიფო სისტემები? არსებობს უამრავი ალტერნატივა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერები გვთავაზობენ.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პოლიტიკური ცხოვრების მთავარ კომპონენტად ითვლება, მას ეშუაერება ტენდენციები, რომელიც XX საუკუნის ბოლოს გამოიკვეთა. კერძოდ სუსტ ქვეყნებს ეთნიკურ საკითხთან და ორგანიზაციულ

დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემა აქვთ, რომლის შედეგად წარმოიშვა ეთნოსები და კლანები. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოს ფუნქციები გადადის სხვა ინსტიტუტებსა და ორგანოების ხელთ. უმთავრეს შემთხვევაში ეს გამოწვეულია ტენდენციით-გლობალიზაციით.. „სახელმწიფოს უკუქვეთავდაპირველი საზღვრებისაკენ” და მართვის გადანაცვლებით სუბსახელმწიფოებრივ დონეზე (ენდრიუ ჰიუზი).

შესაძლოა, რომ ერი-სახელმწიფოსათვის ყველაზე დიდ საფრთხეს გლობალიზაციის პროცესი წარმოადგენდეს. ერთ-ერთ მის გამოვლინებად მიიჩნევა გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბება. გამოირკვა, რომ სახელმწიფოებს რჩებათ შეზღუდული შესაძლებლობები საკუთარი ეკონომიკური ცხოვრების მართვისა. მკვეთრად გაიზარდა საერთაშორისო კონკურენცია, რამაც გამოიწვია შრომის ანაზღაურების შემცირება. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ დღეს სახელმწიფოებს სულ უფრო უჭირთ მრავალეროვანი კომპანიების კონტროლი, კორპორაციებს კი უადვილდებათ მთელ მსოფლიოში გადანაცვლონ წარმოება და ინვესტიციები.

გლობალიზაციის ტენდენციები იწვევენ სახელმწიფოების ძირეულ გარდაქმნას. სუვერენიტეტის იდეამ, როგორც სახელმწიფოს დამახასითებელმა ნიშანმა თავი ამოსწურა. დღევანდელი სახელმწიფოები ფუნქციონირებენ საზღვრების შეღწევადადობისა და საერთაშორისო ურთიერთკავშირის პირობებში.

**სახელმწიფოს გარდაქმნის იდეა** გულისხმობს „მთავრობიდან” გადასვლას „მაკრომართვაზე”. სახელმწიფოს გარდაქმნის იდეა ასახავს იმ ფაქტს, რომ მართვის ადრინდელი მეთოდები, რომელიც გულისხმობდა ხელისუფლების ინსტიტუტების მკაცრ იერარქიას, უკვე აღარ მუშაობენ იმ საზოგადოებასთან მიმართებით, რომელიც სულ უფრო რთული ხდება. მაკრომართვისკენ შემობრუნება შესაძინევი მთელ რიგ ტენდენციებში-საზოგადოებრივი პროგრამების დაფინანსებაში, კერძო ორგანოების ქსელის გაფართოებაში საზოგადოებრივი მომსახურების გასაწევად. სახელმწიფო კიდევ ერთ გამოწვევას აწყდება-ესაა ხელისუფლების დეცენტრალიზება, მისი ფუნქციების საერთოეროვნული დონიდან ადგილობრივ დონეზე გადატანა. სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი და ეთნიკური პრობლემები. ევროპაში ისეთი ფართო ხასიითი მიიღო ცენტრიდანულმა ტენდენციებმა, რომ ჩამოყალიბდა კიდევ „რეგიონული ევროპის” დოქტრინა ანუ ადგილობრივი ინსტიტუტებისა და ჯგუფებისთვის სულ უფრო უშუალოდ მისაწვდომი ხდება ევროკავსის ორგანოები ნაციონალური მთავრობების გვერდის ავლით. ევროკავშირში ამასან დაკავშირებით ჩამოყალიბდა მრავალდონიანი მართვის (Multi-Level) მოდელი, რომელიც მოიცავს ხელისუფლების სუბსახელმწიფოებრივ, სახელმწიფოებრივ და ზესახელმწიფოებრივ ორგანოებს. რაც

შეხება მმართველობის ფორმას. აღნიშნულ თემას მრავალი იდეა უკავშირდება, თუმცა საკითხი უნდა განვიხილოთ მსოფლიოს პოლიტიკური სისტემების სპეციფიკურობის დონეზე.

*განვიხილოთ სახელმწიფოთა სისტემების მნიშვნელოვანი შესაძლო ალტერნატივები(ჰედლი ბული)*

**განიარაღებული მსოფლიო.** აღნიშნული იდეა მდგომარეობს ეტაპობრივი განიარაღების პროცესის რეალიზაციაში, როდესაც სუვერენულ სახელმწიფოებს ადარ ექნებათ შეიარაღებული ძალები. ცნობილი არგუმენტი იდეის სასარგებლოდ „ხისტი“ ფორმით გამოიხატება ხოლმე, რომ მსოფლიოს სრული განიარაღება ომს ფიზიკურად შეუძლებელს გახდიდა, სწორედ ეს არგუმენტი გამოიყენა ლიტვინოვმა(ერთ-ერთი მეცნიერი), როდესაც მან სრული განიარაღების იდეა წამოაყენა ერთა ლიგის განიარაღების დისკუსიის კონტექსტში. იგი ამტკიცებდა, რომ ტოტალური განიარაღება ომს შეუძლებელს გახდიდა და ომი ვეღარ იქნებოდა პოლიტიკური ინსტრუმენტი. ხოლო ჰედლი ბული არ ეთანხმება ლიტვინოვს და ფიქრობს, რომ ორგანიზებული ძალადობის უნარი ადამიანთა საზოგადოების თანდაყოლილი თვისებაა და არ შეიძლება მისი ხელშეკრულებით გაუქმება. მისი აზრით, სახელმწიფოს პრიმიტიულ დონეზე, მაგრამ მაინც ექნებოდა ომის განხორციელებისა და მისი წარმოების უნარი.

**ბევრი ბირთვული სახელმწიფოსაგან შემდგარი მსოფლიო.** დღევანდელი სახელმწიფოთა სისტემის კიდევ ერთი საფუძვლიანი ცვლილება იქნება ბევრი ბირთვული იარაღისაგან შემდგარი მსოფლიო. სახელმწიფოთა სისტემის ეს ალტერნატივა ყურადღებას იპყრობს იმდენად, რამდენადაც იგი წესრიგის მიღწევის უფრო ეფექტურ საშუალებად მიიხსნება. იმისათვის, რომ მივაღწიოთ მშვიდობას, საჭიროა არა ბევრი, არამედ ყველა სახელმწიფოს ჰქონდეს ხელთ ბირთვული იარაღი, რის შემდეგაც სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ბირთვული იარაღის შეკავების ურთიერთობა დამყარდებოდა. მოუხედავად იმისა, რომ ეს კონცეფცია არასრულია და ჯერ კიდევ არ ვიცით ამგვარ სახელმწიფოთა სისტემაში რა ფუნქციები და როლი მიანიჭება სახელმწიფოებს, მისი განხორციელება მაინც პერსპექტიულად გვეჩვენება.

**ახალი მედიევალიზმი.** შეიძლება ავრთვევ წარმოვიდგინოთ, რომ სუვერენული სახელმწიფოები გაქრებიან და მათ ადგილზე უნივერსალური პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა წარმოიქმნება, დახლოებით იმგვარი, როგორც იყო დასავლურიქრისტიანული სამყარო შუა საუკუნეებში. თითოეულ მმართველს ძალაუფლება უნდა გაეყო თავის ვასალებთან, რომლებიც მას ექვემდებარებოდნენ და პაპთან და საღვთო რომის იმპერატორთან(გერმანიასა და იტალიაში), რომლებიც მას აღემატებოდნენ. ამ შემთხვევაში სისტემის მთავარი ნიშანია ხელისუფლების ნაწილობრივი დამთხვევა

და მრავალრიცხოვანი დაქვემდებარება. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ დღეს სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკურ სცენას „სხვა მოქმედ პირებთან“ ინაწილებენ, ისევე, როგორც შუა საუკუნეებში ინაწილებენ ამ სცენას „სხვა ასოციაციებთან“. აღნიშნული ალტერნატივა საზოგადოებას აარიდებს ძალაუფლების კონცენტრაციას, რაც მსოფლიო მთავრობის თანდაყოლილი ნიშანია, თუმცა მეცნიერთა აზრით, მსოფლიოს ეს ალტერნატივა მშვიდობის გარანტიას არ იძლევა.

**მსოფლიო მთავრობა.** შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მსოფლიო მთავრობა დამყარდებოდა სახელმწიფოთა შორის საზოგადოებრივი კონტრაქტის შედეგად და ეს იქნებოდა უნივერსალური რესპუბლიკა ანუ კოსმოპოლისი, რომელიც თანხმობის რაიმე ფორმას დაეფუძნებოდა. სოფლიო მთავრობის იდეა გულისხმობს სახელმწიფოთა მიერ საკუთარ სუვერენიტეტზე უარის თქმას. სოფლიო მთავრობის მხარდამჭერი არგუმენტ ისაა, რომ უზენაესი ხელისუფლება განაპირობებს მშვიდობას და ეს წესრიგის დამყარების საუკეთესო საშუალებაა. მსოფლიომთავრობის საწინააღმდეგო არგუმენტ ისაა, რომ იგი თავისუფლების დამანგრეველია. იგი არღვევს სახელმწიფოთა და ერების თავისუფლებას. აგრეთვე ზღუდავს ცალკეული ადამიანების თავისუფლებას, რომელთაც ტირანული მსოფლიო მთავრობის არსებობის პირობებში აღარ შეეძლებათ ალტერნატიული პოლიტიკური სისტემის შიქმნა.

### დასკვნა

ამგვარად ჩვენ განვიხილეთ ინგლისელ მოაზროვნეთა, თომას ჰობსისა და ჯონ ლოკის ნაშრომები. განვასხვავეთ ერთმანეთისგან მათი შეხედულებები. თუ ჰობსი აბსოლუტურ მონარქიას უჭერს მხარს, ჯონ ლოკი ლიბერალიზმის მამამთავრად გვევლინება. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან და მომავლის სახელმწიფოთა განსხვავებულ მოდელებს გვთავაზობენ. განვიხილეთ აგრეთვე ის საფრთხეები, რაც დღეს სახელმწიფოს ემუქრება. წარმოვადგინეთ იდეები მომავლის სახელმწიფო მმართველობისა და მომავლის პოლიტიკური სიტემების შესახებ ჰედი ბულის მიხედვით და მივედით იმ დასკვნამდე, რომ გლობალიზაციის შეუქცევად ეპოქაში სახელმწიფოთა ფუნქციები მცირდება, იქმნება პერსპექტივა სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის დამყარებისა, რაც უფრო მეტი გამოწვევის წინაშე აყენებს მსოფლიოს, მაგრამ მსოფლიო წესრიგისა და მშვიდობის დამყარების საკითხი კვლავ კაცობრიობის პარადიგმად რჩება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თომას ჰობსი: ლევიათანი ანუ საეკლესიო და სამოქალაქო სახელმწიფოს მატერია, ფორმა და ხელისუფლება.
2. ჯონ ლოკი: ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ (მეორე ტრაქტატი, წიგნი მეორე).
3. ენდრიუ ჰეიგუდი: სახელმწიფო (წიგნიდან პოლიტიკა 1997, 2002).
4. ჰედლი ბული; ანარქიული საზოგადოება. წესრიგის საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში.
5. Thomas Hobbes: Leviathan, chaps 13-14, 1651
6. Leo Strauss and Joseph Gropsey-History of Political Philosophy.
7. Sir Michael Wright, Disarmed and Verified (London: Catto and Windus, 1964).
8. Kaplan, System and process in International Politics.
9. Arthur Lee Burns: "From Balance to Deterrence", World Politics (1957)

### Резюме

#### Теона Лаврელაშვილი

Что такое государство и какова его роль в развитии общества? Служит ли оно благосостоянию общества? Мыслители всех эпох, пробовали чтобы ответить на эти вопросы. Обсуждение этой проблемы все еще продолжается, потому что современные социально-политические процессы тесно связаны с идеей относительно государства.

Английские мыслители Томас Хоббс и Джон Лок обсуждали будущие государственные модели в своих работах. Томас Хоббс представил идею абсолютной монархии и объявлял суверена как владельца законодательной и исполнительной власти. Джон Лок - предок либерализма, поскольку он защищает законы жизни, свободы и процветания. Он ясно выступает против идеи Томас Хоббс.

Сегодня государству угрожают тенденции XX века. Например слабые страны имеют проблемы об этнических меньшинствах и организованном преступлении. Мы должны заметить, что функции государства передаются другим органам. Это вызвано процессом глобализации и преобразования управления к уровню субуправления.

И что относительно изменения государственной системы? Науки обращают внимание на проблему "Разоруженного Мира." Мир состоит из многих Ядерных государств и Мировым Правительством. Однако, какие изменения, являются гарантиям мира и безопасности, это уже не определено. будущая государственная модель и система - все еще парадигма человечества.

## Summary

**Teona Lavrelashvili**

### **The future state model in west philosophy sence (Thomas Hobbes and John Locke)**

What is the state and what is its role in the development of society? Does it serve the welfare of society? Thinkers of every epoch tried to answer these questions. This issue is still being discussed because modern social-political processes are closely connected to the idea of state.

English thinkers Thomas Hobbes and John Locke discussed the future state models in their works. Thomas Hobbes presented the idea of absolute monarchy and declared the sovereign as the owner of legislative and executive authority. John Locke, forefather of liberalism, advocated the laws of life, freedom and property. He clearly opposes the ideas of Thomas Hobbes.

Today the state is threatened by the tendencies of the XX century. For example weak countries have problems with ethnic minorities and organized crimes. We should notice that the functions of state are transferred to the other organs and institutions. This fact is caused by the process of globalization and the transformation of governance to the level of subgovernance. And what about the alteration of the state system? Different sciences pay great attention to the issue of “Disarmed World”. The world consists of many Nuclear States, New Mediaevalism and World Government. However, the type of alteration which can guarantee peace and security has not been identified yet. The future state model and system can be considered the paradigm for the mankind.

**ნინო როდონია**  
**თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და**  
**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.**

ტერმინს “ინფორმაციის თავისუფლება” მრავალი მნიშვნელობა აქვს. “ინფორმაციის თავისუფლება” ადამიანის უმნიშვნელოვანესი უფლება და ყველა იმ თავისუფლებათა ქვაკუთხედი, რომლებსაც გაერთიანებული ერები ემსახურება. ინფორმაციის თავისუფლება ახსნილია, როგორც ინფორმაციის მოძიების, გაზიარების, გამოქვეყნების უფლება, ყველგან და ყოველთვის, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში მას-მედია არ არის კონტროლირებული სახელმწიფოს მიერ, ამდენად ხელისუფლების ცენზურა შეზღუდულია და დაშვებულია სიტყვის თავისუფლება. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტები თავისუფლები არიან საკუთარი პროფესიის გამოქვეყნებისას კანონიერების ჩარჩოებში. იმის გამო, რომ მედია თავისუფალია და დამოუკიდებელი, ის თვითონ ირჩევს თავისი პუბლიკაციების თემებსა და შინაარსს, კონკურენციის პირობებში ის მრავალფეროვანია, რამდენადაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს ასახავს, რადგანაც მას-მედიას ძალუძს კომენტირება გაუკეთოს პოლიტიკასა და ქმედებებს.

მას-მედია უზრუნველყოფს ახალი ამბების და მიმდინარე საქმეების მიუკერძოებელ, ობიექტურ გადმოცემას. მას-მედია სისტემატიურად ასახავს საზოგადოების იმ თვალსაზრისებს, რომლებიც უკვე არსებობს საზოგადოებაში უფრო, ვიდრე ქმნის ახალ თვალსაზრისებს. ადამიანები გაცნობიერებულ არჩევანს აკეთებენ იმის მიხედვით, თუ რომელ მას-მედიას იყენებენ. ნებისმიერს შეუძლია საკუთარი თვალსაზრისის გამოსატყა, გაზეთის დაფუძნებით, საცნობარო ფურცლების გავრცელებით ან და სხვა მას-მედიის გამოყენებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სახით, მათი ფუნქციონირება და მნიშვნელობა დიდწილად დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ რეჟიმზე, რომლის წიაღშიც ისინი ფუნქციონირებენ. ავტორიტარულ რეჟიმში მას-მედიას ძირითადად პროპაგანდისტული როლი აკისრია და მისი ისეთი დანიშნულებები, როგორცაა საინფორმაციო, მედიატორული, საგანმანათლებლო, უკანა პლანზე იწვევს და საერთოდ შეიძლება გაქრეს. ამასთან

პროპაგანდისტული როლიც მდგომარეობს, ერთი, მმართველი პოლიტიკური ძალის იდეოლოგიის გაძლიერებაში, მისი მოთხოვნებისა და დებულებების განმტკიცებაში.

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში, როგორც ვარაუდობენ, მას-მედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა განპირობებულია სამი ძირითადი ფაქტორით:

1. შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისა და არსებობა-რეგულირება.
2. ორგანიზაცია და მართვა საბაზრო ურთიერთობების პირობებში.
3. შემსრულებელთა, ანუ მას-მედიის თანამშრომელთა პროფესიული ღონე და პასუხისმგებლობა.

ჩვეულებრივ ითვლება, რომ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვითი ორგანოები არ საჭიროებენ რეგულირებას, თუ ჩავთვლით მათი მხრიდან იმ კანონების დაცვას, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტორო უფლებებს და კრძალავენ ცილისწამებასა და შეურაცყოფას. ამ წესების დაცვის პირობებში ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს გამოუშვას ბეჭდვითი პროდუქცია.

რადიო და ტელემაუწყებლობისათვის არსებობს სპეციალური ტექნიკური შეზღუდვები. რადიო და ტელეარხების პოტენციური რაოდენობა იზღუდება სიხშირული დიაპაზონის სიდიდით. ამიტომაც ვიღაცამ უნდა გადაწყვიტოს ვინ და რა სიხშირის დიაპაზონზე შეიძლება აწარმოოს გადაცემები, მაგრამ აქაც კონტროლი მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. საუკეთესოა ისეთი ვარიანტი, როდესაც სახელმწიფო არ კრძალავს და პირიქით ხელს უწყობს საზოგადოებრივი და კერძო სადგურების არსებობას და განვითარებას, როდესაც სახელმწიფო მოითხოვს კურნალისტებისგან, რომლებიც მუშაობენ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში, თავისი მოღვაწეობის ლიცენზირებას, ეს მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფოს როლს, თუმცა ლიცენზირება ზოგადად სულაც არ ნიშნავს მას-მედიის თავისუფლების დაკარგვას და მთელ რიგ დემოკრატიულ ქვეყნებშიც გარკვეული ფორმით ის არსებობს კიდევ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორგანიზაციისა და რეგულირების ფორმები და სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა ყველა მათგანში დემოკრატიული რეჟიმი. დარეგულირების იდეის ორიენტირება აღნიშნავენ, რომ მას-მედიის ბრძოლა გადარჩენისთვის იწყებს მის შემდგომ მონოპოლიზაციას. ცნობილია, რომ ფართო აუდიტორიის მიზიდვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს, ყველაზე პოპულარული მასალების ტრანსლაცია, მაგრამ ეს არ უწყობს ხელს პროგრამების რაოდენობის ზრდას. ტელე და რადიომაუწყებლობის შემთხვევაში დამოუკიდებლობის პრობლემები უფრო მწვავედ დგას, ვიდრე პრესისთვის, მაშინ როცა დღეს მათი პოლიტიკური მნიშვნელობა მეტად მაღალია. რაღაც ღონეზე განსაკუთრებით საწყის ეტაპზე



მთავრობა მონაწილეობს სამაუწყებლო სადგურების გახსნაში რაც სრულიად გამართლებულია სისწორული დიაპაზონის განაწილებისა და კონტროლის აუცილებლობის გამო, მაგრამ ეს შეიძლება გადაიქცეს მთავრობის მხრიდან სამაუწყებლო საქმეში მუდმივი ჩარევის საბაზად. თითქმის ყველა მთავრობას და პოლიტიკურ მოღვაწეს სურს ტელევიზიის გაკონტროლება და ზოგიერთი მათგანი ამას ახერხებს კიდევ. ტელევიზია წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის მძლავრ საშუალებას და განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეცხოვრებლებისათვის ის იქცევა ინფორმაციის ძირითად საშუალებად.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტელევიზიას სჭირდება აყვავებული საბაზრო ეკონომიკა, რის გარეშეც ის ვერ იარსებებს, იმის გამოც, რომ კერძო ტელევიზიის შემოსავალი ძირითადად მოდის კომერციული რეკლამებიდან.

კერძო კომერციული მაუწყებლობის შემოღებასთან ერთად აუცილებელია, სახელმწიფო სამაუწყებლო სისტემის რეფორმირება. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მაუწყებლობა მთლიანად უნდა იყოს კერძო, მაგრამ გამოცდილება აჩვენებს რომ ეს გზა არ არის უპრიანი ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც ახლახან დაადგინეს დემოკრატიის გზას და არ გააჩნიათ ისეთი ძლიერი ეკონომიკა, რომელიც უკვე უახლეს მომავალში შეიძლება კომერციული ტელევიზიის მხარდაჭერას.

მიზანს წარმოადგენს მაუწყებლობის სახელმწიფო სისტემის ტრანსფორმირება როგორც ეკონომიკური, ისე პროგრამების შინაარსის თვალსაზრისით, რათა ეს სისტემა გახდეს დამოუკიდებელი. საზოგადოებრივი მაუწყებლობა, რომელიც თუმცაღა მიიღებს მატერიალურ მხარდაჭერას მთავრობისგან, მაგრამ მაქსიმალურად იქნება დაცული პოლიტიკური ზეგავლენისგან. ეს ძალიან რთული პროცესია, ვინაიდან ტოტალიტარული რეჟიმის დროს მაუწყებლობა ექვემდებარება ბიუროკრატიას, რომელიც მეტისმეტად მრავარცხოვანი იყო და მუშაობა კი იყო არაეფექტური. აუცილებელი ხდება ამ ბიუროკრატიის მეკეთრი შემცირება და გარდაქმნა, ახალი ტიპის კადრების სიმცირის პირობებში ეს დიდ სიძნელებებს წარმოშობს.

მას-მედიის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს მართვა, საინტერესოა, რომ მას-მედიის თავისუფლება, რომელიც დიდწილად ინფორმაციის მიღების და მისი მისაწვდომობის დონეზეა დამოკიდებული, სრულებითაც არ მიიღწევა თავისთავად, ქვეყნის დემოკრატიულობის ძალით. დემოკრატიულ და მეტიც ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებშიც კი სახელმწიფო მეტისმეტად ნელა და თანდათანობით თმობდა თავის უფლებებს და მონოპოლიას მას-მედიაზე. მოვლენების გაშუქებისა და შეხედულებათა გამოსატვის თავისუფლება

წარმოადგენს დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციული საშუალებების შექმნის პრობლემის მარტოდენ ერთ ასპექტს. სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ასპექტებად ითვლება ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემა და გავრცელება, ისევე როგორც გადამცემი ხელსაწყოთა შექმნა. აქ შეზღუდვები აქვთ უფრო ეკონომიკური ვიდრე პოლიტიკური ხასიათი. ზოგიერთ ქვეყნებში ტიპოგრაფიებს სახელმწიფო აკონტროლებს. აქ მთავრობას შეუძლია ნებისმიერი გამოცემა ჩაახშოს, ნებისმიერი ფასები დააწესოს ან განაცხადოს, რომ ბეჭდვითი ორგანოს სიმძლავრე არ შეესაბამება მოთხოვნებს. პრობლემები შეიძლება შეიქმნას იმის გამოც, რომ სახელმწიფო ფლობს ბეჭდვითი გამოცემების გავრცელების მონოპოლიას და ახორციელებს ამას საფოსტო სამსახურისა და საგაზეთო ჯიხურების კონტროლის გზით.

ახლად შექმნილ დემოკრატიულ საზოგადოებებში ბეჭდვისა და მაუწყებლობის თავისუფლებამ ახალი პრობლემები შეუქმნა ჟურნალისტებს იმის გამო, რომ ისინი ხშირად მზად არ არიან პასუხისმგებლობისათვის, ამისათვის საჭიროა ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის ამაღლება. პასუხისმგებელი და ობიექტური ჟურნალისტის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა წლები, კარგი მომზადება და შეცდომათა ანალიზი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. იგორ კვესელავა, ედიშერ გვენეტაძე- “პოლიტოლოგია”,
2. ვაჟა შუბითიძე, იგორ კვესელავა- “პოლიტიკუტი და საარჩევნო ტექნოლოგიები”,
3. ვაჟა შუბითიძე, მიხეილ ბოჭორიძე- “საზოგადოებასთან ურთიერთობები”
4. ბაბუღია მღებრიშვილი-“საზოგადოებასთან ურთიერთობები”

## Summary

**Nino Rodonaia**

### **The news media and democracy**

The news media in a democracy, have distinctive functions. First is to inform and educate. To make intelligent decisions about public policy. People need accurate unbiased information. Other function of the media, is to serve as a dog is making over looking and other powerful institutions in the society. In a democracy the new media must choose which issues to report and which to ignore it is very important to know that the arena for communication and public debate is increasingly dominated by the media: television and radio, newspaper and magazines, books, even computerized data bases.

## Резюме

**Нино Родоная**

### **Современное демократическое государство и средства массовой информации**

Никто не сомневается в том, что медиа в демократической стране имеет особые функции. Она должна подавать информацию и развивать общество. Очень важно, сделать разумные решения на политику и решения власти. Людям необходима точная, непристрастная информация о том, что медиа свободна и самостоятельна. Она сама выбирает темы и содержание своих публикаций, в условиях конкуренции она многообразна.

**თინათინ დიაკონიძე**  
**ნაციონალიზმი და პანნაციონალური მოძრაობები**

ნაციონალიზმი, როგორც რთული და მრავალმხრივი ფენომენი, შეიძლება სხვადასხვა კუთხით იქნეს აღქმული და შესწავლილი. შესაბამისად ნაციონალიზმის კლასიფიკაციის და ტიპოლოგიის არაერთი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული სქემა არსებობს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეიძლება ჰქონდეს ამომწურავობისა და სრულყოფილების პრეტენზია.

პირველ მსოფლიო ომამდე ნაციონალიზმს უფრო ფილოსოფიური და ეთიკური კუთხით განსაზღვრავდნენ და ნაკლებად აინტერესებდათ მისი წარმოშობისა და გავრცელების მიზეზები და კანონზომიერებები. განსაკუთრებით ინტერესი ნაციონალიზმისადმი II მსოფლიო ომის შემდეგ იწყება, როცა დეკოლონიზაციამ და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა პროცესებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო.

ტერმინი “natio” მეცამეტე საუკუნიდან იხმარება და წარმოდგება ლათინური სიტყვიდან nasci, რაც დაბადებას ნიშნავს.

ამ სიტყვის ფორმა nation აღნიშნავდა ადამიანებს, რომელთაც დაბადება ან დაბადების ადგილი აერთიანებდათ. ხოლო თავისი შინაარსით იგი გულისხმობდა ტომს ან რასობრივ ჯგუფს, მაგრამ ის არ გამოიყენებოდა როგორც პოლიტიკური ტერმინი. მხოლოდ მოგვიანებით, XVIII საუკუნის ბოლოს, შეიძინა ამ ტერმინმა პოლიტიკური დატვირთვა, როდესაც დაიწყო ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფების “ნაციონალისტებად” დახასიათება.

ბეჭდურ გამოცემაში კი სიტყვა “ნაციონალიზმი” პირველად 1789 წელს გამოიყენა ფრანგმა ანტიაკობინელმა მღვდელმა ოგიუსტენ ბარუელმა(1-177), ხოლო ეს სიტყვა ინგლისში პირველად გამოიყენეს 1836 წელს და როგორც ჩანს, მაშინ იგი თეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა, კერძოდ, გარკვეული ნაციების ღვთითრეულობის დოქტრინას აღნიშნავდა(2-26). XIX საუკუნის შუა წლებისათვის “ნაციონალიზმი” უკვე ფართოდ იყო ცნობილი როგორც პოლიტიკური დოქტრინა ან მოძრაობა, როგორც 1848 წელს ევროპაში მომხდარი რევოლუციების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ელემენტი.

რეალურად, მხოლოდ გასულ საუკუნეში შეიძინა ნაციონალიზმმა მნიშვნელობათა ის დიაპაზონი, რომელთანაც ჩვენ დღეს მას ვაკავშირებთ.

თუ გადავხედავთ ნაციონალიზმის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას, ადვილად შევამჩნევთ, რომ ამ ტერმინში სულ სხვადასხვა შინაარსი ძევს. იგი ზოგჯერ წარმოადგენს ეროვნული გრძნობების სინონიმს, ზოგჯერ ეროვნულ მოძრაობას აღნიშნავს, ზოგჯერ კი იდეოლოგიის სახით წარმოგვიდგება. გარდა ამისა, იგი ხან პოლიტიკურ მოვლენად მოიაზრება, ხან კი კულტურასთან ასოცირდება. აღნიშნული არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელი იყოს ნაციონალიზმის “სინთეზური” გაგებაც, რომელიც ამ ცნებაში გულისხმობს ნაციონალიზმს როგორც იდეოლოგიას, ისე მოძრაობას თავისი პოლიტიკური და კულტურული განზომილებით(3-45,46).

გეგსტერის ახალ ინტერნაციონალურ ლექსიკონში ნაციონალიზმის ექვსი სხვადასხვა განმარტებაა მოცემული:

1. ეროვნული ხასიათი, ეროვნულობა;
2. ამა თუ იმ ხალხისათვის დამახასიათებელი კილო, ხასიათი, ნიშანი;
3. ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულება და მისი დაცვა;
4. საკუთარი ერისა და მისი პრინციპებისათვის თავდადება, პატიოტიზმი;
5. სოციალური ფაზა, როცა ხდება მეურნეობის დარგების და პირველ რიგში მრეწველობის ნაციონალიზაცია, არსებითად იგივეა რაც კოლექტივიზმი;
6. დოქტრინა, რომელიც ამტკიცებს ამა თუ იმ ერის განსაკუთრებულობას და თვლის მას ღვთისაგან რჩეულ ხალხად(4, 47).

ბუნებრივია, ყველა ეს მნიშვნელობა თავის გამოყენების დიაპაზონითა და მასშტაბებით ტოლფასი არ არის. როგორც წესი, ყველაზე უფრო ხშირად ნაციონალიზმის ცნება იხმარება იმ მნიშვნელობით, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი განმარტებიდან მესამეა, “ანუ ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულება და მისი დაცვა”.

ისტორიკოსები ნაციონალიზმში, უპირველეს ყოვლისა, ხედავენ ისტორიულ პროცესს, რომელიც ეროვნების პოლიტიკურ ერთეულად (ერ-სახელმწიფოდ) ჩამოყალიბებას გულისხმობს. მ. ბოეში განარჩევს ნაციონალიზმის ფართო და ვიწრო მნიშვნელობებს. ფართო მნიშვნელობით ნაციონალიზმი არის ეროვნული ღირებულებების პრიმატი ფასეულობათა იერარქიაში, ვიწრო გაგებით კი, ეს საკუთარი ერის გადაჭარბებული შეფასება და სხვა ერებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულებაა.

ისტორიკოსების დიდი უმრავლესობა თვლის, რომ ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა გრძნობაა და ამდენად იგი სოციალური და ფსიქოლოგიური მოვლენაა. ისინი მიიჩნევენ, რომ განსაზღვრული ფაქტორი ისტორიული პირობებია, რომ ნაციონალიზმის წარმოშობა და მისი განვითარების თავისებურებები კონკრეტულ ისტორიულ გარემოზეა დამოკიდებული. კერძოდ, ნაციონალიზმი წარმოიშვა XVII საუკუნის ბოლოს, როცა დადგა მოთხოვნა, რომ ერთ ენაზე მოლაპარაკე და ერთი კულტურის მქონე ხალხს ჰქონოდა პოლიტიკური ერთობის სახე, სადაც სუვერენი სწორედ ეს ხალხი იქნებოდა და არა მეფე. ლოზუნგი “გაუმარჯოს მეფეს!” შეცვალა ლოზუნგმა “გაუმარჯოს ერს!”, ხოლო თუ ლუი XIV-ეს შეეძლო ეთქვა “L’ etat c’est moi!” (სახელმწიფო ეს მე ვარ), გამარჯვებული ბურჟუაზია თვლიდა, რომ ფრანგ ერს საერთოდ არ სჭირდება მეფე. საფრანგეთიდან ნაციონალიზმი სხვა ევროპულ ქვეყნებშიც გავრცელდა და ბევრგან ავტოკრატიული რეჟიმი ხალხის მმართველობამ შეცვალა. ნაციონალიზმი გახდა მძლავრი პოლიტიკური ძალა და ალბათ ყველაზე უფრო წარმატებული იდეოლოგია, რომელმაც ფაქტიურად განსაზღვრა XIX–XX საუკუნეების მსოფლიო ისტორია.

ნაციონალიზმმა, როგორც ევროპულმა იდეოლოგიამ, მკვეთრი ცვლილება განიცადა მესამე სამყაროში. ევროპული ნაციონალიზმის კლასიკური დებულება, რომ ერს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფო რამდენადაც შესაძლებელია ერთეროვანი უნდა იყოს, აბსოლუტურად განუხორციელებელი აღმოჩნდა აფრიკისა და აზიის ქვეყნების უმრავლესობაში. ამან კი სახელმწიფოსა და ეთნიკური ნაციონალიზმის დაპირისპირების უკიდურესი გამწვავება გამოიწვია. ხოლო ერი-სახელმწიფოს ნაცვლად, ტიპური კვაზი სახელმწიფოები (ან არშემდგარი სახელმწიფოები) ჩამოყალიბდა.

გლობალიზაციის ეპოქაში ნაციონალიზმმა სხვაგვარი ელფერი შეიძინა. ერის პოპსულაში თავის ნაშრომში “ნაციონალიზმის ევოლუციის შესახებ” აღნიშნავს, რომ XX საუკუნის ნაციონალიზმი და ეთნიკური პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება XIX საუკუნის და ადრეული XX საუკუნის ნაციონალიზმისაგან. ნაციონალიზმი აღარ ითვლება მსოფლიოში ისტორიული განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად. იგი აღარაა ქვეყნის, ერის თვითდამკვიდრების მთავარი ვექტორი(5,110).

ერის ჩამოყალიბება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი XX საუკუნის შუა წლებში ისტორიული განვითარების ძირითადი მოვლენები იყო. ამ მოვლენებთან ნაკლებად დაკავშირებული XIX ს. მეორე ნახევარში აღმოცენებული ეთნიკური და ლინგვისტური ნაციონალიზმი, რომელიც დღესაც განაგრძობს აქტიურ ზრდას. ერის, ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჰქონდა ძლიერი გამაერთიანებელი ბუნება, მაშინ, როცა გვიანი XX ს. ნაციონალიზმი ატარებს მკვეთრად განმაცალკევებელ ხასიათს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ნეგატიური პროცესის სახეს ღებულობს. ის გამაერთიანებელი ნაციონალიზმი დღეს კარგავს გამაერთიანებელ ძალას და ხდება განმაცალკევებელი პროცესი. რაც გამოწვეულია ეროვნული თვითშეგნების გაქრობით. დღევანდელი ნაციონალიზმი ძირითადად ეფუძნება სახელმწიფო განვითარების არაეროვნულ პრინციპებს, რაც ძირითადი მიზეზია დღევანდელი ნაციონალიზმის განმაცალკევებელი და სახეშეცვლილი ბუნებისა.

ნაციონალიზმი ყოველთვის ასახავდა გარკვეული ერის ან ეთნიკური ჯგუფის გამორჩეულობისა და ერთიანობის შეგრძნებას, რომელიც ეფუძნება ისეთ მყარ გამაერთიანებელ ფაქტორებს, როგორცაა ენა, რელიგია, საერთო ისტორია, კულტურა, ეთნიკური წარმოშობა. სწორედ ამგვარ პრინციპებზე აღმოცენებული ერი აყალიბებდა ერ-სახელმწიფოს. ამის აშკარა მაგალითები მოიძებნება ისტორიაში: საფრანგეთის რევოლუცია XIX საუკუნეში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაციონალიზმის მანიფესტად იქცა მთელ მსოფლიოში. ასევე იტალიური “რისორჯიმენტო” შეგვიძლია ჩავთვალოთ XX საუკუნის ნაციონალიზმის ფენომენის წინამორბედად.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის გაანალიზება პანნაციონალური მოძრაობის ისეთ ასპექტებში, როგორიც იყო: რუსული ნაციონალიზმი (პანსლავიზმი), თურქული ნაციონალიზმი, არაბული ნაციონალიზმი და ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა – ფაშიზმი იტალიისა და გერმანიის მაგალითზე.

XIX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაამარცხა ნაპოლეონის არმია, ხოლო თურქეთთან და ირანთან ომებით მნიშვნელოვნად გაიფართოვა ტერიტორია სამხრეთის მიმართულებით, თანდათან ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ რუსეთი არ არის რიგითი ევროპული სახელმწიფო და იგი უფრო მეტია, ვიდრე ერთად აღებული მთელი დასავლეთ ევროპა. რუსები, უპირველეს ყოვლისა ევროპელები კი არა სლავები არიან, რუსეთი უფროსი ძმაა სლავ ძმებს შორის და მისი მისიაა გაათავისუფლოს თავისი თანამოქმედი, რომლებიც ოსმალებით თუ ჰაბსბურგთა იმპერიის ფარგლებში არიან და ისინი რუსეთს შეუერთოს. ეს იდეა, რომელიც სლავების განსაკუთრებულობას და ცალკე ცივილიზაციად მიჩნევას გულისხმობს, სლავიანოფილიის (სლავთმოყვარეობის) სახელით არის ცნობილი.

პანსლავიზმი, (პრეფიქსი “პან” ნიშნავს “ყველას” და “ყოველს”) როგორც ერთ-ერთი უძველესი მაკრონაციონალიზმი, სხვა პანმოძრაობათა მსგავსად არასოდეს ყოფილა ზუსტად

განსაზღვრული, სტაბილური იდეოლოგია. ის უფრო იდეათა კონგლომერატი იყო, რომელიც სლავთა ერთობისათვის იბრძოდა, თუმცა ვერ განვითარდა როგორც სიცოცხლისუნარიანი მოძღვრება და არც მასებში ჰქონია ფართო მხარდაჭერა.

თავის ადრეულ, რომანტიკულ ფაზაში პანსლავიზმი ესწრაფოდა სლავების განთავისუფლებას ავსტრიისა და ოსმალეთის იმპერიებისაგან. ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ სლავების გადარჩენა დამოკიდებულია მათ პოლიტიკურ ერთობაზე, მით უფრო, რომ ყველა სლავი ფლობს საერთო წარსულს, აქვს საერთო მორალური და სულიერი თვისებები და გამოირჩევა სხვა ხალხებისაგან. გერმანელი და რომანული ხალხების დრო წავიდა და ახლა სწორედ სლავი ხალხის მისიაა ითამაშოს გმირის როლი ისტორიულ პროცესებში.

პანსლავიზმის იდეოლოგიაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა რუსეთის ფაქტორი. იმპერიული რუსეთი თავის თავს მიიჩნევდა იმ ძალად, რომელსაც უნდა გაეკონტროლებინა სლავები, გაეერთიანებინა ყველა სლავურენოვანი ხალხი და მიუხედავად იმისა, უნდოდათ თუ არა ეს სხვა სლავებს, შეეყვანა ისინი დიდი რუსეთის შემადგენლობაში. ოსმალეთის იმპერიაში მყოფი მართლმადიდებელი სლავებისათვის ეს იდეა მისაღებიც კი იყო, მით უფრო, რომ ეკატერინე II-ის დროიდან რუსეთი ბოსფორის მიღმა იყურებოდა. რაც შეეხება ავსტრიის იმპერიის ფარგლებში მოქცეულ კათოლიკე სლავებს, მათთვის რუსეთთან შეერთება სავსებით გამოირიცხებოდა და ისინი საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ეს განსხვავება შეუძლებელს ხდიდა, რომ პანსლავიზმი ყველა სლავისათვის საერთო იდეოლოგიად ქცეულიყო.

პანსლავიზმის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ჰერდერის წიგნმა “იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის”, სადაც მან ერთი თავი მიუძღვნა სლავ ხალხებს. ჰერდერმა მოუწოდა სლავ ინტელექტუალებს შეესწავლათ საკუთარი ისტორია. ფრანგულისა და გერმანულის ნაცვლად საკუთარ ენებზე მიეღოთ განათლება, ებეჭდათ წიგნები და გაზეთები და ასე შეენარჩუნებინათ თვითმყოფადობა(6,167).

ავსტრიის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი სლავი ხალხის მოძრაობა თავდაპირველად კულტურული უფლებებისათვის ბრძოლა იყო, შემდგომში კი პოლიტიკური მოთხოვნები და ავტონომიის იდეებიც გაჩნდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩეხური ნაციონალიზმის ფუძემდებლის ფრანტიშეკ პალატკის მოღვაწეობა. მაგრამ პანსლავიზმის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა 1848 წლის პრადის კონგრესმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია ყველა სლავი ხალხის წარმომადგენლებს. ძირითადად კონგრესს ავსტრიის იმპერიაში მცხოვრები სლავი



ეროვნების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ეს კონგრესი აშკარად ანტირუსული სულისკვეთებით მიდიოდა. რუსული მესიანიზმი, გერმანულ ექსპანსიონიზმთან და უნგრელთა დომინირებასთან ერთად, სლავი ხალხების მთავარ მტრად მიიჩნეეს.

პრადის კონგრესის მიმართ რუსეთში მკვეთრად უარყოფითი განწყობა აღინიშნა. რუსული ოფიციალური იდეოლოგია შეუძლებლად თვლიდა სლავთა რაიმე გაერთიანებას და განთავისუფლებას რუსეთის ხელმძღვანელობის გარეშე. ყველა სლავი ხალხი უნდა შესულიყო დიდი რუსეთის შემადგენლობაში, ან უკიდურეს შემთხვევაში დამორჩილებოდა მაინც მას. რუსეთის ხელისუფლების რწმენით, ისეთი მძლავრი სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე, როგორც რუსეთია, სლავთა ნებისმიერი მოძრაობა დამარცხებისათვის იყო განწირული. რუსეთის, როგორც მსოფლიოს პირველი სახელმწიფოს, რუსი ხალხის, როგორც დემოკრატიის რჩეულის და რუსეთის განსაკუთრებული, მსოფლიოს გადამრჩენი მისიის იდეა მასობრივად ინერგებოდა რუსეთის მოსახლეობაში და სხვა სლავ ხალხებში.

მსგავსი პროპაგანდისა და ძალისხმევის შედეგად პანსლავური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადაინაცვლა, რამაც დასავლეთ სლავების (პოლონელების, ჩეხების, სლოვაკების, აგრეთვე ხორვატებისა და სლოვენიელების) ერთგვარი გვერდზე გადგომა გამოიწვია, რადგან რუსეთში ისინი ახალ დამპყრობელს ხედავდნენ. 1867 წელს მოსკოვში გამართულ მეორე პანსლავურ კონგრესს პოლონელები საერთოდ არ დასწრებიან. კონგრესზე გამოიკვეთა რუსეთის მისწრაფება სლავი ხალხების რუსიფიკაციისა და რუსული ენის გამოცხადებისაკენ სლავების ოფიციალურ ენად, აგრეთვე მართლმადიდებლური ეკლესიის უზენაესობისა ყველა სლავისათვის.

რუსეთის ხელისუფლებამ სცადა ეს მოწოდებები ცხოვრებაში გაეტარებინა (რუსეთის იმპერიის ფარგლებში), რამაც საკმაოდ მძიმე შედეგი გამოიღო და პანსლავიზმის იდეას საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა. 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე პანსლავისტური კონგრესი აღარ გამართულა. 1908 წლის პრადის და 1910 წლის სოფიის კონგრესებმა კი წარმოაჩინა სერიოზული წინააღმდეგობა თვით სლავ ხალხებს (ჩეხებსა და სლოვაკებს, სერბებსა და ხორვატებს, პოლონელებსა და უკრაინელებს) შორის.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პრაქტიკულად ყველა სლავმა ხალხმა შექმნა თავისი სახელმწიფო და ნაციონალიზმის გრძნობა პანნაციონალიზმზე ბევრად ძლიერი აღმოჩნდა. ცხადია, არავინ მოისურვებდა დამოუკიდებლობა რუსეთის მეთაურობით შექმნილ სლავურ კავშირში შესვლაზე გაეცვალა. მით უფრო, რომ რუსეთში ბოლშევიკური დიქტატურა დამყარდა და საბჭოთა მთავრობამ პანსლავიზმი უარყო, როგორც ცარიზმის ექსპანსიონისტური პოლიტიკის საშუალება. მაგრამ მეორე მსოფლიო

ომის წლებში სტალინიმა “სლავ ძმებს” საერთო მტრის – გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლისაკენ მოუწოდა და პანსლავიზმის იდეამაც საკმაოდ ეფექტურად იმუშავა.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ყველა სლავური სახელმწიფო სოციალისტური ბანაკის შემადგენლობაში აღმოჩნდა და საბჭოთა კავშირს დაემორჩილა. ეს პანსლავიზმის იდეის თავისებური განხორციელება იყო, ოღონდ სხვა იდეოლოგიის პირობებში. სწორედ ამან განაპირობა აღნიშნული ქვეყნების მოსახლეობის დაპირისპირება საბჭოთა კავშირთან. გარდა ამისა, სამხრეთ სლავების ერთიან იუგოსლავიის სახელმწიფოში, ხოლო სლოვაკების ჩეხებთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში ხელოვნურმა გაერთიანებამ საკმაოდ გაამწვავა ეროვნებათაშორისი ურთიერთობები ამ ქვეყანაში, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ პანსლავიზმის იდეა პრაქტიკაში არ ამართლებდა. ეს სრულიად ნათელი გახდა სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ, რასაც ყველა იმ სახელმწიფოს ეროვნულ სახელმწიფოებად დაშლა მოჰყვა, სადაც სლავი ხალხები ფედერაციის სუბიექტებს შეადგენენ (სსრკ, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია). დღეს შეიძლება ითქვას, რომ პანსლავიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა აღარ არსებობს, ხოლო სლავთა ერთიანობისათვის მოძრაობას მხოლოდ კულტურულ-ლინგვისტური ფუნქციები აქვს.

რაც შეეხება თურქულ ნაციონალიზმს, აქ განასხვავებენ პანოსმალისმს, პანთურქისმს და პანთურანიზმს(7,172).

პანოსმალისმი ქადაგებდა ოსმალეთის იმპერიის აღორძინებას იმ საზღვრებში, რომელიც მას თავისი ძლიერების მწვერვალზე ჰქონდა XVI-XVII საუკუნეებში. ამ იდეით ოსმალეთის სახელმწიფოში უნდა გაერთიანებულიყო ფაქტიურად მთელი ახლო აღმოსავლეთი ირანამდე, კავკასიის დიდი ნაწილი, მთელი ჩრდილოეთი აფრიკა მაროკომდე და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა მთელი ბალკანეთით. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ამ იმპერიის აღდგენა დაისახეს მიზნად ინტელექტუალებმა, რომლებიც თავს ახალგაზრდა ოსმალებს უწოდებდნენ. 1865 წელს მათ ჩამოაყალიბეს საიდუმლო ორგანიზაცია “პატრიოტული ალიანსი”. მათი აზრით, აღდგენილი სახელმწიფო გააერთიანებდა სხვადასხვა ენის, კულტურისა და რელიგიის ხალხებს, რომლებსაც ავტონომია ექნებოდათ, მაგრამ დამოკიდებულები იყვნენ ოსმალეთის კონტროლს. პანოსმანიზმს დასაწყისში ჰქონდა გარკვეული წარმატება, მაგრამ მალე დაკარგა ნიშნა, რადგან სრულიად უძლეური აღმოჩნდა გადაეჭრა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემა სულთნის ხელში.

პანთურქიზმი უფრო სიცოცხლისუნარიანი და პოპულარული იდეოლოგია აღმოჩნდა. იგი მოითხოვდა ყველა თურქულენოვანი ხალხის ერთ სახელმწიფოში გაერთიანებას. ამ სახელმწიფოში

საკუთრივ თურქების გარდა უნდა შესულიყვნენ ირანის თურქულენოვანი ტომები, აზერბაიჯანელები, თურქმენები, უზბეკები, ყაზახები, ყირგიზები, უიღურები, თათრები, ბაშკირები, ურალისა და ციმბირის თურქულენოვანი ხალხები, ყირიმელი თათრები და სხვა. ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში რუსეთის იმპერიას თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაეკარგა. პანთურქიზმი ძალზედ პოპულარული იყო XX საუკუნის დასაწყისში ე.წ. ახალგაზრდა თურქებს შორის, თუმცა უსაფუძვლო იყო იმის იმედი, რომ სრულიად განსხვავებული ისტორიის ხალხები მხოლოდ ენობრივი და ნაწილობრივ რელიგიური ნათესაობის გამო ერთ სახელმწიფოში გაერთიანებულიყო.

პირველ მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ პანთურქიზმმა დაკარგა გავლენა. თურქი პატრიოტები საკუთრივ თურქული ნაციონალიზმისაკენ შეტრიალდნენ და პანთურქიზმს ზურგი აქციეს. პანთურქიზმი მკაცრი მეთოდებით აღიკვეთა საბჭოთა რეჟიმის მიერაც.

პანთურქიზმის ერთგვარ გამოცოცხლებას ჰქონდა ადგილი 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთბაშად ხუთი ახალი თურქულენოვანი სახელმწიფო გაჩნდა. 1993 წელს შეიქმნა კიდევ თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია, რომელშიც შედიოდა თურქეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი. მაგრამ რამდენადმე ქმედითი ღონისძიება ამ ქვეყნების პოლიტიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბების მიზნით არ გატარებულა.

პანთურანიზმი, პანთურქიზმისა და პანოსმალისმთან შედარებით ნაკლებად პოლიტიკური მოძრაობა იყო და უფრო კულტურულ-ლინგვისტურ მიზნებს ისახავდა. იგი ცდილობდა ალტაურ-ურალურ ენებზე მოლაპარაკე ხალხების (თურქები, მონღოლები, უნგრელების) დაახლოებას და პერსპექტივაში მჭიდროდ შეკავშირებას. პანთურანიზმის თანახმად, ყველა ის ხალხები, რომლებიც ლაპარაკობენ ამ ენებზე უნგრეთიდან წყნარ ოკეანემდე მიეკუთვნებიან ერთ დიდ პანმოძრაობას. მათი სამშობლოა მითიური მიწა, ლეგენდარული თურანი, რომელიც იხსენიება სპარსულ პოეზიაში. პანთურანიზმს უნდა აღედგინა ატილას, ჩინგიზ-ხანის, თემურ-ლენგის დიდება. მომავალში კი ახალ პანთურანულ ატილას უნდა გაეერთიანებინა ყველა ეს მონათესავე ხალხი თურანის დიდ სახელმწიფოში. ცხადია, ეს უფრო ოცნების სფეროა, ვიდრე პანნაციონალისტური მოძრაობა.

პანარაბიზმი პოლიტიკური, ნაციონალისტური მოძრაობა და იდეოლოგიაა, თუმცა რელიგიური, ლინგვისტური და ეთნიკური შეფერილობით. იგი მიზნად ისახავდა ყველა არაბის გაერთიანებას გიგანტურ არაბულ სახელმწიფოში, აქცენტს აკეთებდა ისტორიულ და კულტურულ

კავშირებზე არაბებს შორის, ერთიან ლიტერატურულ არაბულ ენაზე და არაბების აბსოლუტური უმრავლესობის რელიგიურ ერთობაზე.

თუმცა თანამედროვე არაბთა ეროვნული თვითშეგნებისათვის რელიგია საკმაოდ ორაზროვან როლს ასრულებს: მათ შორის ისლამის რამდენიმე ხშირად ურთიერთდაპირისპირებული მიმდინარეობაა გავრცელებული(8,113).

მას შემდეგ, რაც მე-20 საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის არაბულ ნაწილში შეიქმნა სახელმწიფოთა მთელი რიგი, არაბულენოვანი მოსახლეობა განაწილებული აღმოჩნდა სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებში. ეს სახელმწიფოები ფაქტობრივად ხელს უწყობენ ლოკალური ტერიტორიული ნაციონალიზმის განვითარებას და ახალი ერების (სირიელები, ერაყელები, ქუვეითელები და ა.შ.) ფორმირებას. არაბების, როგორც გარკვეული თვალსაზრისით, “ერთიანი ერის” ძირითადი გამაერთიანებელია ლიტერატურული ენა და თვითსახელი.

ობიექტური პირობები არაბთა გაერთიანებისათვის უკეთესია, ვიდრე სხვა პანმოძრაობებისათვის, რადგან ბოლოს და ბოლოს არაბები ერთი სუპერეთნოსია საერთო ენითა და ისტორიით. 18 დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოც ტერიტორიულად ძალიან დიდ, მაგრამ ერთიან, კომპაქტურ არეალს წარმოადგენს. რეგიონის მოსახლეობაში ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან არაბები, რომლებიც რაოდენობრივად დომინირებენ ახლო აღმოსავლეთის თორმეტ სახელმწიფოში და პალესტინაში. საჭირო იყო მხოლოდ, რომ მმართველი არაბული ინტეგრაცია უფრო მაღლა დაეყენებინათ, ვიდრე სახელმწიფოებრივი ინტერესები.

სინამდვილეში, არაბთა ინტეგრაცია არაბული სახელმწიფოების ლიგის

შექმნით ამოიწურა. არაბული ქვეყნების გაერთიანების მცდელობას ადგილი ჰქონდა 1958 წელს, როცა ეგვიპტე და სირია გაერთიანდნენ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა შექმნეს. მაგრამ სამი წლის შემდეგ იგი კვლავ დაიშალა. სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმი (ეგვიპტური, ერაყული, ალჟირული) უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე საერთო არაბული. ამასთან, არაბული ქვეყნების გაერთიანებას მათი ძალიან განსხვავებული სახელმწიფოებრივი წყობაც უშლის ხელს.

ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა – ფაშიზმი დაიბადა და გავრცელდა იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, უნგრეთში, რუმინეთში. ფაშიზმის შექმნაში დიდი როლი ითამაშა პირველმა მსოფლიო ომმა და ვერსალის ხელშეკრულებამ, ხოლო იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი იტალიამ და გერმანიამ შეასრულა.

XIX საუკუნეში იტალიაში ფართო გავრცელება ჰპოვა ფრანგული რევოლუციის ღირებულების მატარებელმა ნაციონალიზმმა. ჯუზეპე მაძინის ნაციონალიზმში ერთმანეთს

შეერწყა ერის, როგორც გამოკვეთილი ენობრივი და კულტურული თვისებების მქონე საზოგადოების რწმენა და ლიბერალური რესპუბლიკური პრინციპები. მაძინის ნაციონალიზმი მკაფიოდ გამოხატულ პრინციპებს ეყრდნობოდა. ერები აღიქმებოდა როგორც სუბლიმირებული ინდივიდები, რომელთაც თვითმმართველობის უფლება გააჩნდათ. მაძინის სწამდა, რომ ერების თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელება საბოლოო ჯამში მუდმივი მშვიდობის საფუძველი გახდებოდა(9,195).

I მსოფლიო ომის შემდგომმა მოვლენებმა იტალიაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ფაშიზმის, როგორც პოლიტიკური მოძრაობის მომწიფებაში. მძიმე სოციალურ პირობებში მუსოლინიმ ადვილად შეძლო მასების დარწმუნება იმაში, რომ ფაშისტური პარტია იყო ის რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ახალი სახელმწიფოს აშენება, სადაც არ იქნებოდნენ ღარიბები. ფაშისტური პარტიის მიმზიდველმა პოლიტიკურმა ლოზუნგებმა: საყოველთაო არჩევნების უფლება, სამოქალაქო თავისუფლების გარანტიები, საყოველთაო განიარაღება, პრივილეგიების გაუქმება, 8 საათიანი სამუშაო დღე და ა.შ. შეცდომაში შეიყვანა იტალიელები.

1919 წლის 23 მარტს ბენიტო მუსოლინიმ შექმნა ორგანიზაცია “fascio di combattimento”(“ბრძოლის კავშირი”). ორგანიზაციის წევრები თავიანთ თავს ფაშისტებს უწოდებდნენ. ტერმინი “ფაშიზმი” (ლათ. fascio—კონას ნიშნავს, იტალ. fascismo—გაერთიანებას) პარველად XX ს. იტალიის ტერმინოლოგიაში გამოჩნდა. “ფაშიზმი, ეს არის ახალი თაობის არმია, რომელმაც ომი უნდა მოიგოს” – წერდა ფაშიზმის იდეოლოგი გორგოლინი(10,17) და მართლაც, იტალიური ფაშიზმის მიზანი ერის გაახალგაზრდავა იყო. ფაშიზმს მაკიაველის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებთან ბევრი რამ აქვს საერთო: პატრიოტიზმი, ძალაუფლების, იერარქიის, დისციპლინის მაღალი შეფასება. “ღიადი იტალია” – იყო ფაშისტთა ლოზუნგი. ფაშიზმმა თანდათანობით განიცადა იდეურ-პოლიტიკური ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც მოხდა მისი დაახლოება ნაციონალიზმთან, რომელიც საბოლოო ჯამში მასში გაითქვიფა.

ფაშისტური დიქტატურის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსა და ვატიკანს შორის ურთიერთობის დარეგულირებას. მუსოლინი, რომელიც ადრე ქრისტიანულ ეთიკას – “მონათა მორალს” უწოდებდა, იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. ის ითვალისწინებდა რელიგიაზე მაკიაველის რჩევას: “იქ სადაც რელიგიაა, ადვილია სამხედრო დისციპლინის დამყარება... რელიგიისადმი დაუდევრობა კი სახელმწიფოს დაცემის მიზეზი გახდება...”(11,465). მუსოლინიმ გაითვალისწინა აგრეთვე იტალიაში კრისპის საყოველთაოდ გავრცელებული ფრაზა: “იტალიის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე

იქნება ის, ვინც რომის საკითხს გადაწყვეტს”(12,215). ვატიკანის შემორიგებით მუსოლინიმ მორწმუნეთა ფართო მასებიც მიიხსრო.

იტალიის ფაშიზმის მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც მას განასხვავებდა გერმანული ფაშიზმისაგან, მდგომარეობს იმაში, რომ მან ქვეყანაში ფართო მასობრივი ბაზრის შექმნა ვერ შეძლო და რაც მთავარია, იტალიაში რასობრივმა კულტურამ ისეთი ღრმა გამოძახილი ვერ ჰპოვა, როგორც, მაგალითად გერმანიაში ან საფრანგეთში. მაშინ, როდესაც გერმანელი ნაცისტები “რასობრივ თეორიას” ქადაგებდნენ. დღესაც იტალიელ მემარჯვენე და მემარცხენე პარტიის ეროვნულ დამსახურებად მიიჩნიათ განაცხადონ, რომ “იტალიაში რასისტები არ არიან” (13,40).

ამგვარად, ფაშისტების დიდი ხნის ოცნება – შეექმნათ კორპორაციული სახელმწიფო და ფაშიზმი გადაექციათ ისტორიის ახალ, გრანდიოზულ პოლიტიკურ გამოცდილებად, კრახით დამთავრდა.

პანგერმანიზმი, როგორც პანნაციონალისტური იდეოლოგია და მოძრაობა არა მონათესავე ეთნიკური ჯგუფების (მაგ.: გერმანულ ენობრივ ჯგუფზე მოლაპარაკე ხალხების) გაერთიანებას ისახავდა მიზნად, არამედ იფარგლებოდა ერთი ერის – გერმანელების გაერთიანების იდეით. მას შემდეგ რაც ოტო ბისმარკმა ერთიანი გერმანიის იმპერიის შექმნა, პანგერმანიზმის ძირითადი მიზანი გერმანიის საზღვრებს გარეთ დარჩენილი ეთნიკური გერმანელებით დასახლებული ტერიტორიების (ავსტრია, შვეიცარიის დიდი ნაწილი, რუსეთის ბალტიისპირა სანაპიროს ნაწილი) გერმანიის იმპერიასთან შეერთება გახდა. პირველი მსოფლიო ომის წლებში პანგერმანიზმს დაემატა გეოპოლიტიკური მოთხოვნებიც, რომ გერმანიის ძალაუფლება გაერცვლებულიყო ჩრდილოეთის ზღვიდან – სპარსეთის ყურემდე ოსმალეთზე კონტროლის ჩათვლით. თან ახალი კოლონიების ხელში ჩაგდება აფრიკაში. ომში დამარცხება პანგერმანიზმის დამარცხებას არ ნიშნავდა, პირიქით იგი როგორც იდეოლოგია უფრო მკაცრი და აგრესიული გახდა.

ნაცისტური იდეოლოგია ჩამოყალიბდა რასობრივი ანტიემპიტიზმის და სოციალური დარვინიზმის კომბინირებით. გერმანული ნაციონალ-სოციალისტურ მუშათა პარტიას 1919 წელს სათავეში ჩაუდგა ადოლფ ჰიტლერი. იგი მსოფლიო რასებს სამ კატეგორიად ჰყოფდა. პირველი, არიელები წარმოადგენდნენ “ბატონთა რასას”. ჰიტლერი არიელებს მიიხნევდა როგორც “კულტურის დამაარსებლებს” და თვლიდა, რომ ისინი პასუხისმგებელი იყვნენ ხელოვნების, მუსიკის, ლიტერატურის, ფილოსოფიისა და პოლიტიკური აზროვნების განვითარებისათვის. მეორე ჯგუფი – “კულტურის მატარებლები იყვნენ” ხალხები, რომლებსაც გერმანელი ერის იდეებისა და გამოგონებების გამოყენების ძალა შესწევდათ, მაგრამ თვითონ არ გააჩნდათ

შემოქმედებითი უნარი. მესამე, ყველაზე დაბლა იდგნენ ებრაელები, რომელთაც ჰიტლერი მიიჩნევდა როგორც “კულტურის დამანგრეველებს”, რომლებიც კეთილშობილ და შემოქმედებით არიელებთან უსასრულო ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი.

ამრიგად, არიული რასის განსაკუთრებულობის თეორიამ ჰიტლერი და ნაცისტები საშინელი და ტრაგიკული მიმართულებით წაიყვანა. “Mein kampf”-ში მოცემული ლოგიკის შესაბამისად გერმანიის სიდიადე ვერ იქნებოდა გარანტირებული მანამ, სანამ არ იქნებოდა მიღწეული ებრაელი რასის საბოლოო განადგურება. “მარქსიზმი, ეს არის ებრაელთა იდეოლოგია, რომლებიც მსოფლიო ბატონობისკენ მიისწრაფვიან. ჩვენ თუ დღეს არ გავანადგურეთ ისინი, ხვალ ისინი გავგანადგურებენ ჩვენ” – წერდა ჰიტლერი თავის წიგნში “Mein kampf”(14,47). აქედან გამომდინარე, ნაცისტურმა რასისტულმა თეორიებმა ჰიტლერი დევნის პოლიტიკიდან ტერორისა და საბოლოო გენოციდის, განადგურების პოლიტიკამდე მიიყვანა. ავსტრიის ანშლუსი სუდეტის ოლქების მიერთება პანგერმანიზმის აშკარა გამოვლინება იყო.

ჰიტლერისეული პანგერმანიზმი ნაციზმის განადგურებასთან ერთად დასამარდა და დღეს იგი გერმანელთა უმრავლესობის მიერ უსიამოვნო მოგონებად და ისტორიულ შეცდომად აღიქმება.

XX საუკუნის 20-30 წლებში ევროპაში ფაშისტური რეჟიმი გავრცელდა აგრეთვე ესპანეთსა და პორტუგალიაში. ესპანური ფაშიზმი (ფალანგიზმი) ხელისუფლებაში სამხედრო პუტჩის შედეგად მოვიდა, რომელსაც გენერალი ფრანკო ხელმძღვანელობდა. ნაციონალური ლოზუნგი “დიდი ესპანეთის” აღორძინების იდეა, დაეხმარა ფრანკოს ხელისუფლებაში მოსვლაში.

განვითარების ფაშისტური გზა აირჩია პორტუგალიამაც, სადაც 1926 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა უნივერსიტეტის პროფესორი ოლივეირა სალაზარი, რომელმაც 1933 წელს პორტუგალია გამოაცხადა “უნიტარულ კორპორაციულ სახელმწიფოდ”, სადაც მთავრობა ასრულებდა როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ფუნქციას.

ფაშისტური იდეოლოგიის ძლიერი გავლენის ქვეშ ადვილად ექცეოდნენ ევროპაში მცხოვრები რუსი ემიგრანტები. პირველი რუსული ფაშისტური ორგანიზაცია იუგოსლავიაში აღმოცენდა. მისი დამაარსებელი იყო გენერალი პ. ჩერსკი, ზაგრების მცხოვრები. ჩერსკის ორგანიზაციულმა საქმიანობამ ევროპაში არავითარი შედეგი არ გამოიღო, მაგრამ მან შეძლო თავისი იდეების გავრცელება მანჯურიაში და შორეულ აღმოსავლეთში. რუსული ემიგრაციული ფაშიზმის მთავარი დამახასიათებელი თვისება იყო – ანტიემიტიზმი. მათ სძულდათ ებრაელები და თვლიდნენ, რომ ებრაელები და მასონები კომუნიზმის სახელით ინიღბებოდნენ.

აქედან გამომდინარე, თავიანთ მოვალეობად მიანდათ რუსეთის გაწმენდა ამ ელემენტებისაგან. მხოლოდ 1934 წლის განმავლობაში 835 ანტისემიტური და ანტიმასონური სტატია დაიბეჭდა. მაგრამ რუსულმა ემიგრაციულმა ფაშისტურმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც ჰქონდათ გამოკვეთილი იდეოლოგიური პროგრამა, კონკრეტული მიზნები და ამოცანები, II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეწყვიტეს არსებობა.

ამრიგად, ნაციონალიზმმა, როგორც გრძნობამ და როგორც პოლიტიკურმა იდეოლოგიამ, უდიდესი როლი შეასრულა უახლეს ისტორიაში და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ამასთან, ნაციონალიზმის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი კი, საერთოდ იმ აზრს იზიარებს, რომ XXI საუკუნე ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის შეჯახების ეპოქა იქნება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰეივუდი ე. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2004;
2. სმითი ე. ნაციონალიზმი (თეორია, იდეოლოგია, ისტორია), თბ., 2004;
3. დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003;
4. იქვე;
5. ჰობსბაუმი “ნაციონალიზმის ევოლუციის შესახებ”,
6. დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003;
7. იქვე;
8. გაჩეხილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი თბ., 2004;
9. ჰეივუდი ე. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2004
10. Gorgolini p. La revolution fasiste, paris, 1924;
11. Макиавелли Н. Рассуждения о первой декаде Тима Ливия, М., 1998
12. Устрялов Н. В. Итальянский фашизм. М., 1996;
13. Лонго Э. История и перспективы расовой культуры в Италии, М., 1999;
14. ჰიტლერი ა. ჩემი ბრძოლა. თბ., 1992;



## **Summary**

**Tinatin Diakonidze**

### **The nationalism and pan national events**

The nationalism represents a complicated and varied phenomenon. Any current has not considered it yet o be positive or negative and such as an assessment will never been made because it is impossible to asses the nationalism as a complicated and varied event.

In the work titled “ The nationalism and pan national events” the nationalism is seen from the historical aspect when this phenomenon became a great political strength and probably the most successful ideology which determined the world history in the 19<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> centuries.

## **Резюме**

**Тинатин Диаконидзе**

### **Национализм и паннациональные события**

Национализм является сложным и разнообразным феноменом. Никакое течение никогда не оценивало его аднократно положительным или отрицательным событием и такая же оценка никогда не будет примета потому что аднакратная оценка никого же сложного феномена действительно невозможна.

В работе национализм и паннациональные события, национализм представлен как историческое происшествие у которого большая политическая сила. Национализм самая успешная идеология действительно устранивал историю мира XIX –XX веков.

ნატალია აპრილაშვილი  
საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა  
თანამედროვე სახელმწიფოსათვის

საერთაშორისო ურთიერთობები ყოველთვის ურთულეს სფეროდ იყო მიჩნეული. რთულად მკვიდრდება იგი, როგორც სამეცნიერო დისციპლინა. პრაქტიკა კი ხაზგასმით გვიმტკიცებს იმ დებულებას, რომ მეცნიერული კვლევისა და სათანადო ანალიზის გარეშე წარმოდგენელია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში გარკვევა და რეალური ნაბიჯების გადადგმა. სამწუხაროდ, დღემდე პოლიტიკურ მეცნიერებასა და საზოგადოებაში, არ არის ერთიანობა იმის თაობაზე, თუ რა არის საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერული კვლევის ობიექტი. ყველაზე უფრო გავრცელებულია შეხედულება, რომ ეს დისციპლინა შეისწავლის ყველა სახის ურთიერთობებს სხვადასხვა საზოგადოებათა შორის, ე.ი. მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ეკოლოგიის დაცვით და სხვა ურთიერთობებს.

არც ერთ სახელმწიფოს, არ შეუძლია არსებობა სხვა სახელმწიფოსთან სათანადო კონტაქტების დამყარებისა და ნორმალური ურთიერთობების წარმოების გარეშე. ამ მოთხოვნილებამ ჯერ კიდევ პირველი სახელმწიფოების წარმოქმნისთანავე იჩინა თავი. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, ფართოვდებოდა და იხვეწებოდა საერთაშორისო თანამშრომლობის და სხვა მშვიდობიანი ურთიერთობის ხერხები და ფორმები.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაბმულია არა მარტო სახელმწიფოები და ზოგადად ხალხები, არამედ სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში სპეციფიკურ როლს თამაშობენ.

ყოველი სახელმწიფო თავისი საგარეო ფუნქციის განხორციელებისას მიმართავს გარკვეულ ხერხებსა და ფორმებს, რომელთა მიზანია საგარეო პოლიტიკის ამოცანების მშვიდობიანი გადაწყვეტა. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე თანმიმდევრულად იღვწიან ხალხთა შორის, სახელმწიფოთა შორის კეთილგონიერი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის, იმისათვის, რომ

თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფოთაშორის წარმოქმნილი პრობლემების ძალისმიერი გადაწყვეტა.

დღეისათვის გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობები სფეროები (კერძოდ საერთაშორისო უსაფრთხოება, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობათა სოციოლოგია, და სხვა). საერთაშორისო სამართალი სპეციფიკურ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც უფრო ფართოდ და ყოვლისმომცველი სოციალურ – პოლიტიკური სამყაროს განუყოფელ ნაწილს – საერთაშორისო სისტემას მიეკუთვნება. ამდენად, საერთაშორისო ცხოვრებაში მონაწილეობის ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფოს უნარზე განახორციელოს მოქნილი საგარეო პოლიტიკა.

თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენულ სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს საგარეო პოლიტიკა, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს მის მიზნებსა და მისწრაფებებს საერთაშორისო ასპარეზზე. საგარეო პოლიტიკის მიხედვით ფასდება ქვეყნის დამოკიდებულება იმ ფასეულობებისადმი, რომელიც ცივილიზებულ სამყაროს გააჩნია. მოქნილი და ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის წარმართვისათვის სახელმწიფო ძალდონეს არ იშურებს.

საერთაშორისო ურთიერთობის დინამიზმი, მოქნილი საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ასპარეზზე მეგობრებისა და თანამოაზრების მოძიება წარმოადგენს სპეციფიკურ ამოცანას განსაკუთრებით ისეთი ტიპის ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა, მცირე ტერიტორია, შეზღუდული ადამიანური და ეკონომიკური რესურსები აიძულებს მას აწარმოოს ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ეფექტის მომტანი იქნება არა მარტო მოკლე პერსპექტივაში, არამედ გრძელვადიან პერიოდში.

ბუნებრივია, რომ საგარეო პოლიტიკა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ – ერთი მთავარი მიმართულებაა და მიზნად ისახავს საქართველოსათვის ხელსაყრელი საერთაშორისო გარემოს ჩამოყალიბებას. ამ მიზნის მისაღწევად საქართველო თანამშრომლობს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფრომატში. საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანია - უსაფრთხოებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში კუთვნილი და ღირსეული ადგილის დაკავება და მზარდი გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ინტერესების გატარება.

დღევანდელ ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში, ეროვნული უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია დანარჩენი მსოფლიოსაგან იზოლაციის პირობებში. ჩვენ

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია გლობალური უსაფრთხოების მხარდაჭერა. ამიტომაცაა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები დაფუძნებულია თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში აღიარებულ ფასეულობებზე, დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებების განუხრელ დაცვაზე, მსოფლიოს სახელმწიფოებთან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა სახის თანამშრომლობაზე.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველსავე დღეებიდან საქართველომ ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობები დაიწყო, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან მიმდინარეობდა (და ზოგ სახელმწიფოსთან დღემდე მიმდინარეობს) დიალოგი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა და თანამშრომლობის მიზნით. გაფორმებულია 1100-ზე მეტი ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. ათეულობით ხელშეკრულებაა გაფორმებული თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროში ისეთ ქვეყნებთან, როგორცაა ა.შ.შ, იტალია, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, ირანი, ისრაელი, დიდი ბრიტანეთი, ეგვიპტე, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.

საქართველოში თავისი ელჩი აკრედიტებული ჰყავს ასამდე ქვეყანასა და ევროკავშირთან. ბევრი საელჩო თბილისში ფუნქციონირებს (დანარჩენი ელჩები დანიშნული არიან შეთავსებით), აქვე ფუნქციონირებს 16 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა.

საერთაშორისო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესიო ადგილი უჭირავს ქვეყნებს შორის ორმხრივ ურთიერთობებს. ასეთი სახის ურთიერთობები აგებული უნდა იყოს ურთიერთხელსაყრელობის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთგაგების პრინციპებზე. საქართველოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, სანიმუშოა ის ურთიერთობები, რომლებიც მას დამყარებული აქვს მეზობელ ქვეყნებთან: სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ასევე ისეთ უდიდეს სახელმწიფოებთან, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, საბერძნეთი და სხვა. სრულიად განსაკუთრებულია საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობები. მნიშვნელოვანი საქმიანობა ხორციელდება ორმხრივ ფორმატში ევროკავშირის ქვეყნებთან, განსაკუთრებით პოლონეთთან და ბალტიის სახელმწიფოებთან. სამწუხაროდ საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემები აქვს ისეთ მეზობელთან, როგორცაა რუსეთის ფედერაცია. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს განსაკუთრებულ დაღს ასვამს ის ქმედებები, რომელსაც რუსული მხარე ახორციელებს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. უკვე ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ეს კონფლიქტები ინიცირებულია სწორედ რუსეთის მხრიდან და იგი მათ კვლავ იყენებს საქართველოს წინააღმდეგ, როგორც “ნელი

მოქმედების ნაღმებს“, თუმცა, თუ ბოლო პერიოდის მოვლენებით ვიმსჯელებთ, ეს ნაღმები სულაც არ არის ნელი მოქმედების. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა ადეკვატურად უპასუხოს თავისი „დიდი მეზობლის“ ნაბიჯებს და მიაღწიოს მასთან ურთიერთობის ნორმალისაციას.

საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ფორმაა მრავალმხრივი ურთიერთობები, რომელიც ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფორუმების ფარგლებში ხორციელდება. კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სახლმწიფოები იკრიბებოდნენ და იკრიბებიან საერთაშორისო კონფერენციებზე ამა თუ იმ საჭირობოროტო პრობლემის გადასაწყვეტად. საერთაშორისო კონფერენცია არის ორი ან რამდენიმე სახლმწიფოს წარმომადგენლების შეხვედრა ამა თუ იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხების განხილვის და მათ თაობაზე შეთანხმების მიღწევისათვის. საერთაშორისო კონფერენციებს იწვევენ ან თვით სახელმწიფოები, ან საერთაშორისო ორგანიზაციები. კონფერენციებზე გადაწყვეტილებას ძირითადად იღებენ კონსენსუსის პრინციპით.

კონფერენციებისაგან განსხვავებით, რომლებიც დროებით სახლმწიფოთაშორისი თათბირების სახეს ატარებენ, საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივი სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებებია, რომლებიც ხანგრძლივი ვადით, ან უვადოდ იქმნება პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიზნების განსახორციელებლად. ეს ორგანიზაციები სახლმწიფოთაშორისი ურთიერთობებში ძირითადად იხეი ნაცად ფორმას იყენებენ, როგორცაა კონფერენციები და კონგრესები. იგივე ითქმის არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებზე.

არასახლმწიფოებრივი სახის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ტენდენციები ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების დასაწყისში იდგამს ფეხს. თუმცა იმ დროის ეს თამამშრომლობა მეტად არასტაბილურ და ვიწრო ხასიათს ატარებდა. არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების პირველი კონგრესი, რომლის შესახებაც ჩვენ გვაქვს სარწმუნო ცნობები, იყო მედიკოსთა საერთაშორისო შეხვედრა რომში. იგი გრძელდებოდა 1681 წლის 10 მარტიდან 8 ივლისამდე – ყოველთვიურად ტარდებოდა მხოლოდ სამი – ოთხი სხდომა.

მე-19 საუკუნიდან მნიშვნელოვნად იმატებს არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი. XX საუკუნის დასაწყისში ითვლიდნენ 20 სამთავრობოთაშორის და 192 არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციას. დღეს კი მსოფლიოში 59 000 საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებს, აქედან 6432 სამთავრობოთაშორისოა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 25 წლის

მანძილზე, საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, რაც თვალნათელივით მიუთითებს საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობაზე თამანდროვე პირობებში.

საერთაშორისო ორგანიზაციები ერთმანეთისაგან განსხვავდება კომპეტენციის მიხედვით – ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მიეკუთვნება ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა მიზანია საკითხთა ფართო სპექტრის მოცვა, ხოლო სპეციალური კომპეტენციის მქონე, ანუ – სპეციალიზებული ორგანიზაციები ვიწრო დანიშნულების საკითხების მოწესრიგებას ემსახურებიან.

რაც შეეხება რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაერო-ს წესდების VIII თავის 52 და 54 მუხლებში მითითებულია, რომ გაერო-ს არსებობა არ გამორიცხავს ასეთი რეგიონალური შეთანხმებებისა და ორგანიზაციების შექმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად იმ პირობით, რომ ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა სავსებით შეესაბამება გაერო –ს მიზნებსა და პრინციპებს.

სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ისეთი რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), არაბულ სახელმწიფოთა ლიგა და აფრიკის ერთობის ორგანიზაცია, რომელთა მიზანია რეგიონში შემაჯავლ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სამხედრო და სხვა თანამშრომლობის განმტკიცება. ამათ რიცხვს ეკუთვნის ასევე ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო.

საერთაშორისო ურთიერთობები სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ – ერთ ყველაზე საპატიო და პრესტიჟულ სფეროდ ითვლება ზოგადად მსოფლიოში. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები სახელმწიფოებს აიძულებს პირველ ყოვლისა საკუთარ უსაფრთხოებაზე და პოლიტიკურ სტაბილურობაზე იფიქრონ. დღესდღეობით საერთაშორისო გარემო რთული და ცვალებადია, რამაც გაზარდა საერთაშორისო ფორუმების, კონფერენციებისა და კონგრესების ჩატარების მნიშვნელობა, რომლებშიც ერთ-ერთ ძლიერ სუბიექტად გვევლინება არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მნიშვნელობაც დღითიდღე იზრდება.

საერთაშორისო ურთიერთობების მრავალი ფორმის არსებობის მიუხედავად, ძნელია გამოკყო აქცენტრებულად რომელიმე მათგანი და პრიორიტეტულად მიიჩნიო. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის არსენალში ყველა ფორმა და საშუალების ადგილია, ისეთი საქმიანობისათვის, რომ მიღწეული იქნეს მთავარი ამოცანა – ქვეყნის უსაფრთხოება და დინამიური განვითარება, ხელი შეეწყოს ურთიერთთანამშრომლობას მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს

შორის საყოველთაო მშვიდობის, ადამიანის ცხოვრებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. შ. დოლონაძე „საქართველო: გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამეგობრობისაკენ“, „მეცნიერება“, 2002.
2. ა. რონდელი საერთაშორისო ურთიერთობები, თსუ, 2006.
3. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია, თბ. 2000.
4. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2006/09 წწ. [www.mfa.gov.ge](http://www.mfa.gov.ge)

## Summary

**Aprilashvili Natalia**

### **The meaning of the international relations for the modern state**

This article tells of that not a single state can exist without establishing contacts and performing normal relations with other states. This necessity arose with the forming of the first state. International cooperation was developing, broadening and improving, as well as other means and forms of peaceful co-existence together with the development of society.

Despite existence of different international relations' forms, it's difficult to call any of it main or a priority.

It is desirable for each state to have at its disposal all active forms and means for working out the main task – state security and dynamic development peace and mutually beneficial cooperation.

## Резюме

**Наталиа Априлашвили**

### **Значение международных отношений для современного государства**

Эта статья повествует о том, что ни одно государство не может существовать без установления соответствующих контактов и осуществления нормальных отношений с другими государствами. Это потребность стало необходимым со дня образования 1го государства. С развитием общества развивалось, расширялось и улучшалось международное сотрудничество с другими формами и средствами мирного сосуществования.

Несмотря на существование различных форм международных отношений, трудно сделать акцент на какой – либо из них и назвать приоритетной. В арсенале государственной внешней политики имеют место все формы и средства такой деятельности которая направлена на решение главной задачи – безопасность государства и динамичное развитие, мир и взаимовыгодное сотрудничество.



**თამარ დალაქიშვილი  
გენდერი საარჩევნო კამპანიებში**

ეფექტური საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად აუცილებელია კანდიდატის იმიჯის ფორმირება. პოლიტიკური იმიჯის შექმნის ტექნოლოგია ფაბლიკ რილეიშენზის საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილია. პოლიტიკური იმიჯი, როგორც წესი, უნდა შეიქმნას რომელიმე კონკრეტული ამოცანის მიხედვით. ან უნდა მიემართოს არჩევნებში გამარჯვებისაკენ, ან მისი მისწრაფება უნდა იყოს ელიტაში შესვლა თავისი პოლიტიკური პერსპექტივების სათანადო პოპულარიზაციისათვის. იმ შემთხვევაში თუ კანდიდატს აქვს მდიდარი პოლიტიკური წარსული, საჭიროა პოზიტიური შტრიხების ახლებურად წარმოჩენა, აქტუალურ კონტექსტში ჩასმა, რათა საზოგადოებაში არსებობდეს სწორი და ზუსტი აღქმა პოლიტიკური ლიდერისა, რომელიც აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას. ლიდერის იმიჯის ჩამოყალიბებისას დიდი მნიშვნელობა აქვს გენდერს.

თავდაპირველად, უპირანი იქნება თუ განვიხილავთ ქალური (ფემინური) და მამაკაცური (მასკულინური) საწყისის თავისებურებებს, რადგან სწორედ მათ შორის მსგავსება-განსხვავებულობაზე დამოკიდებული პოლიტიკურ ლიდერთა ქმედებები.

აღამიანები ერთმანეთისგან ბევრი რამით განსხვავდებიან, მაგრამ რასაც ჩვენ პირველ რიგში ვაქცევთ ყურადღებას, სქესია. სტატისტიკური მონაცემებით დადგინდა, რომ „ზრუნვის ეთიკა“ ქალებს უფრო ახასიათებთ. ისეთი თვისებები, როგორცაა სიკეთე, მგრძობიარობა, სხვისი ტკივილის გულთან ახლოს მიტანა და ქველმოქმედება მეტად ქალურ სათნოებადია მიჩნეული. ცნობილია, რომ ქალები არჩევნებში დემოკრატებს და სოციალური პროგრამების ავტორებს უჭერენ მხარს. კიდევ ერთი ასპექტი, რასაც საარჩევნო კამპანიის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არის ის, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით განსაკუთრებულ ყურადღებას აღამიანთა შორის ურთიერთობებს უთმობენ. მამაკაცები მეტი დამოუკიდებლობით გამოირჩევიან. ისინი უფრო მიზანსწრაფულები და სამომავლო ამოცანების შესრულებაზე არიან ორიენტირებულნი. მამაკაცებს ხელმძღვანელის სტილი უფრო გამოსდით, ხოლო ქალებს სოციალური ლიდერი როლი უფრო შეეფერებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი და მამაკაცი კანდიდატების საარჩევნო პროგრამა ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს, აწარმოებენ

თითქმის მსგავს საარჩევნო კამპანიებს, მათ მიანც ბევრი გასხვავება ახასიათებთ. ისინი მსგავსები, მაგრამ არაიდენტურნი არიან.

ამომრჩევლისთვის პრობლემას არ წარმოადგენს დეპუტატის იმიჯის განსაზღვრა. იგი ხმას აძლევს დეპუტატს, რომელიც მაღალი რეიტინგით გამოირჩევა. ამავდრულად ხალხს სურს ცხოვრების გაუმჯობესება, ამიტომ იგი ირჩევს ოპტიმისტურ მომავალს. მოსახლეობა თავის კანდიდატს უყურებს, როგორც იმედის ინსტრუმენტს.

აქედან გამომდინარე, ქალი პილიტიკოსის იმიჯის აგება და საარჩევნო კამპანიის წარმოება რთული ამოცანაა, რადგან სქემა, რომლითაც ხდება იმიჯის აგება განსხვავებულია. მაქსიმალურად ხდება ქალის წმინდა მახასიათებლების შემცირება. ეს იმით აიხსნება, რომ მასათა ცნობიერება უფრო კონსერვატულია. ის ეყრდნობა იმ წარმოდგენას, რომ ქალი „ოჯახური კერის მფარველია“ და არა პოლიტიკური „მონადირე“. ასევე რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა უღერდეს, ქალს არ შეუძლია დაეყრდნოს ქალთა ელექტორატს, რადგან იგი თავისი ინტერესების დამცველად მამაკაცს სახავს. ამიტომ ქალი პოლიტიკოსისათვის უცხო არ უნდა იყოს მამაკაცის ბუნება, პირიქით იგი გარკვეული თვისებებით უნდა ბაძავდეს კიდევ მას.

ქალისა და მამაკაცის თვისებების იდეალურ შერწყმას წარმოადგენს „რკინის ლედი“ მარგარეტ ტეტჩერი. პროფესიულად ეს პოზიცია მოითხოვს მამაკაცურ თვისებებს, მაგრამ ბიოლოგიურად ის შევსებულია ქალისთვის, ამიტომ აუცილებელ ელემენტად მაინც რჩება ქალის თვისებები. მიუხედავად მისი პოლიტიკური მოღვაწეობისა, მარგარეტ ტეტჩერი არ წყვეტდა საოჯახოს საქმიანობას. ამგვარად, მისი საქციელი გასაგები იყო საზოგადოებისათვის, რადგან პრემიერი, რომელიც მხოლოდ ქალადღებითაა დაკავებული, არც თუ ისე საინტერესოა საზოგადოების ცნობიერებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკოს ქალებს ბევრი უპირატესობაც აქვთ, კერძოდ, მათ შეუძლიათ შეარჩიონ მრავალფეროვანი და ელევანტური სამოსი. აღსანიშნავია ის გრემოებაც, რომ მათ მუშაობა უხდებთ მამაკაცების წრეში, ამიტომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ ისეთი ქალური თვისებები, როგორცაა ბუნებრივი არტისტიზმი, სინაზე, მომწუსხავი ღიმილი, რადგან ქალს შეუძლია კონტექსტის ცვლილებებზე რეაგირება მოახდინოს ფაქიზად.

მასმედიასთან ურთიერთობისას, ან საჯარო გამოსვლების დროს უმჯობესი იქნება, თუ პოლიტიკური ლიდერი უფრო მეტად გაამახვილებს ყურადღებას სამომავლო გეგმებზე და არა უკვე გადაჭრილ პრობლემებზე, რაც ნაკლებ საინტერესო იქნება ელექტორატისთვის.

პოლიტიკოსი ქალი არ უნდა იყოს იმპულსური, როგორც ეს ჩვეულებრივ ქალებს სწვევიათ. იგი უნდა ეყრდნობოდეს საღ აზრს და ზუსტ ანალიზს. საპასუხისმგებლო შეხვედრებისას მას უნდა ჰყავდეს მრჩეველები, რომლებიც დაეხმარებიან მოქმედების გეგმის დასახვაში. გასათვალისწინებელია არტისტიზმი, მიმიკა, ანუ ყველა ის კომპონენტი, რაც დაეხმარება საუბრის წარმართვაში და აუდიტორიის დაპყრობაში.

აქედან გამომდინარე, ქალი კანდიდატის საარჩევნო კამპანიის წარმოება ერთროულად რთულიცაა და საინტერესოც. აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. გასათვალისწინებელ ასპექტს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება. სამოქმედო გეგმის, პოლიტიკური იმიჯის აგებას, თუ ზოგადად არჩევნების მიმდინარეობას დიდ წილად სწორედ ეს განსაზღვრავს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1) ე. ხახუტაშვილი, ლ. კაპანაძე- „საზოგადოებასთან ურთიერთობა“. თბილისი, 2003
- 2) ვ. ჭიაურელი, ს. ლომინაძე, რ. სტრეგელოვა- „საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითადი პრინციპები“. თბილისი, 2006.
- 3) რ. გაფრინდაშვილი, მ. ბანძელაძე- „სოციალური ფსიქოლოგია“. თბილისი, 2003.

## Summary

**Tamar Dalakishvili**

### **Gender balance in electoral campaigns**

Elections are the means of regulating people's will. According to the theory of people's sovereignty, the main source of the government are the people. another subject for discussion is giving women the right to participate in the elections. the struggle for women's political rights is actively going on in the democratic countries. The legal establishment of equality of women's rights has started in the first part of the XX century.

After the world war II Suffragism (the movement for granting women right to take part in elections) was successful almost in all countries of the West Europe. This issue has not lost its actuality even nowadays, in the XXI century.

In the article above will be presented the discussion of that problem, namely giving women the right of participating in elections.

## Резюме

**Тамара Далакишвили**

### **Гендерный вопрос в избирательных кампаниях**

Выборы - это регулирующий механизм воли людей. Согласно теории Суверенитета людей, источником власти является народ, люди.

Отдельный вопрос обсуждения присуждение женщинам права участвовать в выборах.

Борба за политические права женщин активно ведется во всех демократических странах. Внедрение равноправия женщин законодательно продолжалось до первой половины XX века.

После первой мировой войны Суффражизим (Движение за равноправное участие женщин в выборах вместе с мужчинами) победил почти во всех странах западной Европы. Активность этой темы, и до сейх пор, в начале XXI столетия, достатчно высока.

В предыдущем труде будет представлено обсуждение вопроса за равноправное участие женщин с мужчинами в выборах.

**ოლიკო გოზალიშვილი**  
**პოლიტიკური კამპანიის წარმოების ტექნოლოგიის**  
**ზოგიერთი საკითხი**

პოლიტიკური კამპანიები უძველესი დროიდან არსებობს და ფართოდ გამოიყენება ნებისმიერ სახელმწიფოში. როდესაც სახელმწიფო არსებობს, თავისთავად არსებობს პოლიტიკაც, ხოლო პოლიტიკის არსებობისას

გარდაუვალია პოლიტიკური კამპანიები.

სხვადასხვა პოლიტიკური პარტია კამპანიებს სხვადასხვაგვარად აწარმოებს. ბევრი მათგანი ტელევიზიას ანიჭებს უპირატესობას, რადგან თვლის, რომ ტელევიზია საზოგადოებაზე ზემოქმედების საუკეთესო ხერხია.

პოლიტიკური კამპანიის მწარმოებლებმა ანალიტიკური მუშაობის გზით უნდა გამოავლინონ საზოგადოების პრიორიტეტული ჯგუფების მოთხოვნები, მიზნები და საშუალებები.

ორგანიზატორებმა სისტემატურად უნდა დაგეგმონ შესასრულებელი სამუშაო და დროულად მოახდინონ მისი რეალიზება. შეაფასონ სიტუაცია და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეიტანონ კორექტივები. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების როლს პოლიტიკური კამპანიების წარმოების პროცესში.

პოლიტიკური კამპანიის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს მისი სტრატეგია. მნიშვნელოვანია, თუ როგორია იდეა, თუ რას ელიან დღეს მისგან ამომრჩეველები. ჩვენს შემთხვევაში, თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია ცვლილებებს გეპირდებოდა.

პოლიტიკური კამპანიის ასევე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ოპონენტის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელება. საქართველოში ამ მეთოდს გაძლიერებულად იყენებენ. თითქმის ყველა პოლიტიკოსი თუ პოლიტიკური პარტია, სამწუხაროდ, ცდილობს, რომ თავის ოპონენტებზე გაავრცელოს ნეგატიური ინფორმაცია, რითაც შეძლებს საკუთარი ელექტორატის გაზრდას.

გლობალურმა სატელევიზიო ეპოქამ 90-იანი წლების დასაწყისში პიკს მიაღწია. ამერიკელებს მიაჩნდათ, რომ არჩევანს ტელევიზია აკეთებდა. თუმცა 90-იანი წლების მეორე ნახევარში სიტუაცია შეიცვალა და კანდიდატის წარმატების მთავარი გარანტი კვლავ პირადი შეხვედრები გახდა, რომელსაც სხვათა შორის ხელიდან არ გაუშვებს ადგილობრივი ან ნაციონალური ტელევიზია.

იმ გამარტივებული საარჩევნო ავტაცის მოდელი ასე გამოიყურება: კანდიდატი გადის ხალხში და თითოეულ მოქალაქეს ხელს ართმევს. რაც უფრო მეტ ამომრჩეველს ჩამოართმევს ხელს, მით უფრო მეტ მომხრეს მოიპოვებს.

ამ მოსახრებას კიდევ ერთხელ ადასტურებს ჟურნალ “სოვეტნიკის” პუბლიკაცია სათაურით – “Личные встречи вытесняют телевидение.”

ამდენად, დარგის ექსპერტები ერთხმად აღიარებენ ამომრჩეველთან პირადი შეხვედრების ეფექტურობას. რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლას თავისი სპეციფიკა აქვს. ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საუბრის მანერას, სატელევიზიო დებატებში მონაწილეობის ხელოვნებას: პირდაპირ ეთერში გამოსვლა, საწინაარმდეგო აზრის გათვალისწინების უნარი, და სხვ. ამ მხრივ კანდიდატს სასარგებლო რეკომენდაციებს უწევენ ფსიქოლოგები და სოციოლოგები.

პიარის ცნობილი სპეციალისტი გ. პოჩეპოვი წარმატებული საარჩევნო კამპანიის ერთგვარ ფორმულას გვათავაზობს და აღნიშნავს, რომ პოლიტიკური კამპანია სტრატეგიულ და ტაქტიკურ მიზნებს აერთიანებს. სტრატეგიულ მიზანთა შორის საყურადღებოა, ამა თუ იმ სუბიექტისადმი დადებითი დამოკიდებულების შექმნა (პარტიის იმიჯი, ძირითადი პოლიტიკური პრობლემა და სხვ.).

ტაქტიკური საკითხები ამომრჩეველთან ურთიერთობის კომუნიკაციურ ტექნიკასა და საარჩევნო კამპანიების ეტაპობრივ ორგანიზებას გულისხმობს. პოლიტიკური კამპანიების საბაზო ტერმინებია სამიზნე აუდიტორია და მნიშვნელოვანი შეტყობინებები (ე.წ. მესიჯი). სპეციალისტები მიუთითებენ, რომ საკვანძო საკითხები არ უნდა მოიცავდეს 3–4 თემაზე მეტს, რადგან ამომრჩევლისათვის პოლიტიკა რიგითი ცხოვრებისეული მოვლენაა და ამ თემაზე ზედმეტი სჯაბაასი მოსაბეზრებელიცაა. თუმცა ეკონომიკური პრობლემა ისეთი თემაა, რომელსაც ვერც ერთი პოლიტიკური კამპანია გვერდს ვერ აუვლის.

სპეციალისტები საარჩევნო კამპანიის რამდენიმე კომუნიკაციურ პარამეტრს განსაზღვრავენ:

- თუ სახელწოდება ცუდად არის შერჩეული, წარმატების მიღწევა საეჭვოა;
- ვიზუალური მხარე, ემბლემა, პლაკატები, კარიკატურები;
- სანახაობითობა და ლაკონიურობა. იმიჯმეიკერებმა უნდა მოძებნონ რეკლამის ისეთი ფორმა, რომელიც მოკლედ და ნათლად წარუდგენს საზოგადოებას პარტიის ან ბლოკის პლატფორმას;

- წინასაარჩევნო ღლოზუნგი – “შავი პიარის” ავტორები მიიჩნევენ, რომ წინასაარჩევნო ღლოზუნგებს უდიდესი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. მკვლევართა აზრით, ისინი გავლენას ახდენენ ადამიანის გულსა და გონებაზე, ამიტომ მათი შედგენისას მეტი სერიოზულობაა საჭირო. ღლოზუნგების შინაარსი საარჩევნო პროგრამასა და მოსახლეობის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას უნდა შეესაბამებოდეს;
- სისადავე–მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნაა კანდიდატის მიმართ საკვანძო საკითხებისა და საერთო ინტერესების გამოვლენა, მათი გამარტივება და მსჯელობის ცენტრალურ საგნად გადაქცევა;
- სამიზნე აუდიტორიასთან იდენტიფიკაცია– ბილ კლინტონმა ამომრჩევეებს განუცხადა: “მე ყოველ დღით თქვენს მომავალზე ფიქრში გავიღვიძებ, თეთრ სახლში თქვენთვის საჭირო საქმეებს გავაკეთებ;”
- იდენტიფიკაცია ღია კომუნიკაციური ფორმებით – გამოკვლევებმა ცხადყო, რომ პოლიტიკოსის მონაწილეობა ტოქ-შოუებში უფრო დადებით გავლენას ახდენს ამომრჩეველზე, ვიდრე ფასიან რეკლამებში კანდიდატის საგანგებოდ შექმნილი იმიჯი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პოლიტიკური პლატფორმა. მისი შემუშავებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- პოზიტიურობა (კონკურენტის კრიტიკისას პოზიტიური ნაწილი უნდა სჭარბობდეს);
- ორიგინალურობა (პროგრამა სხვებისას არ უნდა ჰგავდეს);
- მიზნის მკაფიოდ ჩამოყალიბება;
- არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში მიზნები და საშუალებები;
- ისეთი წინასაარჩევნო დებულებების შერჩევა, რომლებიც ყველას აღეგულებს;
- მოტივაცია – რას მიიღებს ამომრჩეველთა ესა თუ ის ჯგუფი

კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში;

- საარჩევნო პლატფორმის ძირითადი დებულებები მოსახლეობისათვის, ნათლად და გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

თუ წინასაარჩევნო პლატფორმა აგებული იქნება ზოგადი დებულებებისა და ლოზუნგების გამოყენებით, მასში არ გამოჩნდება ინდივიდუალობა, გულწრფელობა და დამოუკიდებელი აზროვნება. ის მხოლოდ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ამომრჩეველზე და ვერ მიიპყრობს მის ყურადღებას.

პოლიტიკურ კამპანიებს თან სდევს სხვადასხვა სახის სააგიტაციო ღონისძიება. წინასაარჩევნო აგიტაციის ფორმირებისათვის შემდეგ ძირითად პრინციპებს განიხილავენ:

- პერიოდული გამოცემების ფურცლებზე კანდიდატის პიროვნების სიღრმისეულად განხილვის მეტი შესაძლებლობაა. ასეთი სახის გამოცემებში შეგვიძლია მოსახლეობას მოვუთხროთ იმის შესახებ, თუ როგორი კარგი მეოჯახეა ჩვენი პოლიტიკოსი, მოვკებნოთ მის ბიოგრაფიაში ნათელი ეპიზოდები, რომელიც მის ქარიზმატულ ღირსებებს წარმოაჩენს.
- სააგიტაციო მასალები (პლაკატები, ფურცლები) საარჩევნო კამპანიების დამატებითი ნაწილია. ისინი, ერთი მხრივ, ხელს არ უნდა უშლიდეს და არ უნდა აღიზიანებდეს გამვლელებს; მეორე მხრივ, ზემოხსენებულმა ატრიბუტებმა უნდა მიიპყრონ მოსახლეობის ყურადღება და დაჩრდილონ კონკურენტების ანალოგიური სტენდები.

სააგიტაციო ბილბორდებზე განთავსებული მასალა უნდა იყოს ინფორმაციული ხასიათის, მოკლე და გასაგები. მათი გაფორმება გამოცდილ დიზაინერს უნდა მივანდოთ. ამომრჩეველთან შეხვედრა საარჩევნო კამპანიის განუყოფელი ნაწილია. სპეციალისტთა აზრით, იმის გამო, რომ საზოგადოებასთან პირველი შეხვედრისას გარკვეული დაძაბულობა წარმოიქმნება, საწყის ეტაპზე ვითარების განმუხტვაა საჭირო. აუცილებელია აუდიტორიის საერთო ინტერესის გამოვლინება.

კანდიდატმა უნდა შეძლოს ამომრჩეველის გონებაში შეღწევა და საჯარო გამოსვლისას უკურეაქციის გათვალისწინებით უნდა ჩამოაყალიბოს ლოგიკურად დასაბუთებული საკუთარი მოსაზრებები.

აუდიტორიის ქვეცნობიერებაზე ზემოქმედების მიზნით, სახალხო გამოსვლისას კანდიდატმა ამომრჩეველთან უშუალო კონტაქტი უნდა დაამყაროს: ორატორი ადვილად და თავისუფლად უნდა საუბრობდეს. სპეციალისტები კანდიდატებს ურჩევენ საკუთარი ლექსიკიდან ამოშალონ სიტყვები: მგონია, მეჩვენება რომ, ვნახოთ, ვიმეორებ, თითქოს, ვითომ, არსებითად რომ ვთქვათ და ა.შ.



როგორც ცნობილია, პოლიტიკური კამპანია საარჩევნო დაპირებების ფონზე მიმდინარეობს. სახელმძღვანელოებში საზგასმით მიუთითებენ, რომ ამომრჩეველმა არ უნდა იგრძნოს დაპირებების სიყალბე. სწორედ ამიტომ იყენებენ იმიჯმეიკერები ასე აქტიურად “სპინრაითერებს,” რომლებიც ტექსტს მომავლისა და აწმყოს შესაბამისად ცვლიან.

მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ “ნაციონალური მოძრაობის” საარჩევნო დაპირება— “სიღარიბის დაძლევის 50 დღე.”

“50— დღიანმა სამოქმედო გეგმამ ცხადყო, რომ საქართველოს მთავრობა ქმედითუნარიანია და გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია. მოვითხოვ, უფრო მეტად დამანახონ, რომ მთავრობა ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულია,”—განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის 50—დღიანი პროგრამის შეჯამებისას. მან აღნიშნა, რომ ბევრი მოქალაქისთვის “ვარდების რევოლუციის” შედეგებზე დამყარებული მოლოდინი ბევრ ასპექტში ჯერ კიდევ არ გამართლებულა, მაგრამ, სააკაშვილის თქმით, პროგრამა—“საქართველო

სიღარიბის გარეშე”—არის ის ძირითადი პრიორიტეტი, რომელმაც უნდა განსაზღვროს მისი პრეზიდენტობის მეორე ვადა.”

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ “ნაციონალური მოძრაობის” წინასაარჩევნო დაპირების მიმართ საზოგადოების დიდმა ნაწილმა უნდობლობა გამოხატა.

საჯარო გამოსვლას საზოგადოების მხრიდან შეკითხვები მოსდევს, რაც შეხვედრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. სპეციალისტების აზრით, გაწაფულ ორატორს ყოველთვის შეუძლია აუდიტორიის მოხიბლვა საკუთარი აზრითა და არგუმენტირებული პასუხებით. წარმატების მისაღწევად უფრო ეფექტურია შრომით კოლექტივთან შეხვედრა, რადგან ასეთ გარემოში გაცილებით ადვილია საერთო პრობლემებისა და ინტერესების გამოვლენა.

ამასთან წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას ეფექტურად იყენებენ სპორტულ შეჯიბრებებს, კონცერტებს, სანახაობებს, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრებს და ა.შ. “ნაციონალური მოძრაობის” ლიდერებმა არაერთი შეხვედრა მოაწვევეს როგორც ქალაქ თბილისის, ასევე რეგიონების მოსახლეობასთან. მათ მოსახლეობას წარუდგინეს, არჩევნებში მათი გამარჯვების შემთხვევაში, მოქმედების სამომავლო გეგმა, რომლის ძირითადი პრიორიტეტია “საქართველო სიღარიბის გარეშე,” ხოლო დაპირებების შესრულების გარანტი კი “საქმე ლაპარაკის ნაცვლად.” 2008 წლის 3 მაისს, სპორტის სასახლეში, გაიმართა “ნაციონალური მოძრაობის” ყრილობა, რომელიც გახსნა ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ. შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მან წინასწარ მომზადებული,

გამოსვლის დაბეჭდილი ტექსტი, ყველას თანდასწრებით გვერდზე გადადო და პირდაპირ მიმართა ხალხს. მისი საუბარი როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა პირდაპირობით, ენერგიულობით და ემოციურობით. აქცენტები გააკეთდა სამომავლო გეგმებზე, ხელისუფლების მიერ, პირველ რიგში, შესასრულებელ პრიორიტეტულ საკითხებზე.

პრეზიდენტის სიტყვას, ისევე როგორც მთლიანად ყრილობას ძირითად ლაიტმოტივად გასდევდა თეზა “საქართველო სიღარიბის გარაშე,” რომლის შესრულების წინაპირობა მთავრობის მხრიდან არის “საქმე ლაპარაკის ნაცვლად.”

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ შეხვედრას სხვადასხვა ფსიქოემოციური დატვირთვა აქვს და ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს.

პოლიტიკური კამპანიის შიდა სამზარეულოს საარჩევნო შტაბი წარმართავს. ეს წინასაარჩევნო პროექტებისა და გეგმების შემქმნელთა ჯგუფია, რომელიც საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობს. პოლიტიკოსი შტაბის მიერ შემუშავებული საერთო გეგმის მიხედვით მოქმედებს.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს შტაბის მთავარი ორგანოა საბჭო. არსებობს 2 საბჭო. პირველს გლობალური საკითხების (მათ შორის ფინანსური) განხილვა ევალება, მეორე (სამუშაო საბჭო) კი უახლოესი კვირის სამუშაო გეგმებს განიხილავს.

პოლიტიკური პარტიები სხვაგვარად წარმართავენ თავიანთ საარჩევნო კამპანიას—ყოველ დიდ გაერთიანებას ჰყავს მრჩეველთა ჯგუფი, რომელსაც 4 ძირითადი მიზანი აქვს:

- პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება;
- მხარდამჭერი კომიტეტების მოღვაწეობის კოორდინაციის დაგეგმვა და კონტროლი;
- პრესსამსახურის მოღვაწეობა;
- კამპანიის ფინანსური უზრუნველყოფა.

არჩევნებამდე 1 წლით ადრე მუშავდება ზოგადი სტრატეგია შემდგომი კორექტივებით. შემდეგ 2–4 თვით ადრე იწყება ამომრჩეველთა ცალკეული ჯგუფის დამუშავება, ხოლო 2–3 კვირით ადრე პარტიული პროპაგანდის ყველა ორგანო მთელი ძალით იწყებს მუშაობას: ტარდება მიტინგები, გამოსვლები რადიოთი, ტელევიზიით, მუშაობს “ცხელი ხაზი,” ძლიერდება ამომრჩეველის დარწმუნების ფორმები.

პოლიტიკურ კამპანიებზე საუბრისას არ უნდა დავივიწყოთ საარჩევნო ტექნოლოგიების ცნობილი ფრანგი სპეციალისტი ჟაკ სეგელა, რომელმაც იმიჯისა და არჩევნების საკითხისადმი საკუთარი მიდგომა რვა მცნების სახით ჩამოაყალიბა:

- ხმას აძლევენ პიროვნებას და არა პარტიას;

- ხმას აძლევენ იდეას და არა იდეოლოგიას;
- ხმას აძლევენ მომავალს და არა წარსულს;
- ხმას აძლევენ სოციალურ მოტივს და არა პოლიტიკურს;
- ხმას აძლევენ ადამიან-ლეგენდას და არა ჩვეულებრივ მოკვდავს;
- ხმას აძლევენ ნათელ მომავალს და არა უფერულ ცხოვრებას;
- ხმას აძლევენ გამარჯვებულს და არა უიღბლო პიროვნებას;
- ხმას აძლევენ ჭეშმარიტ და არა ყალბ ფასეულობებს;

ჟაკ სეგელას ამ რეკომენდაციების გათვალისწინება უთუოდ წადგება ქართულ პოლიტიკოსებს. მით უფრო აქტუალურია ეს საკითხი დღეს, როცა საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადება ნამდვილ “ციებ-ცხელებას” ემსგავსება. გამარჯვების სურვილით შეპყრობილი პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებათა ლიდერების რეალური სახე, სამწუხაროდ, სასურველისგან ჯერ კიდევ შორსაა.

ამრიგად, საარჩევნო კამპანიის წარმართვა რთული და საპასუხისმგებლო პროცესია, რომლის მხოლოდ სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის განხორციელებით შეიძლება წარმატების მიღწევა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. იგორ კვესელავა, ვაჟა შუბითიძე, ვლადიმერ ჭანუყვაძე. პოლიტოლოგია, პოლიტიკური და საარჩევნო ტექნოლოგიები. თბილისი 2003წ.
2. ვაჟა შუბითიძე, ოთარ დავითაშვილი. პოლიტოლოგია, პოლიტიკური ტექნოლოგიები. თბილისი, 2002წ.
3. ვაჟა შუბითიძე “რა შეუძლია პოლიტიკაში კარგი იმიჯს.”გამომცემლობა “ელფი”, თბილისი 2000წ.
4. Почепцов Г.Г. Имиджология. Рефл-бук Ваклер. 2002г.
5. Почепцов Г.Г. Паблик рилеишнз или как успешно управлять общественным мнением. 1998 г. Москва.

## **Summary**

**Oliko Gozalishvili**

### **Some matters of the technology of running a political campaign**

The article is about the techniques of leading political campaign. Its basic dimensions are: leading campaigns through all kinds of media, demonstrations, direct communication with people. As such, leading election campaign is a very difficult and multidimensional process that requires a high sense of responsibility. The success is in direct correlation with selection of right strategy and implementation of all planned tactics correctly.

## **Резюме**

**Олико Гозалишвили**

### **Некоторые вопросы технологии ведения политической кампании**

В статье рассмотрены технологии ведения политической кампании, основными направлениями которой являются: ведение политической кампании всеми средствами массовой информации, митингами, выходом в народные массы и непосредственным контактом с людьми.

Таким образом, ведение избирательной кампании сложный и ответственный процесс, достижение успехов в котором возможно только при осуществлении правильной стратегии и тактики.

**ნუცა ჯავახიშვილი  
იმიჯის გარეგნული კომპონენტები  
(არავერბალური კომუნიკაციები)**

იმიჯი არის რთული სოციალური სინამდვილის ჩასახვისა და გაშიფვრის მეთოდი. იგი ინფორმაციის დამუშავების შედეგად მიიღება. იმიჯი წარმოადგენს ორგანიზაციის ან პიროვნების გარეგნულ “მე“-ს. ეს ეხმარება ადამიანებს მოველენების მართვაში, პროდუქტის გასაღებაში.

ჩვენი იმიჯი სხვისი თვალით დანახულ ჩვენსავე ანარეკლს ჰგავს, რომელიც რიგ შემთხვევებში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ჩვენ ვართ.

იმიჯი არის რეალური საშუალება იმისათვის, რომ გავლენა მოვახდინოთ საზოგადოების ფართო მასებზე.

იმიჯის ძირითად კომპონენტებში შედის პოლიტიკოსის, (და არა მარტო) სახე, ვარცხნილობა და სხვა მახასიათებლები. ამას მოსდევს ტანსაცმელი და აქსესუარები, მიმიკა და ჟესტიკულაცია, შემდეგ დიქცია, ტემბრი, ტემპი, გამონათქვამები და ა.შ. სოციალურ ფსიქოლოგიაში დამტკიცებულია, რომ პირველივე წამები განსაზღვრავს ამა თუ იმ შთაბეჭდილების შექმნას, რომლის გაქარწყვალებასაც შემდეგ უკვე წლები სჭირდება.

თავის ქალისა და სახის ნიშნებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ ვისაც აქვს უხეში, ყალყზე მდგარი თმები, - ის მშიშარაა. საფირის აზრით კი დიდი ყურები საუცხოო გონების მანკენებელია და დიდხანს სიცოცხლესაც ნიშნავს.

თავის ქალის ფორმის მიხედვით ადგენენ ადამიანის ხასიათს. ამ უკანასკნელის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ თუ რამდენად მიდრეკილია ადამიანი კრიმინალისაკენ.

რაც შეეხება სახეს, აქ მთავარია თმა, შემდეგ – შუბლი, წარბები, თვალები ყურები, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი.

თუ პოლიტიკოსს უნდა, რომ მას ყველგან ცნობდნენ, მაშინ მან არ უნდა შეიცვალოს ვარცხნილობა და წარბები.

ადამიანის ემოციური მდგომარეობის აღქმისას გამომეტყველებაში მთავარია მისი ტუჩები, შემდეგ პირის გარშემო სივრცე, შემდეგ შუბლი და ვარცხნილობა. შემდგომ მხერვა გადადის სახის ოვალზე, ყურებისა და ნიკაპის ჩათვლით, ამიტომ ითხოვენ პოლიტიკოსისაგან დიმიღს!

სახისა და თავის ქალის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ვარცხნილობას ენიჭება. ესპანელი ფსიქოლოგი უარტე თვლიდა, რომ

თუ ადამიანს აქვს შავი, ხშირი და ხისტი თმა – ის კარგი ჭკუის პატრონია. ხოლო თუ ნაზი, თხელი და რბილი თმა აქვს – ეს მის კარგ მესხიერებაზე მეტყველებს.

იმიჯის გარეგნულ კომპონენტებს შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტანსაცმელსა და აქსესუარებს, აგრეთვე მათ ფერებს. მ. ტეტერის მოღვაწეობის დროს, კონსერვატიული პარტიის ღირებულო კომუნიკაციების სფეროში ბ. ბრიუსი წერდა: “ტანსაცმელს შეუძლია უზარმაზარი ინფორმაცია მოგვაწოდოს მასზე, ვინც მას ატარებს. კლასი, სტატუსი, სტილი, მოდის შეგრძნება, პროფესია, ეროვნება – ყველაფერი ეს შესაძლებელია ტანსაცმლის არჩევით გადმოიცეს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ფერების სწორი შერჩევა, აქ ყურადსაღებია ის, თუ რომელ ქვეყანაში რომელი ფერი რის სიმბოლოდაა მიჩნეული. მაგ. წითელი – გერმანიაში სიყვარულის ფერია, ჩინეთში ბედნიერების ფერად ითვლება, ხოლო ბრაზილიაში კი მეწამული – გლოვის ფერადაა მიჩნეული. თუ თეთრი ფერი ევროპაში უდანაშაულობასთან და სისუფთავესთან ასოცირდება, აღმოსავლეთ აზიაში თეთრი – სამგლოვიარო ფერია.

მნიშვნელოვანია აგრეთვე აქსესუარებიც და ტანსაცმლის ტარების მანერა. მაგ: შეკრული პიჯაკი ნიშნავს იმას, რომ მზად ხართ თავს დაესხათ პარტნიორს. პოლიტიკოსებისათვის აქსესუარებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ, მაგ: მათ უყვართ ეროვნული დროშის ფონზე სიტყვით გამოსვლა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ვიზუალურობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნების აღქმაში და ისეთი მარტივი დეტალიც კი, როგორცაა მაგ. სათვალე, უკვე რაღაცას გვეუბნება მასზე. მაგ: სამედიცინო პროდუქციის რეკლამისას სათვალე მოსაუბრის ავტორიტეტულობას უსვამს ხაზს და ამ ფაქტის აღსანიშნავად სათვალეს ხშირად ისწორებენ კადრში.

არსებობს არავერბალური ქცევის შემუშავებული წესები, რომლის შესახებაც ინტერვიუს ამღები უნდა აფრთხილებდეს ინტერვიუერს. აკრძალულია:

- საუბრისას განუწყვეტლად თავის ქნევა.
- მიკროფონისაკენ არაბუნებრივი დახრა.
- საუბარი საღეჭი რეზინით.
- საუბარი ჩუმად და გაურკვეველად.
- კამერისათვის ზურგის შექცევა.

არავერბალურ კომუნიკაციებში ძალიან მნიშვნელოვანია მიმიკა და უესტიკულაცია. მაგ. პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელი უესტები: ერთმანეთზე დაწობილი ხელები მაგიდაზე, გადაჯვარედინებული თითები ან ერთმანეთზე მიდებული ხელის გულები. I ნიშნავს მოსაუბრეზე ბატონობის უნარს, II – საკუთარ თავში დარწმუნებულობას. III კი გულწრფელობას.

მხრებზე, ზურგზე ხელის თათუნი მიუთითებს მეგობრულ კეთილგანწყობაზე, სიყვარულზე, ინტიმურობის ელემენტზე. ხელის ძლიერი ჩამორთმევა უპირატესობის დემონსტრირებაა, სუსტი კი უგულვებლყოფა. ორმაგი ხელის ჩამორთმევა ღრმა პატივისცემაზე მეტყველებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ტექსტი, მაგრამ გვავიწყდება, რომ უპირველესად ავტორს უნდა მივაქციოთ ყურადღება და შემდეგ ტექსტს.

პოლიტიკოსმა არ უნდა იხმაროს ისეთი გამოთქმები და სიტყვები, როგორებიცაა – “სინამდვილეში”, “სიმართლე გითხრათ” – ეს ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი სხვა სიტუაციებში არ იყო გულახდილი.

კომპანიის იმიჯზე გავლენას ახდენს, მისი ემბლემა ანუ ლოგო. ემბლემა ყველაზე ადვილად დამახსოვრებადია, ანუ ცნობადია იმ შემთხვევაში თუ სწორადაა შერჩეული.

ცხოველების გამოსახულება ითვლება სიმბოლოს ყველაზე ეფექტურ საშუალებად, რადგანაც მათ ხშირად ადამიანურ თვისებებს მიაწერენ. მაგ: ფუტკარი და ჭიანჭველა მიჩნეულია შრომისმოყვარეობის, შეუპოვრობის, შემოქმედებისა და ჯანმრთელობის სიმბოლოდ. ღომი – ასახიერებს უპირატესობას ძალას, ენერგიულობასა და გამარჯვებას. მცენარეები, ჩიტები, ფანტასტიკური არსებები, დრაკონი – ასახიერებენ განწმენდას, იღუმადებას და სიძლიერეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რომელი ბგერებისაგან შედგება კომპანიის სახელწოდება. ფსიქოლინგვისტები ამტკიცებენ, რომ ბგერა “ლ” – აღიქმება როგორც ქალური, კეთილი, რბილი, როგორც “საყვარელი”. “კს” ბგერები – როგორც ცუდი, უხეში, ბოროტი; “ა” – ასოცირდება დარწმუნებულობასთან; “უ” – რაღაც დიდთან; “ჟ” – უარყოფით ემოციებს იწვევს; “ი” – პატარა და უმნიშვნელოსთან ასოცირდება; “ო” – ემოციურად ასუსტებს; “ე” – აღიქმება როგორც დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე.

არსებობს სახელწოდების იმიჯიც კი. ეს უკანასკნელი მიმართულია ობიექტის ყურადღების ცენტრში მოსაქცევად. მაგ: კოკო შანელმა თავის ყველაზე ცნობილ სუნამოს უწოდა “შანელი №5”, რადგანაც მიაჩნდა, რომ ციფრი 5 მაგიურად ჟღერს. არა მარტო ბგერები, არამედ ციფრებიც გარკვეულ ასოციაციებს იწვევენ ადამიანებში.

თუმცა სახელწოდების შერჩევისას მხოლოდ ბგერებისა და ციფრების მნიშვნელობების გათვალისწინება როდია საკმარისი. აუცილებელია იმ ქვეყნის კულტურულ – ეთნიკური ღირებულებისა და ტრადიციების, ფასეულობების ცოდნა, სადაც ჩვენი პროდუქციის ბაზარზე გატანასა და დამკვიდრებას ვაპირებთ.

მაგალითად: ბრაზილიაში გასაყიდად ჩაიტანეს “ფოლკსვაგენის” ახალი მოდელი სახელწოდებით: “პინტო”; რამდენიმე ხნის შემდეგ კომპანიის მესვეურებმა აღმოაჩინეს, რომ მისი გაყიდვების რაოდენობა ნულამდე იყო დასული. საბოლოოდ კი გაირკვა, რომ “პინტო” ბრაზილიური სლენგი იყო და მათ ენაზე მამაკაცის მომცრო სასქესო ორგანოს ნიშნავდა.

ს.ნ. პარკინსონი გვთავაზობს შევისწავლოთ საკუთარი გამოსვლის ვიდეოჩანაწერი: “დააკვირდით სახის გამომეტყველებას, წარბების მოძრაობას, მხრების მიხვრა-მოხვრას, თითის მაღლა აწევას. რომელი იყო ამ უსტებიდან აუცილებელი? რა შთაბეჭდილებას ტოვებს ეს გარდა იმისა, რომ ადამიანს არ შეუძლია წყნარად ჯდომა? იქნებ უსტები თქვენს ხასიათს ხსნიან, მაგრამ გსურდათ კი თქვენი ხასიათის ზუსტად ამ მხარეების გახსნა? გვარწმუნებენ ეს უსტები თუ ჩვენი ყურადღება გადააქვთ? განაპირობებენ კი ისინი გამომეტყველებას თუ უბრალოდ გვაღიზიანებენ?”

ლ. ბრაუნი, რომელიც აშშ-ს ხუთ პრეზიდენტთან მუშაობდა, ამბობს: “ნებისმიერი მამაკაცი, რომელიც ხედება კლიენტებს, თანამშრომლებს, ჭრის მნიშვნელოვან პრობლემებს, ყოველთვის ცადკეული შემთხვევისათვის უნდა არჩევდეს ჰალსტუხს. ამ დეტალს წარმოუდგენლად ბევრი რამის თქმა შეუძლია პიროვნებაზე. ბევრ თანამდებობის პირს, სატელევიზიო ინტერვიუზე მოსვლისას, თან მოაქვს “სატელევიზიო ჰალსტუხები” – ისინი მათ იკეთებენ გადაღების წინ და ისინიან გადაღების დასრულების შემდეგ.

კოსტიუმის მაღალი ხარისხი – ეს თანამოსაუბრისადმი პატივისცემის ნიშანია. ეს PR-ის საერთო პრინციპია, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ციცირონის სიტყვებით გადმოვცეთ: “ადამიანებთან მიმართებაში უნდა გამოვავლინოთ პატივისცემა. მათთან ურთიერთობისას, ჩვენს ქმედებებში უნდა იყოს სხვაობა სამართლიანობასა და პატივისცემას შორის. სამართლიანობის ამოცანაა – არ შეურაცხოს ადამიანები. პატივისცემით მოქცევის ამოცანაა – არ შელახოს მათი თავმოყვარეობა”.

ხმის ტემბრიც არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მაგ. მამაკაცის დაბალი ხმის ტემბრი კინემატოგრაფიაში კლიშედ იქცა და ითვლებოდა სიმამაცის გამოხატულებად. ანდა ავიღოთ აქცენტი. მაგ; “ამერიკის ხმაზე” ცივი ომის მსვლელობის დროს მიზანმიმართულად იწვევდნენ დიქტორებს უცხოური აქცენტით, რამდენადაც ისინი ფსიქოლოგიურად არ აღიქმებოდნენ როგორც მოლაღატენი. აგრეთვე მნიშვნელოვანია სასიამოვნო ხმის ტემბრის ქონა; მაგალითად ანტიკური ეპოქიდან ცნობილია კლეოპატრას არაჩვეულებრივი ხმა, რომლის წყალობითაც მან ცეზარს (და არამარტო მას) თავბრუ დაახვია. ხმა ლიდერის იმიჯის ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორც მისი გარეგნობა და გონებრივი მონაცემები.



აუცილებელია გავითავისოდ, რომ არავერბალური კომუნიკაცია როგორც პოლიტიკოსისთვის ასევე ბიზნესმენისთვისაც ძალზედ საყურადღებო სფეროა. ყოველიშემძლე სახელმწიფო “ჩინოვნიკების” დრო ნელ-ნელა მიდის. ახალი თაობა პირველ რიგში უნდა ირჩევდეს PR-ს.

დასკვნა ასეთია – რომ ვიზუალური არხი ისევე მოითხოვს ყურადღებას და განსაკუთრებულ ორგანიზებას, როგორც ვერბალური. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ის ატაროს ის დანიშნულება რაც მასში ჩადეს PR სპეციალისტებმა. აუდიტორია მიიღებს შეტყობინებას და უკეთესი შედეგი იქნება იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება იქნება წინასწარ დაწერილი და შემოწმებული და არ იქნება შემთხვევითი ხასიათის მატარებელი.

PR ერთდროულად მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც, ამიტომაც მოითხოვს ის პროფესიონალების ახალ თაობას, რომელთაც შეეძლებათ განახორციელონ ფიარ – ქმედებები, როგორც თეორიული ცოდნით, ისე პრაქტიკული ნიჭის გამოყენებით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ხახუტაშვილი, ლ. კაპანაძე- „საზოგადოებასთან ურთიერთობა“. თბილისი, 2003
2. ვ. ჭიაურელი, ს. ლომინაძე, რ. სტრელკოვა- „საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითადი პრინციპები“. თბილისი, 2006.
3. ვ. შუბითიძე, ვ. ბოჭორიძე. საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბილისი, 2006.

## Summary

**Nutsa Javakhishvili**

### **Visual components of image ( Non-verbal communications)**

Image is a method of founding and decoding difficult social reality. It is achieved by modifying information. Image represents visual “Me” of a person or an organization, which is helpful for managing events and selling products.

Visual concept also requires attention and special organization, as verbal does. Only in this case image will be able to be understood with the meaning, that PR specialists meant to. The audience will receive a message and the result will be better if message is written ahead and checked. The message shouldn't be occasional.

## Резюме

**Нуца Джавахიშვილი**

### **Внешние компоненты имиджа (Невербальные коммуникации)**

Имидж это метод зарождения и расшифровки сложной социальной действительности. Его получают посредством обработки информации. Имидж является внешним «Я» организации и личности, помогает людям управлять процессами и сбывать продукцию.

Визуальный канал требует такого же внимания и особенной организации, как и вербальный. Только в этом случае оно несет ту нагрузку которая вложена в нем PR специаоистами. Аудитория примет сообщение проложительно только в том случае если оно заранее будет подготовленно, написано, проверенно и не будет носить случайный характер.

სახელმწიფო მართვა

და

საჯარო პოლიტიკა

**ზურაბ გირგვლიანი  
სახელმწიფო მართვის თეორიები**

არავინ იცის თუ როდის დაიწყო ადამიანმა ფიქრი მართვაზე, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ შემორჩენილი და ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფო მართვის, როგორც საკითხის განხორციელების პირველად ვხვდებით ეგვიპტელების, ბაბილონელების, შუმერებისა და ინდიელების, ასევე ჩინელების მოძღვრებებში.

როგორც მეცნიერება იგი მოგვიანებით ჩამოყალიბდა და ამაში განსაკუთრებული წვლილი ძველ ბერძნებს მიუძღვით, მათ შორის კი გამორჩეული ადგილი ძვის IV ს-ის მოაზროვნესა და ენციკლოპედისტს არისტოტელეს უკავია. სწორედ არისტოტელი გახდა პირველი ვინც სახელმწიფო მართვას მეცნიერული პოზიციიდან განიხილავდა.

არისტოტელე წერდა - “რამდენადაც მეცნიერება სახელმწიფოს შესახებ მეცნიერებათა მონაცემებს იყენებს და გარდა ამისა კანონმდებლობით განსაზღვრავს თუ რა ნაბიჯები გადაიდგას და რისგან თავი შეიკავოს, მაშინ მის მიზანს შეადგენს სხვა მეცნიერებათა მიზნები.”

XX-საუკუნის 80-იან წლებში თანამედროვე სახელმწიფო მართვის მეცნიერება, როგორც ცალკე დამოუკიდებელი პოლიტოლოგიისა და მენეჯმენტის თეორიების გადაკვეთაზე ჩამოყალიბდა. თანამედროვე სახელმწიფო მართვის მეცნიერების საგანია სახელმწიფო ორგანიზაციის ზოგადი თეორიების შემუშავება, სახელმწიფო მოხელეთა საშტატო შემადგენლობის ოპტიმალური სტრუქტურის, პერსონალის მართვის, პოლიტიკური პროგნოზირების, გადაწყვეტილებების მიღების შემუშავებისა თუ კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფო მართვის საკითხების შესწავლა.

როგორც ზემოთ ავლინებთ არავინ უწყის თუ როდის დაიწყო ადამიანმა ფიქრი მართვაზე, მაგრამ ერთი რამ უდაოა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ხალხების მოძღვრებებში ვხვდებით ჩვენ პირველად სახელმწიფო მართვის საკითხების განხორციელებას.

მოკლედ შევეხოს არისტოტელეს პერიოდს და მის წვლილს მართვის, როგორც მეცნიერების განვითარებაში. ასევე დავამატებდი

რომ არისტოტელის თანახმად, დემოკრატიული მართვის საწინააღმდეგო ფორმა ტირანიაა. ტირანულ მართვის დროს მოქალაქეები ერთმანეთს არ ენდობიან, მოქმედების უნარი აქვთ წართმეულ და სულმდაბლნი არიან. ტირანს-წერს არისტოტელე: “არასდროს არ უყვარს არც ღირსეული და არც თავისუფალი

ადამიანი, რადგან ამ თვისებების მქონე ტირანი მარტო თავის თავს თვლის. ტირანები ცდილობენ მოახდინონ მოქალაქეთა პარალიზება, რადგან უუნაროს არაფერი არ შეუძლია. ყველაფერი ეს ახასიათებს და იცავს ძალაუფლებას ტირანისას, რომელსაც არავითარი ბოროტება არ აკლია.

აღსანიშნავია აუცილებლად რომ ძალიან დიდ ინტერესს იწვევს ძველი ეგვიპტის V სამეფო დინასტიის (ძვ.წ. III ათას წლეული) მაღალ ჩინოსნის (ვეზირის) პრაქტიკის “სწავლება,” ნაწარმოებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფო მართვის საკითხებს. იგი ახასიათებს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების იმ მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებაში იდეალური წყობების ჩამოყალიბებას.

პრაქტიკის, მიხედვით, იდეალურ საზოგადოებაში, სახელმწიფოს მხოლოდ კეთილშობილნი უნდა მართავდნენ. მმართველი პატივს უნდა სცემდეს წინაპართა მიერ დადგენილ კანონებს, გამოირჩეოდეს სამართლიანობითა და სიუხვით, დახმარებას უწევდეს ქვეშევრდომებს.

უნდა ითქვას რომ პრაქტიკის “სწავლება” ქვეყნის მმართველის გარდა ეხება სახელმწიფოს სხვა უმაღლეს მოხელეებსაც. კერძოდ კი მმართველის მრჩეველებსაც. მისი მტკიცებით მმართველის მრჩეველი უნდა იყოს კეთილშობილი დინჯი და წინასწარ მერყველი.

ასევე სახელმწიფო მართვის თეორიის ზოგიერთი საკითხი არის განხილული ბაბილონის ძღვეამოსილი მეფის ჰამურაბის კანონებში. კანონები საერთოდ 3 ნაწილად არის დაყოფილი და ის საკითხები რაზეც ჩვენ ვხვდებით ვსაუბრობთ მოცემულია კანონების 2-ე ნაწილში და მის თანახმად სახელმწიფოსა და ადამიანების ბედს ღმერთები განაგებენ ყველაზე ძლიერი ამქვეყნიური ძალა კი სამეფო ხელისუფლებაა, რომლებიც ღმერთებმა შექმნეს.

შესაბამისად ღმერთები ნიშნავდნენ მეფეს და მეფის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ქვეშევრდომთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა; ქვეყნის მორჩილებაში მოყვან. ჰამურაბის მტკიცებით, ასეთი კი იყო თეითონ, რომელმაც “დაამყარა ქვეყნად ჭეშმარიტი ბედნიერება და კეთილი მართველობა”. სახელმწიფო მართვის თეორიის საკითხებს ასევე მნიშვნელოვნად დიდი ადგილი ეთმობა ძველ ინდურ კანონებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ე.წ. “მანუს კანონები”. ტრადიციის თანახმად მანუს კანონები შედგენილია კაცობრიობის შორეული წინაპრის მანუს მიერ. ჩვენამდე მოღწეული მანუს კანონები ძვ.წ. II ას. II წ-ით თარიღდება.

მანუს კანონები იცნობს სახელმწიფოს 2 ფორმას:

მონარქიას და რესპუბლიკას. მთელი სახელმწიფო შედგება სახლების და ქალაქებისგან. მანუს კანონის თანახმად ქვეყნის სათავეში დგას მეფე, რომელიც უნდა იყოს მამაცი, განათლებული

და მართვის ხელშეწყობას ვფლობდეს. კანონმდებლის აზრით, მეფე რომელიც ბოროტად იყენებს ხელისუფლებას მკაცრად უნდა დაისჯოს.

ასევე არ შეიძლება ხაზი არ გაესვას და არ აღინიშნოს ის რომ სახელმწიფოს საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ძვ. წინეთშიც მაგ.: დიდი წინელი მოაზროვნის კონფუციუსის პოლიტიკურ მოღვაწეობაში სათანადო ადგილი უკავია სახელმწიფო მართვის განხორციელების აქტიურ საკითხებს. კონფუციუსის შეხედულებებით სახელმწიფო ღვთაებრივი წარმოშობისაა, ღმერთის ნებით ადამიანებს მწყემსებად მოევლინენ ამ ქვეყნიური მმართველები. მისი აზრით, როცა სახელმწიფო მართვა აქტიური ნების შესაბამისად ხორციელდება ქვეყანაში სრული წესრიგი სუფევს. მაგრამ საკმარისია მმართველმა ყური არ უგდოს ზეციური ძალების კარნახს და თვითნებურად დაიწყონ ქვეყნის მართვა, რომ საზოგადოებაში ქაოსი გამეფდეს.

აღსანიშნავია რომ სახელმწიფოს მრავალმხრივი საქმიანობიდან კონფუციუსი სამ ძირითად მხარეს გამოყოფს; მატერიალური დოვლათის შექმნა, შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება და მთავრობისადმი ხალხის ერთგულების უზრუნველყოფა. ამ მხარეებიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხალხის ერთგულების უზრუნველყოფას, ვინაიდან მისი სიტყვით “ხალხის ნდობის გარეშე მთავრობას არ შეუძლია არსებობა”.

როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნე, სახელმწიფო მართვის თეორიებს სრულყოფაში დიდი როლი ძველ საბერძნეთის ფილოსოფოსებმა შეასრულეს. არისტოტელეზე უკვე მოკლეთ ვსაუბრობთ, რაც შეეხება სოკრატეს უნდა ითქვას, რომ სოკრატეს არცერთ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი მოძღვრებები არის დაცული მისივე მოწაფეების ქსენოფონტის და პლატონის ნაშრომებში.

სოკრატეს აზრით ქვეყნის მმართველი უნდა იყოს ის ვინც მცოდნეა. სახელმწიფომ პირობა უნდა შექმნას მოქალაქის ბედნიერებისთვის, ხოლო ბედნიერების მოტანა შეუძლია ისევ და ისევ მცოდნეს. სწორედ ამიტომ ილაშქრება სოკრატე დემურადის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ.

სოკრატეს, რომ სახელმწიფოს კარგად მართვა და სამართლიანად მართვა ექვივალენტურ ცნებებად მიაჩნია ამის საიდეოტრადიციოდ სოკრატესე და მანონის დიალოგი გამოდგება, როცა სოკრატე მიმართავს მას: “როგორ განა შენ არ ამბობდი, კაცის სიძლიერე სახელმწიფოს უნარიანად მართვაა, ხოლო ქალისა – ოჯახის გაძლიერება? განა შეიძლება უნარიდან მართავდეს სახელმწიფოს თუ გონივრულად და სამართლიანად არ მართავს მას?”

სახელმწიფო მართვის საკითხები გაშუქებულია ასევე რომელიც ისტორიკოსების, ფილოსოფოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა თხზულებებში. სახელმწიფო მართვისა და მმართველობის შესახებ მსჯელობს დიდი რომელიც ორატორი და სახელმწიფო მოღვაწე მარკუს ტუილიუს ციცირონი. აღსანიშნავია რომ ციცირონის მოღვაწეობა დაემთხვა რომის ისტორიის იმ რთულ პერიოდს, როდესაც ხდებოდა მნიშვნელოვანი ძვრები რომაული საზოგადოების სოციალურ – პოლიტიკურ სფეროში.

ციცირონი შესანიშნავი ორატორი იყო და მან სწორედ თავისი მჭერმეტყველობით მიიპყრო რომელიც საზოგადოების ყურადღება. მისი აზრით ჭერმეტყველება მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკასთან და ამდენად ორატორს მოეთხოვება იყოს განათლებული მაღალი კულტურული პიროვნება. ორატორი – ციცირონის თანახმად სახელმწიფო მოღვაწეა და არა სასამართლოს ჩხირკედელია.

საინტერესოა ციცირონის მოსაზრება სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების მათი მართვის შესახებ. ციცირონი წერდა: ჩვენი წინაპრები არასდროს ისე კეთილგონიერი და ღმერთთაგან დაბრძენებულნი არ ყოფილან, როგორც მაშინ, როდესაც გადაწყვიტეს, რომ ერთიდაიგივე პირები რელიგიასაც უნდა განაგებდნენ და რესპუბლიკასაც უნდა მართავდნენ.

ამრიგად აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სასულიერო პირები საერთო ძალებით იცავდნენ სახელმწიფოს.

მაშასადამე ასეთია ძალიან მოკლე მიმოხილვა სახელმწიფო მართვის აზროვნების ჩამოყალიბებისა და შემდგომ მისი ისტორიული განვითარებისა კერძოდ (ძვ.წ. III ათასწლეულიდან ახ.წ. III ს-მდე). აღსანიშნავია, რომ ამ ხანგრძლივი მონაკვეთის მანძილზე მრავალი მოსაზრება და ნააზრევი წარმოჩინდა მართვის შესახებ.

თვით მართვა გარემომცველი სამყაროს უნივერსალური და არსებითი ელემენტია მართვა საერთოდ გულისხმობს სახელმწიფოს მიზან მიმართულ ზემოქმედებას იმ ობიექტზე, რომლებიც მართვას ექვემდებარებიან, მართვის ყველა მიზნის მიღწევა რათქმუნდა შეუძლებელია ამიტომაც არის რომ მის წინაშე მხოლოდ რეალური მიზნები უნდა დაისახოს და შესაბამისად მართვა რეზულტატური უნდა იყოს

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა რომ დასავლეთია დემოკრატიულ ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მართვის სწავლებას. 1887წ. პროფესორმა ვ. ვილსონმა სათავე დაუდო ადმინისტრაციულ – სახელმწიფოებრივი მართვის თეორიულ კვლევას თავის ნაშრომში “ადმინისტრაციების შესწავლა” ვილსონმა შეიმუშავა “ადმინისტრაციული ეფექტურობის მოდელი”. მან წამოაყენა იდეა გამოყენებისათვის სახელმწიფო მართვაში ბიზნესში არსებული ორგანიზაციისა და მართვის მეთოდები. მან

ასევე აღნიშნა მაღალი პროფესიონალიზმის აუცილებლობა სახელმწიფო მართვაში. იგი ასევე აღნიშნავდა რომ ადმინისტრირების მეცნიერება უნდა ეძიოს მთავრობის მოღვაწეობის გზები და საშვალეები. მან უნდა შეამსუბუქოს მისი მუშაობის სიმძიმე და მართვის ორგანიზაცია წესრიგში მოიყვანოს.

ვ. ვილსონის იდეებს იზიარებდა ამერიკელი პოლიტოლოგი ფრენკ გუდუნაუ. ისინი მიიღწეოდნენ შექმუშაებინათ ბიუროკრატის მოდელი, რომელიც იმუშავებდა დემოკრატიული საზოგადოების ჩარჩოებში.

გუდუნაუსა და ვილსონის იდეების გავლენის ქვეშ წამყვანი ადგილი სახელმწიფო მართვის თეორიაში მაშინვე დაიკავეს მეცნიერული მართვის საკითხებმა, ანუ მენეჯმენტმა, რომელიც არარის დამოკიდებული პოლიტიკურ იდეოლოგიაზე.

პირველი მეცნიერი რომელმაც შემოგვთავაზა სისტემური ანალიზი სახელმწიფო ბიუროკრატის და ბიუროკრატებისა, იყო გერმანელი სოციოლოგი მაქს ველებრი. მისი კლასიკური გამოკვლევა “მეურნეობა და საზოგადოება” იძლევა საფუძველს სახელმწიფო მართვის თანამედროვე შესწავლისა. ვებერმა ახსნა ის ძირითადი განსხვავებები, რაც უნდა არსებობდეს “ჩინოვნიკსა” და პოლიტიკოსს შორის, იგი იდეალურად თვლიდა სახელმწიფო მართვას აგებულს მკაცრ ბიუროკრატიულ პრინციპებზე.

ბევრი თანამედროვე მკვლევარი თვლის, მ. ვებერის, ვ. ვინსონის, ფ. გუდუნაუს ნაშრომების გამოჩენა შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო მართვის თეორიის როგორც დამოუკიდებელი მიმართულების პირველი ეტაპის დაწყებად.

სახელმწიფო მართვას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას კვლევის საკუთარი თეორია და მეთოდოლოგია გააჩნია. სახელმწიფო მართვის თანამედროვე თეორია ეს არის მეცნიერებათა სინთეზი რომელიც მის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის ზოგადდისციპლინებული მეცნიერებაა, რომელიც პოლიტოლოგიისა და მენეჯმენტის თეორიების მიჯნაზე აღმოცენდა. შემდგომში მრავლად იქნა გამოყენებული ისეთი სოციალური მეცნიერების მიღწევები, როგორცაა ფსიქოლოგია, ფილოსოფია და სოციოლოგია.

პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, კონფლიქტოლოგიის, ფსიქოლოგიის ეკონომიკის მეცნიერებათა ინფორმაციები სახელმწიფო მართვის თეორიისათვის სავალდებულოა, მაგრამ ეს მეცნიერებანი სახელმწიფო მართვის თეორიის საგანს არ წარმოადგენენ.

სახელმწიფო მართვის მეცნიერება შედარებით ეფრო ახლოს ადმინისტრაციულ სამართალთა დგას, რადგან ორივე მათგანი სახელმწიფო ადმინისტრირების პრობლემებს სწავლობს. მაგრამ სახელმწიფო მართვის თეორიის ამოცანა ადმინისტრაციულ სფეროში



ობიექტურად არსებული კანონზომიერების გამოვლენა და ოპტიმალური რეკომენდაციების ჩამოყალიბებაა.

დღეისათვის შეიძლება გამოიყოს რამდენიმე პრობლემა, რომლებიც ადმინისტრაციული – სახელმწიფოებრივი თეორიის კვლევა – ძიების ძირითად სფეროს შეადგენს.

პირველი ესაა სახელმწიფო მართვია ორგანიზაციის პრობლემა, რომელიც ძირითადად ნაციონალური რეგიონული და ადგილობრივი მართვის სისტემას მოიცავს. ასევე ეკუთვნის სახელმწიფო აპარატის ფუნქციები და კოორდინაცია.

მეორე პრობლემაა მართვის კადრების მომზადება. ამ სფეროში შეისწავლება სახელმწიფო აპარატის მოხელეთა საშტატო შემადგენლობის ოპტიმალური სტრუქტურის, პერსონალის მართვისა და სახელმწიფო მოხელეთა პროფესიონალიზმის საკითხები.

მესამე პრობლემა სახელმწიფო ადმინისტრირების საკითხებთანაა დაკავშირებული. ეს პრობლემებია სახელმწიფო გადაწყვეტილების შემუშავების პროცედურა. პოლიტიკური პროგნოზირება სახელმწიფო მართვის მეთოდების შემუშავება კრიზისულ და კონფლიქტურ სიტუაციებში სახელმწიფო ადმინისტრაციის და მასობრივი ინფორმაციების საშუალებების ურთიერთობების ტექნოლოგიური პროცესები.

სახელმწიფო მართვის თეორიის კვლევა-ძიების მექანიზმები შეიცავენ სამეცნიერო კვლევის ყველა იმ ძირითად პრინციპებს, როგორცაა ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, შედარება, შეჯამება.

სახელმწიფო მართვის კვლევისას ფართოდ გამოიყენება ისტორიული მეთოდი, რომელიც ისტორიული ცნობებით სახელმწიფო მართვის ტენდენციების გამოვლენა ხდება. მეტნაკლებად გამოიყენება, ასევე კონსტრუქციულ – სოციოლოგიური მეთოდები, სოციალურ – რაოდენობრივი, სამართლებრივი და ინიტაციის მეთოდები.

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი და ამავე დროს მეტად პერსპექტიული მიმართულებაა უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო მართვის აზროვნება, ხოლო თვით სახელმწიფო მართვის მეცნიერება მზარდი მეცნიერებაა, რომლის თეორიები და მეთოდოლოგიები გამუდმებით იხვეწება და ვითარდება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. არისტოტელე, პოლიტიკა. თარგმანი ძველი ბერძნულიდან შესავალი წერილი და შენიშვნები თამარ კუკავასი I და II თბ.1995-1996 წწ.
2. თემურ თოდუა, შოთა დოლონაძე. „სახელმწიფო მართვის თეორია და მეთოდოლოგია“, „ხელისუფლება და საზოგადოება“, № 1, 2007
3. თემურ თოდუა. „სახელმწიფო მართვის აზროვნების ისტორიიდან („კლასიკური“ თეორიები)“. „ხელისუფლება და საზოგადოება“. № 1, 2006
4. Пикулкин А. Система Государственного Управления . : М. 2001,

### Summary

#### Zurab Girgvliani

#### Public Administration

As it is indicated in this text, the human being began thinking about the public administration since the ancient time and since this time the opinions about public administration have been changing together with the development of society.

There were expressed many original considerations, conceptions which undoubtedly played a big role in the development of thinking about public administration in the subsequent period. It is so until today, the opinions and the approaches are constantly changing on the issue about what type the public administration should be and by which methods it should be carried out.

In my opinion, exactly this dynamic process is the most important for the further development of the functions, methods and generally process of public administration.

### Резюме

#### Зураб Гиргвлиანი

#### Теория государственного управления

Как это отмечено в настоящем тексте, размышления об управлении человек начал с незапамятных времён и с тех пор в месте с развитием общества менялись и взгляды о государственном управлении.

Были высказаны много оригинальных взглядов, концепций, которые несомненно сыграли большую роль в мышлении о государственном управлении в последующий период и до сих пор так идёт, постоянно меняются мысли и взгляды о том, какое должно быть и по каким методам должно осуществляться государственное управление.

По моему, этот динамический процесс и есть самый значительный в дальнейшем развитии функций, методов и в общем процесса государственного управления.

**ნინო მურდულია,  
საუკეთესო განათლების სისტემა  
მსოფლიოში – რას ესწავლობთ ფინური  
გამოცდილებიდან**

მსოფლიოში ყველაზე წარმატებული განათლების სისტემა არც მეტი არც ნაკლები ფინელებს აქვთ. ანალიზი აჩვენებს, რომ ფინეთის წარმატება განათლების სისტემაში განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით. პირველი, ობიექტური სოციოკულტურული წინაპირობებითა (გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ისტორიული) და შიდასასკოლო გარემოებებით, ანუ სასკოლო სისტემის თავისებურებებით. ეს კი განათლების სისტემის მართებული და ეფექტური რეფორმირების შედეგია, რეფორმებისა, რომლებიც მიზანმიმართულად ტარდება გასული ათწლეულის მიმდინარეობისას. ეს გარდასახვა უნდა განვიხილოთ უფრო საზოგადოების ფართო ტრანსფორმაციის ფონზე, რომელიც დამყარებული გახლავთ კონცეფციაზე – „სახელმწიფოს კეთილდღეობა“. ფინური სახელმწიფოს განათლების სისტემას ვერ გავიგებთ, თუკი მას ამოვადგებთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონტექსტიდან. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ფინური განათლების სისტემა დაკავშირებულია შევდურთან. შევდეთი არის ქვეყანა, რომელსაც ასევე შესანიშნავი რეზულტატები აქვს განათლების სისტემის რეფორმირების შედეგად. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, განვიხილოთ პარალელებიც მოვიყვანოთ შევდური განათლების სისტემიდან.

**ფინური განათლების სისტემის გარკვეული თავისებურებანი**

ფინეთში ბავშვები ვალდებული არიან, 7 წლიდან სკოლაში სიარული დაიწყონ. სურვილისამებრ, მშობლებს აქვთ საშუალება, მიიყვანონ შვილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სადაც ფუნქციონირებს მოსამზადებელი კურსი. 2000 წლის სკოლამდელი დაწესებულებების რეფორმირების შედეგად, ადგილობრივი ჩინოსნები ვალდებული არიან, გამონახონ ადგილი ყველა მსურველისთვის. რაც შეეხება თავად სკოლაში სწავლას – არის რამდენიმე ფორმა. 1. დაბალი ეტაპი – გრძელდება ექვსი წლის განმავლობაში. ასეთი უმცროსი სკოლა მთელი ქვეყნის მასშტაბით 3000-მდეა. ყველა საგანს, უცხო ენის გარდა, ასწავლის ერთი პედაგოგი. 2. სამწლიანი „უფროსი სკოლა“. ქვეყნის მასშტაბით 600-მდეა. აქ უკვე საგნებს სხვადასხვა პედაგოგები ასწავლიან.

სკოლის ეს ორი ფორმა ინსტიტუციონალურად გაყოფილია. ერთ ჭერქვეშ განლაგებული შეიძლება, შეგხვდეთ მხოლოდ მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, ისიც ძალიან იშვიათად. ისე იშვიათად, რომ

სტატისტიკაშიც არ ხვდება. ორივეს ერთად ეძახიან „პერუსკოულუს“, რაც „ძირითად სკოლას“ ნიშნავს. იგივე სიტყვა გერმანულად ითარგმნება, როგორც ზოგადო სკოლა, ხოლო რუსულად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, თუმცა ჩამოთვლილ ქვეყნებში განათლების სისტემა საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, გერმანიაში ზოგად სკოლაში სწავლობენ 5-დან 13-წლამდე მოზარდები, რომლებიც სუსტები არიან და ვერ მოახერხეს გიმნაზიასა თუ რეალურ სკოლაში მოხვედრა. პერუსკოულუ მოიცავს პირველიდან ცხრა კლასს და აბსოლუტურად ყველა მსურველს იღებს. ამას გარდა, გერმანულ სკოლას ჰყავს 1000 მოსწავლე და 100 მასწავლებელი, რაც ფინეთის განათლების სისტემის ხედვით, ბარბაროსობაა. მოკლედ, ზემოხსენებული პირდაპირი თარგმანი სულაც არ ასახავს ფინური ზოგადი სკოლის არსს, რაც ჩვენ უკვე გასაგებად ვთქვით. რაც შეეხება რუსულ განათლების სისტემას, აქ პარალელების გავლება ფინურთან უფრო დიდ სიძველესთან არის დაკავშირებული, რუსებს კი აქვთ უმცროსი, საშუალო და უფროსი სკოლები, მაგრამ ფინური უმცროსი სკოლა, როგორც აღვნიშნეთ, ყველასგან განსხვავებულია. ის პირველიდან მეექვსე კლასს მოიცავს და არა მხოლოდ უფრო მეტად გახანგრძლივებულია, ვიდრე რუსებისა, არამედ სწავლების აბსოლუტურად დამოუკიდებელი და გამოყოფილი ეტაპია. რაც შეეხება სკოლის მესამე ფორმას, მას „ლუკიო“ ჰქვია და ფინეთში 400-მდე ფუნქციონირებს. ლუკიოს არ აქვს კლასები, სკოლა მუშაობს კურსების სისტემით. მოსწავლეთა ერთუზიანობის, კარგად სწავლის სურვილისა და ნიჭიერების შესაბამისად, სწავლა შეიძლება, გაგრძელდეს 2-დან 4 წლამდე. საშუალო ქულა არის გადამწყვეტი მათთვის, ვინც განათლების მიღებას უნივერსიტეტში გადაწყვეტს. გამოსაშვებ გამოცდას ცენტრალიზებული ხასიათი აქვს. გამოცდაზე მოსწავლეები ასრულებენ იმ დავალებებს, რასაც ცენტრალური ინსტიტუტიდან იღებენ. ზემოხსენებული ინსტიტუტი ამოწმებს ნაშრომებს და წერს ნიშნებს. მასწავლებლებს ამ პროცესთან არანაირი შეხება არ აქვთ. თავად გამოცდა არ აძლევს მოსწავლეს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას. თუკი მოწაფეს კარგი საშუალო ქულა აქვს, მას თვალსაუფლად შეუძლია, გააკეთოს განაცხადი უნივერსიტეტში სწავლაზე. როგორი იქნება შედეგი, ამას მიძღები კომისია წყვეტს.

ფინეთში მთლიანობაში 4000-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებს, ყოველ შემოდგომას ისინი იღებენ დაახლოებით 60000 ახალ მოსწავლეს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ისწავლება ორი ენა, ფინური და შვედური, ეს უკანასკნელი ფინეთში ფართოდ არის გავრცელებული. გარდა ამისა, ისწავლება მათემატიკა, გეოგრაფია, ქიმია, ისტორია და ა.შ. მოსწავლეებს აქვთ საშუალება, იარონ მათთვის საინტერესო კურსებზე საკუთარი შერჩევით.

### სოციალურული პირობები, როგორც წარმატების ფაქტორი

ბევრს მიაჩნია, რომ ფინეთის წარმატებული განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი სოციალურულმა და გეოგრაფიულმა ფაქტორმა ითამაშა.

ფინეთში არის ხანგრძლივი, ცივი და ბნელი ზამთარი. ამის გამო ამ ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა წიგნის კითხვის ტრადიცია, რომელსაც სხვა ევროპულ ქვეყნებში ანალოგი არ აქვს. მეოცე საუკუნის დასაწყისში წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი ფინეთში მთელ მსოფლიოში ყველაზე დაბალი 3.8 პროცენტი გახლდათ. აქ უბრალოდ, უფრო მეტს კითხულობენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. კითხვა, როგორც დიდი ფასეულობა, მაშინდან შეიქმნა გადაეცემა.

ფინურ ენას გამორჩეული თავისებურებანი ახასიათებს. ფინური ორთოგრაფია ფონეტიკას ზუსტად შეესაბამება, ანუ ისევე, როგორც ქართულში (რითაც ჩვენ ძალიან ვამაყობთ), რაც იწერება, ის იკითხება და პირიქით. ყველა ასოს შეესატყვისება ერთი გამოთქმა და არ შეიძლება, ერთ შემთხვევაში სხვანაირად იკითხებოდეს და მეორე შემთხვევაში სხვანაირად. თხუთმეტი წლის ყმაწვილს უკვე ხელს აღარ უშლის ასეთი დეტალები, მაგრამ როცა დაწყებით სკოლაში სწავლობს, მცირეწლოვან ბავშვს ბევრად ეადვილება წერა-კითხვის შესწავლა, როცა ყველა ასო ისე იკითხება, როგორც იწერება.

კიდევ ერთი საინტერესო წინაპირობა – ფინეთში უცხოური ტელევიზიების მრავალფეროვნებაა. როგორც წესი, ქვეყანაში არ არის უცხოური გადაცემებისა და ფილმების სინქრონული თარგმანის ტრადიცია, ყველაფერი ტიტრებში იწერება. მათ, ვინც წიგნს ნაკლებად ეტანებიან და ტელევიზორს უფრო მეტად უყურებენ, აქვთ საშუალება, ყოველდღიურად გაიწვრთნან სწრაფ კითხვაში, რომელიც მიმართულია წაკითხულიდან ასევე სწრაფად აზრის გამოტანისკენ. ტელევიზორის ყურება ყველას უნდა, თან ამას კარგი შედეგიც მოაქვს.

მთლიანობაში ფინეთში სოციალური დიფერენციაცია თითქმის არ არის. მაგალითად, ისეთი დაყოფა ღარიბებად და შეძლებულებად, როგორც ეს სხვა ევროპულ ქვეყნებშია (სხვათა შორის, დამოუკიდებლობა ფინეთმა მხოლოდ 1917 წელს მოიპოვა). კლასის უდიდესი ნაწილი თითქმის თანაბარ სოციალურ მდგომარეობაშია. რასაკვირველია, ფინეთში არიან პრესტიჟული პროფესიის წარმომადგენლები, ექიმები, მეცნიერები, იურისტები და მეორე მხრივ დარაჯები, მეწაღეები, მძღოლები. მიუხედავად ამისა, ისეთი სოციალური ფენა, როგორც პროლეტარიატი, არ არსებობს. ყველა მასწავლებელი მეტ-ნაკლებად დარწმუნებულია იმაში, რომ ღირებულებები, რომელსაც მისი ყველა მოსწავლე „დედის რძიდან“ იღებს, საერთოა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფინელი ბავშვები დიდიდან სადამომდე ისე წესიერად იქცევიან, რომ არაფერს აშავებენ და მათ ქცევასთან დაკავშირებით ოჯახსა და სკოლას არანაირი პრობლემები არ აქვთ,

მაგრამ არც ერთ მასწავლებელს ფინეთში საქმე არ აქვს კლასთან, სადაც ისეთი ერთმანეთისგან მენტალიტეტით ისეთი განსხვავებული მოწაფეები შეიკრიბებიან, როგორ გერმანიაში, რუსეთსა და საქართველოშია. ეს ფაქტორი არსებითად ახდენს ზეგავლენას ფინური განათლების სისტემის წარმატებაზე, თუმცა ეს თავისებურება ძირითადად ფინეთის შიდა რეგიონებისთვის არის დამახასიათებელი. ის მასწავლებლები, რომლებიც დიდი ქალაქებიდან ქვეყნის შიდა რეგიონებში გადავიდნენ საცხოვრებლად და სამუშაოდ, დაუსრულებლად იმეორებენ, „რა კარგია აქ მუშაობა, რა იდეალური პირობებია!“. რასაკვირველია, ფინელები ამას ხაზს არ უსვამენ და მთლიანი შედეგებით ამაყოფენ, თუმცა არასწორი იქნებოდა, მხოლოდ ზემოთხამოთვლილი ფაქტორებისთვის „დაგვებრალებინა“ მათი წარმატებები ამ სფეროში. ამას ადასტურებს მრავალი საერთაშორისო გამოკვლევა განათლების ხარისხის დასადგენად, რომელშიც ფინეთს აქვს მონაწილეობა მიღებული. გარდა ამისა, განათლების ხარისხის კვლევა ქვეყნის შიგნითაც რეგულარულად ტარდება. მაგალითად, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების გამოკვლევის თანახმად, რომელიც მათემატიკურ მიღწევებთან დაკავშირებით ჩატარდა, გამოირკვა, რომ ფინეთს საკმაოდ დაბალი საფეხური ეკავა. იმავე კვლევამ 1981 წელს აჩვენა, რომ შედეგები ამ მხრივ საშუალო დონეზე არსებითად მეტი იყო. ანალოგიური რეზულტატი აჩვენა გამოკვლეული 38 ქვეყნიდან მხოლოდ ექვსმა ფინეთის ჩათვლით. ამგვარი დინამიკა შეინიშნება სხვა მანქანებლებთან დაკავშირებითაც. აქედან გამომდინარე, სოციოკულტურული ფაქტორები კი თამაშობს დიდ როლს, მაგრამ რეფორმირების გარეშე მაინც არაფერი გამოვიდოდა. საქმე სწორედ წარმართულ რეფორმებშია.

### **საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. „სახელმწიფოს კეთილდღეობის“ კონცეფცია**

ფინური განათლების სისტემა, რასაკვირველია, თავიდანვე ისეთი არ ყოფილა, როგორც ჩვენ მიმოხილვის დასაწყისში ვისუბრეთ. ის არის შედეგი იმ რეფორმებისა, რომელიც მთლიანად აგებულია „სახელმწიფოს კეთილდღეობის“ კონცეფციაზე. ეს გახლავთ საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოდელი, რომელიც ფინეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 60-70-იან წლებში მიიღეს. ეს იყო მთელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების მიზანმიმართული და ღრმა სტრუქტურული ცვლილებების დასაწყისი. განათლების სისტემის რეფორმა საზოგადოების განვითარების ცენტრალური პროექტის დერძი გახლდათ. აი, სწორედ ამიტომ არის შეუძლებელი, ფინური განათლების სისტემის განხილვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისგან მოწყვეტილად.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ 70-იან წლებამდე ფინეთი არსებითად აგრარული ქვეყანა გახლდათ. მოსახლეობის 35

პროცენტი აგრარულ სექტორში მუშაობდა და რასაკვირველია, ფლობდა იმ პროფესიებს, რომელიც ამ კუთხით სჭირდებოდა. ძალიან ფართოდ იყო მიღებული მამიდან შვილზე პროფესიისა და საქმის გადაცემის ტრადიცია. განათლების სისტემა სწორედ ამაზე იყო მორგებული, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ადრე ერთვებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, უმაღლესი განათლების მიღებით სულაც არ იყო დაინტერესებული. ძირითადად, ფინელები ამთავრებდნენ საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებას, „კანზაკოლულუს“, რომელიც შვიდწლიანი გახლდათ. სრულ სკოლაში, რომელიც გიმნაზიაში ჩაბარების უფლებას აძლევდათ, ძალიან ცოტა თუ მიდიოდა. თუკი ვინმე ამ გზას ირჩევდა, უნდა გამოთხოვებოდა საოჯახო ტრადიციებს პროფესიის კუთხით. აქედან გამომდინარე, დიდი ცვლილებების დაწყებამდე განათლების სისტემა ხალხზე იყო მორგებული, იმ ტრადიციებზე, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა ქვეყანაში. ის არ იყო მიმართული საზოგადოების განვითარებაზე. ასეთი მიმართულების ფინალი საკმაოდ დრამატული გამოდგა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზედმეტი რაოდენობით წარმოების შედეგად საკმაოდ მტკივნეული პოლიტიკური გადაწყვეტილების დრო დადგა – მთელი ქვეყნის მასშტაბით მცირე სასოფლო ცენტრების ლიკვიდაცია მოახდინეს. ამის გამო 60-იანი წლების ბოლოს 300000-ზე მეტმა ფინელმა იძულებით დატოვა თავისი სამშობლო უკეთესი ბედის საძიებლად. რასაკვირველია, ეს არ იყო საუკეთესო პერსპექტივა იმ ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობა 4.5 მილიონს შეადგენდა. დიდი ცვლილებები გარდაუვალი იყო. საზოგადოების განვითარების ახალი კონცეფციისა და სტრუქტურის მთლიანად შეცვლა სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანა გახდა. ერის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად ჩამოყალიბდა „სახელმწიფოს კეთილდღეობის“ კონცეფცია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოდელი, რომელიც ფინეთსა და შვედეთში შემუშავდა, არსებითად განსხვავდება ამავე სახელწოდების მოდელისგან, რომელიც სხვა ქვეყნებში არსებობს. ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ, თუ რატომ გახდა ფინური მოდელის ქვაკუთხედი განათლების სისტემა. „სახელმწიფოს კეთილდღეობის“ მოდელს სახელმწიფოს პოლიტიკის შემადგენელი სამი ძირითადი ელემენტი განსაზღვრავს.

1. ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა
2. მოქალაქეთა სოციალური უფლებები
3. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული მოქალაქეთა კეთილდღეობა

ამ მოდელის მარილი არის ამ სამი ფაქტორის ურთიერთკავშირის დანახვა და მისი ეფექტური გამოყენება. სოციალური თანასწორობა, წარმოების მუშაობა, მატერიალური კეთილდღეობა, დემოკრატიული წყობილება იდეოლოგიურად დაუკავშირდა ერთმანეთს. გამოდიოდა, რომ ადამიანთა თანასწორობა და სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ

ეკონომიკური ეფექტურობის გაძლიერების უპირველესი საშუალება იყო, მაგრამ ამასთანავე ისინი წარმოადგენდა მიზნებს, რომელთა მისაღწევად ეკონომიკური ზრდა იყო საჭირო. ამ იდეების პრაქტიკული განხორციელება ნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს, რეფორმების კუთხით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს არის პენსიებისა და დაზღვევის სისტემა, ფული და აღზრდა, მოხუცებისა და ინვალიდების მოვლა, უმუშევრების დახმარება, სტიპენდიები... აქვე შედიოდა ყველა მოქალაქის თანასწორი უფლება სრულფასოვანი განათლების მიღებაზე, ანუ მდგომარეობა, რომლიდანაც გამომდინარეობდა სკოლის რეფორმის მთლიანი კონცეფცია.

ძირითადი კითხვა ის კი არ იყო, რა ფული დასჭირდება ამ რეფორმას, არამედ რამდენის ჩადება იყო საჭირო სახელმწიფოს მხრიდან მისი განხორციელებისთვის. ის, რაზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ, განპირობებული იყო მოსახლეობაში გავრცელებული საერთო იდეით. ფინეთში ხალხსა და ხელისუფლებას არ ჰქონდა ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები, რაც სხვა ქვეყნებში, მათ შორის ჩვენთანაც ხდება.

გერმანელი ექსპერტი განათლების საკითხებში დორის ანენი ამბობს: „ფინეთში განათლების სისტემის შესასწავლად მრავალჯერ ვყოფილვარ და მინდა ვთქვა, რომ მათგან ნამდვილად ბევრი რამ გვაქვს სასწავლი. პირველ რიგში, ის, თუ როგორ უწყობენ მოსწავლის მთლიან განვითარებას ხელს, განსაკუთრებით კი სკოლებში. მეორე – ფინეთი აჩვენებს, რომ სკოლებს უფრო მეტი დამოუკიდებლობა, მუშაობისთვის უფრო თავისუფალი სივრცე უნდა მივცეთ, რაზეც თავად იქნებიან პასუხისმგებელნი. მესამე – სკოლებისთვის თავისუფლების მინიჭებასთან ერთად ერთიანი სტანდარტის მიხედვით უნდა ხდებოდეს მათი რეგულარული შემოწმება“.

### **ინტეგრაცია და არა დიფერენციაცია!**

იმ ფონზე, რაზეც ჩვენ ზევით ვისაუბრეთ, უკვე აღარ იყო გასაკვირი, რატომ მიაღწია მთლიანმა ფინურმა საზოგადოებამ კონსენსუსს იმასთან დაკავშირებით, რომ საჭირო იყო სოციალურ-ინტეგრირებულ სკოლებზე გადასვლა. ანუ ისეთ დაწესებულებებზე, სადაც ერთად სწავლობენ სუსტი და ძლიერი მოსწავლეები, აგრეთვე ბავშვებს, რომელთაც რაიმე სახის დარღვევა აქვთ განვითარებაში. ეს პოლიტიკა 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, ხოლო ბოლო სკოლა, რომელიც განუვითარებელი ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი, ფინეთში რამდენიმე წლის წინ დაიხურა. მეცხრე კლასის დასრულებამდე ყველა ბავშვი ერთად სწავლობს.

ინტეგრირებული სკოლის უპირატესობა ისაა, რომ სუსტ მოსწავლეებს სწრაფი განვითარებისთვის უფრო ძლიერ სტიმულს აძლევს და საზოგადოების კონსოლიდაციასაც უწობს ხელს. ამ ინტეგრაციასთან არის დაკავშირებული ისეთი სასწავლო გეგმის



შემუშავება, სადაც ყველას შესაძლებლობები იქნება გათვალისწინებული. ინტეგრირებული სკოლის მასწავლებლის გარდა, რომელიც ფლობს სხვადასხვა მეთოდოლოგიას, სკოლებში დამატებითი სპეციალისტებიც არიან მობილიზებული, რომლებმაც იციან მუშაობა მოსწავლეთა სხვადასხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მათ შესახებ ჩვენ მოგვიანებით ვისაუბრებთ. მანამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთში აუციელებელი სასკოლო განათლება გრძელდება ცხრა წელი და სრულდება 16 წლის ასაკში. უნდა ითქვას, რომ ფინური საზოგადოება რეფორმების გატარების გარკვეულ ეტაპზე შეშფოთებული იყო იმით, რომ შესაძლებელი გახლდათ, საერთო ინტეგრირებული სწავლების სისტემის შემოღებასთან ერთად, საერთო განათლების დონე დაცემულიყო. ამიტომ სკოლებში ინტენსიურად შეჰქონდათ დამატებითი კურსები, რომელსაც მოწაფე სურვილისამებრ არჩევდა, მაგრამ ეს მიმართულება მალევე თანასწორობის იდეას დაუპირისპირდა და პედაგოგიურად არაპროდუქტიული გამოდგა, ამის გამო რამდენიმე წლის შემდეგ კურსები საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით ამოიღეს სწავლების სისტემიდან.

ასეთმა რადიკალურმა ინტეგრაციამ და თანასწორობის იდეამ, რომელმაც გამოიწვია კიდევ შესაძლებლობების მიხედვით სტუდენტების არდანაწილება და შესაბამისად, დამატებითი კურსების მოხსნა, ფსიქოლოგებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის დიდი დისკუსია წარმოშვა. ამ ნაბიჯის მოწინააღმდეგეთა ძირითად არგუმენტს წარმოადგენდა ის, რომ ინტეგრირებული სკოლის იდეა უარყოფს სხვადასხვა შესაძლებლობისა და ნიჭის მქონე მოსწავლეების უფრო სწრაფ განვითარებას. ახლა, როცა პოსტფაქტუმ შეგვიძლია ინტეგრირებული სწავლების შეფასება, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მიდგომა და პრინციპი თავისთავად შეიცავს ასპექტებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლების პროცესის ორგანიზაციაში, რომლებიც მიმართულია ყველა მოსწავლის მიღწევებზე სწავლის პროცესში:

უმცროსი სკოლისთვის ჩამოყალიბდა ისეთი სასწავლო მიზნები, რომლებიც საერთო იყო ყველა მოსწავლისთვის. ისინი კონკრეტულად იყო ჩამოთვლილი მასწავლებელთა სახელმძღვანელოში. სწორედ ამ მიზნების მიღწევა იყო უმთავრესი. მათგან გამომდინარე, მუშავდებოდა სასწავლო გეგმები და მკაცრად განსაზღვრული პირობები, რომელთაც აუცილებლად უნდა დამორჩილებოდა ყველა მასწავლებელი. თანასწორობის იდეის განხორციელება განათლების სისტემაში პედაგოგიური აზროვნების შეცვლას ითვალისწინებდა. პედაგოგს უფრო მეტი უნდა ემუშავა სუსტ მოსწავლეებთან, რომ კლასის მთლიანი შედეგი მიეღო.

ინტეგრაციის იდეა, რომელიც ფინეთში ხორციელდება, სულაც არ არის ეგზოტიკური. ის, ამა თუ იმ ფორმით, თანამედროვე განათლების სისტემის წამყვანი ტენდენციაა. მაგალითად, შვედეთში კანონით არის

აკრძალული მოსწავლეთა დიფერენციაცია, თან ისე, რომ სკოლებს კატეგორიულად ეკრძალებათ ამორჩევით მოსწავლეთა აყვანა სპეციალურ ინტენსიურ კურსებზე. ერთი შევედური სკოლის მასწავლებელი, ერთ-ერთი გერმანული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, გამოტყდა, რომ მათ სკოლას ჰქონდა მცდელობა, მაღლად შეექმნა სპეციალური კურსები და აეყვანა ყველაზე ნიჭიერი მოსწავლეები, მაგრამ თავიდანვე დაინახეს, რომ პედაგოგიური კუთხით ასეთი ნაბიჯი აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო: „ჩვენ დავრწმუნდით, რომ ინტეგრაცია აბსოლუტურად მართებული პრინციპია, ეს საკუთარი გამოცდილებით დავინახეთ და ამგვარი მცდელობები აღარ გვაქონია!“ როგორც ვხედავთ, დიფერენციაციის პრინციპი, რომელიც ჩვენ ბუნებრივად გვეჩვენება, საერთაშორისო გამოცდილებით უარყოფილია. დიფერენციაცია უკვე ბოლოს, ყველაზე მაღალ საფეხურზე ჩნდება.

ინტეგრაციისა და თანასწორობის კუთხით კიდევ ერთ რამეზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ მეორეხარისხოვანი შესაძლებლობების მოსწავლეთა შესახებ იურიდიულად არაფერია ნათქვამი, ასეთი რამ არსებობს და უნდა ითქვას, რომ პედაგოგიური თვალსაზრისით, ცუდი აკადემიური მოსწავრების მოსწავლის მეორე წლით იმავე კლასში დატოვება საერთოდ არ არის გამართლებული.

ყველა ეს ფორმულირება არის იმ კონცეფციის შემადგენელი, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ, „სახელმწიფოს კეთილდღეობაზე“ მაქვს საუბარი. ფინეთში თანასწორობის იდეა თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ შანსების, არამედ შედეგების თანასწორობასაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მოსწავლემ, მიუხედავად იმისა, როგორ სოციალურ პრიობებში ცხოვრობს, ცხრა წლის განმავლობაში ერთნაირი განათლება მიიღოს. სკოლა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შედეგების იდენტურობა განაპირობოს. ეს არის ცენტრალური ფაქტორი, ფინური განათლების სისტემის წარმატების საიდუმლო. მნიშვნელოვანია, რომ ფინელი მასწავლებლები პასუხისმგებლობას ყველა მოსწავლეზე ერთნაირ პასუხისმგებლობას გრძნობენ. მასწავლებლეთა კოლექტივური მუშობა გუნდურობის პრინციპით მათთვის ჩვეულებრივი მდგომარეობაა. ასე წარმოიქმნება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების თანაცხოვრების კულტურა.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც ფინეთი, კანადა და შევედეთია, ევროპულ ქვეყნებზე უფრო ადრე გაიაზრეს განათლების სისტემის რეფორმირების აუცილებლობა. შევედეთში ბადის დონეზეც კი, მოსწავლე იძულებულია, რეგულარულად შეისწავლოს მშობლიური ენა და აუცილებლობის შემთხვევაში, მას დაემატება უცხოური ენაც. რეფორმების აუცილებლობა, რასაკვირველია, გერმანიაშიც გააცნობიერეს, მაგრამ წლების განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ დისკუსიები ტარდებოდა და მოქმედებების დრო არა და არ დადგა. ზოგიერთი ექსპერტს მიაჩნია, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური ხელშეწყობისთვის საჭიროა დრო, რომელიც არც სკოლას და არც ოჯახს არ აქვს და რაც აქვს, ის

ბავშვს არ ჰყოფნის, ამიტომ ბევრი ხელავს ისეთი სკოლის აუცილებლობას, რომელიც ბავშვს მთელი დღის განმავლობაში „შეიფარებს“.

### ახალი პედაგოგიკა

ჩვენ აღნიშნეთ, რომ ფინეთში განათლების მიღების თანასწორობის იდეამ პედაგოგიკაში დიდი ძვრების აუცილებლობა გამოიწვია. ფინური პედაგოგიკა, როგორც თეორიულად, ისევე პრაქტიკულად, უნდა აგებულიყო თანასწორობისა და ინტეგრირებული სკოლის იდეაზე. ამიტომ 70-იანი წლების დასაწყისში მოსწავლეთა შესაძლებლობების შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები წამოიწიეს წინა პლანზე. თანდაყოლილი ნიჭიერების მოდელისგან ნელ-ნელა ინაცვლებდნენ მოწაფეთა შესაძლებლობების განსხვავებულ აღქმასა და ხელშეწყობაზე. თუკი მასალა დანაწევრდება და მორგებული იქნება თითოეული მოსწავლის შესაძლებლობაზე, შედეგი კლასის თითოეულ წევრს წლის ბოლოს დაახლოებით ერთნაირი ექნება, ამიტომ უმცროს კლასში უმნიშვნელოვანესი გახდა დროის ფაქტორი, რომელიც სჭირდება მოსწავლეს მასალის ასათვისებლად. ეს სისტემის აღიარებული ნაწილი გახდა. ასე და ამგვარად, მოსწავლეთა გენეტიკური და თანდაყოლილი შესაძლებლობები უარყვეს. ამან პედაგოგიკაში მთელი ღირებულებების გადაფასება გამოიწვია. სკოლისა და მასწავლებლების მიმართ საერთოდ სხვა სახის ამოცანები დადგა. ფინური განათლების მესვეურები მიიჩნევდნენ, რომ თუ კლასის წლის შედეგები არადაამაკმაყოფილებელია, ამას მხოლოდ მოსწავლეებს ვერ დავაბრალებთ, „განსაკუთრებით ე.წ. დახარისხებულ სკოლებში, ცუდ შედეგებს მოსწავლეთა ნაკლებ შესაძლებლობებს აბრალებენ. რასაკვირველია, შეიძლება, ავარჩიოთ კარგი მონაცემების ბავშვები და ნაკლები შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები – არა, მაგრამ ამით მასწავლებელი არჩევს იმ მოწაფეებს, რომლებიც კარგად სწავლობენ კონკრეტულად მისი მეთოდებით. ძირითად სკოლაში, სადაც ასეთი დახარისხება არ ხდება, სხვა მიდგომაა. სუსტი შედეგი შეიძლება, დავაბრალოთ მასწავლებელს, რომელიც კარგად ვერ მიუღდა ამა თუ იმ მოწაფეს...“

დიდაქტიკურ მოდელად, რომელიც ამ პროცესს დაედებოდა საფუძვლად, ამერიკელი მეცნიერის მენჯამენ ბლუმის კონცეფცია აირჩიეს – „სწავლების ოსტატობა“, რომლის დევიზია „ყველა შეძლებს ამას!“ და არცთუ ასეთი რადიკალური სწავლების ინდივიდუალიზაცია. ამ მოდელის თანახმად, სწავლების ცენტრალური ელემენტია სასწავლო მიზნების ზუსტი ჩამოყალიბება და ამ მიზნების შემდგომი თანამიმდევრული დეტალიზირება. თავის მხრივ, ამ მიზნების მიღწევა აუცილებლად უნდა შემოწმდეს შეფასების სისტემით, რომელიც წინასწარ იქნება ჩამოყალიბებული. აქ არსებით როლს თამაშობს დროის პრობლემა, ამა თუ იმ სასწავლო მიზნის მისაღწევად სხვადასხვა მოსწავლეს განსხვავებული დრო სჭირდება. სწორედ ეს განსხვავება

დროში, ბენჯამენ ბლუმის მოდელის მიხედვით, განათლების სისტემის ქვაკუთხდი ხდება.

ასევე მნიშვნელოვანია სირთულეების გადალახვის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, განვსაზღვროთ, როგორია თითოეული მოსწავლის სწავლებისას წარმოქმნილი სირთულე და დავეხმაროთ მის გადაწყვეტაში.

უნდა გამოვეყოთ სწავლების მიღწევების შეფასების სისტემა – ნიშნები, რომლებიც გვაძლევს საშუალებას, შევადაროთ ერთი მოსწავლე მეორეს, ფინური განათლების სისტემაში მოხსნეს. ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლემ თავად გაიაზროს საკუთარი სასწავლო მიღწევები, პროგრესი სწავლებაში, ამან უნდა გააძლიეროს მოსწავლის თვითშეფასების უნარი და სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება გაუმყაროს. სწავლების ადრეული ეტაპიდანვე დანერგილია თვითშეფასების პრინციპი.

ბოლო წლებში ფინეთში ბლუმის მოდელიდან ნელ-ნელა ჯოზეფ პიაჟეს კონსტრუქტივისტულ დიდაქტიკაზე გადავიდნენ, რომელიც დასავლეთში ფართოდ გამოიყენება. რამდენიმე სიტყვით რომ ვთქვათ, ეს არის იდეა, რომელიც ქადაგებს, რომ მასწავლებელი სწავლების პროცესის ხელმძღვანელიდან ხდება უფრო მეტად კონსულტანტი, რომელიც სწავლების პროცესს თან სდევს. მოსწავლე ხდება მთავარი მამოძრავებელი ძალა, ის თვითგანათლებისა და თვითშემეცნების გზას ადგას. ეს არის ცოდნის შექმნის სტიმულირება მასწავლებლის მხრიდან და არა უბრალოდ, ინფორმაციის, ფაქტების გროვის მიწოდება მოსწავლისთვის. ის ხაზს უსვამს მოსწავლის აქტიურობას სწავლის პროცესში. 1994 წლის რეფორმის შედეგად შედგენილ სასწავლო გეგმაში მოსწავლის აქტიურობა ცოდნის შესაძენლად ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტია. ეს ტენდენცია აისახა და გაგრძელდა ჰპოვა 2004 წლის სასწავლო გეგმებშიც, რომელთა საფუძველი პიაჟეს მეთოდია.

შეიძლება ითქვას, რომ ეს მეთოდი მთლიანი სწავლების პროცესის მთავარი მამოძრავებელი გახდა. თანასწორობის იდეა წამყვანი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ნეოლიბერალურმა იდეებმა უფრო წინ წამოიწია. ის გავლენას ახდენს მათ შორის განათლების სისტემაზეც, თუმცა ისეთს არა, რომ სასწავლო გეგმის საბაზისო ნაწილად კვლავაც თანასწორობის იდეა არ დარჩეს. ექსპერტები აღნიშნავენ, იმის მტკიცება, რომ ფინელი მასწავლებლები უფრო კარგად მუშაობენ, ვიდრე გერმანელები, არაფრით არ შეიძლება და რეალური საფუძველი არ გააჩნია. საქმე არც დიდაქტიკაში და არც მეთოდოლოგიაშია, არამედ სულ სხვა, შიდასაკოლო ფაქტორებში. თანასწორობისა და სირთულეების აღმოფხვრის კონცეფცია კონკრეტულად არის განსხეულებული ფინური სკოლის შიდა სტრუქტურაში. სასწავლო დაწესებულების პერსონალი დაკომპლექტებულია არა მხოლოდ ადმინისტრაციით, კლასის ხელმძღვანელებითა და მასწავლებლებით,

არამედ სკოლის მედლით, რომელსაც სამედიცინო განათლება აქვს, კურატორით, რომელსაც სოციალური პედაგოგის განათლება აქვს და სოციალური პრობლემების აღმოფხვრაზე მუშაობს, სკოლაში აგრეთვე მუშაობს ფსიქოლოგი, რომელთანაც ბავშვები ხშირად თავიანთი სურვილით მიდიან. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ სპეციალური მასწავლებლები, რომელთა ვალია, სკოლის პროგრამას ჩამორჩენილ მოწაფეებთან მუშაობა და მათი დახმარება. როცა რომელიმე მოსწავლე ვერ ახერხებს მასალის ათვისებას, კლასში შედის სპეციალური მასწავლებელი, რომელიც აკვირდება ბავშვს და გაკვეთილის ბოლოს კონსულტაციას აძლევს მასწავლებელს. დიდ სკოლებში მასწავლებელთა დახმარებლად ასისტენტები მუშაობენ. მათ არ აქვთ შესაბამისი განათლება, მაგრამ მასწავლებელთა კორპუსის ზედამხედველობით, სხვადასხვა სამუშაოს ასრულებენ. მაგალითად, ესენი შეიძლება იყვნენ აბიტურიენტები, მშობლები, რომლებიც არ მუშაობენ სხვაგან და ა.შ.

როცა შიდასასკოლო ფაქტორებზე ვსაუბრობთ, კიდევ რამდენიმე უნდა ჩამოვთვალოთ. საშუალოდ ფინეთის სკოლაში კლასში ბავშვთა რაოდენობა 20-მდეა. ძალიან კარგად არის გათვლილი პედაგოგთა შეცვლის სისტემა. ყველა სკოლას რეზერვში ჰყავს დიპლომირებული მასწავლებლები, რომელთაც ძირითადის შესაცვლელად იყენებს საჭიროებისამებრ. მასწავლებლებს შეუძლიათ, მთლიანად მიუძღვნან თავიანთი თავი სწავლების პროცესს და არ იყვნენ დაკავებული სხვა პრობლემების გადაწყვეტით. ამისთვის არსებობს ფსიქოლოგი, კურატორი და ა.შ. ამ დამხმარების საშუალებით სწავლების ეფექტურობა გაზრდილია. ასისტენტები, რომლებიც მასწავლებლების მითითებებს ემორჩილებიან, პედაგოგებს საქმეს უადვილებენ. მაგალითად, თუკი ერთი ბავშვი გაკვეთილის პროცესს შლის, მასთან ჯდება ასისტენტი და ინდივიდუალურად ამეცადინებს. ამგვარი მხარდაჭერის სისტემა ძალიან ქმედუნარიანია, თუმცა ფინეთის განათლების სამინისტრო ამბობს, რომ არ ყოფნის დაფინანსება ამ მხარდაჭერის კიდევ უფრო გასაზრდელად. მხარდაჭერის კონცეფცია კი ასეთია – თუკი სუსტ მოსწავლეს დროულად გამოავლენენ და დაეხმარებიან, მას აღარ დასჭირდება დამატებითი წლის იმავე კლასში გატარება. მოსწავლის კლასში ჩატოვება არა მარტო ტრამვას აყენებს თავად მას, არამედ უარყოფითი ეკონომიკური ეფექტიც აქვს. ექსპერტები საუბრობენ, რომ ფინელი მასწავლებელი არასდროს გამოიძახებს საპასუხოდ იმ მოსწავლეს, რომელმაც თავად არ გამოთქვა ამის სურვილი. ისინი არამართებულად მიიჩნევენ მთელი კლასის სამსჯავროზე სხვა მოსწავლის უცოდინარობის გამოტანას. აქ უპირველეს ადგილას დგას პოზიტიური მხარდაჭერა და არა ყველა მცირე შეცდომაზე გამოკიდება. სწორედ ამის გამოა, რომ ფინელი მოსწავლეები, რომელთაც მცირე დრო გერმანულ სასწავლებლებში გაატარეს, იქაურ მასწავლებლებს უფრო სასტიკებად მიიჩნევენ, ვიდრე თავისიანებს.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი განსხვავებებისა, რომელიც ქმნის ფინურ განათლების სისტემას, აღიარებულს მთელ მსოფლიოში, იქაური მასწავლებლები მეტ-ნაკლებად ჯდებიან და მოიაზრებიან მსოფლიო პედაგოგიკის სივრცეში განსხვავებით ჩვენგან. საგანი პედაგოგიკა ჩვენთან უპირატესად მხოლოდ თეორიულად არის გააზრებული და პრაქტიკასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან პედაგოგიკის მეცნიერებას, რომელიც თავის მხრივ, ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც მოიაზრებენ ამ სიტყვის ქვეშ მთელ მსოფლიოში. პედაგოგიური თავისუფლება აუცილებლად მასწავლებელთა გადამზადებას უნდა უკავშირდებოდეს და ფეხდაფეხ მისდევდეს რეფორმებს. თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს უნდა შეესატყვისებოდეს.

### **ყველაფერი დასაწყისიდან მოდის!**

ფინეთისთვის, ისევე, როგორც შვედეთისთვის, დამახასიათებელია ერთი რამ – პედაგოგები და პოლიტიკოსები უმაღლეს მნიშვნელობას ანიჭებენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს. სწორედ ისინია დაყენებული განათლების სისტემის თავში. ფინელები და შვედები მიიჩნევენ, რომ ბავშვის წარმატებისა თუ წარუმატებლობის თავი და თავი განსაზღვრულია სწორედ განათლების მიღების საწყისი ეტაპით. ამიტომ ამ საფეხურისთვის აუცილებელია საუკეთესო კვალიფიკაციის მასწავლებლები. ყველაზე კვალიფიცირებული მასწავლებლები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და უმცროს სკოლებში უნდა მუშაობდნენ. რასაკვირველია, უფროს კლასებშიც შეიძლება ბავშვისთვის ზიანის მიყენება, მაგრამ ის ისეთივე არსებითი არ იქნება, როგორც დაბალ კლასებში. არ არის შემთხვევითი, რომ ცნობილი რეჟისორისა და ჟურნალისტის, რაინჰარდ კალის ფილმი, რომელიც ფინურ განათლებას ეძღვნება, სწორედ ამ სახელწოდებისაა „ყველაფერი დასაწყისიდან მოდის“. ფინეთში პედაგოგებს, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებებში მუშაობენ, უმაღლესი განათლება უნდა ჰქონდეთ. ყველა საზოგადოება ვალდებულია, თითოეულ ბავშვს მისცეს ამგვარ დაწესებულებაში სწავლის საშუალება. იმ რაიონებიდან, რომლებიც სკოლებიდან შორს არის, ბავშვები სკოლამდე სპეციალური სასკოლო ტაქსით მიჰყავთ. სახელმწიფო თითოეული მოზარდის განათლებაში ინვესტიციას დებს. „ჩვენ თითოეული მოსწავლე გვჭირდება, თავს ვერ მივცემთ მისი დაკარგვის ფუფუნებას...“ – აცხადებს პელსინკის განათლების დეპარტამენტის უფროსი იუკა სარიალა. ფინეთში სახელმწიფო მაქსიმალურად უიაფებს მშობელს სკოლამდელი დაწესებულებისა და უმცროსი სკოლის გადასახადს, რომ მოსახლეობის საერთო განათლების დონე მაღალი იყოს.

პედაგოგიური ძალების მაქსიმალურად მობილიზების ტენდენცია სწავლების საწყისი საფეხურისთვის სახელმწიფო სახსრების განაწილებაშიც გამოიხატება. განათლებისთვის გამოყოფილი თანხის ძირითადი ნაწილი სწორედ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა

და უმცროს სკოლაზე მოდის, ეკონომიას კი უფროსი კლასების ხარჯზე ახდენენ, სადაც მასწავლებლის როლი არც ისეთი მაღალია, როგორც დაბალ კლასებში.

ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ ძლიერია ის სკოლა, რომელსაც შეუძლია, მოსწავლე უნივერსიტეტში მოახვედროს. ფინეთსა და შვედეთში ყველაფერი პირიქითაა – ძლიერია ის სკოლა, რომელიც სუსტ და ნაკლები შესაძლებლობებისა და უნარის მოწაფეებს აიყვანს იმ მაქსიმუმზე, რომელიც მათ შეუძლიათ, დაძლიონ. აი, სწორედ ამიტომ ფინეთში შეგვხვდება გამყიდველი, რომელიც თავისუფლად საუბრობს ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ეს, სხვათა შორის, მათთვის ბუნებრივ მდგომარეობად ითვლება.

ჩვენ ვხედავთ, რომ ფინური განათლების სისტემის წარმატების ძირითადი ფაქტორი არის კარგად გააზრებული სასკოლო პოლიტიკა, რომელიც „სახელმწიფოს კეთილდღეობის“ კონცეფციის ნაწილია. ჰუმანიზმი, როგორც რეალური სოციალური პოლიტიკა, ყველა სოციალურ ფენაშია შეჭრილი. ბოლო წლებში ფინელებმა საკუთარი თავის წინაშე ახალი მიზნები დასახეს, კონსტიტუციით მიღებული ტრანსფორმაცია მცოდნე და კომუნიკაციურ საზოგადოებაში. ამასთან არის დაკავშირებული ახალი შესაძლებლობების გამოყენება, რომელიც კომპიუტერისა და ინტერნეტის მეშვეობით ხდება შესაძლებელი. აგრეთვე სწავლების ახალი მეთოდების დამკვიდრებით, რომლებიც განავითარებს დამოუკიდებლობას. მოსწავლეთა 75 პროცენტმა უნდა მიიღოს უმაღლესი განათლება, და ფინური საზოგადოება მიზანმიმართულად და თავდაჯერებულად მიდის ამ მიზნისკენ. ფინეთი, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობით მთლიან მოსახლეობაში, მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

„ფინური განათლების სისტემა – ეფექტური რეფორმების მოდელი“ – „სკოლის მართვა“, „პირველი სექტემბრის“ ბიბლიოთეკა, მოსკოვი, 2008 წ. რუსულ ენაზე.

## **SYMMARY**

### **NINO MURGULIA**

#### **The Best Educational System in the World – What We Learn from Finnish Experience**

Article titled “The Best Educational System in the World – What We Learn from Finnish Experience” applies to arranging Finnish educational system and achieved success in this sphere in the above named country.

It’s impossible to share Finnish educational system and its reforms well if taken out of public – political context. The reforms in educational system started from 70s of the twentieth century in Finland are directly connected to the conception “State Welfare” established by Finns. Because of economic crisis existing in the country the

government was forced to close many private sectors due to surplus of rural products. Finland was an agrarian country before establishing new state conception where the profession was transferred from father to son and the main part of the population failed to get higher education. The tragic result of this direction was that many Finns left their homelands and went abroad for searching better fortune after above mentioned crisis. That's why it became necessary for the country with 4.5 million population to elaborate new conception for rescuing own state. The main factor is there was no difference of opinions related to the reforms of educational systems between the state and society.

For today Finland is one of the advanced countries in educational sphere according to all international or inner researches of the countries. We will discuss Finland model in details and correspondingly, all reasons why it's worthy for the whole world and interesting for us as one of the best examples.

### **Резюме**

**Нино Мургулия**

#### **Лучшая система образования в мире – чему мы учимся на финском опыте**

Статья под заголовком «Лучшая система образования в мире – чему мы учимся на финском опыте» касается устройства системы образования в Финляндии и успехов, достигнутых этой страной в данной области.

Невозможно хорошо осмыслить финскую образовательную систему и ее реформирование вне ее общественно-политического контекста. В Финляндии, начиная с 70-х годов двадцатого века, реформы в системе образования прямо соотносились с концепцией «благополучия государства», сформулированной финнами. Из-за сложившегося в стране экономического кризиса власти были вынуждены закрыть множество частных предприятий по причине избытка сельскохозяйственной продукции. Финляндия до сформулирования новой концепции была аграрной страной, где профессия передавалась от отца к сыну и большинство населения не заботилось о получении высшего образования. Трагическим итогом этой направленности стало то, что после вышеупомянутого кризиса многие финны покинули родину и отправились за границу в поисках лучшей доли. Именно поэтому 4,5-миллионной стране понадобилось разработать совершенно новую концепцию для спасения собственного государства. Что самое главное, между государством и обществом не было никаких разногласий в связи с реформированием системы образования.

Сегодня Финляндия, согласно всевозможным международным и внутрисоциальным исследованиям, считается одной из передовых стран в отношении образования. Мы подробно рассматриваем модель финского образования и, соответственно, все причины, по которым она является примером для подражания во всем мире, а также интересна для нас в качестве хорошего образца.



მაია გელიაშვილი, მარიამ გელიაშვილი  
ცოდნისა და რწმენის ურთიერთშეთავსებადობის  
საკითხი

მომავალი თაობის აღზრდა ყოველი წინა თაობის საზრუნავს წარმოადგენს, ამიტომ არის იგი მარადიული.

ყველა ცივილიზებულ, განვითარებულ ერში ბავშვთა აღზრდა-განათლების საკითხს ყოველთვის უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო საკითხად მიიხნევენ. მასზე იქმნებოდა ნაწარმოებები, მსჯელობდნენ ყოველდღიურ ბეჭდვით სიტყვასა თუ კერძო საუბრებში... მაგრამ იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კვლავ და კვლავ მსჯელობა მასზე ზედმეტი არასდროს იქნება, მეტადრე, აუცილებელია რაც შეიძლება ხშირი პარალელის გაკვება, როგორ უყურებს ბავშვთა აღზრდა-განათლების საქმეს მეცნიერული პედაგოგიკა და კაცობრიობის უმთავრესი წიგნი – ბიბლია, როგორი თანხვედრაა სასულიერო მოღვაწეთა და უდიდეს განმანათლებელ პედაგოგთა შეხედულებებისა აღნიშნულ საკითხზე და ბოლოს, რას გვასწავლის ამ მხრივ ცხოვრებისეული გამოცდილება.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, თუ როგორ იცვლებოდა საზოგადოების აზრი აღზრდისა და განათლების შესახებ დროთა ვითარებაში: ის რაც ერთ დროს უდაო ჭეშმარიტებად მიიხნოდა, შემდგომში შეიძლება ეჭვის ქვეშ ყოფილიყო დაყენებული, ან სულაც უარყოფილი, როგორც შეცდომა.

ამიტომ მხოლოდ ადამიანური გონებით გამომუშავებული რჩევა-დარიგებანი თუ სახელმძღვანელო წესები, შეუძლებელია სავსებით სანდო და სიცოცხლისუნარიანი იყოს თუ მარადის ცხოველყოფელი ჭეშმარიტების ქმედითი და სასარგებლო სწავლამოძღვრების შემცველი წმინდა წიგნის პოზიციასთან არ არის დაახლოებული.

ბიბლიაში იმთავითვე წარმატებით იქნა გადაწყვეტილი სწავლა-განათლებისა და აღზრდის პრობლემა, უნივერსალური პასუხები გასცა დიდაქტიკურ კითხვებს: რა ვასწავლოთ? როგორ ვასწავლოთ? რისთვის ვასწავლოთ? – ეს წმინდა წიგნი გვასწავლის, რომ ადამიანი, როგორც ღვთის ხატად შექმნილი არსება, მოწოდებულია ჰგავდეს თავის შემოქმედს, ირეკლავდეს ღვთიურ თვისებებს, სიბრძნეს, სიყვარულს, სამართლიანობას და ა.შ. რის მისაღწევადაც შემეცნება – სწავლა-განათლება და აღზრდაა საჭირო.

წმინდა მამები, ღმრთის ხატებასა და მსგავსებაში ადამიანის გონიერებას, თავისუფალ ნებასა და უკვდავი სულის გარდა, ასახელებენ სიწმინდესაც ანუ ადამიანის ზნეობრივ სრულყოფის უნარს (წმ. იოანე დამასკელი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. ისააკ ასურისა და სხვა).

ეს უნარი გულისხმობს სიკეთეს, სამართლიანობას, მიტევებას, სიყვარულს – ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც უპირატესად ფასეულია ადამიანში და მისი განმღრთობის საწინდარს წარმოადგენს, რაც მიიღწევა მხოლოდ ისეთი სწავლა-განათლების საშუალებით, რომელიც ზნეობრივ ამბლებასა და განვითარებასთან იქნება მჭიდროდ დაკავშირებული.

აღზრდის ცნებაში ფართო გაგებით შედის განათლებაც და სწავლებაც, ხოლო ვიწრო მნიშვნელობაში იგულისხმება აღზრდის ისეთი სახეები, როგორცაა გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური, ფიზიკური და სხვა აღზრდა.

ადამიანის ზნეობრივ ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს რელიგია, რომელიც ყოველთვის ინახავდა და ინახავს კიდევ ზნეობრივი კანონების სიწმინდეს. ასე იყო სხვადასხვა რელიგიაში სხვადასხვა ხალხთან. თუმცა, ჩემი აზრით, ზნეობრივი და რელიგიური მომენტები მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობაში, კერძოდ – მართლმადიდებლურ აღმსარებლობაში ინახავენ თავიანთ ნამდვილ და სრულყოფილ ერთიანობას.

საზოგადოების განვითარების ისტორიაზე თვალის გადავლება კი ცხადყოფს, რომ იყო ისეთი პერიოდები, როდესაც რელიგიურ აღზრდას ნაკლებად, ან სულაც არ ექცეოდა ყურადღება. „ეს – როგორც რ. ბალანჩივაძე აღნიშნავს – მაშინ ხდებოდა, როცა თეიზმს ათეიზმი ცვლიდა ანუ რწმენის ადგილს ურწმუნოება იკავებდა... თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ისინი დროში ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, პირიქით, თეიზმიც და ათეიზმიც ერთიმეორის გვერდით არსებობდნენ“. (1)

ქრისტიანული შუა საუკუნეების – როცა რელიგიას და რელიგიურ აღზრდას უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა – შემდეგ დგება პერიოდი, როდესაც ჯერ შესუსტდა რელიგიური რწმენა (კაპიტალისტური წყობა), ხოლო შემდეგ საერთოდ ითქვა უარი მასზე (სოციალისტური ხსნა). ამ უკანასკნელმა თავისი იდეოლოგია ათეიზმზე ააგო და გააბატონა აზრი, თითქოს რელიგია წარმოიშვა და არსებობს მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, რომ რელიგიური რწმენის წარმოშობა დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების იმ საფეხურთან, რომელიც ველურობის სახელითაა ცნობილი და ცოდნის დაბალი დონით ხასიათდება.

ცოდნასა და რწმენას ანუ მეცნიერულ ცოდნასა და რელიგიურ რწმენას შორის პრობლემის წარმოშობა ტერტულიანეს სახელს უკავშირდება.

ლათინურენოვანი ქრისტიანული აპოლოგეტიკის წარმომადგენელი ტერტულიანე მართალია ფილოსოფიის ქრისტიანობასთან კავშირის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მაგრამ პრაქტიკულად მან რწმენისა და ცოდნის გარდაუვალი ურთიერთკავშირი დაადასტურა. მისი მოძღვრების არსებითი მხარე ისაა, რომ მან რწმენის ღირებულება სცნო და ცალსახად დაუპირისპირა ჭეშმარიტების გზად აღიარებულ მეცნიერებასა და ფილოსოფიის ინტელექტუალურ ღირებულებებს. იგი ცალმხრივი იყო თავის მტკიცებებში, მაგრამ ეპოქალური მნიშვნელობის პრობლემა დააყენა, რასაც თავისი გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა. ასეც მოხდა, რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების საფუძვლიანი კვლევა გააგრძელეს II-III საუკუნის მიჯნაზე კლიმენტი და ორიგენე ალექსანდრიელებმა. შემდეგ ის შუა საუკუნეების ქრისტიანული ფილოსოფიის უმწვავეს სადავო საკითხად იქცა. ალექსანდრიელმა მამებმა რწმენის ღირებულებითი ერთადერთობის ცალმხრივობა დაძლიეს და აპოლოგეტიკა ახალ, უფრო მეცნიერულ დონეზე აამაღლეს, რადგან რწმენისათვის ცოდნასთან კავშირის აუცილებლობა დაასაბუთეს.

მიუხედავად ამის, დავა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ცოდნისა და რწმენის ურთიერთშეთავსება, საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ძალისხმევით მიმდინარეობდა. მათ ურთიერთობაში ზოგჯერ მეცნიერება მთლიანად ექვემდებარებოდა თეოლოგიას და მათ შორის შუამავლის როლს ფილოსოფია ასრულებდა; ზოგჯერ ეს დაქვემდებარება შედარებით პირობად იყო მიჩნეული; ერთეულ შემთხვევებში კი ცოდნის (მეცნიერების როლის) საზღვრები შედარებით უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი.

ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში ტერმინ მეცნიერების შემდეგი განსაზღვრებაა მოცემული: „მეცნიერება იმ განვითარებად ცოდნათა სისტემაა, რომლებიც შესაბამისი შემეცნების მეთოდთა საშუალებით მიიღწევიან და ზუსტი ცნებებით გამოიხატებიან; მათი ჭეშმარიტება საზოგადოებრივი პრაქტიკით მოწმდება და მტკიცდება“. (2) ე.ი. მეცნიერული ცოდნა წარმოადგენს ობიექტურ ცოდნას, რომელიც საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის გზით მიიღება. მის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს განმეორებადობა (სიმძიმის მქონე სხეულების მიწაზე ვარდნა), არსებობა და აუცილებლობა (ე.ი. კანონში ასახულია არსებითი და არა არარსებითი, აუცილებელი და არა შემთხვევითი კავშირები) (1)

რელიგია წარმოადგენს ადამიანის სულის შეხვედრას ღმერთთან. უფრო ზუსტად ასე შეიძლება განიმარტოს: პირველ შეცოდებამდე არსებობდა უშუალო კავშირი ღმერთსა და ადამიანს შორის, რომელიც პირველი ადამიანის შეცოდების გამო დაირღვა.

სწორედ ამ გაწვევტილი კავშირის აღდგენას ნიშნავს და ემსახურება კიდევ რელიგია.

ის, რაც შედის რწმენის სფეროში არ ექვემდებარება დასაბუთებას და არც განმეორებადია (მაგ.: სამყაროს შექმნა, ქალწულისაგან შობა, ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი, ერთარსება სამება და ა.შ.) ასეთ შემთხვევაში სხვა აღარაფერი დაგვრჩენია იმის გარდა, რომ უკრიტიკოდ დავიჯეროთ, ვირწმუნოთ ის, რაც გონების კანონებს ეწინააღმდეგება. გონების კანონებს „ეწინააღმდეგებიან“ სასწაულები. მაგრამ, როგორც გრამატიკის კანონებს არ ეწინააღმდეგებიან ფილოლოგიაში არსებული გამონაკლისები, არამედ ავსებენ მათ, ასევე სასწაულებიც, რომლებიც ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენენ, ბუნების კანონებს კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ მათ მიღმა არსებობენ. რადგან ადამიანის გონება არის ზღვარდაღებული, იგი ბოლომდე ვერასოდეს ვერ ჩაწვდება ღვთის ნებას, ამიტომ ყოველივე ეს უნდა ირწმუნოს როგორც უმაღლესი ჭეშმარიტება.

რელიგიური რწმენის გაჩენის მიზეზად ათეისტები ცოდნის დაბალ დონეს მიიჩნევენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ რწმენის არსებობის მიზეზი რომ მართლა ცოდნის დაბალი დონე ყოფილიყო, მაშინ გაუგებარი იქნებოდა ის ფაქტიც, რომ ბევრი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი მორწმუნე იყო და არის. ისინი, ვინც უდიდეს მეცნიერებად, სწავლულებად არიან აღიარებულნი, სწორედ ცოდნის გაღრმავების მეშვეობით მივიდნენ შემოქმედისა და რწმენის აღიარებამდე, რამაც თავის მხრივ მათი მორწმუნე ადამიანებად გადაქცევა გამოიწვია.

ლენინგრადის სასულიერო აკადემიის პროფესორ ლ. ნ. პარინსკის აზრით „ქრისტიანული რელიგია ყვრდნობოდა ბიბლიას, მეცნიერება კი ბუნებას, ბიბლია და ბუნება ეს ორი წიგნია, რომელიც ღმერთმა ადამიანებს უბოძა, როგორც ერთი და იგივე ავტორის ქმნილებები. ისინი არ შეიძლება წინააღმდეგობაში იყვნენ ერთმანეთთან. თუ ხანდახან მაინც პოულობენ მათ შორის წინააღმდეგობას, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანები არასწორად კითხულობენ ამ წიგნებს, ანდა კითხულობენ მათ არა ერთად, არამედ ცალ-ცალკე“ (3)

მამა სერაფიმე როუზი ამბობდა, რომ ღმერთი არის შემოქმედი სამყაროსი და წყარო გამოცხადებისა. ამდენად, შეუძლებელია თეოლოგიასა და მეცნიერებას შორის იყოს რაიმე კონფლიქტი, – ორივე მათგანი ჭეშმარიტია და თითოეული რჩება იმ სფეროში, რომელსაც თავისი არსით განეკუთვნება. (4)

ნამდვილი რწმენა ის არის, რაც არ ეწინააღმდეგება და თანხვედრაშია გონებასთან. მეცნიერება სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ის ადამიანები, რომლებიც მოკლებულნი არიან იმ ჭეშმარიტებას – რასაც ბიბლია გადმოგვცემს - უხილავ რწმენას,

მიადწიონ გამოძიების, ანუ არსებული წესრიგის, კანონზომიერების და ა.შ. აღმოჩენის გზით. აღმოჩენა კი, როგორც ცნობილია, არის უკვე არსებული გარკვეული კანონზომიერების ადამიანთათვის სააშკარაოზე გამოტანა მეცნიერული მტკიცებულებების საშუალებით.

მეცნიერებასთან მისასვლელ გზას წარმოადგენს ინტელექტუალური, გონებრივ მტკიცებათაგან გამომდინარე რაციონალურ-ლოგიკური გზა, რომელიც გადის პრაქტიკულად შემოწმებულ ცდებსა თუ მოვლენებზე.

რაც შეეხება რელიგიასთან მისასვლელ გზას, იგი რამდენიმეა. მათ შორის ერთ-ერთია ღმერთის არსებობის მტკიცებათაგან გამომდინარე გზა, რომელიც კარგადაა ცნობილი ფილოსოფიის ისტორიიდან, მაგრამ ფაქტია, რომ მილიონობით ადამიანი ამ გზის გვერდის ავლით მიეშურებოდა და მიეშურება ღმერთის შემეცნებისაკენ. „მხოლოდ გონების გზა რომ მიემართებოდეს, მაშინ ადამიანთა მოდგმა უდიდესი უმეცრების წიაღში დარჩებოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში ღმერთის შემეცნება, რომელიც ადამიანებს უმაღლეს სრულყოფილებასა და სიკეთეს აძლევს, ეღიროებოდა მხოლოდ რამდენიმეს და ისიც დიდი ხნის შემდეგ“. (5)

ღირსი ეფრემი ასული კი გვამცნობს: „ყველაზე სავალალო ის არის, რომ ადამიანს თავისი ცოდნით სურს გახედეს შემოქმედზე უფრო აღმატებული, ცდილობს ქმნილის მსგავსად გამოიკვლიოს შემოქმედი და საზღვრები დაუწესოს მას... ვინც მხოლოდ რწმენით შეიცნობა“. (6) ამის შესახებ დიდი ილია ამბობდა: „ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ და ზოგი იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა, თუ ცას იქით, სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ“. (7)

ადამიანი უნდა იყოს თავმდაბალი და მაძიებელი, მშვიდად გამოიძიოს სამყარო მთელი თავისი კანონზომიერებით, რის შედეგადაც უფლის შემეცნებამდეც მივა: „ცანი ღაღადებენ ღმერთის ღიღებას და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს სამყარო“. (ფს. 18,2) – გონება არა აქვთ ცასა და სამყაროს, არც ბაგენი და არც ენა მაშ, როგორღა ღაღადებენ ისინი ამის შესახებ? - თვით თავიანთი არსებობითა და სახით – გვამცნობს წმ. იოანე ოქროპირი.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ მეცნიერება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ის რაც არ უნდა განვითარდეს და რა დიდ წარმატებასაც არ უნდა მიადწიოს სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნაში, იგი ადამიანის, როგორც შემეცნებელი არსების ყველა კითხვის პასუხს ვერ გასცემს და ვერც დააკმაყოფილებს მთლიანად მის შემეცნებით ინტერესებს თუ არ

დაიხმარა რელიგიური რწმენა და ცოდნა; რადგან მეცნიერება თავისი არსით წარმოადგენს სამყაროს შესახებ ცოდნათა სისტემას, ანუ იმას, რაც განუწყვეტლივ იცვლება, – ამიტომ მთელ სამყაროზე დასრულებულ წარმოდგენას ვერასდროს ვერ მოგვცემს.

ამდენად, მართალია, მეცნიერული ცოდნა ადამიანს ავითარებს ინტელექტუალურად, მაგრამ მისი ზნეობრივი სრულყოფის საქმეში მხოლოდ გონებრივი განვითარება იმის ნახევარსაც ვერ შეძლებს, რასაც ზნეობრივი აღზრდა, რომელიც გამომდინარეობს რელიგიური მორალიდან და რელიგიურ რწმენაზეა დაფუძნებული.

რელიგიური რწმენა არის უმაღლესი ჭეშმარიტება, როგორც ღვთაებრივი ჭეშმარიტება, მაგრამ ჭეშმარიტება საგანი როდია, იგი ცოდნაა გამოსატყუელი მსჯელობებში. ეს, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ რელიგიური რწმენა კი არ გამორიცხავს ცოდნას, არამედ გულისხმობს მის არსებობას. „რწმენა და ცოდნა ავსებს ერთმანეთს და პიროვნების სწორ განვითარებას განაპირობებს. ასეთი ადამიანი თესავს სიკეთეს, მშვიდობას, სიყვარულს, არის მიმტყვებელი და მიმდობი“. (8)

რწმენისა და ცოდნის, საღმრთოსა და საეროს, ზეციურისა და მიწიერის გაერთიანების შესახებ მსჯელობენ თავიანთ თხზულებებში, ნაშრომებში ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისეთი კორიფეები, როგორებიც არიან – არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი, გიორგი მთაწმინდელი, გაბრიელ ეპისკოპოსი, ილია ჭავჭავაძე და სხვ., რომლებიც ცოდნა-რწმენის ერთმანეთში მორიგებისა და ამის ცხოვრებაში გატარების მომხრენი და შემსრულებელნი იყვნენ.

განსაკუთრებით საგულისხმო და დასაფასებელია ის ღვაწლი, რაც რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთობის ურთულესი პრობლემის გადაწყვეტაში ეკუთვნის ქართველ მეცნიერსა და ღვთისმეტყველს გაბრიელ ეპისკოპოსს, რომელიც წმ. ილია მართლის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მთელი თავისი ცხოვრება სულ იმის ცდაში იყო, რომ სარწმუნოება გაემეცნიერებინა და მეცნიერება გაესარწმუნოებინა... იგი ღრმად მიწვენილი მეცნიერი იყო და იმდენადვე ღრმად მოუწმუნეცა. აქ არის ჩემის ფიქრით მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არა მარტო ჩვენთვის სხვისთვისაც, რადგანაც ბევრს ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიან. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა“. (9) სიტყვებით – „თუ გსურს ქრისტესთან ყოფნა, შეუდექი სწავლასა და ჭკუის განათლებას“ (10) – გაბრიელ ეპისკოპოსი ცხადად განგვიმარტავს, რომ ქრისტესთან მიახლების აუცილებელ პირობას ცოდნა წარმოადგენს. ალექსი ბერი (შუშანია) კი შემდეგნაირად გვმოძღვრავს: „როგორც სული და ხორცი შეადგენს სრულს

სიცოცხლეს, ესრეთ ღვთისმეტყველება და მეცნიერება შეადგენს სრულს განათლებას საერთო ნეტარ სიცოცხლისას“. (11)

ისეთი რწმენა, რომელსაც კლიმენტი ალექსანდრიელმა „ლიტონი“ უწოდა, შეიძლება გარკვეულ სიტუაციაში ძლიერიც იყოს, მაგრამ მყარი მაინც ვერ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ თუ ვინმე მის შერყევას მოინდომებს, ამას უფრო ადვილად შეძლებს ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა რწმენა გამყარებულია ცოდნით, რადგან განსაკუთრებით მაშინ გვწამს, როდესაც ვიგებთ მიზეზს თუ რა რატომ ხდება (ი. ოქროპირი)

სწორედ ასე უყურებდა აღნიშნულ საკითხს ჩვენი დიდი მეფე – დავით IV აღმაშენებელი, რომელსაც სურდა, რომ მის მიერ დაარსებული გელათის აკადემია „სხვა ათენი“ და „მეორე იერუსალიმი“, ანუ რწმენისა და ცოდნის სინთეზის ერთ-ერთი კერა ყოფილიყო.

„სწავლების, აღზრდისა და განათლების მთელი საქმიანობა საქართველოში ერთი მიზნის, ერთი იდეის, ერთი დედაბოძის ირგვლივ უნდა ტრიალებდეს. ეს მიზანია – იდეა – დედაბოძი არის საქართველო“ – აღნიშნავს კ. მელაშვილი (12)

მაგრამ, ემსახურება აღზრდა დღესდღეობით ასეთ მიზანს? – სამწუხაროდ არა, რადგან თანამედროვე სკოლა, სადაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს მომავალი, XXI საუკუნის საქართველოს მოქალაქეთა მსოფლმხედველობას, რწმენას, ზნეობას, ინტელექტუალიზმს და ა.შ. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ „სულს დაფავს“ – ამბობს ქ-ნი ი. კოტეტიშვილი და აგრძელებს – დღეს, მეცნიერებს აღარა აქვთ დამაჯერებელი პასუხი პიროვნების აღზრდის შესახებ, შესაბამისად, ისინი ვერც სკოლას ეხმარებიან. იყო დრო, როდესაც არსებობდა სასულიერო სემინარიები, გიმნაზიები, აკადემიები, და იმ დროის სემინარია დამთავრებულიც კი ჩვენს ხუთ აკადემია დამთავრებულს სჯობდა! ხომ არ შეიძლება ეს შემთხვევითი იყოს?.. მაშინ საოცრად იყო შერწყმული ერთმანეთს ცოდნა და რწმენა. (13)

უკანასკნელ წლებში თანდათანობით ინგრევა სკოლებსა და გიმნაზიებში რელიგიური – ქრისტიანულ-მართლმადიდებლური – საგნების სწავლება, რაც ხელს უშლის მოზარდთა ზნეობრივი აღზრდის პროცესს. „ხალხის არსებობას და წარმატებას ორი ბურჯი ჰქონია და აქვს: სარწმუნოება და ცოდნა, ეკლესია და სკოლა“ – აღნიშნავს ი. გოგებაშვილი. (14)

ის სასულიერო გიმნაზიები, კოლეჯები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, რომლებმაც ფუნქციონირება დაიწყეს, ჯერჯერობით ვერ ახერხებენ სკოლებში შექმნილი „სულიერი სიცარიელის“ კონკნისირებას მთლიანად, მაგრამ ეს მაინც მნიშვნელოვნად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. საერთოდ კი, იმ პროცესს, სანამ ყველაფერი თავისი წესისა და რიგის მიხედვით ჩამოყალიბდება – რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი ამოღიანებს მოსწავლის აზროვნებასა და სულიერებას – სჭირდება საკმაოდ დრო. მაგრამ რაც უფრო ხანმოკლე იქნება ეს დრო, მით უფრო ადვილად და მით უფრო მეტი ახალგაზრდის ხსნას მოვახერხებთ არასწორი აღზრდისაგან, ისეთი აღზრდისაგან, რაც ფორმალურად ჰგავს აღზრდას, სინამდვილეში კი წარმოადგენს ადამიანის სულიერ დამახინჯებას.

სულიერი საწყისების ჩაკლა და განუვითარებლობა, ან მათი არასწორი მიმართულებით განვითარება, რაც რელიგიურ ნიადაგზე წარმოებულ შუღლს და დაპირისპირებაში ვლინდება, იმდენად წარმოადგენს ზიანის მომტან ფაქტორს, რამდენადაც ის, რომ უღმერთო სახელწმიფო და უღმერთო საზოგადოება არასოდეს არ ყოფილა და არც მომავალში იქნება პროგრესული. ღმერთის რწმენა, ეს არის სინდისიერების, კეთილშობილების, ზნეობრიობის და საერთოდ ადამიანობის საწყისი და საფუძველი. ყოველ ადამიანში უნდა გაღვივდეს ღრმა რწმენა, რომელსაც შემდეგში თავად შეითვისებს და განავითარებს, ურომლისოდაც ადამიანი ვერ ჩაწვდება თავისი არსებობის აზრსა და დანიშნულებას ამ ქვეყანაზე.

რწმენა არის ისეთი ცოდნა, რომელიც უმაღლესი ჭეშმარიტებაა, ანუ ღვთიური სამყაროს შემეცნებას ემსახურება, ამისათვის კი მარტო გონება არ არის საკმარისი, აქ უპირველესი ღვთიური მადლით არსავსე გულია. რწმენა არამც თუ გამორიცხავს მიწიერ სამყაროს შემეცნებას, არამედ გულისხმობს მას, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს გვაძლევს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე: „ბოლო ათწლეულების მანძილზე ბევრი ითქვა და დაიწერა ისეთი, რაც, ერთი შეხედვით, მათ დაპირისპირებას ამტკიცებს, ამტკიცებს იმასაც, თითქოს მეცნიერებით ყველაფრის ახსნა შეიძლებოდეს; მაგრამ, განა, შეიძლება მეცნიერების საშუალებით გადაწყდეს სულიერი პრობლემები, როცა იგი უძღურია, გაარკვიოს ფიზიკური წესრიგის ესა თუ ის მოვლენაც კი? განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, როცა ისინი ადამიანთა შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან: ერთი ფიზიკურს, ხოლო მეორე სულიერს. ისინი კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს“. (15)

სწორედ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, რომელმაც ძირეულად შეცვალა ადამიანის მატერიალური და სულიერი ცხოვრების წესი, დაგვაყენა იმის აუცილებლობის წინაშე, რომ სწორად გავიაზროთ ადამიანის მიმართება ქრისტიანულ-ზნეობრივ ღირებულებებისადმი.

თანამედროვე ადამიანის სოციალური პრესტიჟი, სტატუსი, მისი მდგომარეობა და როლი საზოგადოებაში განისაზღვრება ნივთობრივი სიმდიდრით. ნივთიერი ღირებულებებით გატაცება და



ადამიანის ცხოვრების საზრისად პირადი სარგებლიანობის გადაქცევა კი შეუთავსებელია ზნეობრიობისათვის.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი კი არ ამცირებს, არამედ ზრდის იმის მუდმივ საჭიროებას, რომ ღვთის შვილები – ადამიანები, შემოვარდნით უზენაესის მიერ დაწესებულ ზნეობრივ ღირებულებებისაკენ.

აქედან გამომდინარე „თუ ჩვენ შევძლებთ მომავალი თაობის სწორად აღზრდას, თუ ჩვენ ავღზრდით მომავალ თაობაში პიროვნებას, რომელსაც უფალი აკურთხებს, რათა ის გაუძღვეს ერს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენმა თაობამ თავისი მისია შეასრულა“. (16)

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბალანჩივაძე რ. ასათიანი ვ. პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, თბილისი, 1997
2. Философская энциклопедия. М. 1964 т. III
3. Ж. Московской Патриархии, 1962
4. სერაფიმე როუზი, ჭეშმარიტი თეოლოგია და საერო ცოდნა. შ. „რწმენა და ცოდნა“, თბილისი, 2006, გვ. 11-12.
5. Антология мировой философии, М. 1969. т. I, ч. II
6. გაზ. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, თბილისი, 2000, მაისი №5
7. ჭავჭავაძე ი. წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თბილისი, 1928, ტომი IV
8. უწმინდესი და უნეტარესი ილია II, შ. „რწმენა და ცოდნა“, №1
9. ჭავჭავაძე ი. თხზ., 2 ტომად, თბილისი, 1977, ტომი II
10. ეპისკოპოსი გაბრიელი, ქადაგებანი, ქუთაისი, 1913, ტომი I
11. ღირსი მამა აღექსი და მისი სავანე, თბილისი, 1999
12. მელაშვილი კ. მოძღვართათვის პედაგოგიის საფუძვლები, თბილისი 1966
13. კოტეტიშვილი ი., შ. „რწმენა და ცოდნა“, 2000, №2, გვ. 26-27
14. კვანტალიანი გ. „რელიგიური აღზრდის პრობლემა კლასიკურ პედაგოგიკურ შემკვიდრებაში“, თბილისი, 1990
15. ასათიანი ა. ნარკვევები „ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიიდან“, თბილისი, 2007, ტომი I.
16. პროტოპრესვიტერ გიორგის (გამრეკელი) სიტყვა კონფერენციაზე, შ. „რწმენა და ცოდნა“, თბილისი, 2000-2001, გვ. 15-16.

## **Summary**

**Maia Geliashvili**  
**Maria Geliashvili**  
**Science and religion**

By synthetical teaching of science and religion is possible to bring up such perfect, morally refined and sensitive generation, where intellectuality will to joined to morality, knowledge to kindness, ideology to spiritual value.

## **Резюме**

**Maia Гелиашвили**  
**Мариям Гелиашвили**  
**Вопрос взаимослияния знания и веры.**

С помощью синтезированного обучения науке и религии возможно воспитание такого, по возможности идеального, утонченного в общении и отзывчивого поколения, что интеллектуальность будет объединена с нравственностью, знание с добром, мировоззрение с душевными ценностями.

**ნათია კაკულია**  
**შრომითი ეთიკა საჯარო სამსახურში**

ეთიკა ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით ჩვეულებსა და ხასიათს ნიშნავს; თანამედროვე გაგებით ეს არის ადამიანის მორალის შესახებ ფილოსოფიური მოძღვრება, ადამიანის ზნეობრივი ქცევის ნორმების სისტემა, საზოგადოებასთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში ქცევის ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობა.

ნებისმიერი ორგანიზაცია არც თუ იშვიათად აწყდება სხვადასხვა სახის ეთიკურ პრობლემებს, მაგალითად, ხელმძღვანელთათვის თუ დაქვემდებარებულთათვის დაპირების შეუსრულებლობა, ორგანიზაციის საკუთრების პირადი მიზნებისთვის გამოყენება, დაქვემდებარებულთა ღირსების შელახვა, სამუშაოს უპასუხისმგებლოდ შესრულება, არაკეთილსინდისიერება, კანონებისა და ნორმატიული აქტების უგულვებელყოფა, კოლეგებსა და პარტნიორებთან უხეში დამოკიდებულება, სხვათა შეურაცხყოფილი, ამორალური ქცევა და ა.შ.

სახელმწიფო სამსახური განიხილება როგორც სახელმწიფო სამსახურის მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ნდობის გამოხატვა და, ბუნებრივია, მის წინაშე მნიშვნელოვან პროფესიულ, ზნეობრივ, ეთიკურ და მორალურ მოთხოვნებს აყენებს.

სახელმწიფო მოხელე ვალდებულია, იმსახუროს პატიოსნად და მიუკერძოებლად, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით; ამისათვის მან თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს იმ წესების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია სახელმწიფო სამსახურის ერთიანი სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში და დაფუძნებულია კონკრეტულ იურიდიულ და მორალურ-ეთიკურ მოთხოვნებზე. სახელმწიფო სამსახური განიხილება, როგორც საქმიანობის ისეთი სფერო, სადაც უნდა გამორიცხულ იქნეს ნებისმიერი სახის პირადი ან სხვა ფინანსური ინტერესების არსებობა, რომელიც წარმოშობს რაიმე დაბრკოლებას, რათა სახელმწიფო მოხელემ ღირსეულად მოიხადოს ვალი სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.

ამისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ საჯარო ფუნქციების სათანადო დონეზე შესრულება, სახელმწიფო სამსახურში წესდება ქცევის სტანდარტები, ეთიკური ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო მოსამსახურის ქცევისა და საქმიანობის პირობებს.

სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ ეთიკურ და სამართლებრივ ვალდებულებათა ერთობლიობა მისი ქცევის რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტია.

ეთიკური ვალდებულებები, რომლებიც მოიცავენ განსაზღვრული პროფესიის ფარგლებში მოქმედ აღამიანთა შორის ურთიერთობათა მორალურ ნორმებსა და პრინციპებს, ზოგადად განიხილება, როგორც პროფესიული ეთიკის სფერო, ხოლო სახელმწიფო სამსახურის შემთხვევაში ეს ვალდებულებები სახელმწიფო-სამსახურეობრივ ეთიკას შეადგენენ.

ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ, ზოგადსოციალური და ზოგადსაკაცობრიო მორალურ პრინციპებთან ერთად, მოქმედებს პროფესიული სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე მორალური პრინციპები და ნორმები. ცნობილია, რომ პროფესიული ეთიკის ნორმები წარმოიქმნება კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფებში და შინაარსით ანალიტიკურ-რეკომენდაციული ხასიათისაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეთიკური ნორმები იძენენ სავალდებულო ხასიათს და დეონტოლოგიური (სავალდებულო მორალური მოთხოვნები) ხდებიან. ამ მიზნით დადგინდება მორალურ ნორმათა ერთობლიობა, რომელსაც კონკრეტულ-იმპერატიული მნიშვნელობა ენიჭება. მათი მეშვეობით ხდება სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის მკაცრი და უნიფიცირებული რეგლამენტირება. საერთო-ეთიკური ნორმებისაგან განსხვავებით, იგი აისახება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დოკუმენტებში და უზრუნველყოფილია შესაბამისი ადმინისტრაციული სანქციებით, სახელმწიფო იძულებით.

დამკვიდრებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის სტანდარტები იურიდიულ ფორმას სამართლებრივი ნორმების სახით იძენენ და, შესაბამისად, ყალიბდება სახელმწიფო სამსახურში ქცევის წესების სამართლებრივი საფუძველი. უპირატესად ქცევის ზოგად სტანდარტებზე დაყრდნობით, ხელისუფლების ცალკეულ განშტოებასა თუ დაწესებულებაში იქმნება ქცევის განსხვავებული ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კონკრეტული სახეობების სპეციფიკას; მაგალითად, ქცევის სპეციფიკური ნორმები იქმნება აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში. შემდგომში ხდება ქცევის ნორმების დიფერენცირება ცალკეული სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა მიმართ. პროფესიონალური სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, იქმნება ასევე სპეციფიკური ნორმები. ამ ნორმების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრული სამსახურის სფეროში, რომელშიც ზოგადი ნორმების შემდგომი დეტალური რეგლამენტაცია ხდება.

ამრიგად, სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის წესების ერთობლიობა “პირამიდული” ფორმით წარმოვიდგება და მიმართულია ზოგადი კონკრეტულისკენ. პრაქტიკაში გვხვდება სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის წესების ერთობლიობა “ჰორიზონტალური” ფორმითაც, როცა იგი ქცევის წესების ზოგადი ნორმების სახით კი არ ყალიბდება, არამედ იქმნება ხელისუფლების ცალკეული შტოს მოხელეებისათვის.

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულია სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის სტანდარტები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ქცევის წესების, ქცევის კოდექსის, ეთიკის კოდექსის, ეთიკური ქცევის სტანდარტების, ქცევის ძირითადი პრინციპებისა და სხვა სახით. მოცემული სტანდარტები და კოდექსები, ძირითადად, მოიცავს ეთიკისა და პროფესიული ქცევის მსგავს ნორმებს.

სახელმწიფო მოსამსახურეთა ქცევის სტანდარტების შემუშავებისას დიდი ყურადღება ექცევა, როგორც სახელმწიფო მოხელეთა ზოგადი სტანდარტების შემუშავებას, ასევე სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის პირთა ქცევის სტანდარტების ჩამოყალიბებას.

1995 წელს ნოლანის კომისიამ (დიდი ბრიტანეთი) გამოაქვეყნა მოხსენება “საჯარო მოღვაწეობის სფეროში სტანდარტების შესახებ”. მასში ჩამოყალიბებულია საჯარო საქმიანობის ყველა სფეროსათვის მისაღები 7 პრინციპი. ეს პრინციპებია: უმწიკვლობა, მოუსყიდველობა, ობიექტურობა, ანგარიშვალდებულება, საჯაროობა, პატიოსნება და ხელმძღვანელობა.

ზემოხსენებული ზოგადი პრინციპების გარდა, მსოფლიო თანამეგობრობის ორგანიზაციები რეკომენდაციებს იძლევიან სახელმწიფო სამსახურის კონკრეტულ სფეროებში დასაქმებულ მოსამსახურეთა საქმიანობის რეგლამენტებისათვის. მაგალითად, გაეროს მიერ მიღებულია “სამართალდამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი”, რომელიც არეგულირებს პოლიციური უფლებამოსილებით აღჭურვილ ყველა დანიშნული ან არჩეული თანამდებობის პირის ქცევას. კოდექსში გამოკვეთილია ის მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეკისრება თანამდებობის პირებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის ღირსების, უფლებებისა და ვალდებულებების დაცვა.

აღნიშნული ნათლად მიუთითებს, თუ როდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული ეთიკის ზოგადი და სპეციალური ნორმების ჩამოყალიბების აუცილებლობას. ის არსებული ნორმების ფარგლებში უფრო აკონკრეტებს იმ მოთხოვნებს, რომელიც სახელმწიფო მოხელეს ავალდებულებს

იმოქმედოს განსაკუთრებული პირობების დაცვით და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ამრიგად, მსოფლიო თანამეგობრობის ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულია სახელმწიფო მოსამსახურის ქცევის სტანდარტები, რომლებიც რეკომენდებულია მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის ქვეყნებისათვის სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის საკანონმდებლო რეგლამენტებისა და შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებების განსახორციელებლად.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე განვიხილოთ, საჯარო სამსახურში ქცევის წესების ჩამოყალიბების ძირითადი ასპექტები და მათი რეალიზების ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მექანიზმები.

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ მოხელეთა ეთიკის ნორმები დაფუძნებულია იმ ძირითად პრინციპებზე, რომლებიც თითოეულ სახელმწიფო მოხელეს წარმოაჩენს, როგორც საზოგადოების სამსახურში მყოფ სახელმწიფოს მიერ ნდობით აღჭურვილ პირს, რომელიც ანგარიშგაღებულია საზოგადოების წინაშე და რომელმაც სახელმწიფო სამსახურეობრივი უფლებამოსილება არ უნდა გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, იხელმძღვანელოს მიუკერძოებლობის პრინციპით და უზრუნველყოს თავისი საქმიანობის სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპის შესაბამისად წარმართვა.

ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული პრინციპების რეალიზებასთან, ჩამოყალიბებულია ეთიკური ნორმების სახით და საერთოა ფედერალური ხელისუფლების სამივე შტოსათვის.

ფედერალურ მოხელეთა ეთიკური ქცევის საერთო პრინციპები, რომლებიც მოიცავს კონკრეტულ იურიდიულ და მორალურ-ეთიკურ მოთხოვნებს, ძირითადად, განსაზღვრულია ისეთი სამართლებრივი აქტებით, როგორიც არის: 1978 წლის კანონი “ხელისუფლების ეთიკის შესახებ”, 1989 წლის კანონი “ეთიკის რეფორმების შესახებ” და შეერთებული შტატების კოდექსის (მე-18 წიგნის მე-11 თავი “ინტერესთა კონფლიქტი, მოსყიდვა, მექრთამეობა”) მოთხოვნების შესაბამისად.

ეთიკის ნორმებით, ძირითადად, რეგლამენტირდება სახელმწიფო მოხელის საქმიანობის ის სფეროები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათ მიერ მოვალეობის მიუკერძოებელი შესრულება, არ დაუშვას თანამდებობის ბოროტად გამოყენება, გამორიცხოს ფინანსური ინტერესების კონფლიქტი, საჩუქრების მიღება, დაარეგულიროს შეთავსებითი საქმიანობის, სამსახურის მოძიებისა და პოსტსამსახურეობრივი დასაქმების პროცესები. ეთიკის ნორმების უგულებელყოფა კი განიხილება, როგორც დისციპლინური ისე

ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

ეთიკის ნორმების დაცვის კონტროლისა და აღნიშნული პროცესის ადმინისტრირებისათვის იქმნება სპეციალური ორგანოები ეთიკის კომისიის, ოფისის, კომიტეტისა და სხვა სახით. ამგვარი ფუნქციის შესრულება ცალკეულ ორგანოში ეკისრება ეთიკაზე ზედამხედველ პირს ან მოწვეულ კონსულტატებს, ექსპერტებსა და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ ერთიანი ეთიკის ნორმების არსებობის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, ეთიკის ნორმების დაცვაზე კონტროლი და აღნიშნული პროცესის ადმინისტრირება, ხელისუფლების ცალკეულ შტოში ურთიერთისაგან დამოუკიდებლად ხორციელდება. მაგალითად, აშშ-ში, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურ მოხელეთა მიმართ ერთიანი ეთიკის ნორმების სისტემაა შექმნილი, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობა წარმართება მთავრობის ეთიკის ოფისის მეშვეობით, საკანონმდებლო შტოში იგი ხორციელდება კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სამსახურებრივი ქცევის სტანდარტების კომიტეტისა და აშშ-ის სენატის ეთიკის კომიტეტის, ხოლო სასამართლო ხელისუფლებაში -- შეერთებული შტატების მოსამართლეთა ასოციაციის მეშვეობით.

აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აშშ-ის აღმასრულებელი ხელისუფლების თითოეულ უწყებაში ინიშნება ეთიკაზე ზედამხედველი პირი, რომელიც თავის უწყებაში კორდინირებას უწევს თანამდებობის პირებისა და მოხელეების მიერ ეთიკის დაცვას, ახორციელებს კავშირს მთავრობის ეთიკის ოფისთან, გამოსცემს შესაბამის აქტებს, იძლევა რეკომენდაციებს და ა.შ.

მოხელის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ქცევის წესების რეალიზება ხორციელდება ადმინისტრირების მძლავრი მექანიზმით, რომელიც მიმართულია და უზრუნველყოფს პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოხელის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევა, ხოლო ასეთი დარღვევების არსებობის შემთხვევაში, წარმართავს სათანადო საქმიანობას მის აღმოსაფხვრელად. გაცემული რეკომენდაციების, მოთხოვნების უგულვებლყოფისას ახდენს შესაბამის რეაგირებას და სვამს საკითხს მოხელის პასუხისმგებლობის შესახებ. მოქმედებს გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, რომლის ქმედით ბერკეტს დეკლარირების ინსტიტუტი წარმოადგენს და ამით საზოგადოებას აძლევს საშუალებას, თვითონ შეაფასოს თითოეული მოხელის პატიოსნება.

აქვე აღსანიშნავია, რომ ეთიკაზე ზედამხედველობა და შესაბამისი ინსტიტუციონალური მოდელის შექმნა, რომელიც

სრულყოფილად და რეალურად უზრუნველყოფს საკანონმდებლო მოთხოვნების რეალიზებას, მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელმწიფო სამსახურში ქცევის წესების დაცვას. მისი არარსებობის შემთხვევაში, შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს ხელისუფლების ნება – რეალურად განახორციელოს ხელისუფლების გამჭვირვალობის პრინციპი, რაც წარმოუდგენელია დემოკრატიული წესწესებების, საჯაროობისა და ღია სამოქალაქო საზოგადოების პირობებში.

საჯარო სამსახურში ქცევის წესების ზოგადი პრინციპების განსაზღვრისას ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია იმ მოდერების გაზიარება, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს არსებობდა საქართველოში და რომლის შექმნაშიც ღირსეული წვლილი შეიტანა ილია ჭავჭავაძემ. იგი ეთიკურ კატეგორიებს ეროვნულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასთან სისხლხორცეულად შერწყმულ ერთეულად განიხილა და აღიარებდა, რომ “ყველა კაცი, თუ დაწესებულება მით უფრო მაღალია და ღირსეული, როცა კანონს თავის თავზე მაღლა დააყენებს და თითონ ქვეშ დაუდგება. ამაზეა დამყარებული კაცთა საზოგადოების ბედნიერება და დღეგრძელობა “. ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პიროვნების ზნეობრივ ღირსებებს და წერდა: ”ადამიანებს კიდევ სინდისიც გააჩნიათ და სინდისის მოთხოვნილება უფრო დიდია, ვიდრე მოთხოვნილება სამოქალაქო კანონებისა” და რადგანაც “ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინდისი, მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა.”

ღიადი ქართველი მოღვაწე მოითხოვდა სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარი ყველა მოხელისაგან ეთიკური ნორმების დაცვით მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის მთელი პასუხისმგებლობით აღსრულებას.

იგი აგრეთვე, მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა საჯაროობის და, შესაბამისად, ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპს. ანგარიშვალდებულებას ილია განიხილავდა, როგორც სახელმწიფო მოხელის საქმიანობის აუცილებელ ელემენტს.

ამრიგად, ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბდა სახელმწიფო მოხელის ეთიკური ნორმები, რომლებიც სისხლხორცეულად ეხმაურებიან დემოკრატიული საზოგადოების მიერ განსაზღვრულ დღევანდელ მოთხოვნებს, რომლებიც საჯარო სამსახურში მოხელეთა ქცევის წესების საფუძვლად იქცნენ.

დასასრულს უპრიანი არ უნდა იყოს ყურადღება გამახვილდეს საჯარო სამსახურის ეთიკასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაზე. 1997 წლის 31 ოქტომბერს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ”, რომლითაც გარკვეულწილად მოხდა სახელმწიფო სამსახურში



ქვეყნის წესების რეგლამენტირება, განისაზღვრა სახელმწიფო სამსახურის ძირითადი პრინციპები, ჩამოყალიბდა სახელმწიფო სამსახურის უფლებები და მოვალეობები, დაწესდა სახელმწიფო სამსახურში საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები. მიუხედავად ამისა, ზომოადინიშნული კანონი ვერ აკმაყოფილებდა საერთო მოთხოვნებს და დღისწესრიგში დადგა საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფისა და დახვეწის აუცილებლობის საკითხი. ცვლილებების ძირითადი ნაკადის განხორციელება კი ახალ მთავრობას უკავშირდება. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2004 წლის 26 ივნისს “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა საჯარო სამსახურის საბჭო (მუხლი 128, პ.2), საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო. კანონის თანახმად მისი მიზანია საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, ხსენებულ სამსახურთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია, საჯარო სამსახურის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესრულების ანალიზი, აღნიშნულ სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო ფორმირებასა და რეალიზებაში მონაწილეობა, საჯარო სამსახურის სისტემის ფუნქციონირების ერთიანი პრინციპებისა და მიდგომების შემუშავება და დანერგვა, მოსამსახურეების ეთიკისა და დისციპლინალური ნორმების პროექტების შემუშავება, კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადება და საჯარო სამსახურის სფეროში სხვა სახელმწიფოთა გამოცდილების შესწავლა და განზოგადება.

აგრეთვე იმ ფაქტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომ საბჭოს შემადგენლობაში შედიან საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები, რაც საჯარო სამსახურის სფეროში შექმნილი პრობლემების გადაჭრის უკეთესი კოორდინაციის საშუალებას იძლევა.

დღეს საქართველოში ფუნქციონირებს დეკლარირების ინსტიტუტი – თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შესახებ, რაც გულისხმობს სახელმწიფო სამსახურში შესვლის პრეტენდენტისა და სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის ცნობების წარდგენას, რომელიც 1997 წლის კანონის “საჯარო სამსახურის შესახებ” შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ შესაბამისი პრინციპების არ არსებობის გამო “მკვდარ ნორმად იქცა”.

ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო თანამეგობრობის რეკომენდაციების მიხედვით, ძირითადი აქცენტი კეთდება ინტერესთა

კონფლიქტის გამორიცხვის პრევენციაზე, საჯაროობასა და ანგარიშვალდებულებებზე, რომელთა რეალიზების ბერკეტად დეკლარირების ინსტიტუტი გვევლინება.

სახლგარეარეთის ქვეყნების გამოცდილების გაცნობამ ცხადყო, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო სამსახურში ქცევის წესების განსაზღვრის ზოგადი პრინციპები ერთიან კანონზომიერებას ექვემდებარება და ერთმანეთისაგან, ძირითადად, მათი რეალიზების ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მექანიზმით განსხვავდება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ყინულის ღლობის პროცესი დაწყებულია. საქართველოს საჯარო სამსახურში მიმდინარე რეფორმები სორციელდება საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, სადაც არსებობს სახელმწიფო მოსამსახურის დაცვის რეალური პირობები, რაც მოიცავს მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. და, რაც მთავარია, უნდა არსებობდეს აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს თვალყური ადევნონ სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობას, რათა რეალურად განხორციელდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში აღიარებული პრინციპი – ხელისუფლება ხალხისათვის და არა – ხალხი ხელისუფლებისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ”
2. პერსონალის მართვის მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო – ვაჟა გურგენიძე – თბილისი, 2005 წელი
3. თხუხულებათა სრული კრებული, ტ. X – ი. ჭავჭავაძე
4. პუბლიცისტური წერილები – ი. ჭავჭავაძე – გაზეთი “ივერია”, 30.05.1892
5. [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge)

## **Summary**

**Natia Kakulia**

### **Labor ethic in the public service**

This article discusses the existing standards of behavior, ethic norms in the public service, which together with legal commitments is important lever of public employee's behavior regulation.

In line with the above-mentioned issues, the article presents standards of public service behavior, determined by legislations of various countries.

In conclusion the accent is made on the existing general principles of behavior of public service in Georgia by the end of the XIX century, on the present legislation in connection with ethic of public service in Georgia and on the steps taken for the improvement of this sphere in the recent years.

## **РЕЗЮМЕ**

**Натия Какулия**

### **Трудовая этика в государственной службе**

В статье рассматриваются стандарты поведения, этические нормы, существующие в государственной службе, которые в совокупности с правовыми обязательствами представляют значительные рычаги регулирования поведения чиновника.

В связи с обозначенным вопросом в статье представлены определенные законодательством стандарты поведения государственной службы многих стран.

В конце акцент делается на общие принципы поведения публичной службы, существующей в Грузии в конце XIX века, на действующее в Грузии законодательство в связи с этикой публичной службы, и на предпринятые в ближайшем прошлом шаги для совершенства этой сферы.

**ირაკლი ხელაძე**  
**ევროპული ინსტიტუტები და საქართველოს ინტეგრაცია**  
**ევროპაში**

საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ხელს შეუწყობს ქვეყნის დემოკრატიის, ეკონომიკის, კულტურის და თავისუფლების დონის ამაღლებას, განვითარებას; ხელს შეუწყობს ყოველი ქართველისთვის საოცნებო ქვეყნად ჩამოყალიბებას.

ევროკავშირი – ეს არის ორგანო, რომელიც ხელს უწყობს თავისი წევრი ქვეყნების ჰარმონიულად განვითარებას.

ყოველი ქართველისთვის ევროკავშირში გაწევრიანება ნიშნავს მისი ცხოვრებისა და საქმიანობის მაქსიმალურ უსაფრთხოებას, ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირებას, ევროპის კულტურულ და საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვასა და თანდათანობით ცხოვრების დონის ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებას.

საქართველო 1999 წლის იანვრიდან არის ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) სრულუფლებიანი წევრი. ამ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი ქვეყანას ეხმარება არჩევნების ჩატარებაში, ადამიანის უფლებების დაცვასა და ქვეყანაში დემოკრატიული ფონის ჩამოყალიბებაში.

1990 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც ასორციელებს ორივე მხარის ინსტიტუტები.

2004 წლიდან საქართველოზე გავრცელდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება ევროკავშირის ინტეგრაციით საქართველოში და სახავს ახალ პერსპექტივებს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობების სფეროში. საქართველოში არსებული ყველა ძლიერი პოლიტიკური ძალა მხარს უჭერს ევროკავშირში მის გაერთიანებას, რაც უდავოდ საქართველოს სტრატეგიული არჩევანია მისი განვითარების გზაზე.

დღევანდელი ევროკავშირი 25 ევროპული სახელმწიფოს გაერთიანებაა, რომელიც 450 მილიონი კაცის ინტერესებს იცავს და ეხმარება მათ სტაბილურობის, მშვიდობის, კეთილდღეობის დამყარებაში, რაც გამოიწვევს წევრი ქვეყნების ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლებრივ და სოციალურ განვითარებას.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებია : ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია,

ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, კვიპროსი და მალტა.

ზემოთხამოთვლილმა ქვეყნებმა გაწევრიანებამდე რთული გზა განვლეს : ფუნქციონალური საბაზრო ეკონომიკა, სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა, ადამიანთა უფლებების დაცვა, სავალუტო ერთიანობა, ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესატყვისობა – ეს არის ის წინაპირობა რის საფუძველზეც ეს ქვეყნები ევროკავშირში გაერთიანდნენ.

2001 წლის 26 თებერვალს ქალაქ ნიცაში (საფრანგეთი) ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის ამოცანას წარმოადგენდა ევროკავშირის სტრუქტურული რეორგანიზაცია, კერძოდ, შეთანხმება, განსაზღვრა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ევროკომისია, ევროპარლამენტი და ყველა ის ორგანო, რომელმაც ევროკავშირი გადააქცია ყველაზე მძლავრ პოლიტიკურ – ეკონომიკურ გაერთიანებად.

2004 წელს დაიწყო ევროკავშირის კონსტიტუციის რატიფიცირება წევრი სახელმწიფოების მიერ, რომელსაც 14 ქვეყანამ დაუჭირა მხარი.

ევროკავშირის ინსტიტუტებია : ევროკომისია, მინისტრთა საბჭო, ევროპული საბჭო, ევროპარლამენტი, მართლმსაჯულების სასამართლო, აუდიტორთა საბჭო, რეგიონების კომიტეტი, ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტი, ევროპული საინვესტიციო ბანკი, ევროპის ცენტრალური ბანკი.

ევროკომისია – ევროპის აღმასრულებელი ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის ინსტიტუტების გადაწყვეტილებების განხორციელებას. მუშაობას ახორციელებს 24 ევროკომისარი, რომელიც ირჩევა ხუთწლიანი ვადით.

მინისტრთა საბჭო – ეს არის ორგანო, რომელიც ახორციელებს თითოეული წევრი ქვეყნის ინტერესების დაფიქსირებას; ეს არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის თავმჯდომარეც წელიწადში ორჯერ იცვლება (იანვარი – ივნისი). ყველა ქვეყანას საბჭოში თავისი ხმა აქვს. ხმების რაოდენობა განისაზღვრება ქვეყნის სიძლიერით. მაგალითად : იტალიას აქვს 29 ხმა, ხოლო მალტას – 3.

ევროპული საბჭო – მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი დონის ორგანო. მის შემადგენლობაში შედიან წევრი ქვეყნების პრეზიდენტები ან მთავრობის მეთაურები, რომლებიც წელიწადში ოთხჯერ იკრიბებიან იმ ქვეყანაში, რომელსაც თავმჯდომარის პოსტი უკავია. თავმჯდომარე პასუხს აგებს სხდომის ორგანიზირებაზე.

ევროპარლამენტი – კანონშემოქმედებასთან და ბიუჯეტის ფუნქციებთან დაკავშირებული ორგანო, რომელიც კონტროლს

აწესებს ევროკავშირის ინსტიტუტებზე. ევროპარლამენტის არჩევნები პირველად ჩატარდა 1979 წელს. წევრების არჩევა ხდება ხუთწლიანი ვადით. 2004 წლის 13 ივნისს აირჩიეს ევროპარლამენტის ახალი შემადგენლობა 732 წევრით, რომელიც, დაახლოებით, 400 მილიონმა ამომრჩეველმა აირჩია. პარლამენტი შედგება ბლოკებისაგან : დემოკრატები (268), სოციალისტები (200), ლიბერალ-დემოკრატები (88), მწვანეთა ჯგუფი (42), და სხვა.

მართლმსაჯულების სასამართლო – ახდენს ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების სათანადო ინტერპრეტაციას და უზრუნველყოფს წევრი ქვეყნების კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობას. მართლმსაჯულების სასამართლოში ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა წარმოდგენილია თითო მოსამართლით. ისინი ინიშნებიან 6 წლის ვადით და ყველა ქვეყანას ერთი წარმომადგენელი ჰყავს.

აუდიტორთა საბჭო – გადასახადის გადამხდელთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს თუ როგორ ხარჯავენ ევროგაერთიანებები ფინანსურ საშუალებებს და იცავს საბუღალტრო პრინციპებს. აუდიტორთა საბჭო შედგება 25 წევრისაგან და ინიშნება 6 წელიწადში ერთხელ. აუდიტორთა საბჭო ფინანსური წლის ბოლოს წარმოადგენს მოსხენებებს, რომლებიც გადაეცემა ევროპარლამენტს.

რეგიონების კომიტეტი – მისი ფუნქციაა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ინტეგრირების წარმოდგენა ევროკავშირის დონეზე. კომიტეტი შედგება 222 დამოუკიდებელი წარმომადგენლისგან და ამავე რაოდენობის ალტერნატიული წარმომადგენლისგან, რომლებიც ირჩევიან 4 წლის ვადით წევრი ქვეყნების მიერ. ამ კომიტეტში თავს იყრის რეგიონებიდან წამოსული მოსახრებანი, რაც გადაეცემა ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიას. საკითხები ეხება რეგიონალურ პოლიტიკას, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, მშენებლობას, ჯანდაცვას, გარემოს დაცვას, ტურიზმს, მეცნიერებას, დასაქმებას, მემკვიდრეობას, მრეწველობას, განათლებას, კულტურასა და სპორტს.

ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტი - იღებს გადაწყვეტილებებს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში და თავის გადაწყვეტილებებს გადასცემს ევროკომისიასა და ევროპარლამენტს. ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტი შედგება 317 წევრისაგან, რომლებიც ქმნიან 6 სამუშაო ჯგუფს და ახორციელებენ სოფლის მეურნეობის კურირებას გარემოს დაცვის, საგარეო ურთიერთობების, ტრანსპორტის, ენერჯეტიკისა და ინფრასტრუქტურის საკითხებზე.

ევროპის საინვესტიციო ბანკი – არის ევროკავშირის საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც ევროპის წევრ სახელმწიფოებზე

გაცემს გრძელვადიან კრედიტებს, კაპიტალურ ინვესტიციებს. მისი ყოველწლიური ბრუნვა 54 მილიარდი ევროა. ეს თანხა არეგულირებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფინანსურ მდგომარეობას. გარდა ამისა იგი მეზობელ ქვეყნებზეც მუშაობს. კერძოდ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან (გარემოს დაცვის პროექტები), ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებთან (სამშვიდობო პროცესის ხელშეკრულება), აზიურ და ლათინოამერიკულ ქვეყნებთან (ტექნოლოგიური ტრანსფერის ერთიანი წარმოების პროექტები).

ევროპის ცენტრალური ბანკი - ეს არის ბანკების ევროპული სისტემა. ის ახდენს ევროს ემისიას, მართავს ფინანსებს.

განვიხილოთ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა ზემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებთან მიმართებაში. შეთანხმება ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს. მაშინ წევრი ქვეყანების რაოდენობა 15-ს შეადგენდა. მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელმაც ახალი იმპულსი შესძინა საქართველოს. პირველი შეთანხმება სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებს შეეხებოდა, რომელიც გაფორმდა 105 მუხლით, 5 დანართით და ოქმით. ამ დოკუმენტებით ჩამოყალიბდა თანამშრომლობა ინსტიტუციონალურ, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ჩარჩოებში.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება სერიოზულ საფუძველს ქმნის ორმხრივი ურთიერთობის გასაღრმავებლად ისეთ სექტორებში, როგორცაა ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, საბანკო საქმე, ინვესტიციები, ვაჭრობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, განათლება. როგორც ჩანს, ამ შეთანხმებით საქმიანობის ყველა სფეროა მოცული.

შეთანხმება იძლევა ევროკავშირის მხრიდან საქართველოს დახმარების საშუალებას საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობის, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში, რაც გამოიწვევს ქვეყნის წინსვლას, პროგრესს. ეს შეთანხმება ასევე განიხილება, როგორც კავშირი საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა. ეს ქვეყნები ცნობენ, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. ეს მხარდაჭერა კი მოასწავებს მშვიდობასა და სტაბილურობას ქვეყანაში.

შეთანხმების ერთერთი მთავარი ატრიბუტი - პოლიტიკური დიალოგი, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონალურ დონეზე, ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს. ამ დრომდე ჩატარებულია 6 შეხვედრა.

ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოში კანონმდებლობის დახვეწას, რათა ის მოექცეს ევროპულ ჩარჩოებში. ხორციელდება

ექსპერტთა გაცვლები, ტარდება სემინარები, ტრენინგები, სტაჟირებები.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებების დაცვას, რაც, პირველყოვლისა, დამყარებულია კანონის დაცვასა და მის უზენაესობაზე საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით. ყოველივე ეს ხორციელდება ტექნიკური დახმარების პროგრამით (TACIS – ტასის), რომელიც სუფსიდიებისა და გრანტების სახით გამოიყოფა.

ევროკავშირის მიერ საქართველოსადმი გაწეული დახმარებები 1992-2005 წლებში შეადგენს დაახლოებით 0,5 მილიარდ ევროს. მათ შორის : ჰუმანიტარული დახმარება – 106,26 მილიონი ევრო, ტექნიკური დახმარების ფარგლებში – 111 მილიონი ევრო, სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა – 80 მილიონი ევრო.

RRM – სწრაფი რეაგირების მექანიზმი – პროგრამა, რომლის ფარგლებში ევროკავშირმა საქართველოს გამოუყო 2 მილიონი ევრო, რათა ჩატარებულიყო 2004 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

TEMPUS – საუნივერსიტეტო თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში განათლების რეფორმას, კერძოდ, უნივერსიტეტის მენეჯმენტის განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. 1995 წლიდან დღემდე ამ მიზნით გამოყოფილია 4,7 მილიონი ევრო. ტემპუსის პროგრამას აფინანსებს ევროკომისიის კულტურისა და განათლების დეპარტამენტი. ამ პროგრამაში მონაწილეობდა საქართველოში არსებული 13 უმაღლესი სასწავლებელი.

TRANCEKA – ტრანსეკა – ევრო-კავკასია-აზიის დერეფანი – აბრეშუმის გზა, რომელიც არის საერთაშორისო ორგანიზაცია. მასში გაწევრიანებულია საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, უკრაინა, მონღოლეთი, მოლდავეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი. პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 1993 წელს ქალაქ ბრიუსელში, ევროპის ტრანსპორტირებისა და ენერგეტიკის მინისტრთა კონფერენციაზე.

INOGATE – ინოგეტი – ევროკავშირის პროგრამა ევროპაში ბუნებრივი აირისა და ნავთობის ტრანსპორტირების საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ. წევრი ქვეყნებია : საქართველო, ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბულგარეთი, ნორვეგია, საბერძნეთი, ყაზახეთი, სლოვაკია, მოლდოვა, რუმინეთი, სერბია, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი.

ევროკავშირმა განახორციელა სარეაბილიტაციო პროგრამები აფხაზეთსა და ოსეთში კონფლიქტით დაზარალებული ობიექტების აღსადგენად. სამუშაოები დააფინანსა ევროკომისიამ. ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები ენგურჰესზე, რაზეც დაახლოებით 10



მილიონი ევრო დაიხარჯა. 2007 წლიდან იწყება დახმარების ახალი პროგრამები, რომელთა განხორციელება მოხერხდება ევროპული სამეზობლოს ჩარჩოებში.

1993 წლის 1 იანვრიდან გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის საფეიქრო და ტანსაცმლის პროდუქციით ვაჭრობაზე. ვინაიდან საფეიქრო პროდუქცია არ არსებობდა, საქართველომ ვერ შეძლო ამ შეთანხმების შესრულება.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) საქართველომ გაწვევრიანება შეძლო 2000 წლის ივნისში.

ევროკავშირი საქართველოსთვის მეორე სავაჭრო პარტნიორია დსთ-ს შემდეგ. ძირითადი პარტნიორი ქვეყნებია: ინგლოსი, იტალია, საფრანგეთი და ნიდერლანდები. 2007 წლის მონაცემებით, საქართველოს ვაჭრობამ ევროკავშირის ქვეყნებთან შეადგინა 900000 მილიონი ა.შ.შ. დოლარი, რაც უსწრებს წინა წლის მონაცემებს.

ევროკავშირის ბაზარზე ძირითადი საექსპორტო საქონელია : თხილი, მინერალური და გაზიანი წყლები, მინერალური სასუქები, ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, დაუმუშავებელი ოქრო, შავი ლითონის ჯართი.

იმპორტში ჭარბობს : მსუბუქი მანქანები, სამკურნალო საშუალებები, შაქარი, გამოთვლითი მანქანები, ნავთობი (ნავთობპროდუქტები).

ღვინო საქართველოსთვის ერთ-ერთი საექსპორტო პროდუქციაა. მისი მომხმარებელი ძირითადად იყო რუსეთი, თუმცა რუსეთში ექსპორტი შემცირებულია. ევროპა ექსპორტის 3%-ს შეადგენს. ევროკომისიის გენერალურმა დირექტორატმა დადებითი შეფასება მისცა ქართულ ღვინოს და დაუშვა მისი ექსპორტი. 2005-2007 წლებში ღვინის ექპორტმა შეადგინა 90 მილიონი ა.შ.შ. დოლარი.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა არეგულირებს ყველა ურთიერთობას საქართველოსა და ევროპის წამყვან ქვეყნებს შორის. ის არის გარანტი ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობების დანქარებისა.

ევროკავშირთან თანამშრომლობის დონე და მისი განვითარების ტემპი დამოკიდებული იქნება მეზობელი ქვეყნების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებასა და საერთო ღირებულებების დაცვაზე.

სამეზობლო პოლიტიკა მასში მონაწილე ქვეყნებს პრივილეგირებული ურთიერთობების განვითარებას სთავაზობს, რომელიც ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორცაა კანონის უზენაესობა, ეფექტური მმართველობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა, კეთილმეზობლური ურთიერთობები; მონაწილე ქვეყნებს ეხებათ ტერორიზმთან ბრძოლა, მასობრივი იარაღის განადგურება, კონფლიქტების მოგვარებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

სამეზობლო ინიციატივაში მონაწილეობა საქართველოს მნიშვნელოვან მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს. ევროკავშირიდან მან მიიღო და კვლავაც მიიღებს ფინანსურ დახმარებას ; ევროკავშირი ესმარებოდა და კვლავაც დაესმარება საქართველოს დემოკრატიის, ეკონომიკის, საჯაჯრო და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებაში, მხარს დაუჭერს საქართველოს მთლიანობასა და ერთიანობას.

ევროკავშირი საქართველოსთან ურთიერთობას გააღრმავებს , თუ ქვეყანა იმუშავებს კანონიერების დაცვის, კონფლიქტების მოგვარების გზით, რაც განაპირობებს საქართველოს უსაფრთხოებას, კულტურის, განათლებისა და მეცნიერები აღორძინებას.

2006 წელს ევროკავშირმა და საქართველომ გამართეს კონსულტაციები ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე. კონსულტაციებმა აჩვენა, რომ საქართველოსა და ევროკავშირს ბევრ საკითხში საერთო ხედვა აქვთ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეკონომიკური განვითარება, სიღარიბის დაძლევა, სიმართლისა და თავისუფლების ხარისხის გაზრდა, სამეწარმე გარემოს გაუმჯობესება, ადამიანის უფლებების დაცვა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შესაძლოა ევროკავშირმა სამეზობლო პოლიტიკა უფრო მაღალი დონის შეთანხმებით შეცვალოს. ეს ცვლილება დამოკიდებულია საქართველოს მოსახლეობის მიღწევებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერუჩაშვილი თ., ყარაულაშვილი ა., მშვიდლობაძე ვ., “საქართველო და ევროკავშირი”, თბილისი, 2006.
2. გრიშიაშვილი ა., “გზა ევროკავშირისაკენ”, თბილისი, 2003.
3. დოლონაძე შ., “ევროპის საბჭო და საქართველო”, თბილისი, “მეცნიერება”, 2000.
4. დოლონაძე შ., ავალიანი ნ., “საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენები” , თბილისი, “მეცნიერება”, 2001.
5. ღვამიჩავა ა., “ევროკავშირი XXI საუკუნის მიჯნაზე”, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

## **Summary**

**Irakli Xeladze**

### **European Institutions and Integration of Georgia in Europe**

Integration of Georgia in Europe means cooperation European Institution's like Euro Commission, OSCE, European Union, European Parliament, European Council, Council of Ministry, and others cooperation with Georgia, which would provoke Georgians business success, ensure safety, foster democracy and raise quality of living. Georgia tries to establish of citizen safety, economic, political, legal and social norms, that would serve stability, economic progress and general development of country. Political dialogue between Georgia and European institutions supports Georgia in any aspect. It is perceived, that Georgia is a democratic country with strong sense of unity, sovereignty, and is not a subject to threats concerning its territorial integrity.

## **Резюме**

**Ираклий Хеладзе**

### **Европейские институты и интеграция Грузии в Европу**

Интеграция Грузии в Европу означает сотрудничество с такими Европейскими институтами как Еврокомиссия, Евросоюз, Европарламент и другие; Все это гарантирует безопасность, рост демократии и успех бизнеса. Грузия пытается установить экономические, политические, юридические и социальные нормы, которые служили бы стабильности, экономическому продвижению и общему развитию страны. Политический диалог между Грузией и Европейскими институтами поддерживает Грузию в любом аспекте. Грузия - демократическая страна с сильным смыслом единства, суверенитета, и не предмет к угрозам относительно его территориальной целостности.

**შორენა ჭილაძე**  
**სახელმწიფო დაწესებულების კონსტიტუციური**  
**მართვა საქართველოში**

პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტებიდან სახელმწიფო ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია. ადამიანი უხსოვარი დროიდან დღემდე მეტნაკლებად დამოუკიდებელია სახელმწიფოზე, რომელიც მის ხელში თავმოყრილი ძალაუფლებითა და რესურსებით იცავს ინდივიდის უსაფრთხოებასა და უფლებებს, სანაცვლოდ კი მისგან მრავალრიცხოვანი, ზოგჯერ მძიმე ვალდებულებების შესრულებას მოითხოვს. ჯერ კიდევ ანტიკურ სახელმწიფოში (საბერძნეთი, რომი) წარმოშობილი კონფლიქტები ადამიანის თავისუფლებისაკენ სწრაფვასა და სახელმწიფოებრივ შეზღუდვებს შორის დღესაც არ არის გადაჭრილი.

საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა როგორც ადამიანთა შეხედულებები სახელმწიფოზე, მის როლსა და დანიშნულებაზე, ასევე თავად სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებიც. მგალითად, ძველი ბერძენი მოაზროვნეები სახელმწიფოს წარმოშობას განიხილევდნენ, როგორც საზოგადოებრივი განვითარებისა და ადამიანთა თანაცხოვრების ფორმის გართულების ბუნებრივ პრიცესს. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ თავდაპირველად ადამიანები ოჯახებად ერთიანდებოდნენ, შემდეგ რამდენიმე ოჯახი ერთიანდებოდა სოფელში და საბოლოო ჯამში იქმნება სახელმწიფო. არისტოტელეს სახელმწიფო გონიერების, სამართლიანობის, სილამაზის და საერთო კეთილდღეობის განსახიერებლად მიაჩნდა. მისი აზრით, ადამიანი “პოლიტიკური ცხოველია”, რომლის ხასიათშიც ბუნებამ ჩადო სწრაფვა სახელმწიფოებრივი გაერთიანებისაკენ, ერთობლივი თანაცხოვრებისაკენ. “ადამიანი, რომელმაც თავისი დასრულება სახელმწიფოში ჰპოვა, ყველაზე სრულყოფილი ქმნილებაა, ხოლო ადამიანს, რომელიც კანონისა და სამართლის გარეშე ცხოვრობს, ყველაზე მეტად შესაბრაღისი ადგილი უკავია სამყაროში”. წერდა არისტოტელე.

ინგლისელი მოაზროვნე თჰომასი კი სახელმწიფოს აღარებდა ლევიათანს-ბიბლიაში აღწერილ ურჩხულს: “მისი სახიდან ცეცხლის ალი გამოდის, ნაპერწკლები ცვივა, მისი ნესტოებიდან გამოდის კვამლი, როგორც მღუღარე ქვაბიდან. მის კისერზე ძალა ბინადრობს, მის წინ კი საშინელება დარბის” ჰობსის აზრით, სახელმწიფო, როგორც ლევიათანი, ყველას და ყველაფერს ნთქავს, ანადგურებს და უკან არაფერს აბრუნებს.

სახელმწიფო, განსაკუთრებული წესით მოწყობილი პოლიტიკური ეკონომიკურად გაბატონებული კლასისა მთელი ქვეყნის ფარგლებში უმაღლესი ძალაუფლების განსახორციელებლად სახელმწიფო დასაბამიდანვე როდი არსებობდა. იყვნენ ისეთი საზოგადოებანი, რომელთაც სახელმწიფოზე და სახელმწიფო საზოგადოებაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. ეკონომიკური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვასთან, სახელმწიფო ამ გათიშვის გამო აუცილებლობად იქცა. სახელმწიფოს წარმოშობა განაპირობა არა მარტო კერძო საკუთრების გაჩენის შედეგად საზოგადოების კლასებად დაყოფამ, არამედ ამ კლასებს შორის ანტაგონიზმაც: “სახელმწიფო არის კლასობრივ წინააღმდეგობათ შუაშეხების პროდუქტი და აგმობატულება, სახელმწიფო ჩნდება იქ და იმდენად, სადც, როდესაც და რამდენადაც კლასობრივ წინააღმდეგობათა შერეგება ობიექტურად შეუძლებელია” (ლენინი). სახელმწიფოს ბუნებისა და მისი როგორც პოლიტიკური ბატონობის იარაღის დანიშნულებიდან გამომდინარე ფ. ენგელსი მიუთითებს ორ ძირითად ნიშანზე, რომელიც განასხვავებს მას წინაკლასობრივი პირველ-ყოფილ-თემური საზოგადოების ორგანიზაციისგან: ქვეშევრდომთა დაყოფა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით და საჯარო ხელისუფლება ანუ იძულების სპეციალური აპარატი. მ საჯარო ხელისუფლების მეშვეობით სახელმწიფოს აქვს იძულების უნარი, შეუძლია უზრუნველყოს მისი მოთხოვნების შესრულება ყველა ქვეშევრდომის მიერ. მოთხოვნები რომლებიც გაბატონებული კლასის ნების შესაბამისად ყალიბდება, უმთავრესად და სამართლებრივი ნორმებშია ფორმირებული. სახელმწიფო ეკონომიკის ბაზისის ზედნასენია, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დაწესებულებაა, რომელიც გაბატონებულია კლასის პოლიტიკურ შეხედულებებს შესაბამემა კლასობრივი საზოგადოების ეკონომიკური წესწობილებისა საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობის მიხედვით განასხვავებენ სახელმწიფოს ოთხ ისტორიულ ტიპს: მონათფობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს და სოციალისტურს. მაგან პირველი სამი ექსპლოატატორული ტიპის სახელმწიფოა, მეოთხე კი – არა ექსპლოატატორული ტიპისა. გარდა ისტორიული ტიპებისა, სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ხდება სახელმწიფოს ფორმის მიხედვითაც. სახემწიფოს ფორმის ცნება გამოხატავს გაბატონებული კლასის მიერ თავისი დიქტატორის განხორციელებისათვის დადგენილ სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა და ორგანიზაციის, რაც გამოხატულებას პოულობს მმართველობის ფორმასა და სახელმწიფო წყობილების ფორმაში: სახელმწიფო წყობილების ფორმაში იგულისხმება სახელმწიფოს შინაგანი აკტულების ტერიტორია, ორგანიზაციული თავისებურებანი. სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით

ქვეყნებს ძირითადად ყოფენ უნიტარულ ანუ მარტივ და ფედერაციულ ანუ რთულ სახელმწიფოებად. სახელმწიფოს ცნებასთან დაკავშირებულია აგრეთვე პოლიტიკური რეჟიმების ცნება, რომელშიც იგულისხმება მმართველი კლასების მიერ თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ხერხებისა და მეთოდების შედეგად დამყარებული წესრიგი, რაც ასახავს საზოგადოების დემოკრატიულობისა და ანტიდემოკრატიულობის ხარისხს.

ცნება “პოლიტიკური რეჟიმი” გამოხატავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ინდივიდის ურთიერთკავშირის ხასიათს, იძლევა წარმოდგენას ხელისუფლების განხორციელების საშუალებებზე. შლ. მონტესკიეს მოსწრებული შენიშვნით: როგორც რესპუბლიკას ესაჭიროება ზნეობრიობა, ისე დესპოტური მმართველობისთვის შიშია საჭირო.”

გამომდინარე დემოკრატიისა და დიქტატურის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის პრინციპიდან, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების სოციალური თავისუფლების ხარისხს, თანამედროვე პოლიტიკური პრაქტიკა გამოყოფს რეჟიმის სამ ძირითად ტიპს: ტოტალიტარულს, ავტორიტარულს და დემოკრატიულს. თუმცა, დემოკრატიასა და ტოტალიტარიზმს შორის განლაგებულია არაერთი გარდამავალი პოლიტიკური რეჟიმი: ნახევარდემოკრატიული, ავტორიტარულ-ტოტალიტარული

დემოკრატია პოლიტიკური რეჟიმის ყველაზე რთულ ტიპს წარმოადგენს. ინგლისის პრემიერ მინისტრის უინსტონ ჩერჩილის თქმით “დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, თუ არ ჩავთვლით ყველა დანარჩენს, რომლებიც დროდადრო გადამოწმებას ექვემდებარება”. ამით მან ხაზი გაუსვა დემოკრატიის სირთულეს, რომელიც მოითხოვს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა მუდმივ თანხმობას, ადამიანის უფლებებისა თავისუფლებების გარანტიებს.

დემოკრატიას რამდენიმე გაგება გააჩნია. ვიწრო გაგებით, დემოკრატია არის სახელმწიფო ფორმა, რომლის დროსაც ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლებები აქვს ხელისუფლებაზე, მონარქიისგან განსხვავებით, სადაც ხელისუფლება ეკუთვნის ერთპირს ან არისტოკრატებს. დემოკრატიის ასეთი გაგება ანტიკური ხანიდან, კერძოდ უძველესი პეროლოტედან (ძვ. წ. 6 ს) მოდის.

უფრო ფართო გაგებით, დემოკრატია საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის იდეალური მოდელია, გარკვეული მსოფლმხედველობაა, რომელიც დამყარებულია თავისუფლების, თანასწორობის, ადამიანის უფლებების ღირსებებზე.

დემოკრატია-საზოგადოების პოლიტიკური თვითორგანიზების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების კომპლექსი, რომელთა სტრუქტურა და ფუნქციონირება

დაყრდნობილია ლიბერალურ დემოკრატიულ მსოფლმხედველობასა და ფასეულ ქცევებზე, ნორმებზე, შეადგენს დემოკრატიის პოლიტიკურ სასტემას.

დღესდღეობით არსებობს დემოკრატიის რამდენიმე თეორია, რომელთა შორის ძირითადია პლურალისტიკური, პარიციპატორული, საბაზრო, პლემბისტიკური, კონსოციატიური, წარმომადგენლობითი, სახალხო, სოციალისტური,

თანამედროვე სახელმწიფოს დემოკრატიულობას და სამართლებრივი ხასიათების საყრდენი იქცა ადამიანის უფლებების საერთო დეკლარაცია, რომელიც მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასსამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს და 1966 წლის 19 დეკემბრის დამატება ორი პუნქტით: ერთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ უფლებებზე, მეორე კი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე.

დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ყველა მოქალაქის პოლიტიკური თანასწორობა კანონის წინაშე მისი მთავარი პრინციპით “ერთი ადამიანი-ერთი ხმა”

პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობა გამოიხატება ამა თუ იმ დოკუმენტით, პირველ რიგში კონსტიტუციით, რომელიც აფიქსირებს სამოქალაქო თავისუფლებას და ადამიანთა უფლებებს.

დემოკრატიული განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური ძალაუფლების შეზღუდვის აუცილებლობის ფორმირებასა და განმტკიცებას, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ მან მოახდინოს თავისი ძირითადი ფუნქციის რეალიზება, რომელიც საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, ისე, რომ არ გამოვიდეს კანონის ჩარჩოებისგან.

ისტორიული თვალსაზრისით, კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც ქვეყნის საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს, შედარებით ახალი პოლიტიკური და იურიდიული მოვლენაა. თუმცა “კონსტიტუციას” როგორც ტერმინს მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია.

კონსტიტუცია—ეს ძირითადად ერთიანი ნორმატიული აქტი, ან უფრო იშვითად რამოდენიმე ძირითადი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ერთობლიობაა, რომელიც ორივე შემთხვევაში სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმთავრეს პრინციპებს ასახავს. მისი, როგორც ასეთის, დაბადება დაკავშირებულია ბურჟუაზიულ რევოლუციასთან.

კონსტიტუცია, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის სახელმწიფოს ძირითადი კანონი, მოცემული ქვეყნის სამართლის ყველა დარგის პრინციპული დებულებების სრული და შეთანხმებული ერთობლიობის სახეს დებულობს. კონსტიტუცია ხშირად ექცევა მთავარი საზოგადოებრივი გარდაქმნების ფოკუსშიდა

ამიტომ მას მარტებულად უწოდებენ სახელმწიფოსა და საზოგადოების სავიზიტო ბარათს.

ფორმის მიხედვით არსებობს დაწერილი და დაუწერილი კონსტიტუცია. პირველი დაწერილი კონსტიტუცია მიიღეს ა.შ.შ-ში 1787წ. 17 სექტემბერს. დაუწერილი კონსტიტუცია მოქმედებს ამჟამად დიდ ბრიტანეთსა და ახალ ზელანდიაში. ტიპის მიხედვით არსებობს ბურჟუაზიული და სოციალისტური კონსტიტუციები. ბურჟუაზიულ ქვეყნებში კონსტიტუციის მიღების უფლება ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას, სახელმწიფო მეთაურს და სხვა.; სოციალისტურ სახელმწიფოში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე კონსტიტუცია, როგორც ერთიანი საკანონმდებლო აქტი არ არსებობდა. ამ პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა დეკრეტები და სხვა კანონის მქონე ნორმატიული აქტები, რომელშიც განმტკიცებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლით მოპოვებული მონაპოვრები სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ყველა სფეროში ამ პერიოდის ასეთი ნორმატიული დოკუმენტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პირბელი კონსტიტუციური ხასიათის აქტი, რომელიც 1918 წლის 10 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის სახელწოდებითაა ცნობილი და რომელშიც პირველი განსაზღვრება საქართველოს პოლიტიკური ფორმა, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები დამფუძნებელ კრების შეკრებამდე დროებითი სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოები. დამფუძნებელი კრება არჩეულ იქნა 1919 წლის 12 მარტს. პირველი ამოცანა, რომელიც მიზნად დაისახა დამფუძნებელმა კრებამ, ეს იყო საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება, რომელიც სფუძელად დაედებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განვითარებას და რომელიც იურიდიულად გაფორმებდა ჩვენი სახელმწიფოს არსებობას.

დამფუძნებელმა კრებამ ვერ მოახერხა 1921 წლის კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო დამუშავება და კონსტიტუცია ფაქტიურად ძალაშიც არ შესულა, თამამდ შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოდგენდა სახელმწიფოს ძირითადი კანონის სრულყოფილ და დახვეწილ ნიმუშს.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით თამამდ შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო ახალი ერა საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე. იგი მოგვევლინა ჩვენი ქვეყნის სამართლებრივ და მრავალმხრივი საქმიანობის სახელმწიფოს მართვის სრულყოფის მიზნით.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ დაძაბული მუშაობისა და წინასაპარლამენტო განხილვების შემდგომ, რომელშიც თითქმის



ყველა პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა, 1995 წელს წარადგინა კონსტიტუციის პროექტი პარლამენტში განსახილველად. მწვავე დებატების და აზრთა შეჯერების საფუძველზე 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა თითქმის ერთსულვნად დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის სახელმწიფოს ახალი კონსტიტუცია.

კონსტიტუციური რეფორმა აუცილებელი წინაპირობა იყო იმ სანუკვარი მიზეზის განსახორციელებლად, რაც საქართველოს სუვერენული და ჭკეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უკავშირდება. თუ ამასთან დაკავშირებულ პრიცესებს არ ახლავს დაცვის კონსტიტუციური გარანტიები, ეს პროცესები შეიძლება ადვილად შესუსტდეს, ან საერთოდ დასუსტდეს. საქართველოში მეარად მოიკიდა ფეხი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ჩვენთვის მანამადე უცნობმა სახეებმა. საზოგადოება გადავიდა წარმოების ახალ წესზე, რომლის საფუძველსაც სოციალისტური საერთო-სახალხო საკუთრების ნაცვლად კერძო მექანიზმის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, ანუ დემოკრატიული ცენტრალიზმის ნაცვლად ხელისუფლების დანაწილების პრინციპების პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა და ა.შ.

რამდენადაც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია აღიარებს საქართველოს რესპუბლიკური მმართველობის ფორმას, კარგი იქნება, ჩამოვყალიბოთ საერთო რესპუბლიკური ფორმისთვის დამახასიათებელი იურიდიული ნიშნები.

რესპუბლიკური მმართველობა არის კოლექტიური მმართველობა. სახელმწიფო ხელისუფლების ყველა უმაღლეს ორგანოს გააჩნია რთული სტრუქტურა, ენიჭება მხოლოდ მათთვის დადგენილი უფლებამოსილებანი და მათი შეუსრულებლობისთვის პასუხს აგებს კანონის თანახმად.

რესპუბლიკური მმართველობა დაფუძნებულია ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების რამდენიმე ხელისუფლებად: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილების პრინციპით.

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე ძნელი არაა დაავადვინოთ საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკაა თუ საპარლამენტო. მართალია, კონსტიტუციის 48-ე მუხლში ნათქვამია, რომ “საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წამომადგენლობითი ორგანო. რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას”, თუმცა საკმარისია, თვალი გადავაავლოთ კონსტიტუციის შემდეგ დებულებებს და დავსკვნით, რომ საქართველოში დამკვიდრდა საპრეზიდენტო მართველობის ფორმა. კერძოდ, 69-ე მუხლის თანახმად საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების

მეთაური”. 77-ე მუხლით პრეზიდენტი აყალიბებს მთავრობის შემადგენლობას და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. 79-ე მუხლის მიხედვით კი “ მთავრობის წევრები პასუხისმგებლები არიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე” და სხვა. ე.ი. კონსტიტუციამ მთლიანად გაიზიარა ის თეორიული საფუძვლები, რაც ახასიათებს საპრეზიდენტო ხელისუფლების მმართველობას.

განვიხილოთ ერთ-ერთი ხელისუფლება საქართველოს პარლამენტი-საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად საქართველოს პარლამენტი არის საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

პარლამენტს, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივ ინსტიტუტს, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. პირველი პარლამენტები (ინგლისისპარლამენტი, ესპანეთის კორტესები) აღმოცენდა ჯერ კიდევ 17-18 საუკუნეებში. თუმცა ისტორია თანამედროვე პარლამენტისა, როგორც ზოგადსახელმწიფოებრივი, ზოგადეროვნული წარმომადგენლობითი ორგანოსი, რომელიც განსხვავდება ფეოდალიზმის პერიოდის წოდებრივ წარმომადგენლობითი დაწესებულებებისგან, იწყება ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქიდან, რომელთა გამარჯვების შემდგომ პარლამენტი ხდება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ორგანო. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა და გავრცელდა პარლამენტარიზმი, როგორც საზოგადოების სახელმწიფო მმართველობის განსაკუთრებული სისტემა, რომელსაც ახასიათებდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციების მკვეთრი განაწილება წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის ფორმალური უხენაესობის შენარჩუნებით სხვა სახელმწიფო ორგანოთა მიმართ. მას განაპირობებდა პარლამენტის პოლიტიკური იდეოლოგიური როლიც, რადგან პარლამენტარიზმის დროს იგი ქმნის მთავრობას, რომელიც ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

საქართველოს პარლამენტმა ქვეყანაში შეცვალა საქართველოს “ორრგოლიანი” ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგებოდა საქართველოს სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და მისგან ჩამოყალიბებული უმაღლესი საბჭოს შემადგენლობისგან.

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლში მითითებულია რომ საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომდგენლობითი ორგანო. ამით კონსტიტუცია ადგენს, რომ საქართველოს სახელმწიფო ფორამა არის წარმომდგენლობითი (რესპუბლიკური) ე.ი. არჩევითობის საწყისებზე აკებული საპარლამენტო დემოკრატია, რომლის პირობებშიც ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება ეკისრება სახალხო

წარმომადგენლობას, რომელიც დამოუკიდებლად დებულობს მეტ-ნაკლებად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს.

საქართველოს კონსტიტუცია (48-ე მუხლი) ახასიათებს საქართველოს პარლამენტს, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოს. პარლამენტისთვის საკანონმდებლო ხელისუფლების მინიჭებით ხდება სახალხო სუვერენიტეტის პრინციპის რეალიზაცია, როგორც მართლწესრიგის დეგიტინიზაციის საფუძვლისა. შედეგად, პარლამენტი საკანონმდებლო წესით არეგულირებს ქვეყნის ცხოვრებას და ხელს უწყობს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება ამასთან ერთად ნიშნავს, რომ საქართველოს არც ერთი კანონი არ შეიძლება მიღებული იქნეს მიღებული, თუ იგი არ არის განხილული და მოწონებული პარლამენტის მიერ, ხოლო თვით პარლამენტს საქართველოს უფლებამოსილების ფარგლებში გააჩნია სრული და განუსაზღვრელი კომპეტენცია საკანონმდებლო სფეროში. საქართველოს პარლამენტი კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას. ეს კონტროლი ძირითადად ხორციელდება პარლამენტის მიერ სახელმწიფოს ბიუჯეტის დამტკიცების მეშვეობით და სხვა.

საპარლამენტო ცხოვრების ისტორია იცნობს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ორგვარ სტრუქტურულ შემადგენლობას: ორპალატიანს ანუ ბიკამერალიზმს და ერთპალატიანს ანუ მონოკამერალიზმს. საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის საფუძველზე საქართველოში 1995 წელს არჩეულ იქნა ერთპალატიანი სისტემის პარლამენტი, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ოთხი წლის უფლებამოსილების საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია საკმაოდ მრავალფეროვანია. საქართველოს კონსტიტუცია ითვლისწინებს მისი უფლებამოსილების ისეთ ფართო სპექტრს, რომელთა სწორი რეალიზაცია ბევრად განსაზღვრავს ჩვენი სახელმწიფოს მომავალი განვითარების პერსპექტივებს. კერძოს, საფინანსო, მთავრობის საქმიანობების კონტროლს. სახელმწიფო ორგანოების ფორმირების სფეროებში.

საქართველოს კონსტიტუციის 51-ე მუხლის თანახმად, ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დღეს, რომელიც უნდა გაიმართოს არჩევნების ჩატარებიდან 20 წლის განმავლობაში, ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგიდეები წარმოადგენენ პარლამენტის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს. საქართველოს პარლამენტის

უფლებამოსილება საკმაოდ ფართოა. იგი უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფლად გამოხატვას, საერთო კოორდინაციას უწევს პარლამენტის კომიტეტების საქმიანობას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, იწვევს პარლამენტის ბიუროს სხდომებს, უფლებამოსილია, მოაწყოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა, პარლამენტს წარუდგენს კანდიდატურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად, უზრუნველყოფს ურთიერთობას და თანამშრომლობას აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებთან და ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. რაც შეეხება თავმჯდომარის მოადგილეებს, უფლება აქვთ, შეასრულონ თავმჯდომარის მოვალეობა თავმჯდომარის დავალებით, თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენების შემთხვევაში

საქართველოს პარლამენტის წევრი ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელია, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს საკანონმდებლო ხელისუფლება პარლამენტში და სხვა უფლებამოსილებანი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება ერთდროულად იყოს პარლამენტის წევრი და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების დეპუტატი.

საქართველოს პარლამენტის ორგანიზაციული მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს სასესიო მუშაობა.

საპარლამენტო სესია - ეს არის პერიოდი, რომლის დროსაც ტარდება პარლამენტის კომიტეტებისა და კომისიების სხდომები, საპარლამენტო სხდომები და სხვა. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ – საგაზაფხულო და საშემოდგომოდ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კონსტიტუცია გამომცემლობა „თბილისი“ 2002 წ.
2. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი. გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“ 1995წ.
3. პოლიტოლოგია. გამომცემლობა „თბილისი“ 2000 წ.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

## S U M M A R Y

**Shorena Chigladze**

### **The constitutional management state учирждение**

The role of state origin and its designations is given in the work. Modern news of constitutional development is emphasized in it, which was stipulated by the changes in social- political and economical life of Georgia. One of the main types of political regime – Democracy and its positive and negative characteristics are described in the theme. Constitution of Georgia, year 1995, recognizes the form of republican government: Legislative, executive and law government. In the theme is described the highest organ of the legislitve government – parliament, its responsibilities and functions.

### **Резюме**

**Шорена Чигладзе**

### **Конституционное управление государственными учреждениями в Грузии**

В труде представлено происхождение государств его роль и значене. В нем выделены новизны Конституционного возрождения современной Грузии, которые вызваны общественно-политическими изменениями. В теме описан один из основных типов политического режима – демократия и описаны его положительные и отрицательные свойства.

Конституция Грузии 1995 года признает республиканскую форму правления. Республиканское правление основано несколькими видами правления в едином государственном правлении: Законодательство, Судебное и исполнительное правление.

Принципом распределения в теме рассмотрено высшее законодательное правление – Парламент, его обязанности и функции.

**რამინ სირაძე**  
**ეუთო და საქართველოს 2008 წლის 5 იანვრის**  
**რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები**

საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის თავისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობით გამორჩეულია ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). მისი მისია აქტიურადაა ჩართული კონფლიქტების მოგვარების საკითხში, ასევე საყურადღებო სფეროა დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება და სხვ.

საქართველოში მიმდინარე ეუთოს პროექტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის ხელშეწყობა. ამ მხრივ არსებითია საარჩევნო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა.

საქართველოში 2007 წლის ოქტომბრიდან ეუთოს მისიის ხელმძღვანელია ელჩი ტერი ჰაკალა, ექსპერტი სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის დარგში. მანამდე იგი დიდხანს მსახურობდა ფინეთის ელჩად საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

მას შემდეგ რაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა, ეუთო აკვირდებოდა აქ ჩატარებულ თითქმის ყველა არჩევნებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეუთოს მისიის შეხედულებებს „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდის საპარლამენტო (2003 წლის ნოემბერი) და მომდევნო, პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების (2008 წლის იანვარი) შესახებ.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებული იქნება ეუთოს მისიის შეხედულებები და დასკვნები 2008 წლის 5 იანვარს გამართულ საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებზე.

თავისუფალი, კონკურენტული არჩევნები, როგორც ხელისუფლების ფორმირების წესი, საქართველოში 1990 წლიდან ტარდება. მიუხედავად იმისა, რომ განვლილ პერიოდში არჩევნების შედეგები უმეტეს შემთხვევაში, მეტ-ნაკლები ადეკვატურობით ასახავდა ამომრჩეველთა ნებას (გარდა ზოგიერთი რეგიონისა, სადაც არჩევნების ტოტალური გაყალბება ხდებოდა), საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა. აქ ჯერ კიდევ შეიმჩნევა პოლიტიკური სისტემის მსგავსება ძველ, საბჭოურ, პარტია-სახელმწიფოს ტიპის სისტემასთან. მმართველ პოლიტიკურ ძალას გააჩნია სახელმწიფო რესურსი, რომელსაც ის ხშირ შემთხვევაში გამარჯვების მოსაპოვებლად იყენებს. აქვს ადგილი მმართველობის მიერ კონსტიტუციური

უფლებამოსილების გადამეტებას, პოლიტიკურ კორუფციას, ქვეყნის მმართველობის ძველი მეთოდებით წარმართვას. ბოლო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა აღრევა მმართველ პარტიასა და სახელმწიფო ორგანოებს შორის, რაც საფრთხეს უქმნის თანაბარ პოლიტიკურ კონკურენციას.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეიცვალა არჩევნების ჩატარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. კორექტირება შეეხო საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პრინციპს. თუკი ადრე საარჩევნო კომისია ფორმირდებოდა პლურალისტულ საწყისებზე, ანუ მასში შედიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, 2005 წლის ცვლილებებით შეიქმნა ე.წ. პროფესიული საარჩევნო ადმინისტრაცია, მისი წევრები არიან უპარტიო საჯარო მოხელეები.

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე არჩევნებს წინ უძღოდა მთელი რიგი მოვლენები.

სექტემბერ-ნოემბერში საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე შეიძლება ორი მნიშვნელოვანი დასკვნა გაკეთდეს: 1) შემცირდა საზოგადოების ნდობა ხელისუფლების მიმართ. 2) შეილახა საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი.

უკანასკნელ პერიოდში მოსახლეობის უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა, ანუ მკვეთრად შემცირდა იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდებოდა, (48%-დან 2007 წლის თებერვალში – 36%-მდე 2008 წლის დამდეგისათვის). ეს კი იმის ნიშანია, რომ საზოგადოებაში დაგროვდა სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული უკმაყოფილება: 1) საზოგადოებრივი უკმაყოფილების მნიშვნელოვანი მიზეზს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები ქმნის, რადგან მიუხედავად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდისა, ყველა არ რჩება მოგებულნი იმ ეკონომიკური რეფორმებით, რომელსაც სახელმწიფო აწარმოებს. მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქვეყანაში დიდი მოცულობის ინვესტიციები შემოვიდა, მაგრამ ამას თან ახლდა ნეგატიური შედეგი – მზარდი ინფლაცია, რამაც მკვეთრად გააუარესა იმ ადამიანთა ეკონომიკური მდგომარეობა, ვისი შემოსავალიც არ გაზარდილა; 2) უკმაყოფილების გამომწვევი არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზია ხელისუფლების სხვადასხვა ქმედებით გამოწვეული უსამართლობის განცდა. ბოლო წელს განსაკუთრებით აქტუალური გახდა ხელისუფლების მიერ მოქალაქეთა საკუთრების ხელყოფის თემა.

2007 წლის 2 ნოემბერს თბილისში დაიწყო საპროტესტო აქციები. ათასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას მღელვარე პოლიტიკურ მანიფესტაციებში, როგორც თბილისიდან ასევე რეგიონებიდან. დემონსტრანტები სხვა საკითხებთან ერთად მოითხოვდნენ 2008 წლის შემოდგომისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების

ჩატარებას 2008 წლის გაზაფხულზე, ასევე საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნას და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომას. საპროტესტო აქციები 5 დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. 7 ნოემბერს ახლად შექმნილი ოპოზიციური პარტიების ბლოკის მიერ გამართული დემონსტრაცია პარლამენტის შენობის წინ პოლიციურმა შენაერთებმა და სპეცრაზმმა წყლის ჭავლის, ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებით დაშალა, თუმცა მიმოფანტულმა მომიტინგეებმა შეკრება მაინც შეძლეს რიყეზე, მაგრამ არც იქ დასცაღდათ საპროტესტო აქციის გაგრძელება. მოხდა რამდენიმე შეტაკება მომიტინგეებსა და პოლიციას შორის. ასევე დაფიქსირდა ჟურნალისტებზე თავდასხმის არაერთი ფაქტი ორივე მხრიდან. იმავე საღამოს სპეცრაზმი შევიდა ტელევიზია „იმედი“-ში. ტელეკომპანიის დაცვის მიზნით ხალხმა მიაშურა „იმედის“ შენობას, ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების დახმარებით შეკრებილნი მალე დაარბიეს.

უმრავლესობის ლიდერთა ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, რომ მედიას არ ემუქრებოდა შეზღუდვა, დაიხურა ე.წ. „ოპოზიციური არხი“ „იმედი.“ ამის გამამართლებელი მიზეზი, ხელისუფლების წარმომადგენელთა სიტყვით, იყო ის, რომ ტელეკომპანიის ჟურნალისტებისაგან ეთერში ისმოდა მოწოდებები სახელმწიფო გადატრიალებისაკენ.

საქართველოს პრეზიდენტმა დემონსტრაციები ხელისუფლების დამხობის მცდელობად მიიჩნია და ქვეყნის მასშტაბით საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. საგანგებო მდგომარეობა საქართველოში მხოლოდ 2007 წლის 16 ნოემბერს გაუქმდა.

პოლიტიკური კრიზისის განმუხტვისა და ვითარების ნორმალიზაციის მიზნით, 8 ნოემბერს პრეზიდენტი გამოვიდა ინიციატივით, შეემცირებინათ მისი საპრეზიდენტო ლევისლატურა. 25 ნოემბერს იგი გადადგა თანამდებობიდან, რითაც პარლამენტს შესაძლებლობა მიეცა, დაენიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტობის მოვალეობის შესრულება არჩევნებამდე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს, დაეკისრა.

პოლიტიკური დიალოგის საფუძველზე საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები და გადაწყდა ჩატარებულიყო პლებისციტით საპარლამენტო არჩევნების გამართვის თარიღთან და ნატოში საქართველოს შესვლასთან დაკავშირებით. 2007 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღად 2008 წლის 5 იანვარი დაამტკიცა.



საპრეზიდენტო კანდიდატთა რეგისტრაცია მთლიანობაში იყო სრულყოფილი და გამჭვირვალე. ოცდამეცხრე პრეზიდენტობის მსურველმა კანდიდატმა შეიტანა განაცხადი რეგისტრაციისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. კომისიამ ცხრაშვიტ მათგანს ნება დართო, მოეგროვებინა რეგისტრაციისათვის სავალდებულო 50 000 ხელმოწერა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხელმოწერები იურიდიულად დადგენილ ვადაში ცამეტმა პარტიამ და საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა. საბოლოოდ დარეგისტრირდა 7 კანდიდატი: მიხეილ სააკაშვილი (გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობა), ლევან გაჩეჩილაძე (საერთო სახალხო მოძრაობა), დავით გამყრელიძე (პარტია-ახალი მემარჯვენეები), შალვა ნათელაშვილი (საქართველოს ლეიბორისტული პარტია), გია მაისაშვილი (მომავლის პარტია), ირინა სარიშვილი (პარტია იმედი) და არკადი პატარკაციშვილი (დამოუკიდებელი კანდიდატი).

ზოგადად ყველა კანდიდატს ჰქონდა საშუალება თავისუფლად ეწარმოებინა საარჩევნო კამპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით. კამპანია სხვადასხვაგვარი ინტენსივობით მიმდინარეობდა. იგი გაცილებით უფრო აქტიური იყო დედაქალაქში, ვიდრე რეგიონებში. ძირითად აქტივობას კამპანიის ფარგლებში ოპოზიციური კანდიდატების მიერ მოწყობილი დემონსტრაციები წარმოადგენდა. ოთხმა კანდიდატმა აქტიურად იმოგზაურა ქვეყნის მასშტაბით. ბადრი პატარკაციშვილი კი მთელი კამპანიის დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა. იმის გამო, რომ დადანაშაულებული იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, იგი ქვეყნის გარედან აკეთებდა მოწოდებებს და ხალხს, მისი გამარჯვების შემთხვევაში, კეთილდღეობას პირდებოდა.

არჩევნებში მესუთე ნომრად დარეგისტრირებული კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობას მრავალ სიახლეს ჰპირდებოდა: 1) მინიმალური პენსია გაუტოლდება 100 ამერიკულ დოლარს; 2) უფასო ჯანდაცვა პენსიონერებისთვის, მასწავლებლებისათვის და სოციალურად დაუცველთათვის; 3) დასაქმების და პროფესიული გადამზადების პროგრამა, ყოველწლიურად 150 000 მოქალაქისთვის; 4) ყველა კარგი მოსწრების სტუდენტს 100 ლარიანი სტიპენდია; 5) 1000 ლარი ყველა ახალშობილს დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან და 1000 ლარი ყველა ოჯახს მეორე შვილის შემდეგ ყოველ შვილზე.

ამას გარდა, მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი განსაკუთრებით აქცენტორებდნენ ხელისუფლებაში ყოფნის ჟამს გააკეთებულ არცთუ უმნიშვნელო საქმებზე, რომელთაც ინტენსიურად შეასხენებდნენ ამომრჩევლებს.

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამის ნათელი მაგალითია არჩევნებზე დამკვირვებელთა სოლიდური კორპუსის ჩამოსვლა. მათ შორის ერთ-

ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სადამკვირვებლო დელეგაცია იყო ეუთოს მისია საქართველოში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა 2007 წლის 6 დეკემბერს შექმნა ამ არჩევნების სადამკვირვებლო მისია, რომელსაც ელჩი დიტერ ბოლენი ხელმძღვანელობდა. მისია შედგებოდა თბილისში ბაზირებული 13 – წევრიანი ძირითადი ჯგუფისა და 28 – გრძელვადიანი დამკვირვებლისაგან, რომლებიც 13 დეკემბერს მთელი ქვეყნის მასშტაბით 11 სხვადასხვა ადგილას განთავსდნენ. ძირითადი ჯგუფის წევრები და გრძელვადიანი დამკვირვებლები მოწვევულნი იყვნენ ეუთოს 25 წევრი ქვეყნიდან. ამ ქვეყნებს ეთხოვათ 300 მოკლევადიანი დამკვირვებლის გამოგზავნა, ხმის მიცემის, დათვლისა და ხმების შეჯამების პროცესის დასაკვირვებლად.

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელთა მხრიდან. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 34 ადგილობრივი არაპარტიული ორგანიზაციის, 50 საერთაშორისო ორგანიზაციისა და 18 საელჩოს დამკვირვებელი დაარეგისტრირა.

ყველაზე სოლიდური საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია წარმოადგენდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპარლამენტის ერთობლივ პროექტს.

არჩევნები ფასდებოდა ეუთოსა და ევროსაბჭოს მიერ დადგენილი დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელი ვალდებულებებისა და სტანდარტების შესაბამისად. ეუთოს მისია აკვირდებოდა როგორც საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას, ისე არჩევნების პროცესს და თავის შეფასებებს ასახავდა შუალედური ანგარიშებისა და საბოლოო დასკვნის სახით.

ეუთოს სადამკვირვებლო მისიის დასკვნის თანახმად, საქართველოში ჩატარებული რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები მთლიანობაში შეესაბამებოდა ეუთოსა და ევროსაბჭოს ვალდებულებებსა და სტანდარტებს დემოკრატიულ არჩევნებზე. თუმცა, მისიის აზრით, გამოვლენილ იქნა არსებითი გამოწვევებიც, რომელთაც დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა და სხვ. საარჩევნო პროცესში მრავალი დარღვევა გამოავლენეს. პრეზიდენტობის ზოგიერთი კანდიდატი და მათი მხარდამჭერი ძალები თვით არჩევნების შედეგების ბათილად გამოცხადებასაც კი მოითხოვდნენ. ერთობ მწვავე და მკვეთრი იყო საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებაც. ეუთოს სადამკვირვებლო მისიას თვალი არ დაუსუჭავს შემჩნეულ ნაკლოვანებებს, მკაფიოდ მიუთითა მათ შესახებ, მაგრამ

არჩევნების შედეგში ანუ მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებაში, ეჭვი არ შეუტანია.

5 იანვარს ჩატარებული რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები იყო პირველი კონკურენტუნარიანი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელმაც საშუალება მისცა ქართველ ხალხს გამოეხატა საკუთარი პოლიტიკური ნება, აღნიშნულია ეუთოს მისიის დასკვნაში. ამასთან, იმავე დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საარჩევნო კამპანია ჩატარდა მეტად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში. საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული შესაძლო დარღვევებისადმი ნდობის ნაკლებობა და აღმოუფხვრელობა, – რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე იქნა შეტანილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და სასამართლოში – არ შეესატყვისებოდა კონსტრუქციულ საარჩევნო კამპანიას. განსხვავება სახელმწიფო საქმიანობასა და ყოფილი პრეზიდენტის საპრეზიდენტო კამპანიას შორის ზოგჯერ იშლებოდა და არაჯანსაღი საარჩევნო გარემოს შექმნის ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინებოდა. მიუხედავად ამისა, ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს ჰქონდა საშუალება, შეუზღუდავად ჩაეტარებინა საარჩევნო კამპანია ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოს აქვს მრავალფეროვანი მედია-გარემო, რომელიც იძლევა თავისუფალი აზრის გამოხატვის შესაძლებლობას და სთავაზობს ამომრჩეველს პოლიტიკური შეხედულებების ფართო არჩევანს. მედიასაშუალებები აქტიურად აშუქებდნენ საარჩევნო პროცესს, ეწვობოდა თოქ-შოუები, დებატები, საპრეზიდენტო კანდიდატებებს გამოყოფილი ჰქონდათ უფასო საეთერო დრო. შესაბამისად, ამომრჩეველს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა საპრეზიდენტო კანდიდატებს და მათ პროგრამას.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. მიუხედავად მცირე დროისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეძლო პროფესიონალურად მოემზადებინა არჩევნები, თუმცა სადავო საკითხების გადაჭრისას მის წევრებს ზოგიერთ შემთხვევაში უჭირდათ საარჩევნო ადმინისტრაციისათვის სავალდებულო ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და მოქმედებდნენ მიკერძოებულად. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საკმაო ძალისხმევა გასწია ელექტორატის სიების დასახვეწად. ამომრჩევლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გადაემოწმებინათ საკუთარი თავი საარჩევნო სიებში. ზემოსხენებული ძალისხმევის მიუხედავად, ამომრჩეველთა სიები კვლავაც საჭიროებს დახვეწას.

ეუთოს დასკვნა საქართველოში საარჩევნო პროცესის შემდეგ პოზიტიურ ასპექტებს გამოჰყოფს:

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების თვალსაზრისით ზოგადად არის ადეკვატური.

2. წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქმედება იყო გამჭვირვალე. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხშირად მართავდა მედიასა და დამკვირვებელთათვის ღია შეხვედრებს. ცენტრალური საარჩევნო კომისია ყველა დონეზე ავლენდა მზადყოფნას თანამშრომლობისათვის.
3. ჩატარდა ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანია მედიის მეშვეობით. გადამზადებულ იქნენ ადმინისტრაციის მოხელენი.
4. გაძლიერდა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობა; ეროვნული არაპარტიული სადამკვირვებლო ორგანიზაციების დიდმა რაოდენობამ გაიარა აკრედიტაცია, რათა დაკვირვებოდნენ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს.
5. საარჩევნო მასალები ქართულის გარდა, დაიბეჭდა ასევე საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის ენებზეც.
6. საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა უწყებათაშორისი ჯგუფი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად, რომელსაც ევალეზოდა კავშირის დამყარება სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან და შემოსული საჩივრების განხილვა. დრო და დრო მოქმედი პრეზიდენტი პირადად ერეოდა ოპოზიციის ბრალდებებზე პასუხის გაცემის პროცედურებში.

დადებითი მომენტების პარალელურად, ეუთოს მისიამ არჩევნებთან დაკავშირებული რამდენიმე ნაკლოვანებაც აღნიშნა:

1. საარჩევნო კამპანია დაჩრდილა ფართოდ გავრცელებულმა ბრალდებებმა, რომ სხვა პირებთან ერთად ხორციელდებოდა სახელმწიფო მოხელეთა დაშინება და ზეწოლა.
2. სოციალური კეთილდღეობის პროგრამების განხორციელებას ხშირად უკავშირებდნენ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის საპრეზიდენტო კამპანიას.
3. საქართველოს საარჩევნო კოდექსში არსებული შეუთავსებლობა, ხარვეზები და ორაზროვნება საფუძვლად დაედო საარჩევნო კოდექსის განსხვავებულ და მრავალფეროვან ინტერპრეტირებას.
4. საჩივრების განხილვისას ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ შეძლო მიყოლოდა მნიშვნელოვან იურიდიულ პროცედურებს.
5. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ არჩევნების დღის პროცედურებს აკლდათ სიზუსტე და დეტალურობა.

საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების გამო ეუთოს სადამკვირვებლო მისიის საბოლოო დასკვნას, როგორც ობიექტურ შეფასებას, ნდობით მოეკიდა საქართველოს თითქმის

მთელი პოლიტიკური სპექტრი. ეუთოს დასკვნა მოიწონა ხელისუფლებამ. იგი გაზიარებულ იქნა ასევე ოპოზიციური ძალების მიერაც, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო (ბიულეტენი №17-18), თბ., 2007 წელი, ოქტომბერი-ნოემბერი;
2. ეუთოს შუალედური ანგარიში №1 6-13 დეკემბერი, 2007 წელი; [www.osce.org](http://www.osce.org)
3. ეუთოს შუალედური ანგარიში №2 14-24 დეკემბერი, 2007 წელი; [www.osce.org](http://www.osce.org)
4. ეუთოს არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში 6-18 იანვარი, 2008 წელი; [www.osce.org](http://www.osce.org)
5. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია. საქართველო – რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 2008 წლის 5 იანვარი. მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ; [www.osce.org](http://www.osce.org)
6. ეუთოს საბოლოო ანგარიში – 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. ვარშავა 2008 წელი 4 მარტი; [www.osce.org](http://www.osce.org)
7. ვახტანგ ქარუმიძე - საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ., 2003 წელი;
8. ამირან მექვაბიშვილი – საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, თბ., 2002 წელი.

## Summary

**Ramin Siradze**

**OSCE and Georgian Early Presidential Elections January 05.2008**

Political processes that occurred in Georgia during the fall of 2007 were the reason for the early presidential elections that were held on January 05 of 2008. This article fully explains the position that OSCE mission is taking regarding the outcome of elections with more detailed information described in its final report.

Article discusses the negative processes that took place in time of elections and talks about positive things that were witnessed as well. It worth mentioning that the final report written by OSCE mission gained a full trust from the opposition and government officials alike.

## Резюме

**Рамин Сирадзе**

**ОБСЕ и Грузинские внеочередные президентские выборы 5 января 2008 г..**

В последнее время, происходящие политические процессы в Грузии привели к внеочередным президентским выборам в стране. Выборы 5 января 2008 года прошли. Независимая наблюдательная миссия ОБСЕ опубликовывает в статье свое мнение о прошедших президентских выборах, что остро выражается в ее промежуточных подсчетах и в последних заключениях.

В статье также идет речь о замеченных ею нарушениях в процессе выборов, в заключении также говорится и о позитивных оценках. В последнем заключении выделено, что доверие миссии ОБСЕ заслужили как правительство Грузии, так и оппозиция.

**ნინო ფაღავა**  
**PR და მარკეტინგი**

მარკეტინგის შესვლამ კომერციული ფირმების მართვაში სათავე დაუდო კრიტიკიუმების სისტემის წარმოშობას მოღვაწეობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში, ასევე ბაზრის შესწავლისა და განვითარების კონკრეტული ზომების განსაზღვრას. მარკეტინგის აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი გამოდის ფირმის ყველა პროცესის მოქმედების ადეკვატურობის ხელშეწყობ მექანიზმად, რაც ვითარდება ბაზარზე. მარკეტინგის ტერმინის ქვეშ ბაზარზე ფუნქციონირება იგულისხმება.

მარკეტინგის ფუნქციებს მიეკუთვნება:

- ბაზრის კომპლექსური შესწავლა და პროგნოზირება, მისი მოთხოვნები.
- ფირმის საკუთარი წარმოება-გასაღების რეალური ფასი, საექსპორტო და სხვა სახის შესაძლებლობები.
- გრძელვადიანი მარკეტინგული მოღვაწეობის სტრატეგიის შემუშავება, მისი მიზნების, ამოცანების, რესურსების და პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმის განსაზღვრით.
- სასაქონლო პოლიტიკის დაგეგმვა, საქონლის და მომსახურების ასორტიმენტის მართვა ბაზრის მოთხოვნილებიდან და მწარმოებლის პოტენციალიდან გამომდინარე.
- მოთხოვნის ფორმირება და გასაღების სტიმულირება.
- მარკეტინგული მოღვაწეობის მართვა და მასზე კონტროლი.

ამ ფუნქციების რეალიზაცია ქმნის წარმატებული სამეწარმეო მოღვაწეობის პირობას.

PR-სპეციალისტი ჩვეულებრივ ანგარიშვალდებულია ან პირდაპირ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯგუფის, ან მარკეტინგის განყოფილების წინაშე. მარკეტინგის განყოფილების წინაშე ანგარიშვალდებულია PR-პრაქტიკას ასოცირებს გაყიდვების პროცესთან და თავის ადგილს იკავებს სხვა მარკეტინგული დისციპლინების გვერდით. მაგრამ PR თუ როგორ ურთიერთობს მარკეტინგთან, რეკლამასთან და საქონლის დაწინაურებასთან? PR-მა და არა რეკლამამ უნდა განსაზღვროს სტრატეგია? ან PR – ეს მართლაც მხოლოდ და მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობაა, უბრალოდ კიდევ ერთი მეთოდიკა, შესაძლოა, მეორეხარისხოვანიც კი, თუ მარკეტინგული სტრატეგიის დანარჩენი ნაწილები თავიანთ ადგილებზე დგანან?

PR-ს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს მარკეტინგული სტრატეგიების წარმატებაში. სირთულეები წარმოიშობა ცრუ

წარმოდგენისა და უმეცრების გამო. ყველას, ვინც მარკეტინგთან არის დაკავშირებული, უნდა ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა მაინც სხვა დისციპლინების შესახებ, რათა მიაღწიოს წარმატებას. თუ მარკეტოლოგები ეთანხმებიან იმას, რომ PR დაკავებულია რეპუტაციით, ისინი სწრაფად მივლენ იმ დასკვნამდე, რომ მას ამოცანების უფრო ფართო დიაპაზონი აქვს, ვიდრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უბრალო გაშუქება. სწორად შედგენილ PR-გეგმას შეუძლია გაცილებით მეტი – მას შეუძლია შეცვალოს მიზნობრივი აუდიტორიის პოზიცია, გახადოს თქვენი საქონელი ან მომსახურება უფრო მიმზიდველი, ვიდრე კონკურენტების. მას ასეთი სახით შეაქვს თავისი წვლილი საქონლის დაწინაურების ძალისხმევაში. ამას გარდა, იგი გააუმჯობესებს ორგანიზაციის საერთო პოზიციას ბაზარზე და შეიძლება გავლენა იქონიოს აქციების ფასებზე.

PR-სპეციალისტებისათვის აუცილებელია იზრუნონ იმაზე, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობები აღიარებული იყოს, როგორც ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ცენტრალური ნაწილი.

PR სამსახურის შექმნით შესაძლებელია საწარმოში გადაიჭრას მნიშვნელოვანი პრობლემები, დაკავშირებული საქონლის ასორტიმენტთან და ხარისხთან, იგი ახდენს პროდუქციის გასაღების სტიმულირებას, ქმნის ნორმალურ ფსიქოლოგიურ კლიმატს. PR ეხმარება საწარმოებს, წარმართონ მუშაკთა საქმიანობა შემდეგი მიმართულებით: დაამყარონ ურთიერთობა მთელ საზოგადოებასთან, სამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებთან, მიმწოდებლებთან, საფინანსო დაწესებულებებთან, მომხმარებლებთან, კონკურენტებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, მაკრო და მიკროგარემოს ფაქტორებთან, პროდუქციის გამსაღებლებთან.

ჩამოთვლილი მიმართულებები ერთი მიზნით ერთიანდებიან, იქმნება ორგანიზაციისა და საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგება და საქმიანი ატმოსფერო, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციისა და საზოგადოების ინტერესთა შესამებას.

მთელი მარკეტინგული საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული PR-თან. 80-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ორმაგი განმარტება – მარკეტინგ-ფაბლიქ რილეიშენზი, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ ხაზი გასმოდა PR-ის როლს, რომ ის მარკეტინგის შემადგენელი ნაწილია და არა ერთი და იგივე. სინამდვილეში იმ აქტიურობას, რომელსაც მარკეტინგი ამჟღავნებს, არავითარი ურთიერთობა არ აქვს PR-თან, მარკეტინგი საქონლის წინ წაწევის, პრესშუამავლობის, ფაბლისითების, ბაზრობების, საზოგადოებაში



გამოჩენის და სხვა ელემენტებს შეიცავს.

მარკეტინგში ძირითად როლს ანალიტიკური საქმიანობა თამაშობს. მარკეტინგის სპეციალისტებისათვის მთავარია პასუხი გაეცეს ორ ძირითად შეკითხვას:

1. არსებობს თუ არა მოთხოვნა კონკრეტულ პროდუქტზე ან მომსახურებაზე
2. თუ არსებობს ასეთი მოთხოვნა, მაშინ საზოგადოების რა კატეგორიაში და რა შეფუთვით იქნება მათზე მოთხოვნა.

გარდა მომხმარებლისა, მარკეტინგი შეიძლება დაინტერესდეს ისეთი ჯგუფებით, როგორებიცაა: გამყიდველები, დილერები, საბითუმო მოვაჭრენი და სარეკლამო განყოფილების თანამშრომლები. ბაზრის ანალიზს PR-სპეციალისტისათვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რადგან ის საშუალებას იძლევა გაიგოს დეტალური ინფორმაცია მომხმარებლებზე, როგორც PR-ის ერთ-ერთ მიზნობრივ ჯგუფზე.

თუ მარკეტინგი ეს არის ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტის ან მომსახურების ბაზარზე დამკვიდრებას, ფასების პოლიტიკის რეგულირებას და დისტრიბუტორებთან მუშაობას, PR-ეს არის კომპანიის რეპუტაციის მართვა. მარკეტინგი ქმნის ბაზარს კომპანიის პროდუქციისათვის ან მისი მომსახურებისათვის, ხოლო PR უზრუნველყოფს კეთილსახურველი გარემოს შექმნას, რომელშიც კომპანია თავად მუშაობს. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მარკეტინგულ წარმატებას საფრთხე დაემუქროს, გამომდინარე იმ ნეგატიური სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციებიდან, რომელთანაც მუშაობა და დალაგება ასევე წარმოადგენს PR-ის ამოცანას.

თანამედროვე მარკეტინგული კონცეფციები აღიარებენ, რომ კომპანიის მიზანი, რომელიც მუშაობს ბაზარზე არის ის, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნები, მაგრამ ამასთანავე არ მიაყენონ ზიანი საზოგადოებას, რომლის წინაშეც კომპანიას აქვს აღიარებული სოციალური პასუხისმგებლობა. ეს გამოიხატება პროდუქციის ხარისხის კონტროლში, ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვაში და იმ სოციალური ღონისძიებების ორგანიზებაში, რომელსაც წარმართავს კომპანია. ასეთი ტიპის ღონისძიებების ჩატარება და ორგანიზება კი არის PR-ის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია.

გაცვლა მარკეტინგის საკვანძო იდეაა. იმისათვის, რომ გაცვლა მოხდეს, აუცილებელია შესრულდეს სამი ძირითადი პირობა:

- უნდა არსებობდეს ორი ან მეტი მხარე, რომელთაც გააჩნიათ რაიმე სახის ფასეულობა ერთმანეთის დასაინტერესებლად.
- თითოეული მხარის სურვილი და უნარი ამ ფასეულობების გასაცვლელად.

- კომუნიკაციების (ინფორმაციის გაცვლის) საშუალებანი დაინტერესებულ მხარეებს შორის.

გაცვლის პროცესში მონაწილეობას იღებენ მომხმარებლები, რომლებიც ცვლიან თავიანთ რესურსებს (დრო, ფული, მუშაობა) პროდუქტზე, კომპანიის მომსახურებაზე.

მარკეტინგი უზრუნველყოფს გაცვლის პროცესს მომხმარებლის მოთხოვნებისა და სურვილების საფუძვალზე შესწავლის საფუძველზე, რომელიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ 4 საფეხურით:

მარკეტინგის კომპლექსის გაგებაში იგულისხმება 4 P:

- Product – პროდუქტი (რა ვაწარმოთ?) ისეთი პროდუქტის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს.
- Price – ფასი (რა ფასად გაყიდოთ?) კონკრეტულ ფასში პროდუქტის წარდგენა.
- Place – ადგილი (სად და ვის მიეყიდოთ?) მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში პროდუქტის მიწოდება, ანუ გასაღების არხის შექმნა.
- Promotion – ბაზარზე დამკვიდრება (სად და როგორ გავუკეთოთ რეკლამა?) საქონლის წინ წაწევის პროგრამის შემუშავება კომუნიკაციის არხების გამოყენებით.

ზოგ შემთხვევაში მაღალი ფასი მოწიბობს მაღალ ხარისხს ან საქონლის პრესტიჟულობას. ადგილი განსაზღვრავს საქონლის გასაღების არხებს – მომხმარებელი განსხვავებულად შეაფასებს ერთიადიგივე საქონელს, თუკი იგი გაიყიდება ქალაქის ბაზრის დახლზე და თუ – ერთ-ერთ ცენტრალურ მაღაზიაში. დაწინაურება – ეს არის ის, რომლის დახმარებითაც მომხმარებელი იტყობს საქონლის შესახებ. აქ საზოგადოებასთან ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანია, ის წარმოადგენს დამხმარე ძალას რეკლამისა და მარკეტინგისათვის. ინფორმაციის მიწოდების საშუალების არჩევა დამოკიდებულია მიზნობრივი ბაზრის განსაკუთრებულობასთან.

მარკეტინგ-მიქსი უზრუნველყოფს საწარმოს შესაძლებლობების მომხმარებლებთან მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანას. ასე, მაგალითად, საქონლის მახასიათებლების განსაზღვრისას – ზომა, წონა, დიზაინი – მარკეტოლოგმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ რა ფასში მიაწოდებს იგი მომხმარებელს, როგორ მოხდება მისი მიტანა მომხმარებელამდე და როგორ დაარწმუნებს მყიდველს პროდუქტის უპირატესობაზე. მარკეტინგული კომპლექსი წარმოადგენს გადაწყვეტილებების სისტემას, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებელზე (მიზნობრივ ბაზარზე).

ახლანანს ერთ-ერთმა გამოჩენილმა მარკეტინგის თეორეტიკოსმა ფილიპ კოტლერმა, პროფესიონალებს შესთავაზა მესხუთე P –PR, რათა მარკეტინგის გაგება უფრო გაფართოვდეს. კოტლერმა გამოყო

10 ძირითადი მიზნობრივი აუდიტორია. მისი აზრით, მათთან მუშაობის პერიოდში, სადაც გამოყენებული იქნება PR ტექნოლოგიები, დამოკიდებულია კომპანიის ბედი.

ეს მიზნობრივი აუდიტორიებია:

- მიმწოდებლები
- დისტრიბუტორი
- საბოლოო მომხმარებლები
- თანამშრომლები
- ფინანსური კომპანიები
- სამთავრობო სტრუქტურები
- მასმედია
- პარტნიორები
- კონკურენტები
- საზოგადოება

წინ წაწვეა მარკეტინგული პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რადგან ბაზარზე პროდუქტის გასაღების წარმატება მიღწეული იქნება კომპლექსური ამოცანის გადაწყვეტით. მიზნის მისაღწევად გაყიდვის დროს აუცილებელია მეტი რაოდენობის მყიდველის დარწმუნება გასაყიდი პროდუქტის უპირატესობაზე.

წინ წაწვეის სინონიმად გამოიყენება მარკეტინგული კომუნიკაციების ტერმინი. ეს არის მარკეტინგული ინფორმაციის გაცვლა ორ ან მეტ ადამიანს შორის.

მარკეტინგული ინფორმაციის გავრცელება როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, PR-ის საქმეა. PR ავრცელებს ინფორმაციას პროდუქტზე, მომსახურებაზე. აქვს პირდაპირი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამისათვის PR იყენებს მასმედიას (ტელევიზია, რადიო, გაზეთები, ჟურნალები, ინტერნეტი), რომლის მეშვეობით ინფორმაცია გადაეცემა ინდივიდთა დიდ ჯგუფს. PR ორიენტირებულია არა იმდენად პროდუქტის, რამდენადაც ორგანიზაციის წინ წაწვეაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. "Principles of Marketing" -Filip Cotler , 1998 w.
2. "Modern Marketing" - Franck Jefkins, 1995 w.
3. "საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითადი პრინციპები" - ვ. ჭიაურელი, ს. ლომინაძე, რ.სტრელკოვა - 2006 წ.

## SUMMERY

### **Nino Pagava PR and marketing**

Marketing is the complex of activities that makes the product or service became a part of overall market, helps with cost policy regulation and in working with distributors, PR is company image making tool.

Marketing creates market for company products or for its services; PR ensures creation of good and healthy environment, in which the company itself works.

## Резюме

### **Нино Пагава PR и маркетинг**

В то время как маркетинг это комплекс мероприятий, способствующий утверждению продукта на рынке, регулированию политики ценообразования и отношений с дистрибьюторами; связи с общественностью (PR) – является средством управления репутацией компании.

Маркетинг способствует формированию рынка для продукции или сфер услуг той или иной компании, в то время, как PR обеспечивает благоприятные условия работы самой компании.

**სოფიკო სტურუა**  
**მოლაპარაკების არსი, როლი და მნიშვნელობა**

ქართულ ენაში “მოლაპარაკებას” მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს: რაიმე საკითხზე შეთანხმების მისაღწევად გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მოლაპარაკება განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანთა ურთიერთობის რთული პროცესია. მისი მიზანი ერთადერთია – მათთვის აუცილებელ რაიმე საკითხზე შეთანხმების მიღწევა. თუ ორ ადამიანს კონკურენტულ პრობლემაზე, ზოგადად, და მის გადაწყვეტაზე კონკრეტულად, ერთგვაროვანი შეხედულება აქვს, მოლაპარაკების ჩატარება აუცილებელი არ არის.

მოლაპარაკება – კულტურული, თანამედროვე განვითარებული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. ჩვენ საქმიანობის მრავალ სფეროში – პოლიტიკაში, ბიზნესში, ყოფაცხოვრებაში თუ სხვაგან, მოლაპარაკებაზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება. საყურადღებოა ისიც რომ ყოველი ჩვენთაგანი ამ მნიშვნელოვან პროცესს განსხვავებული თეორიული მომზადებითა და პრაქტიკული გამოცდილებით წარმართავს. მიტომ შედეგებიც განსხვავებულია.

მოლაპარაკების კლასიფიკაცია მრავალი კრიტერიუმით შეიძლება. ასეთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს მოლაპარაკების საგნობრივი ან სუბიექტური მხარე, კომუნიკაციის ხასიათი, ტერიტორიული სტატუსი, გადაწყვეტილების მიღების პრინციპი, ურთიერთზემოქმედების ხარისხი, მოლაპარაკების შედეგები და სხვა.

მოლაპარაკების საგანი შეიძლება იყოს საფინანსო, საქმიანი, ეკონომიკური, პოლიტიკური, ლულტურული, სამხედრო, სავაჭრო, შრომითი დაეების გადაწყვეტის, დიპლომატიური და სხვა საკითხები.

რაზეც არ უნდა მიმდინარეობდეს მოლაპარაკება, მისი მონაწილეები ყოველთვის ადამიანები არიან. ამაშია მისი სუბიექტური მხარე. აღნიშნულის შესაბამისად მოლაპარაკება შეიძლება იყოს პირუვნებათაშორისი, ორგანიზაციათაშორისი, შუამავლის მონაწილეობით ან მის გარეშე, ორმხრივი, სამხრივი, მრავალმხრივი და სხვა.

მოლაპარაკების პროცესში ინიციატივა ყოველთვის იმ მხარეს ეკუთვნის, რომელიც ამისათვის ფსიქოლოგიურად უკეთ არის მომზადებული. ფსიქოლოგიურ ასპექტში მოლაპარაკების მთავარი ამოცანაა თანამოსაუბრის დარწმუნება, ჩვენი წინადადების მიღების იძულება (მაგრამ არა ძალდატანება). ამასთანავე მოლაპარაკება უნდა ჩატარდეს თავაზიან გამაფრთხილებელ ტონში, უტაქტო და

უხეში მეთოდების გამოყენების გარეშე უნდა აღინიშნოს, რომ მოლაპარაკების ზედმეტად სერიოზული მანერაც ნაკლებწარმატებულია.

კომუნიკაციის ხასიათის მიხედვით მოლაპარაკება შეიძლება იყოს:

საქმიანი ლაპარაკი ან სიტუაციური კონტაქტის ვერბალური (სიტყვიერი) ფორმა;

საუბარი – საგნობრივი, მოწესრიგებული დიალოგი;

განხილვა, გასაუბრება – საუბრის ნაირსახეობა სადისკუსიო საკითხების გამოყენებით;

განცხადება – ერთ-ერთი მხარის გამონათქვამი რაიმე მტკიცებულების დასასაბუთებლად;

შეტყობინება – განსაზღვრული თემის შესახებ განცხადებათა სისტემა;

კამათი – სიტყვიერი შეჯიბრება განსახილველი საკითხის შესახებ, როცა ყოველი მხარე თავის მოსაზრებას, სიმართლეს იცავს.

პოლემიკა – შეუთანხმებელი აზრების კამათი;

დისკუსია – სადავო საკითხების შესახებ თავისუფალი საჯარო განხილვა;

დებატები, პაექრობები – რაიმე საკითხის შესახებ აზრთა საჯაროდ გაცვლა;

დისპუტი – საჯარო კამათი;

მოლაპარაკების მონაწილეებს ყოველთვის აქვთ როგორც საერთო, ისე განსხვავებული ინტერესები. ეს უკანასკნელი აუცილებლად არ ნიშნავს ურთიერთწინააღმდეგობას. მათ შორის შეიძლება გამოიყოს როგორც ურთიერთგადამკვეთი, ისე პარალელური ინტერესები. პირველ შემთხვევაში ვითარება მეტ-ნაკლებად გასაგებია. არალელური ინტერესების დროს ერთი მხარის ინტერესების რეალიზაცია მეორე მხარის ინტერესებს არანაირად არ ეხება.

მოლაპარაკების მნიშვნელოვანი თავისუფებებია ისიც, რომ მხარეთა ინტერესები, შესძლოა, მაწილობრივ ერთმანეთს ემთხვეოდეს. შწორედ ინტერესთა თანხვედრა განაპირობებს მხარეთა მოლაპარაკებას შესაძლებელს, ხოლო განსხვავებულობა აგულისანებს, სტიმულს აძლევს მოლაპარაკების ჩასატარებლად.

პარტნიორთა ინტერესების მხოლოდ სრული თანხვედრის შემთხვევაში, მოლაპარაკების გზით საკითხის განხილვა საჭირო აღარ ხდება. ასევე ვითარებაში, მხარეები ერთობლივად მოქმედებენ.

მოლაპარაკების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის მოლოდინი და იმედები, ისინი, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია მიზნის მიღწევის მოტივაციასთან. მოლაპარაკების დარგში ცნობილი ამერიკელი სპეციალისტის, ატკინსონის აზრით, ადამიანი ორი

ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობის – წარმატების მიღწევის სურვილი და დამარცხების შიში – მუდმივი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. იდივიდი ერთდროულად განსაზღვრავს რა თავის მიზნებს, ითვალისწინებს მისი განხორციელებით მიღებულ მოსალოდნელ წახალისებას, ამავე დროს, არ გამორიცხავს მარცხის საშიშროებასაც, შესაძლებელ სანქციებსაც.

მოლაპარაკების ტაქტიკა შეიძლება ავირჩიოთ:

მკაცრი სტილი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს როგორც ძალიან კარგი, ასევე ძალიან ცუდი შედეგი; შეიძლება აღმოჩნდეს საქმის კარგად შენიღბული დასაწყისი; ცუდი არის ხანგრძლივი ურთიერთობებისათვის და შეუძლია გამოიწვიოს პარტნიორთა შორის უნდობლობა.

რბილი სტილი, რომელსაც სინამდვილეში არანაირი სტილი არ არის, და ამდენად არაა რეკომენდირებული.

თანამშრომლური სტილი, რომლის გამოყენებისას არასოდეს აღმოჩნდებათ ჩინში. ყურადღება გადატანილია ინტერესებზე, და არა პოზიციებზე და ამიტომ მოიძებნება ურთიერთმისაღები გამოსავალი, გამოიყენება ობიექტური კრიტერიუმები და მიიღწევა ურთიერთკმაყოფილება.

ყველაზე გონივრული მიდგომა არის დაიცვა ურთიერთთანამშრომლობის ხაზი და მიიყვანო პარტნიორი იქამდე, რომ გითხრას “დიახ”.

მოლაპარაკების ტაქტიკა შეიძლება დავეყოთ რადენიმე კატეგორიად:

- მოლაპარაკებებში წარმატებული პარტნიორის ერთ-ერთი ძლიერი ხერხია ისეთი კითხვების დასმის უნარი, რომელიც იძლევა არა მარტო ინფორმაციის მიღების საშუალებას, არამედ ხელს უწყობს მოლაპარაკებების წარმართვას. აღიარებულია, რომ გამოცდილი პარტნიორი ბევრ დროს უთმობს შეკითხვების დასმას და პასუხების ყურადღებით მოსმენას.

- კითხვაზე პასუხის გაცემის ტაქტის ერთ-ერთი ნაირსახეობაა უბრალოდ სინუმის დაცვა. ამ შემთხვევაში როგორც წესი, პარტნიორი განაგრძობს თავისი პოზიციის წარმოჩენას. ყურადღებით დაგუგდოთ ყური: ამ დროს შეიძლება გამომჟღავნდეს ნამდვილი პოზიცია.

- დათმობა როგორც დიდგმა, ყოველთვის არსებობს ორივე მხარისათვის. თითოეულს სურს განსაზღვროს, როგორ დათმობაზე წავიდეს, როდის და როგორ გამოიყენოს ის თავის სასარგებლოდ. თუ გარკვეულ დათმობაზე წასვლა აუცილებელია, უნდა დარწმუნებული იყოთ, რომ სანაცვლოდ რაღაცას მიიღებთ.

- გარიგება არუს იგივე ურთიერთგაცვლა: რაიმეს მიღმა რაიმეს სანაცვლოდ. ყველაზე კარგია, რა თქმა უნდა, როდესაც არის საშუალება შევთავაზოთ ძალიან მცირედი, სულ უმნიშვნელო რამ, და სანაცვლოდ მივიღოთ ბევრი და მნიშვნელოვანი.
- საქმის ისეთი წარმართვა როგორცაა სასამართლოში მიმართვა, ან ანგარიშსწორებაზე უარის თქმა, გამოიყენება იმისათვის, რომ მეორე მხარემ შეცვალოს დაგეგმილი ქმედება და მიხედვს, რომ ჩადენილმა ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგი.
- პრობლემა იმაშია, რომ გარდა ეთიკური მოსაზრებებისა, შესაძლებელია პარტნიორი მიგვიხედვს ჩვენს განზრახვას, და შედეგად ჩვენ დაგვარგავთ ნდობას არა მხოლოდ მოლაპარაკებების დროს, არამედ შემდგომშიც.
- გაბრაზება შეიძლება გამოიყენებული იქნას, როგორც ნიშანი პოზიციის სერიოზულობისა. ან შეიძლება გამოიწვიოს მეორე მხარის დაუჭვება საკუთარი პოზიციების მართებულობაში. მეორეს მხრივ, ამან შეიძლება გამოიწვიოს ასეთივე, ან უფრო ძლიერი გაბრაზება მეორე მხრიდან და ეს გაართულებს შეთანხმებების მიღწევას.
- შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ოპონენტი დაუშვებს შეცდომას და თავს იგრძნობს იმდენად უხერხულად, რომ ეცდება დაასრულოს მოლაპარაკებები რაც შეიძლება სწრაფად.
- ამას ჰქვია “მივადწევთ, მაგრამ ფრთხილად”. ასეთი ხერხი კარგია, თუ ოპონენტი გამოუცდელია.
- ის რაც ცხადი და ჭკმშია, იმის მიწოდება ხდება თავიდანვე, მაგრამ რჩება ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნება მეორე მხარის მიერ დამატებების სახით. ეს საშიში თამაშია.
- “პრობლემების გადაჭრისადმი ერთობლივი მიდგომა” ხდება მაშინ, როდესაც შესწავლილი გვაქვს ინერესები, ვცდილობთ ერთდროულად გაითვალისწინოთ ორივე მხარის მოთხოვნები. გარდა იმისა, რომ ეს ტექნიკა არის ყველაზე წარმატებული, როდესაც მხარეები აპირებენ გააგრძელონ ურთიერთობა, ის შეიძლება იყოს შედეგიანი მაშინაც, როცა მხარეები ერთმანეთს ემტერებიან.
- როდესაც მოლაპარაკებებში მონაწილე პიროვნება თმობს საკუთარ პოზიციებს ოპონენტის სასარგებლოდ, იგი “თავს სდებს”. ასეთი მოთხოვნა ან დამცირება შეიძლება სასარგებლო იყოს, თუ მისი პოზიცია სუსტია და იგი გრძნობს, რომ არ ჰყოფნის ძალაუფლება მიიღოს მცირედი დათმობა მეორე, უფრო ძლიერი მხრიდან. ამას, როგორც წესი,



აქვს უფრო მორალური და ეთიკური სახე. დროის ფაქტორს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუ ეს მოსდევს ხანგრძლივ, ცხარე და წარუმატებელ დისკუსიებს, ეს შეიძლება იყოს მეტად დაგვიანებული.

მოლაპარაკებას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული განუხაზვდრელობა. ვერასოდეს იქნებით დარწმუნებული, რომ მიაღწევთ სასურველ დათმობას. შეთანხმების მიღწევა დროის ამბავია. შეთანხმების მომენტი არის ძალიან სახიფათო მოლაპარაკებაში მონაწილეთათვის. არსებობს წინასწარი ეიფორიაც და დაძაბულობაც, რომელიც ვლინდება იმაში, რომ შეთანხმების მიღწევა მოიაზრება, როგორც რაღაც საშველი. შეთანხმება შეიძლება იყოს "ნარკოტიკი", რომელიც სრულიად უსუსურად გაქცევთ და აღარ შეგიძლიათ წინააღმდეგობის გაწევა.

როგორც წესი, ის რის თაობაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება, შეიზლება თანმიმდევრულად ჩამოყალიბდეს წერილობით ფორმაში. არსებობს სხვადასხვა მეთოდები ისეთი დოკუმენტაციის მომზადებისა, რომელიც მოიცავს მიღწეულ შეთანხმებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის დამატებითი სამუშაო, სასურველია თქვენ იყოთ ის ადამიანი, რომელიც ჩამოაყალიბებს პირველადი ხელშეკრულების ტექსტს.

ზოგადი წესია, რომ ურთიერთობა, ზეპირი თუ წერილობითი, რომელსაც ადგილი აქვს მხარეთა მოლაპარაკებების დროს, და რომელიც შეიცავს შეთავაზებას დავის გადაჭრის მიზნით, არ შეიძლება მიღებული იყოს, როგორც მტკიცებულება. ეს წესი საშუალებას აძლევს მონაწილე მხარეებს შეუზღუდავად მიიღონ მონაწილეობა დისკუსიაში და ჰქონდეთ მიმოწერა, რათა მიაღწიონ შეთანხმებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯოლია გ., მოლაპარაკების თეორია და პრაქტიკა, თბ., 2004
2. ჭიპაშვილი ჰ., ეტიკეტები და დიპლომატიური სამსახური, თბ., 2000
3. ჯოლია გ., მოლაპარაკების ხელოვნება, თბ., 2004
4. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ტ. I და II თბ., 1998 – 2000

## **Summary**

**Sophio Sturua**

### **The idea, role and importance of negotiations**

Negotiation is the way for the two sides to develop one common idea, an art of victory under the social pressure.

Negations - is the process, when one side has an attempt to change another's mind or appositively.

Negotiations - is the process during which two or more sides have common interests, but can not agree in one opinion and are trying to reach agreement regarding certain issues.

## **РЕЗЮМЕ**

**Софья Стуруа**

### **Суть, роль и значение переговоров**

Переговоры представляют собой разработку общего мнения двумя сторонами, а также искусство победы под определённым воздействием.

Переговоры – это процесс, во время которого одна сторона пытается заставить другую сторону изменить, или наоборот, не изменить собственное действие.

Переговоры – это процесс, во время которого две или более сторон, которые имеют общие интересы, но не могут достичь единого мнения, пытаются договориться по поводу определённых условий.

**განცა გოგიშვილი**  
**ქართული მჭევრმეტყველება**

ორი ათას წელზე მეტია, რაც ქართული ენა წარმოადგენს ქართველთა ეროვნული ერთიანობისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ფაქტორს. ქართული ენა იყო და არის ჩვენი პროგრესის მამოძრავებელი ძალა. ქართველი ხალხის უმთავრესი სულიერი მონაპოვარი – სასაუბრო და სალიტერატურო დედაენა – თავისი ზეპირი და წერიტი სახეებით საუკუნეთა მანძილზე ამყარებდა ადამიანთა საარსებო ურთიერთკავშირს და ამჟამად ჩვენი ერის სასიცოცხლო ურთიერთობის საშუალებაა. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მჭევრმეტყველება და ლიტერატურა, რომელთაგან პირველი ზეპირი მეტყველების სახეა, ხოლო მეორე წერიტი მეტყველების სრულყოფილი ფორმა.

ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული მდიდარი სულიერი კულტურის სფეროს მიეკუთვნება ქართული მჭევრმეტყველება.

ორატორული ხელოვნების წარმოქმნისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მჭევრმეტყველების კერებს. ასეთი კერა წარმოადგენს ერთგვარ ცენტრს, სადაც თავს იყრის მთქმელთა და მსმენელთა მჭიდრო კოლექტივი, რომელსაც შეუძლია საჯარო მეტყველების დანერგვა და აღორძინება. ამ გზით მალდება ცოცხალი სიტყვის ხელოვნება, იზრდება მისი გავლენის ძალა და ფარდოვდება მისსივე მოქმედების არენა. ზეპირი სიტყვის ადგილობრივი კერები და მათი შემოქმედებითი ურთიერთკავშირი ქმნის იმ სარბიელს, რომელზედაც წარმატებით ვითარდება ამა თუ იმ ხალხის ეროვნული მჭევრმეტყველება. ასე შეიქმნა და დამკვიდრდა ისტორიულად ქართული ორატორული ხელოვნება, რომლის წინსვლას ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არსებული კერები.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ხალხური მჭევრმეტყველების ზოგიერთი კერა, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა და ამჟამადაც საჯარო მეტყველების ტრადიციულ ცენტრებად გვევლინებიან. ასეთი ცენტრებია: ქართული სუფრა და ქართული სამგლოვიარო რიტუალი. ისინი უძველესი ეთნიკური წეს-ჩვეულებანია, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე მტკიცედ ინარჩუნებს ხალხის ყოფა-ცხოვრება. ქართული

სუფრის წესი, ჩვენებური გლოვის ტრადიცია უხსოვარი დროიდან ხელს უწყობდა საჯარო სიტყვის დანერგვასა და განვითარებას. ამ გზით აღმოცენდა ჩვენში ხალხური მჭევრმეტყველების ორი ძირითადი დარგი, რომელთაგან პირველის შინაარსი ზემოთა და მხიარულებით ისახდრება, ხოლო მეორისა – გლოვითა და მწუხარებით.

სასუფრო მჭევრმეტყველების უძველესი ნიმუშები შემორჩენილია ხალხური სადღეგრძელოების სახით. ამ სახის ზეპირი სიტყვიერება უხვადაა წრმოდგენილი მთისა და ბარის პოეზიაში. ჩვენი მდიდარი ფოლკლორი ინახავს უამრავ სუფრულ სიმღერას, მოსწრებულ გამოთქმას, დალოცვასა და დამწუკლობებს, რომელთა სიტყვიერი მასალა დაკავშირებულია ქართულ სუფრასთან და მახვენებელია მჭევრი მეტყველებისა. სუფრის ირგვლივ შემოკრების ძველთა ძველი ჩვეულება, რაც საგანგებო წესრიგით დაკანონდა ჩვენში, საუკუნეთა მანძილზე წარმოდგენდა არა მარტო შექცევისა და მხიარულების საბაბს, არამედ საქმიანი საუბრისა და გონიერული გართობის წყაროსაც. გვაქვს საფუძველი აღვნიშნოთ, რომ ისტორიულ წარსულში ბევრი დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო საკითხის გადაწყვეტა და საქმის მოგვარება სუფრის მახლობლად ხდებოდა. ქართული სუფრა დღემდე წარმოდგენს მოწესრიგებული ზემოის ნიმუშს, რომელიც თავისი მწყობრი აგებულებით ხელს უწყობს იმპროვიზაციული მჭევრმეტყველების განვითარებას და ხალხური ორატორული ხელოვნების ერთ-ერთ კერად გვევლინება.

დაახლოებით ასეთივე მნიშვნელობა აქვს ჩვენებურ სამგლოვიარო რიტუალს. აქ, უძველესი წეს-ჩვეულებების თანახმად, მიღებულია მიცვალებულის სიტყვით დატირება. ასეთი დატირების რამდენიმე სახეობას იცნობს ჩვენი ხალხური შემოქმედება. მათი საერთო ნიშანი სიტყვით გამოთქმული აზრია და არა ტირილით გამოწვეული გრძნობა. გლოვის განწყობილებას აქ ქმნის დამტირებლის ზეპირი მეტყველება. ეს გარემოება სიტყვით გლოვას ამაღლებს ორატორულ ხელოვნებად.

ასეთი დატირების უძველესი წერილობითი ტექსტი დაცულია “ქართლის ცხოვრების” ფურცლებზე, ლეონტი მროველის საისტორიო ნაშრომში, სადაც მოთხრობილია ვერაულოდ მოკლული ფარსმან მეფის სახალხო გლოვის ამბავი. დიდად საუბრისხმოა, რომ აქ სიტყვით დამტირებელი გლოვის მგონხად იხსენიება.

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ადრინდელი ცენტრი, დამოწმებული წერილობითი დოკუმენტით, არის კოლხიდის რიტორიკული სკოლა. ამ სკოლის არსებობას ადასტურებს IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის თემისტოისის XXVII სიტყვა, მიმართული ერთი პროვინციელი ახალგაზრდისადმი, რომელსაც ორატორი უმაღლესი განათლების სასურველ მომნიჭებლად

უსახელებს კოლხიდის რიტორიკულ სკოლას, რომელშიც ფილოსოფიური განათლება მიუღიათ როგორც თემისტოსს, ისე მამამისს ეგვინოსსაც. ხსენებულ სიტყვაში ნათქვამია: “მეც, ჩემო კარგო, რიტორიკის ნაყოფნი მოვწყვიტე გაცილებით უზინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფასიდის მახლობლად... იქ, სადაც ცნობილია თერმოდონტი, ამაზონთ საქმეები და თემისკვირი. და, აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუშების ტაძრად, იმ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიან არა ისართ სტყორცნას და ოროლთ სროლას, ან ჯირითს, მეზობელ ბარბაროსთა წესებისა და მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღეობებზე...” (1)

უფრო მოგვიანებით ქართული მჭევრმეტყველების მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა კოლხეთის დედაქალაქი არქეოპოლისი. ამ ქალაქის მახლობლად, “კავკასიის ერთ ხეობაში”, 554 წელს კოლხთა მრავალრიცხოვან კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ქართველი ორატორები აიეტი და ფარტაზი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ არქეოპოლისში, 554 წელს მოეწყო საჩვენებელი სასამართლო პროცესი – გუბაზ მეფის მკვლელობის განსამართლება, რომელზედაც ვრცელი საბრალმდებლო სიტყვა წარმოთქვა კოლხთა წარმომადგენელმა. ეს იმის მახვენებელია, რომ ძველი კოლხეთის დედაქალაქი მჭევრმეტყველების დიდ არენას წარმოადგენდა როგორც ბერძენი, ისე ქართველი ორატორებისათვის.

XII საუკუნის დასაწყისიდან ქართული რიტორიკული განათლების უმთავრეს კერად გელათის აკადემია გვევლინება, სადაც დანერგილი სწავლულება ვრცელდებოდა მთელ საქართველოში როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე მეთვრამეტე საუკუნის ქართველთა შორის ცნობილია თავისი დიდი და მრავალმხრივი დამსახურებით. ის ერეკლე მეორის სამეფო კარის დოპლომატი, გავლენიანი მრჩეველი და ერთგული მოამაგეა. საქართველოს მართვისა და გამკვების სათავეში მას ეჭირა მსაჯულისა და მდივნის მაღალი თანამდებობები. თანამედროვეთა შორის ის გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებით, ფართო განათლებითა და მგზნებარე პატრიოტიზმით – მან სახელი გაითქვა ჭკუით, ცოდნით, გამირობითა და მჭევრმეტყველებით.

სოლომონ ლიონიძე, უპირველეს ყოვლისა, დიდი ქართველი მჭევრმეტყველია. მისი ორატორული ხელოვნება ჩვენი კლასიკური მჭევრმეტყველების უმაღლესი საფეხურია – ადრინდელი ახალი ცოცხალი სიტყვის გარდამავალი ზღვარის ისტორიული მოვლენა.

ს. ლიონიძე ძველი ქართული მჭევრმეტყველების უკანასკნელი და, ამასთანავე, უდიდესი წარმომადგენელია, რომელმაც სათავე დაუდო და სარბიელი გადაუშალა ახალ ეროვნულ ორატორულ შემოქმედებას.

ს. ლიონიძეს პირადი ხელმძღვანელობით შესრულდა ჩვენში ბევრი ისტორიული მნიშვნელობის სახელმწიფო მისია – დიპლომატიური მოლაპარაკება, სადარბაზო თათბირი, ბჭობა-კამათი და გამორჩევა. ამ საქმეებით სახელგანთქმული ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარი და ტრიბუნი ს. ლიონიძე თანამედროვეთა შორის დიდი სახელითა და პატივით სარგებლობდა. ამას გვაუწყებს ჩვენამდე მოღწეული ბევრი საისტორიო წყარო. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე ბატონიშვილის “კალმასობა”, სადაც ნათქვამია: “ესე იყო გონებამახვილი, წერილთა შინა გამოცდილი, სიტყვამარჯვე და საქმისა წერათა შინაცა კარგი...“(11)

ს. ლიონიძე ქართული სადარბაზო, სადღესასწაულო და სამეგლოვიარო მჭევრმეტყველების წარმომადგენელია. მისი სიტყვა, წარმოთქმული ერეკლე მეორის დაკარძალვაზე, თავიდანვე ღირსეულად დაუფასებიათ და მისგან მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილება საგანგებოდ აღუნიშნავთ. ამას გვიჩვენებს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა, რომელსაც შეიცავს მისი “საქართველოს ისტორია”. აქ ნათქვამია: “თუმცაღა მრავალთა იტირეს გვაში მეფისა შესაბამისად, გარნა ორნი მათ შორის აღემატნეს სხვათა: ერთი მდივანი მეფისა სოლომონ მსაჯული, რომელიცა იყო კაცი განსწავლული და პატიოსანი და მეორე ქერივი იგი ქიზიყელი...“(4)

ს. ლიონიძის მჭევრმეტყველება გამოირჩევა ზეგავლენის დიდი ძალითა და შესრულების მაღალი ოსტატობით. მისი ზეპირი მეტყველების კეთილხმოვანი ჟღერა უბადლოა ქართული ცოცხალი სიტყვის სარბიელზე და იშვიათია თვით მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში

ს. ლიონიძის ორატორული სიტყვაკაზმულობის ენობრივი ფორმა არსებითად ახალი ქართული მეტყველებაა. ის წარმოადგენს XII–XVIII საუკუნეების მანძილზე დანერგილ საერთო-სახალხო მეტყველების ლიტერატურულ ფორმას, რომელსაც გვერდი აუქცევია ბუნებრივი განვითარების შემაფერხებელი მოვლენებისათვის, არ განუცდია მათი გავლენა და ჩვენი კლასიკური მწერლობის ენობრივი ტრადიციები დაუცავს და შეუნარჩუნებია.

მჭევრმეტყველება ძველად პრესის მოვალეობას ასრულებდა. სოციალურ-პოლიტიკური ყოველდღიურობა პრესის უქონლობის ან მისი შებოჭვის პირობებში, თავის ახსნა-გამოვლენას ზეპირ საჯარო მეტყველებაში პოულობდა. მჭევრმეტყველების ეს ფუნქცია საგრძნობლად ფართოვდებოდა ერის პოლიტიკური კატასტროფის პერიოდებში, მაგრამ ასეთ ვითარებაში არ იზრდებოდა ცოცხალი

სიტყვის განვითარების პირობები, რადგანაც უადრესად შებოჭილი იყო მისი წინსვლის გზები საწინააღმდეგო ძალთა ზეგავლენით. ამ მხრივ საინტერესოა მეცხრამეტე საუკუნის ქართული მჭევრმეტყველება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში არსებობდა პრესა, მისი მოვალეობის შეთავსება მოუხდა ცოცხალ სიტყვას, რადგანაც ეს იყო პრესა ექსპლოატატორული პერიოდისა, როცა ადამიანის თავისუფალი აზრი შებოჭილი იყო მკაცრი და უკუღმართი სოციალურ-პოლიტიკური ძალმომრეობით. თვითპერობელური რუსეთის ბატონობის ხანა საქართველოში, რაც ეროვნული გადაგვარების პოლიტიკით ხასიათდება, უსაზღვროდ ზრდიდა თავისი საწინააღმდეგო იარაღის – ცოცხალი სიტყვის მნიშვნელობას, მაგრამ ამასთანავე ხელს უშლიდა მის განვითარებას. მიუხედავად ამისა, მეცხრამეტე საუკუნის ქართული კულტურის ორგანული ნაწილი – ჩვენი მჭევრმეტყველება თავისი იდეური შინაარსითა და მხატვრული ფორმით არ ჩამორჩება იმდროინდელ სიტყვაკაზმულ ხელოვნებას, ეს ითქმის განსაკუთრებით იმ პერიოდზე, როცა ქართულ კულტურას სათავეში ჩაუდგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები. მათ მიერ ენა გამოცხადებულ იქნა ეროვნების ბურჯად და მისთვის ბრძოლა – უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ამოცანად. მათი მამამთავარი ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში ჩვენი ახალი აზროვნების შექმნას და წარმატებით ააშენა დიდი ქართული ეროვნული კულტურა, რომლის უმთავრეს სფეროს სიტყვაკაზმული მწერლობა წარმოადგენდა. ილიას მხატვრულ შემოქმედებას ამშვენებს და თავისებურ იერს ანიჭებს მდიდარი ორატორული ხელოვნება.

ილია სიხარულით ეგებებოდა ქართული სიტყვის გამოცოცხლების ყოველგვარ ნიშანს. საადგილმამულო ბანკის თაობაზე გამართულ ცხარე კამათთან დაკავშირებით, 1882 წელს, ის აღნიშნავდა: “... ჩვენს მეტყველებას ამ ბოლო დროს, და ნამეტნავად წელს, ადამიანური ფერი და ღირსება დაედვა. ამიტომაც ჩვენს სიტყვას ღონე და ძლიერება მიეცა და ფარ-ხმალად შეექმნა ყოველს საქვეყნოდ მიმართულ მოქმედებას. რაკი საქვეყნო სიკეთისათვის აზრი დაიძრა ჩვენში, რაკი საქვეყნოდ მიმართული აზრი გულში გამოგვეკვანდა... სიტყვა ხმალზედ უფრო უკეთ სჭრის და ზარბაზანზედ უფრო ძლიერ მოქმედებს...“(6). ამიტომ მეურვეობდა დიდი ილია ასე თავგამოდებით ცოცხალ მეტყველებას და იცავდა მას ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ილია მნიშვნელობით ერთმანეთისაგან არ ანსხვავებდა ორატორულ მეტყველებას და სიტყვაკაზმულ მწერლობას. აქ მისთვის მხოლოდ გარეგნული სხვაობა იყო: “როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს, - რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო... “ – ამბობს ილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გამოსვენებაზე წარმოთქმულ

სიტყვაში(6). აქ თანაბარ სიმაღლეზე დაყენებული მთქმელი და მწერალი – ზეპირად მეტყველი და წერით შემოქმედი. ასეთი რწმენით მოაზროვნე და მოქმედ მწერალს ზეპირი მეტყველების დიდი უნარი და ბუნებრივი ნიჭი გააჩნდა, რაც ღრმა ცოდნასა და ენერგიასთან ერთად განაპირობებდა ი. ჭავჭავაძის ორატორულ შემოქმედებას.

ი. ჭავჭავაძე როგორც მკვერმეტყველი, მხატვრული კითხვის ოსტატობით, პაექრობა-კამათის ძალითა და სადღესასწაულო სიტყვის ხელოვნებით გამოირჩეოდა.

ილია მისთვის ჩვეული მზრუნველობით ეპყრობოდა ყველაფერს, რაც საჯარო სიტყვას ეხებოდა. “მეფე ლირის” თარგმანთან დაკავშირებით 1874 წელს იგი ასე წერს თავის მეუღლეს: “მაგას კაი წაკითხვა უნდა, რომ კაცმა მოიწონოს... აი, როცა მე მოვალ, მე თვითონ წაგიკითხამთ და მაშინ ნახავთ, როგორი თარგმანია...”(5)

განსაკუთრებული ოსტატობით ილია საკუთარ ნაწარმოებებს კითხულობდა. ცნობილია, რომ ილიამ თავისი პროზაული შედეგრი “ოთარაანთ ქერივი” გამოქვეყნებამდე ახლობელთა წრეში წაკითხა და ისეთი ხელოვნებით, რომ მოჯადოებული მსმენელები აღფრთოვანებული დარჩნენ მისი კითხვის საოცარი მომხიბვლელობით.

1889 წლის 25 მარტს თბილისში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ილიას მხატვრულ კითხვას ასე აგვიწერს ი. სიმონიძე: “საქმე ჭავჭავაძეზე მიდგა. იგი გამოვიდა ღინჯად, გაშალა კათედრაზე რვეული და დაიწყო კითხვა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დარბაზში ბუხის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდე არ შენელებულა... მართალია ილია დეკლამატორი არ არის, ნაფიც მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სამაგიეროდ შემეკულია ბუნებრივი მკითხველის ღირსებითა: ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიკური ხმის აწვე-დაწვევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისახისა შეესაბამება წაკითხვის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძნობას, რომელსაც კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები...”(9) ასეთი იყო ილია, როგორც მკითხველი.

ილიას სიტყვა, თქმული ნ. ბარათაშვილის ნემტის გადმოსვენებაზე ჩვენი ორატორული ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებია, რომელიც იწყება ციტატით, მიმართვის გარეშე, შემადღებული ტონით: “თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ამ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო... და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნემტი, რომ დღეს ამას იქით მისმა სამშობლო ცამ



თავისი ნამი ცრემლად ზედ აღინოს. მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადისხნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად...” (1)

ილია თავის საჯარო სიტყვას ყოველთვის წერილობით ამზადებდა და შემდეგ მსმენელთა წინაშე, მსგავსად ანტიკური ხანის ორატორებისა, ზეპირად წარმოთქვამდა. ილიას ზეპირად სათქმელი სიტყვა წინასწარ კალმით მზადდებოდა და წარმოთქმამდე მეხსიერების კუთვნილებად ხდებოდა. ჯერ ქაღალდზე და შემდეგ ცნობიერებაში ფიქსირებული სიტყვა თავის დროზე ზეპირად წარმოითქმოდა, მაგრამ არა ზუსტი და შეუცვლელი ფორმით, არამედ შევსებული და სრულქმნილი სახით. ამ საბოლოო სრულქმნაში იხატებოდა ილიას ორატორული გზნება, ტემპერამენტი, ხასიათი და მთელი შემოქმედებითი პროცესი. ტრიბუნაზე მსმენელთა წინაშე ვლინდებოდა ეს შემოქმედებითი პროცესი – მაჩვენებელი ილიას ორატორული ოსტატობისა და ოქროპირული მტკვერმეტყველებისა.

აკაკი წერეთელი ტკბილი ქართული მუსაიფისა და გრძნობით სავსე ბრძნული სიტყვის ხელოვანია. დიდი პოეტის მახვილგონიერი და ნათელი აზროვნება თანაბარი ძალით ბრწყინავდა წერილობითი და ზეპირი შემოქმედების სფეროებში – ლიტერატურასა და მტკვერმეტყველებისა. მისი მოსწრებული სიტყვები, ფრთიანი გამონათქვამები ღირსეულად ამშვენებენ ჩვენს მხატვრულ მემკვიდრეობას.

აკაკის საჯარო ლექციები ხშირად ყოფილა ცხოველი სჯაბაასისა და კამათისა თემა, როგორც ზეპირად – მსმენელთა შორის, ისე წერილობით – პრესის ფურცლებზე. ამის მაჩვენებელია გაზეთ “დროებაში” მოთავსებული რეცენზიები, რომლებიც საკმაო სისრულით გვისურათებენ აკაკის ორატორულ შემოქმედებას. 1881 წელს, ლექციების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ, გაზეთი წერდა: “აკაკი წერეთელს ორატორული ნიჭი, მართალია, არა აქვს, ის გემუსაიფება, გელაპარაკება, თითქო ამბავს რასმე ვიამბობსო, მაგრამ ეს ლაპარაკი და მუსაიფი ისეთი ტკბილია, ისეთი საამოა, რომ არ შეგიძლიათ ყური მოაშოროთ...”(10)

დაახლოებით იმავე იმეორებს “დროება” ერთი წლის შემდეგ: “ყველამ იცის, ვისაც კი შარშანდელი ლექციები “ვეფხისტყაოსნის გმირებზე” გაუგონიათ აკაკი წერეთლისა, თუ რა ტკბილ-მოუბარია ის, რა ჩინებად უსრულით, რა გარკვევით და ყველასათვის გასაგონად ლაპარაკობს და რა მშვენიერი, მოხდენილის, მახვილის მაგალითებითა და ეპიზოდების მოყვანით აცხოველებს ხოლმე ის თავის ლექციებს...”(10)

აკაკის მტკვერი მეტყველების სამაგალითო ნიმუშია სიტყვა, თქმული ი. ჭავჭავაძის დაკრძალვაზე. ის წარმოითქვა 1907 წლის 9 სექტემბერს, თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოების შენობის აივნებიდან. ამ დიდებული სიტყვის ერთი ადგილი პოეტის ლექსების მსგავსად შეიჭრა ხალხის მესხიერებაში: “ თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუხწარ მის სიკვდილს და თვალთ ვეღარა ნახავ...”(1)

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების მაღალი განვითარების მანქანებელია მისი დარგობრივი სიმდიდრე და უანრობრივი მრავალფეროვნება. არ მოიპოვება ორატორული ხელოვნების ისეთი დარგი, რომელიც თავისებური და მკვეთრი სახით არ ჩანდეს ჩვენი ზეპირი მეტყველების ისტორიულ სარბიელზე. აქ ამა თუ იმ იერით, ღირსებითა და სიუხვით წარმოდგენილია ყველა სფერო, რომელიც კი შეინიშნება მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში. ეს სფეროები ერთმანეთისაგან განირჩევიან თავიანთი დანიშნულებით, წარმატებითა და მნიშვნელობით, ისინი მეტ-ნაკლები სისრულითაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ მათი არსებობა თავისთავად მეტყველებს ჩვენი ორატორული ხელოვნების სასიქადულო ისტორიულ მონაპოვარზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. “ქართული მჭევრმეტყველება”. გამომცემლობა “ ხელოვნება”. თბილისი 1958 წელი.
2. ნ. კანდელაკი “ ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება”. გამომცემლობა “ხელოვნება”. თბილისი 1961 წელი.
3. ცირა ბარბაქაძე “ქართული მჭევრმეტყველების პრაგმატიკა”. თბილისი 2002 წელი.
4. ნ.კანდელაკი “სოლომონ ლიონიძე”. გამომცემლობა “საბჭოთა მწერალი”. თბილისი 1962 წელი.
5. ნ. კანდელაკი, წერილები, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”. თბილისი 1988 წელი.
6. ნ. კანდელაკი “ქართული მჭევრმეტყველება”. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”. თბილისი 1968 წელი.
7. ი. გრიშაშვილი “ ლიტერატურული ნარკვევები”. თბილისი 1957 წელი.
8. ი. ჭავჭავაძე , წერილები.
9. “ ივერია “. 1889 წელი.
10. “ დროება “. 1881-1882 წწ.
11. ი. ბატონიშვილი “კალ მასობა “. თბილისი 1948 წელი.

## **Summary**

### **Gvantsa Gogishvili Georgian oratory**

Our classic oratory adorns the Georgian rich cultural treasure. Georgian people has created and preserved the treasure of public oratory with other spheres of spiritual creation. The fiction from immemorial time which has reached to us, presented with enormous monuments of writing and folk-lore – represents invaluable inheritance of our past. The one part of this national inheritance is folk-lore and the other – is writing. Both spheres include the oratory. The public oratory is preserved in folk-lore, and the classic oratory – in writing. They represent the national immortal spiritual achievement. The scientific establishment of their origin, development, spreading and settlement has cleared the historical way of Georgian oratory.

## **Резюме**

### **Гванца Гогিশвили Грузинская риторика**

Сокровища грузинской культуры украшает наша классическая риторика. Рядом другими духовными отраслями грузинский народ создал и сохранил большой клад публичного ораторства. С незапамятных времён в виде краскоречивых слов дошло до нас уйма письменные и устные памятники. Эти письменные и устные памятники представляют неоценимого наследства нашей древности.

Одна сторона нашего национального наследия устная риторика, другое письменное творчество. Обе стороны содержат ораторства. В устном риторике защищено народное ораторство, в письменном – классическое (ораторство). Они представляют достижением народной духовности, происхождение – развитием и распространение – установлением которого освещается исторический путь грузинского ораторского искусства.

**დაჩი თაქთაქიშვილი  
სამი ექსპერტი  
ქართული სიტყვის სამ მეციხოვნეს**

**„ყოველი საიდუმლო ამას ენას შინა დამარხულ არს“...  
იოანე ზოსიმე**

**„რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში?“**

გურამ რჩეულიშვილი – სრულიად ახალგაზრდა შემოქმედი, ძალიან ადრე წავიდა წუთისოფლიდან და დაგვიტოვა უზარმაზარი სევდა, მოუშუშებელი ჭრილობა და თავისი განუმეორებელი სათქმელი.

რად ღირს თუნდაც „ალავერდობა“, რომელიც ნაცნობი, ჩვეული სურათის სრულიად ახლებურ ხედვას წარმოადგენს და ამავდროულად მაღალმხატვრული შემოქმედების ნიმუშია. გურამ რჩეულიშვილი მხატვრული ნარკვევის ჟანრის ნამდვილი ოსტატია თავისი პოეტური ხედვით, დახვეწილი მხატვრული ოსტატობითა და სათქმელის ლაკონურად და ლამაზად თქმის გამორჩეული უნარით.

ახალგაზრდა შემოქმედს მოსვენებას არ აძლევს თავისი ქვეყნისა და ხალხის გმირული წარსული, ცდილობს გონების თვალთ ჩასწვდეს ერისა და ხალხის ისტორიას მათი ძნელბედობის უამს. სწორედ ეს დაასმევენებს „უსახელო უფლისციხეში“ მარადიულ კითხვას: „რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში?“ - რომელიც უპასუხოდ რჩება და მწერალი ცდილობს პასუხი მოუძებნოს თავის მიერ დასმულ კითხვას... და აი, სწორედ ამ პასუხის ძიებაში მოელანდნენ მას უსახურ და საზარელ ქვემძრომებად – ჯოჯოებად საქართველოს მტრები, რომელთა „წყალობითაც“ უფლისციხეში ჩასული, წარსულის ქარებს ადევნებული მწერლის თვალწინ „ხრიოკი სოფელი მოსჩანს“ და იქ, სადაც უწინ „დიდი დასახლებული ადგილი ყოფილა, ახლა სოფელი გადაბუგულია, სულ არ გავს ქვახერვლს“... მწერალს ეჩვენება: „ჯოჯო იქით მიდის, მერე ისევ უკან მოდის და სხვებს ადვილებს. იქნებ შემოსეული მოძალადეების შთამომავლები არიან ჯოჯოები, - ფიქრობს ის, - იქნებ დაპატარავდნენ და ჯავშანში გახვეულები დარბიან“. და მაინც, აკვირებული ფიქრი: „საინტერესოა, რატომ არ შემორჩა ისტორიას, რამდენიმე მთავრის, თუ მეფის სახელის გარდა, ვინმე გმირის სახელი, გლეხი გმირის“ და აი, მწერლის მდიდარი ფანტაზია, წარმოსახვის უზადო უნარი გონებაში ნელ-ნელა წამოატივტივებს მტრის მათავარსარდლის უნო მზარეულის, ქართველი გლეხის სახელს, რომელიც თანდათან უფრო მკაფიო და ცოცხალი ხდება, დასრულებულ მხატვრულ სახედ

გამოკრისტალდება და, რადგან მას არ შეიძლება ერთი კონკრეტული ადამიანის იერსახე ჰქონდეს, ერთი კაცის სახელი ერქვას, რადგანაც იგი იმ უბრალო ხალხის კრებითი და განზოგადებული სახეა, რომელმაც აქამდე მოიყვანა საქართველო, რადგან იგი მთელი საქართველოა, ამიტომ მწერლის გონება რამდენიმე სახელს უხმობს ერთბაშად, მაგრამ ყველას ჩვენებურს, ქართულს: „აღბათ ვაჟა ერქვა, ან უბრალოდ წყალობა, ან მახარე, ან ქიტესა“; ქართველებს უმეტესად ეს სახელები ჰქვიათ. იმასაც ეს ერქმეოდა. „ჰო, უეჭველად რომელიმე მათგანია ის“, - ფიქრობს მწერალი; ის, რომელიც აუშხედრდა თავის ბატონს, დამმონებელს, გადამთიელს; ის, ვისაც თავისი ფესვები ეძახის, ვისაც ქვის ფილაქანზე შვილების გადასარჩენად ღოცვად მუხლმოყრილი ქართველი დედები უხმობენ, ის ვინც ვერ გაამხელს თავის ვინაობას, რადგან უენოა, ვერ დაწერს თავის სახელს, რადგან წერა არ იცის, ის, ვისაც ღამით, ქარ-ყინვაში კლდეზე ცოცვისაგან თითები გაუხევედა, მაგრამ გზაზე დაცემა არ უწერია, რადგან ერის გადარჩენის მისია აკისრია, ძნელი და დიადი მისია, ამიტომ უფლება არა აქვს სიკვდილის, ვიდრე მტერს არ დათრგუნავს, ვიდრე ბავშვებს სამშვიდობოს არ დაიბუღებს, ვიდრე არ აღასრულებს, რაც ჩაიფიქრა, რაც დაისახა! და აი, მიდის... უენოა და ვერ კენვის, ფეხები დამზრალი აქვს, „ტერფები დახეთქილი: ღურჯი, წითელი, შავი“...

ამ ტერფებით მიდის... უკვდავებას რომ ეზიაროს, ერთ სახედ რომ გათლიანდეს ქართველი უსახელო გმირებისა, მიდის, რათა არ გადაშენდეს ქართული მოდგმა, მომძლავრდეს ფესვები ქართული და დაისხას ნაყოფი ქართული - „ნორჩი, ახალი“.

მიდის... მიდის... კურთხეულია მისი სავალი!

**„რომ ჩემს საფლაგზე ყაყაჩოსავით  
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა“**

**„მე შენ გეტყვი –  
არ გეყოფა სიტყვის მარაგი“....  
მუხრან მაჭავარიანი**

თანამედროვე ქართველ პოეტთაგან მუხრან მაჭავარიანს ქართულ პოეზიაში თავისი სამკვიდრო და სიმაღლე გააჩნია. მისი ომახიანი პოეტური ხმა ათასთაგან გამოსარჩევი და საცნაურია; ხმა, რომელსაც სხვა ხმაში ვერ გარევე!

მუხრან მაჭავარიანის ჭეშმარიტად მამულიშვილურ და მწერლურ ინტერესთა წრეში მისი საქართველოა ამაღლებული და გამორჩეული, საქართველო, რომლის პატრონობაც პოეტის სამართლიანი სიამაყის წყაროს წარმოადგენს, რის გამოც თითქოს გულუბრყვილოდ კითხულობს პოეტი ერთ-ერთ ლექსში:

„მე – პატრონმა  
მე – პატრონმა  
ამისთანა ზღვის,

მე – პატრონმა  
მე – პატრონმა  
ამისთანა ცის, -  
თუ ღმერთი გწამს,  
თუ კაცი ხარ –  
სხვას მივბაძო?!  
ვის?!”

ეს გაოცება რომ სამართლიანია, თითქოს ამის დასტურს წარმოადგენს ლექსი - „შენ – სისხლო ჩემო“. პოეტი თავგამოდებით ცდილობს, რომ სისხლს, რომლის „დინება ვეფხისტყაოსნით ხშირად უგრძნია“ - შეუფერებელი და საწოთირო სიტყვა აშოროს, თავისი სიწმინდე შეუნარჩუნოს. ცდილობს და ახერხებს კიდევ.

„თავიდანვე მქონდა მიზანი, გამოვდგომოდი სამშობლოს ჩემსას, - ბრძანებს პოეტი, - ვიდრე პირში სული მიდგას, ვიდრე პერანგის ზიდვა ძაღმძის, წყეულიმც ვიყო, უკეთუ ამ მიზნისაკენ მიმავალი გზიდან მრუდედ გადავდგა ფეხი“.

მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ამ ფიცის ერთგულად რჩება პოეტი, როგორც შეფერის ჭეშმარიტ მამულიშვილსა და ნიჭიერ მადლმოსილ შემოქმედს.

ბატონი მუხრანის ხსენებულ ლექსში - „შენ – სისხლო ჩემო“ თითქოს მართლა იმ ქართული სისხლის მჩქეფარე დინება ისმის, რომელმაც „გამოიარა რუსთველის გული, გამოიარა ვახტანგის გული, გამოიარა თამარის გული, გამოიარა სულხანის გული“ („ვითარცა მტკვარი“) და დღესაც „ნადიდგორალი და ნაშამქორალი“ მძლავრად ჩქეფს სამშობლოს გმირული წარსულით გაამაყებული და გულანთებული პოეტის საოცარ სტრიქონებში:

„შენ –  
სისხლო ჩემო –  
შენი ღვაწლია,  
რამაც აქამდეც კი მოაღწია:  
სვეტიცხოველი  
ხანძთა...  
ვარძია  
და ისიც, -  
რაც მტერს წარუტაცნია“.

პოეტი ფრთებშესხმულია იმით, რომ ყველაფრის მიუხედავად, ეს ქართული „ხნიერი, დაუცხრომელი და უცნაური სისხლი საბედნიეროდ კიდევ ხმაურობს“. საკუთარ ძარღვებში აბობოქრებულმა ამ სისხლმა ათქმევინა სწორედ ბატონ მუხრანს, - ქართული სიტყვის მესობებსა და მეციხოვნეს:

„რა გინდა რომ აქ არ იყოს,  
ენა იტყვის რას!  
სიტყვა გინდა?!”

მარტო წვიმას  
აქვს სახელი ცხრა.  
მე შენ გეტყვი –  
არ გვეყოფა სიტყვის მარაგი...  
არა!  
სხვისი მისაბაძი  
რა მჭირს, -  
თვარა, - კი!“

წვიმის ცხრა სახელის მომხელთებელს, ბატონო მუხრან, რა თქმა უნდა „გვეყოფათ სიტყვის მარაგი!“ თქვენ ცივ ნიავს არ მიაკარებთ თქვენს მასუღდგმულელებელ ქართულ ენას; თქვენნი არგვეთული იმერული დიალექტით ყოველთვის საცნაურია პოეტური საზრისით გასხივოსნებული, ასე ლამაზად და უბრალოდ ნათქვამი სიტყვები:

„მუხრან, ძროხა გადააბი,  
დაგენაცვლოს მამიდაო!“

თქვენ სომ ლექსის წერის განსაკუთრებული კულტურა შექმენით. ამ კულტურის ენაზე ჩვენ, ახალგაზრდა ქართველებსაც გვესაუბრებით. ლექსით მკითხველებთან დიალოგის გამართვის სიმბოლო ძალიან გავს მუსიკის სიმბოლოებს, ანუ განწყობილება (მაჟორულიც და მინორულიც), ემოციები, სულიერი ღირებულებები სიმბოლოთა სისტემაში განხორციელებული, ჰარმონიული ელერადობით იქმნება. ამას კი, ჩემთვის, პიანისტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თქვენ, ქართული სიტყვის ღირსეულმა მცველმა და მეციხოვნემ გაგვიასმაგეთ მშობლიური ენის სიყვარული, - ჩვენკენ რომ ასეთი სტროფი „გამოისროლეთ“:

„დღეს ბედი მისი ჰკიდია ჩვენზე!  
ლარი და ხაზი ამას რად უნდა...  
ჩვენ უნდა შევძლოთ  
და კიდევ შევძლებთ! –  
კვლავ იძლიეროს ენამ ქართულმა!“

გპირდებით, ბატონო მუხრან!... შეგეხიდეებით ახალგაზრდები, რათა მარადიულად ისმოდეს ქართული ლექსის მუსიკა!

**„მხოლოდ შენ უჭკნობს, შენ, ხატად ქცეულს“**

ქართული ენა! ენა – უძველესი, უმდიდრესი, ულამაზესი, კეთილმჟღერი და ამოდ სასმენი; ხან პეპლის ფრთასავით ნაზი და მსუბუქი, ხანაც ცის ქუხილივით მძლავრი და ომახიანი! ენა რუსთველის, ბესიკის, ბარათაშვილის, ილიასი, აკაკისა, ვაჟა-ფშაველასი, გალაკტიონის!...

ვინ მოთვლის, სიტყვის რამდენ ოსტატს უდიდება, უმდიდრებია, უაღმასებია, დაუხვეწავს და უელვარებია „ხმათა

ხავერდების და ღმერთების ენა“ (ლადო ასათიანი). ვინ მოთველის, რამდენ მომხვედურს დაუპირებია მისი „აღვვა პირისაგან მიწისა“, რამდენი მტერი და დუშმანი ჰყოლია ქართულ ენას, ამ ენაზე მეტყველ ხალხსა და მათ სამშობლოს, მაგრამ კეთილს უძძლავრია მაინც ბოროტზე, დრო-ჟამის ქარ-ცეცხლში უვნებლად გამოუტარებია მრავალტანჯული ქართული ენა, რამეთუ მტკიცედ უწამებია: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“... ჰოდა, ეს „ხელი-ხელ საგომანები მარგალიტი“ წმინდად შემოუნახავს ქართველ კაცს, ერიც დაცემას გადაურჩენია...

საქართველოში ქართულ ენას მეხოტბეს რა გამოუღვეს, მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს შეძლება აღეკლინა მის მიმართ ასეთი ლამაზი საგალობელი:

„ - ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,  
შენ, ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,  
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალაამო,  
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,  
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან!“...

დიდი წინაპრის – შოთა რუსთაველის კვალს ადევნებულ მის შთამომავალს, ირაკლი აბაშიძეს, შორეულ პალესტინაში რუსთაველისავე ხმად ჩაეღვარა გულსა და გონებაში მაგიურ მუსიკასავით აუღერებელი ეს სტრიქონები. ამ „ხმას კატამონთან“ ყველაზე მძლავრ და სანუკვარ სიყვარულამდე მიყვავართ, - მშობლიური ენის სიყვარულამდე, რომლის გარეშე არც პოეტი არსებობს და არც მისი ქმნილება, რომლის გარეშე არც რუსთაველი ეყოლებოდა მის ერს და მსოფლიოს და ვერც გამორჩეული პოეტური ხმის მქონე ჭეშმარიტი ერისკაცი ირაკლი აბაშიძე შეძლებდა ეთქვა:

„თუ რამ მზე მწამდა, თუ რამ მზე მწავდა,  
უტკბილეს დღეთა, უტკბილეს წამთა  
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო!  
შენ – მწარე ღხინო, ტკბილო სევდაო,  
შენ, ყოვლის მთქმელო, ყოვლის არმთქმელო,  
შენ, გმირთა გმირო, ბრძენო ქართველო,  
წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.  
ქვესკნელში მძრომო, ცაში მჭვრეტელო,  
ხან – ფუნჯო ჩემო, ხან – საჭრეთელო,  
შენ, აკენის ჰიმნო, ცრემლო სამარის...  
იბერის ენავ, ენავ თამარის...  
შენ ნიჭო ჩემო, სრბოლავ და ფრენავ,  
დედაო ენავ, დედაო ენავ!“

გერმანელი განმანათლებელი ფილოსოფოსის – ჰერდერის თქმისა არ იყოს, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ხალხი, რომელსაც არ ექნებოდა პოეტური ენა, მაგრამ ეყოლებოდა დიდი პოეტები, არ



ექნებოდა მოქნილი ენა, მაგრამ ეყოლებოდა უდიდესი პროზაიკოსები, არ ექნებოდა ზუსტი ენა, მაგრამ ეყოლებოდა დიდი მოაზროვნეები. დიდი პოეტების, პროზაიკოსების, მოაზროვნეების ყოლა ნიშნავს დიდი პოეზიის, პროზის, მეცნიერების ქონას. ყოველივე ამას, როგორც სულიერი კულტურის ფორმებს, ქმნიან არა მარტო პოეტები, მწერლები და მეცნიერები, არამედ პოეტური, სამწერლო და სამეცნიერო ენები.

და მართლაც, კურთხეულია ის ენა, რომელზეც აქვდრდა უკვლავი „ვეფხისტყაოსანი“, „მერანი“, „ყვარლის მთებს“, „განთიადი“, „კაი ყმა“, „ლურჯა ცხენები“, „შემოღამება მთაწმინდაზე“...

ეწაფები ამ დაუშრეტელ თავანკარა წყაროს და შენს სულშიც ღრმად იღვამს ფესვებს პოეტის რწმენა, რომ შეიძლება ყველაფერი წარისოცოს და განადგურდეს, მაგრამ მას, „უკვლავს“, „ხატადქცეულ“ ქართულ ენას ვერრა ძალა დასცემს ვერასდროს!

P.S. სავალალოდ, მინორული აკორდით უნდა დავასრულო ჩემი ზეადმატებული ინტონაცია, რადგან დღეს თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ „კარგი მოქართულები“ (ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ბატონი მუხრანი!).

მკითხველს მოვუბოდიშებ კატეგორიული ტონისათვის, მაგრამ მზარავს ის რეალობა, რომ დღითიდღე ჩანაგდება ქართული ენა. ვფიქრობ, ამის მიზეზი სკოლებში უნდა ვეძიოთ, სადაც (მომტივეონ თითოთროლა პროფესიონალმა გამონაკლისებმა!) გრამატიკოსი პრაქტიკულად არ არსებობს. არავინ ავალებს მოსწავლეებს ზმნის სერიებისა და მწკრივების, ქცევის, კილოს, ასპექტის, გარდამავლობის ცოდნას, საწყისსა და მიმდებარე ხომ (ანუ სახელზმნებზე) ლაპარაკიც ზედმეტია; ზმნიზედის დაბოლოება რომ არსებითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ნიშანშია აღრეული, ამაზე მეტყველებს ტელეარხებიდან დამწვიდებული სინდისით შემოთავაზებული გამოთქმები: „არაფრიდ“, „წინად“, „ლამაზათ“, „კარქათ“, და კიდევ, ვინ მოთვლის, რა ზომითა და ხარისხით გაუკუღმართებული ქართული სიტყვები. მაგალითად: „მეოცდათორმეტე“, „მაცხოვრებელი“, „დღესდღეისობით“, „ერთმანეთზე დაკავშირებული“, „დავედებატები“ - „არ დავედებატები“.

ვერ გეტყვით, ვინ, ვის, რაზე დაედებატება, მაგრამ, ვაი, ამ ბატების ხელში ჩაცვენილ უსათუთესი ქართული საუნჯის მარგალიტებს, - ქართულ სიტყვებს, რომელთაც გამონაკლისის სახით შემორჩნენ მეციხოვნენი!!!

ავხაზეთისა და სამანაბლოს ტერიტორიების მიტაცებისას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ვიყავი, მაგრამ წაკითხულს, მშობლებისა და მათი თაობის ხალხისგან მოსმენილს, იმ საუბედურო, მაგრამ ერთადერთ დასკვნამდე მიყვავარ, რომ საქართველოს ულამაზესი კუთხე - აფაქიძეების, შერვაშიძეების,

ჩიხუების, ჩიქოვანების, ემხვარების, ინალიშვილების (აფხაზურად – ინალიფა), მარღანიების, მარშანიების აფხაზეთი, ამ ტერიტორიაზე ქართული ენის დაკარგვამ დაგვაკარგვინა. როგორც ამბობენ, აფხაზეთში ყველა ენას გაიგონებდით: რუსულს (უპირველეს ყოვლისა!), აფხაზურს, მეგრულს, სომხურს, ბერძნულს, ჩეჩნურს... – გარდა ქართულისა!!!

მართლაც, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!“

ღვთაებრივი სასწაულის იმედიღა გვასულდგმულებს – იქნებ ღირსნი გავხდეთ ღაზარეს ხელმეორედ აღდგინებისა!

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურამ რჩეულიშვილი, მოთხრობები, პიესა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965წ.
2. მუსრან მაჭავარიანი, „ვითარცა მტკვარი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1987წ.; „მრავალჭირგადანახადი“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 1989წ.;
3. შედეგები (ქართული პოეზია), გამომცემლობა „საქართველო“ „ჩანგი“, თბილისი, 1994წ.;
4. ა.ძამაშვილი, ლ.გვასალია, ვ.ჭიაურელი, „კულტუროლოგია“ (სახელმძღვანელო ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის), გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 1999წ., 2004წ.

## Summary

### **Dachi Taktakishvili**

### **Three Improvisations – Three Guards of Georgian Word**

In the following article is discussed the three masters of Georgian artistic words like: Guram Rcheulishvili, Irakli Abashidze and Mukhran Machavariani. Here is emphasized the specialty of their art and the merit which they carried in Georgian prose and poetry.

Here is shown the author's anxiety about the Georgian schools where the real defects in teaching of Georgian grammar exists. This fact disfigures Georgian language. The author says it, because in everyday life we can encounter with the stylistically incorrect phrases and grammar constructions on almost every channel of Georgian TVs.

## Резюме

### **Дачи Тактакишвили**

### **Три экспромта – хранителям ценногоклада грузинской словесности**

В статье речь идет о трех таких мастерах грузинского слова, как Гурам Рчеулишвили, Ираклий Абашидзе и Мухран Мачавариани. Подчеркнута особенность их творчества и тот огромный вклад, который внесен ими в грузинскую прозу и поэзию.

В статье показана озабоченность автора о том, что в школах сегодня реально существуют недостатки преподавания грамматики грузинского языка и этим фактом обусловлено частое уродование богатейшего грузинского языка. Все сказанное является основой того факта, что по любым каналам грузинского телевидения можно услышать неточные и стилистически неоправданные высказывания и грамматические конструкции.

**მარიამ ლომიძე  
საქართველოს სატყეო სექტორი**

**შესავალი**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში მკვეთრად იმატა ტყეების დეგრადაციის ტემპმა, რის შედეგადაც გაძლიერდა ეროზიული პროცესები, დაზარალდა ნიადაგის რესურსები და შეიცვალა წყლის ცირკულაციის რეჟიმი. მრავალი ექსპერტი მიუთითებს პირდაპირ კავშირზე ერთის მხრივ განშირებულ გვალვებს, წყალდიდობებსა და მეწყერებს და მეორეს მხრივ უკანასკნელ წლებში სატყეო რესურსების გადამეტებულ ექსპლუატაციას შორის. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ეს პროცესები 2004–2005 წლებში, როდესაც წვიმებსა და მეწყერებს მოყვა მსხვერპლი და ნგრევა, რამაც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დატოვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ წარმოქმნილმა ენერგოკრიზისმა აიძულა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნებოდა შეშის მოხმარებას, როგორც გათბობის, ასევე საჭმლის მომზადების მიზნით. ეკონომიკური კრიზისის შედეგად მერქნის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი უიაფესი საექსპორტო რესურსის, უდიდესი ნაწილის არალეგალური გადინება თურქეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს დაახლოებით 40% ტყით არის დაფარული, რომლის 97,3% განთავსებულია მთის ფერდობებზე და ასრულებს წყლის კონსერვაციის, ნიადაგის დაცვის, ეროზიის საწინააღმდეგო და კლიმატის მარეგულირებელ ფუნქციებს.

სატყეო სექტორში წლობით არსებული კორუფცია კონკრეტულ საშიშროებას უქმნის გარემოსა და მოსახლეობის, ასევე მომავალი თაობების ინტერესებს. თუმცა დღევანდელ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა გაიგივებულია მხოლოდ რეპრესიულ ზომებთან (მაგ. კორუმპირებული ჩინოვნიკების სამსახურიდან დათხოვნა და/ან პასუხისგებაში მიცემა) და სახელმწიფო უწყებების დაუსრულებელ სტრუქტურულ ცვლილებებთან, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო “ხელისუფლების გამჭვირვალებისა და ანგარიშვალდებულების გაზრდასთან”.

2005 წლის 25 ნოემბერს საქართველომ ხელი მოაწერა სანკტ-პეტერბურგის მემორანდუმს, რომლითაც ის ვალდებულებას იღებს ხელი შეუწყოს ქვეყნაში “ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის ტყის კანონმდებლობის აღსრულებისა და მმართველობის” (Europe and North Asia Forest Law Enforcement and Governance, ENA FLEG) პროცესის

განხორციელებას, თუმცა სატყეო სექტორში მიმდინარე რეფორმების შესაბამისობა ამ პროცესთან სათუთა.

### ინსტიტუციური მოწყობა

საქართველოს ტყეების უდიდესი ნაწილი დღეისათვის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გამგებლობაშია. მათ შორის: სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის გამგებლობაშია საქართველოს ტყეების -82% და დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის გამგებლობაში -8%, ხოლო ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ეკუთვნის -8%. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში სატყეო სფეროს მართვასთან დაკავშირებული უფლება - მოვალეობები შემდეგნაირადაა განაწილებული:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე მოსახლეობის ეკოლოგიური უსაბრთხოების სფეროში. სამინისტროს ჰყავს ტერიტორიული ორგანოები, რომლებიც შესაბამის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულში თავისი ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენენ სამინისტროს.

სამინისტროს დაქვემდებარებაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით ასევე შედიან ყოფილი დამოუკიდებელი დეპარტამენტები - დაცული ტერიტორიების და სატყეო მეურნეობის. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მეშვეობით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას სატყეო მეურნეობის სფეროში. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედიან სატყეო მეურნეობები, ხოლო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედიან საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიები.

სატყეო სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექცია (გდი). ეს გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის ერთიანი ცენტრალიზებული ორგანოა და მისი ძირითადი ამოცანებია ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების გამოვლენა - აღკვეთა და სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიების / ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი.

დღეს სატყეო სექტორში მწვავე პრობლემად დგას ამ სფეროში დასაქმებულ სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაცია. მრავალი სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელი პროფესიით ძალზე შორს დგას

ტყესთან და ბუნებასთან. ასეთ რთულ სფეროში, რომელიც სერიუზულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს, პასუხისმგებელ თანამდებობაზე მოხვედრილი გაუთვითცნობიერებელი ადამიანი განწირულია შეცდომის დაშვებისათვის.

### კანონმდებლობა

საქართველოს ტყით სარგებლობისა და დაცვის კანონმდებლობა სავსეა კოლიზიებით. ვარდების რევოლუციის შემდეგ ე.წ. ბიზნეს – გარემოს შექმნისა და კორუფციის აღმოფხვრის ეგიდით ადგილი ჰქონდა მთელ რიგ საკანონმდებლო ცვლილებებს, რის შედეგადაც “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” კანონმა პრაქტიკულად გააუქმა გარემოსდაცვითი ნებართვა, აგრეთვე ტყის კოდექსით განსაზღვრული მთელი რიგი სპეციალური დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცემოდა ტყით სარგებლობისას. გართულდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის საშემე და სამასალე ხის გაცემის ლეგალური პრეცედი, პრაქტიკულად დაურევ უღირებელია არამერქნული რესურსის კომერციული მიზნით მოპოვება. საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესი გამოირჩეოდა არაგამჭვირვალობით.

საკანონმდებლო კოლიზიებს ადგილი აქვს სატყეო სექტორთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან მიმართებაშიც. “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” კანონის თანახმად, ტყით სარგებლობის ლიცენზიები გაიცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. ეს წესი, მართალია გარკვეულწილად შეკვეცილი სახით, მაგრამ მაინც ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაზე საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებების რეალიზების მექანიზმებს. თუმცა, ამავდროულად, იგივე კანონი აძლევს სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს უფლებას, დაყოს, იჯარით გასცეს ან საერთოდ გაასხვისოს ლიცენზია. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მხრივ საზოგადოების წარმომადგენლებს არავითარი უფლებები აღარ გააჩნიათ.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ცვლილებები.

### კომპეტენციათა გადანაწილება

კომპეტენციათა გადანაწილებაში არსებული ზოგადი ვითარება აღწერილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. დავამატებ, რომ სუსტია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინაშე ანგარიშგება ტყის ჭრის საკითხებში. აღნიშნულს პროვოცირებას უწევს ისიც, რომ შემოდებულ იქნა ახალი – აუქციონის სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ რეალურად არ არის დანერგილი ქვეყნის

მთავრად ტერიტორიაზე. ამდენად, ასეთ გარდამავალ პერიოდში, ერთობ გართულებული გარემოზე და არალეგალურ ჭრებზე მონიტორინგის, კონტროლის დაწესება და განხორციელება.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია არალეგალური ჭრების სურათის დადგენის და მათი აღკვეთის რამდენიმე გზა:

- (ა) საქმიანობის სუბიექტმა თვითონ უნდა აწარმოოს მონიტორინგი ტყის ფონდის იმ ტერიტორიაზე, რომელიც გადაცემული აქვს სარგებლობისათვის.
- (ბ) გარემოს დაცვის ინსპექციის (გდი) მეშვეობით კონტროლის განხორციელება. ეს მექანიზმი სუსტი აღმოჩნდა, რადგან გდი არ აკონტროლებს მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ის ახდენს რეაგირებას ცალკეულ ფაქტებზე ან აწყოებს გეგმიურ შემოწმებას.

პრობლემას ქმნის ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ტყის კატეგორიები და საზღვრები. ამასთან, დროულად არ იქნა გადანაწილებული შესაბამის უწყებებზე მართვის უფლებამოსილებები საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ დარჩენილ ყოფილ საკოლმეურნეო ტყეებზე. აღნიშნულმა ვითარებამ შექმნა ის გარემოება, რომ ეს ტყეები ფაქტობრივად მოექცა ერთზე მეტი პატრონის ხელში, ანუ დარჩა უპატრონოდ და დღეს თითქმის პირწმინდადაა გაჩენილი.

#### **ანგარიშგაღებულება და გამჭვირვალობა**

ქვეყანაში არ არსებობს გარემოზე (მათ შორის ჭრებზე) დაკვირვების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა და შესაბამისად, დაგეგმვის პროცესი ხორციელდება რეალური სიტუაციის ანალიზის გარეშე.

სახოგადოება სახელმწიფოსგან ვერ იღებს სანდო ინფორმაციას არალეგალური ჭრების შესახებ, რაც თავის მხრივ, ზღუდავს სახოგადოებრივი კონტროლის ან სხვაგვარი ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობებს. თავად არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და ცალკეული დაინტერესებული პირების მიერ ჩატარებულ მონიტორინგს ფრაგმენტული ხასიათი აქვს და მათი შედეგები სახელმწიფო სტრუქტურების მიერ სერიოზულად არ აღიქმება.

#### **საკუთრების უფლება**

საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად, ტყის მესაკუთრე შეიძლება იყოს “სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქო, აგრეთვე ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირები.” თუმცა, იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფო ტყეების განსახელმწიფოებრიობა, ამავე კოდექსის თანახმად, საჭიროა სპეციალური კანონის მიღება. როგორც თავად ტყის კოდექსი, ისე საქართველოს ტყეების კერძო მფლობელობაში გადასვლის შესაძლებლობა, წარმოადგენდა მსოფლიო ბანკის მიერ

საქართველოში განხორციელებადი “საქართველოს ტყის განვითარების პროექტის” ერთ-ერთ პირობას. საქართველოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის დოკუმენტის მიხედვით 2004–2015 წლებში ქვეყნის ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს სახელმწიფო ტყეების პრივატიზაცია.

დღეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა მხრიდან სულ უფრო ხშირად გაისმის ტყეების დაჩქარებულად პრივატიზაციის საჭიროება, რაც მათი განმარტებით, ერთის მხრივ, სახელმწიფოს საშუალებას მისცემს უპოვნოს ტყეს “პატრონი” და მეორეს მხრივ, შეამცირებს სახელმწიფოს ტყის მართვისათვის გასაწევ ხარჯებს. საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია, რომ ბაზარი თავად დაარეგულირებს ურთიერთობებს და შემოიტანს “მდგრად განვითარებას”, რადგანაც კერძო საქტორი უზრუნველყოფს ფინანსირების ახალ წყაროებსა და სპეციალისტების ექსპერტიზას.

ყურადსაღებია, რომ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე ზემოაღნიშნული სატყეო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ტყეების განსახელმწიფოებრიობის შესახებ კანონის შემუშავებასაც, ხაზს უსვამს, რომ უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ჩამოყალიბდეს სექტორში კარგი მმართველობის მოდელი და რომ სატყეო სექტორში კერძო სექტორის შემოსვლასთან ერთად, უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის ფუნქციის გაძლიერება.

აღსანიშნავია, ისიც რომ, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, სატყეო სექტორი ადგილობრივი თემების საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს განუყოფელი ნაწილია. “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” კანონის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსების მართვა თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და ამ ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაშია.

### მონაწილეობის უფლება

სამწუხაროდ, სატყეო საქტორში მკვეთრად არის შეზღუდული საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შექმნილი სიტუაციის პრაქტიკულ მაგალითად გამოდგება თავად სატყეო საქტორში მიმდინარე რეფორმა. საზოგადოების წარმომადგენლები თითქმის სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან საჯარო უწყებების მხრიდან სატყეო სექტორის რეფორმასთან დაკავშირებულ კონკრეტულ გაგმებთან მიმართებაში. ის მცირედი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების წარმომადგენელთათვის ხელმისაწვდომია, საკმაოდ წინააღმდეგობრივ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად, “საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების



სამინისტროს პოზიციაში სახელმწიფო ტყეების მართვისა და რესურსებით სარგებლობის რეფორმირებასთან დაკავშირებით” ჩამოყალიბებულ სატყეო მართვის პრინციპებს თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სხვა გარემოებებთან ერთად კარგად აქვს გააზრებული, რომ აუცილებელია ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა, ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან, უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი თემების მონაწილეობა ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში და დაინტერესებული ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა სატყეო პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში.

ამავდროულად, იმავე დოკუმენტის შემუშავებისას სამინისტრომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმაციის საჯაროობის ცნებების უცნაური გაგება გამოავლინა. მასში აღნიშნულია, “გერემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განხილულ იქნა სახელმწიფო ტყის ფონდის მომავალი მართვის რამოდენიმე ვარიანტი. გადაწყვეტილება იმის შესახებ თუ რომელი ვარიანტი უფრო შესაფერისია მიღებულ იქნა საქართველოს პირობების გათვალისწინებით”. ანუ, ფაქტიურად საქართველოს ტყეების ბედის შესახებ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება სამინისტრომ “იტვირთა”, ხოლო საზოგადოებისათვის აღნიშნული “მართვის რამოდენიმე ვარიანტიც” კი არ გამხდარა ხელმისაწვდომი, რომ არაფერი ვთქვათ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე.

### **ბაზარი და ფინანსები**

სატყეო სექტორის დაფინანსება ყოველთვის არაპრიორიტეტულად განიხილებოდა საქართველოს მთავრობის მიერ. საერთაშორისო ინსტიტუტებიც ნაკლებ ინტერესს გამოხატევენ სექტორის მიმართ, რომელიც კერძო ინტერესებით იმართება. ამავდროულად, შესაბამისი აღრიცხვისა და კონტროლის შედეგად, თუნდაც არამდგრადი გამოყენების შემთხვევაში, ტყეების ექსპლუატაციის ხარჯზე სახელმწიფოს შეეძლო თეორიულად საკმაოდ დიდი მოგება მიეღო. თუმცა საქართველოს მთავრობა ვერ უმკლავდებოდა სექტორში არსებულ კორუფციას, ვერ აკონტროლებდა საზღვრებზე გადინებულ ხე-ტყეს, ჭრებს და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში სატყეო სექტორიდან შემოსავლები პრაქტიკულად უმნიშვნელოა.

საქართველოში არსებული საბაჟო და საგადასახადო სისტემა ხელს უწყობდა ხე-ტყის ექსპორტს, ვინაიდან საბაჟო, ასევე დღგ-ს გადასახადის ნულოვანი განაკვეთით იბეგრებოდა. 2006 წლის 1 სექტემბრიდან გაუქმდა იმპორტის გადასახადი, რამაც

გარკვეულწილად ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ხე-ტყის იმპორტს.

### დასკვნა

ბოლო სამი წლის განმავლობაში მიმდინარე რეფორმა მეტნაკლებად შეესო ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს, თუმცა, განხორციელებული ცვლილებები, მთელ რიგ შემთხვევებში, არაადექვატური და არაეფექტურია. ერთი მიმართულებით კანონმდებლობის გამარტივებას, სხვა მიმართულებებით კანონმდებლობის კიდევ უფრო გართულება მოჰყვა. მართალია, გარკვეულწილად გაუმჯობესდა სატყეო დარგის დაფინანსება და ამ დარგში დასაქმებულ პირთა ანაზღაურება, მაგრამ რიგ შემთხვევებში, ეს ხდებოდა შტატების შემცირების ხარჯზე, რამაც შესაძლოა, სხვა სახის სირთულეები გამოიწვიოს. როგორც ვნახეთ, უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა მდგომარეობა გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რაც თავისთავად, კორუფციის წინაპირობას ქმნის. კანონმდებლობა სავსეა წინააღმდეგობებით და კოლიზიებით; უნდა მოხდეს ტრადიციული ტყითსარგებლობის მეთოდების სრულყოფილი გათვალისწინება და სამართლებრივად დარეგულირება. საკმარისი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების სამართლებრივ და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას; არაღვევლური ჭრებთან ბრძოლა “პიარ”-ზე გათვლილი სადამსჯელო ოპერაციებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს.

კორუფციის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის პირველ რიგში აუცილებელია პრობლემის წარმოშობის მიზეზების ზუსტი იდენტიფიცირება და შემდგომ, მათი აღმოფხვრა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 პრივატიზაცია და გარემოს დაცვა: საქართველოს ტყეების პრივატიზაცია – ნაბიჯი გაურკვეველობასა თუ საბაზრო ეკონომიკისაკენ. მწვანე ალტერნატივა. თბილისი, 2006წ.
- 2 გარემოსდაცვითი მმართველობა საქართველოში და ევროკავშირის როლი მის გაძლიერებაში მწვანე ალტერნატივა. თბილისი, 2006წ.
- 3 “საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემები: უკანონო ქმედებები და კანონთა შორის კოლიზიები” მწვანე ალტერნატივა თბილისი 2006წ.
- 4 საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საინფორმაციო საძიებო სისტემა (2006 წლის 15 ივლისის მდგომარეობით)
- 5 [www. Parliament.ge](http://www.Parliament.ge)
- 6 ტყის უკანონო ჭრასთან ბრძოლისა და მონიტორინგის მეთოდები . ი. იმაჭარაშვილი, ნ. გუჯარაიძე. თბილისი, 2006.

## Summary

### **Mariam Lomidze Foustry sector of Georgia**

The current reform, that has been actual for the last 3 years, referend more or less to the problems existing in the wood field, though the changes which were carried out, are in most cases inadequate and ineffective. Simplifying of legislation in one direction was followed by its even more complication. Though it's true that to some extent the financing of wood field has improved and the same can be said about the staff payment in this field, but in some cases this happened at the expense of making the staff redundant, which caased other difficultes.

In order to fight successfully against corruption, first of all it's essential to identify the caase of problems and only then to eradicate them.

## Резюме

### **Мария Лимидзе Лесной сектор в Грузии**

В течении последних трех лет реформа более\_ менее затронула в лесном секторе существующие провлемы, хотя проведенные изменения, в ряде случаев неадекватны и неэффективны. В одном направлении упрощение законодательства привело к еще большему усложнению в другом направлении. Правда значительно улучшелось финансирование лесного хозяйства и лиш равотающих в данной сфере, однако в ряде случаев это происходило за счет сокращения штатов, что создавало множество других провлем.

Для успешной борьбы с коррупцией, в первую очередь необходимо точно установить и индифицировать причину ее происхождения, а затем ее искоренение.

ისტორია და  
ისტორიის პოლიტიკურ-  
ეკონომიკური  
და  
ფილოსოფიური  
გაკვეთილები

**გიორგი ალადაშვილი  
აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი  
დარეგულირების ახალი ხედა**

კონფლიქტები ხშირ შემთხვევაში დღევანდელი ტრავმირებულ საზოგადოებაში, კერძოდ იმ საზოგადოებაში, რომელმაც გადაიტანა ტოტალიტარული რეჟიმის წნეხი.

ტოტალიტარიზმის შემდგომი პერიოდის შესუსტებული რეპრესიული ზემოქმედებისაგან საზოგადოებაში თავს იჩენს გამძაფრებული ლტოლვა თავისუფლებისაკენ, რომელსაც ხშირად მოსდევს დესტრუქციული, დამანგრეველი ტენდენციები. დესტრუქციული ტენდენციები ელინდება იმაში, რომ თავისუფლებისაკენ მოძრაობის იდეა გადაიზრდება იდეაში „განთავისუფლება ვინმესგან“, რაც მთლიანობაში ვერ ახდენს თავისუფლებისთვის მოძრაობის იდეის მთავარი პრინციპის თავისუფლების პოზიტიური არსის „მისწრაფება თავისუფლებისაკენ“ რეალიზებას.

ამგვარი ტენდენციები მივინვარებდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში. ასეთი ტიპის ტენდენციები შეინიშნებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზურ მოსახლეობაშიც. მათ ეშინოდათ ქართულ მოსახლეობასთან ასიმილაციის. აქედან გამომდინარე ისინი მიიღტვოდნენ რუსებისაკენ (მათგან განსხვავებულ ხალხისკენ) რათა დაეცვათ და გადაერჩინათ საკუთარი მეობა (იდენტურობა), სადაც გარეგნობის სახელების და ტრადიციების მსგავსება გამოირიცხებოდა. უფრო მეტიც ისინი ფიქრობდნენ, რომ აფხაზეთი შეიძლებოდა დამოუკიდებელი რესპუბლიკაც ყოფილიყო.

მაგრამ რამ განაპირობა ქართულ მოსახლეობასთან შედარებით მცირერიცხოვან აფხაზებში ამგვარი აზროვნების ჩამოყალიბება?

შეიძლება ითქვას, რომ ეს იმ მეცნიერების დამსახურებაცაა რომლებიც ერთხმად აცხადებდნენ, რომ აფხაზები როგორც ეთნოსი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულია და რომ ამ ტერიტორიაზე არაფერი ესაქმებათ და ა.შ. სამწუხაროდ ასეთი შინაარსის აზრი ბევრმა აიტაცა. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ასე ფიქრობდა საქართველოს პირველი ხელისუფლებაც და დამაბულობის პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლები ხმამაღლა აფიქსირებდნენ თავის პოზიციას, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია აფხაზეთში. აფხაზები თავის თავს

მოიხსენიებენ როგორც აფსუა. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს თვითსახელი წარმოგვიდგება სიტყვა აფსარებისგან და ისინი სწორედ აფსარების შთამომავლები არიან. სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ისტორიკოსების (ქართველების და აფხაზების) შეხვედრა, რომ დამსხდარიყვენ გამოეკვლიათ და დაეწერად ერთი ჭეშმარიტი ისტორია.

აფხაზები ადიღეულ-ჩერქეზულ ჯგუფს მიეკუთვნებიან და კავკასიის მკვიდრი (ავტონტონური) მოსახლეები არიან, როგორც იბერები (ქართველები) და ვაინახები (ჩეჩნები). საქართველოს ტერიტორიაზე კერძოდ სანაპირო ზოლზე მრავლად არის აფხაზური ტოპონიმები; აფხაზეთში (ბზიფი, ფსოუ, ტუაფსე-აფხაზურად ორ წყაროს ნიშნავს) გურიაში სოფელი დვაბზე (დვაბზე); აჭარაში მდინარე ჭოროხის ძვ. დასახელება აფსაროსი.

ტოპონიმებზე დაყრდნობით ცალსახად ჩანს, რომ აფხაზები შეიძლება მცირე რაოდენობით მთელ სანაპიროზე ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად და მჭიდრო სანათესაო ურთიერთობებიც ჰქონდათ.

რაც შეეხება პირველ ხელისუფლებას ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ზ. პაპასკირის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ გაატარეს უკიდურესად არაეფექტური პოლიტიკა კონფლიქტური რეგიონებისადმი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე სანამ ჯერ კიდევ შეიძლებოდა სიტუაციის დარეგულირება სახელდობრ, „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომედ ვლადისლავ არძინბას „არჩევით“ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა და კერძოდ ზვიად გამსახურდია ცდილობდნენ სეპარატისტი ლიდერების ლოიალობის მოპოვებას და ამ გზით ავტონომიურ რესპუბლიკაში დამაბუღლობის მოხსნას, მაგრამ იმ ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აფხაზ სეპარატისტთა ყველაზე ოდიოზურ წარმომადგენლის კანდიდატურას, აშკარად ვერ შეაფასეს ჯეროვნად, ერთი მხრივ, მისი კავშირები მოსკოვის ყველაზე რეაქციულ იმპერიულ ძალებთან, ხოლო მეორე მხრივ, ვ. არძინბას პირადი ამბიციები. ზ. გამსახურდიამ და მისმა გარემოცვამ ვერ გაითვალისწინეს, რომ ისინი ვინც ზრუნავდა ვ. არძინბას პოლიტიკურ კარიერაზე მოსკოვში და უშვებდნენ მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოდან „кто напутствовал его перед отъездом в Сухуми..., чтобы возглавить большое и ответственное дело которое ждало его в Абхазии“, სულაც არ ფიქრობდნენ აფხაზეთში შექმნილი კრიზისული ვითარების განმუხტვაზე”. (1). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვლადისლავ არძინბას დანიშნვას უშუამდგომლა მ. გორბაჩოვმა, რომელმაც პირადათ დაურეკა ზ. გამსახურდიას თხოვნით რათა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე სწორედ არძინბა დანიშნულიყო.

1992 წელს ჩვენი ქმედება აფხაზეთში (ჯარის შეყვანა) ატარებდა ეთნიკურ ხასიათს. რეალურად ჩვენ მივდიოდით არა წესრიგის დასამყარებლად რეგიონში აფხაზეთთან ერთად არამედ მათთან საომრად. აფხაზეთში უფრო გამაფრდა წინააღმდეგობა ქართველების მიმართ. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს იყო პროვოკაცია ინსპირირებული მესამე ძალის მიერ.

აფხაზეთის კონფლიქტი შიდა ფსიქოლოგიური შინაარსით შეესატყვისება პოლიტიკურ კონფლიქტს გაფერადებულს ეთნიკურ ფერებში- პოლიტიკური მიზნებისათვის, მოწოდებულს როგორც ორ ეთნოსს შორის დაპირისპირება.

არსებითად ეს არის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი. კონფლიქტი ტრაგიკულია როგორც ქართველებისათვის ასევე აფხაზებისათვის. დრომ გვიჩვენა, რომ კონფლიქტის ფინალი უფრო ტრაგიკული და დამანგრეველი სწორედ აფხაზებისათვის აღმოჩნდა, კონფლიქტის შეიარაღებული წინააღმდეგობის სტადიაზე. ორივე მხარის დანაკარგები თითქმის თანაბარია გამომდინარე იქიდან, რომ ეთნიკური აფხაზები უფრო მცირერიცხოვანნი იყვნენ ვიდრე ქართველები, მათი გენოფონდისთვის ეს უდიდესი დარტყმაა. რაც შეეხება დამოუკიდებლობას აფხაზეთს რეალურად სწორედ ის მესამე ძალა (რუსეთი) მართავს, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა აფხაზეთიდან ქართველების გამოდევნაში.

რუსეთის ინტერესები აფხაზეთის მიმართ ცარიზმის დროიდან დღემდე დიდად არ შეცვლილა. აღნიშნული ინტერესები ითვალისწინებდა და ითვალისწინებს აფხაზეთის პოლიტიკურ რუსიფიკაციას, საქართველოსგან ჩამოშორებას და პერსპექტივაში რუსული მოსახლეობის აფხაზეთში ჩამოსახლებას. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტორის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად რუსეთმა პრაქტიკულად დაკარგა შავი ზღვის ზოლის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც გეოსტრატეგიული თვალსაზრისით ძალზედ წამგებიანია რუსეთისთვის.

რუსეთის დესტრუქციულმა პოზიციამ აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებისთანავე იჩინა თავი. რუსეთმა ვერ ან არ შეასრულა კონფლიქტის მსვლელობის დროს მხარეებს შორის დადებული შეთანხმებების შესრულების გარანტიის დაკისრება, რის გამოც აფხაზეთიდან გამოდევნილი იქნა დაახლოებით 300.000 ადამიანი (ეთნიკური ქართველები).

ქართული მხარისათვის აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის მონაწილეობამ გამოიღო მხოლოდ უარყოფითი შედეგები:

1. არ ხდება დევნილების დაბრუნება აფხაზეთის ტერიტორიაზე;
2. ყველა დონეზე მთლიანად ბლოკირებულია მოლაპარაკებები აფხაზეთის სტატუსზე;

3. არაეფექტურია დ.ს.თ.-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების მოქმედება კონფლიქტის ზონაში (ფაქტობრივად წარმოადგენს სეპარატისტული რეჟიმის სასახლვრო დაცვის ძალებს);
4. აქტიურად მიმდინარეობს აფხაზეთის რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაციის პროცესი;
5. რუსეთ-საქართველოს შორის არსებული სავიზო რეჟიმი არ ვრცელდება აფხაზეთზე;
6. აფხაზეთის მოსახლეობას ენიჭება რუსეთის მოქალაქეობა;
7. გალის რაიონში მოსახლეობის დაბრუნებას აქვს სპონტანური ხასიათი, რომელიც არ რეგულირდება არანაირი ნორმებით და შესაბამისად არ არსებობს მათი უსაფრთხოების არანაირი გარანტიები.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რუსეთს არ აწყობს აფხაზეთის კონფლიქტის ფართომაშტაბიანი დარეგულირება, რადგან ის დაკარგავს საქართველოზე ზეგავლენის მის ხელთ არსებულ ბერკეტებს.

შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებიდან 15 წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში რაიმე რეალური ნაბიჯები ჯერაც არ გადადგმულა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის. ქართულ-აფხაზეთური მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. ისმება ლოგიკური კითხვა, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის რომ კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყდეს. ამისათვის საჭიროა აფხაზეთის გულის მოგება ეკონომიკური და მორალური თვალსაზრისით. პირველ რიგში ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ გვსურს მათთან მშვიდობიანი თანაცხოვრება.

უნდა ითქვას, რომ აფხაზეთს აქვთ შურისძიების შიში და არ აქვთ გარანტია, რომ მათზე დევნა არ განხორციელდება. ამიტომ ომის მონაწილეებზე ორივე მხრიდან უნდა განხორციელდეს საყოველთაო ამნისტია, რადგან ვინც ომობდა აფხაზეთში არ იცოდა, რომ ის იყო დამნაშავე.

პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილის განმარტებით 1994 წელს რუსეთ-საქართველოს კაბალური ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სამშვიდობოების გაყვანა შეუძლებელია. მასში აღნიშნულია, რომ ცისფერჩაფხუტიანებს 15 კმ. რადიუსში მოქმედების საშუალება ეძლევათ და აგრეთვე: ვინც ჩვენი მხრიდან აფხაზეთის ომში იბრძოდა, თავის მიწაზე ვერასოდეს დაბრუნდებოდა. (2).

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის კონფლიქტურ ზონებში შემდგომი ყოფნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით მზადაა ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყოს საქართველოს ყველა მეგობარ ქვეყანსთან. მან აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას



სრული ავტონომია შესთავაზა. მიხეილ სააკაშვილმა კონფლიქტურ ზონებში გაეროს როლის გაძლიერების ინიციატივით გამოვიდა.

საქართველომ გაეროში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხში დასავლეთის ქვეყნების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო. გაეროს უშიშროების სამმა წევრმა ქვეყანამ – დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, აშშ-მ და გერმანიამ რუსეთს მოუწოდეს გააუქმოს ან არ შეასრულოს პრეზიდენტ პუტინის 16 აპრილის გადაწყვეტილება „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის გადრმავეების შესახებ“, რამაც თბილისსა და მოსკოვს შორის მორიგი დაძაბულობა გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით გაავრცელეს სპეციალური კომუნიკე, რომელმაც უკიდურესი შემოთება გამოიწვია.

„ჩვენ მათი რეკომენდაციები მოვისმინეთ, მაგრამ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჩვენი უფლებაა. კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მსოფლიო სხვა ტრაექტორიით წავიდა და რუსეთმაც საკუთარი დასკვნები გამოიტანა. რუსეთი თავად განსაზღვრავს, ვისთან მოსწონს ურთიერთობა და ვისთან არა“. ასე გამოეხმაურა რუსეთის ზედა პალატის თავმჯდომარე სერგეი მირონოვი დე ფაქტო რესპუბლიკებთან რუსეთის ურთიერთობის თემაზე ინგლისის, აშშ-ს, საფრანგეთისა და გერმანიის რეკომენდაციებს.

გაეროს 15 აპრილის რეზოლუციაში აფხაზეთის ეკონომიკის აღორძინებაზეა საუბარი.

კომუნიკე ძალიან მნიშვნელოვანია და ის ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ცალსახად აკრიტიკებს გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ უკანასკნელ პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს და აიმ საპაერო ქმედებას, რომელიც უკანასკნელ ხანს იქნა განხორციელებული. ამავე დროს ცალსახად არის გამოხატული მხარდაჭერა იმ ინიციატივებისა, რომლითაც გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ეს სამი ძირითადი კომპონენტი იმდენად ცხადად და გარკვევით არის აღნიშნული ამ კომინიკეში, რომ ის შეიძლება აღვიქვათ, როგორც სერიოზული და სამართლიანი მხარდაჭერა საქართველოსი ამ საკმაოდ რთულ ვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ბოლო რეზოლუციაში „ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტი“ შეიცვალა და ჩაიწერა „კონფლიქტი აფხაზეთში“ (საქართველო), რაც მისასაღმებელია. ეს საკითხი რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თ. იაკობაშვილმა უენევაში ოთხმხრივი შეხვედრაზე დააყენა და რეზოლუციაში ამ ფორმულირების ჩაწერა კატეგორიულად მოითხოვა.

აღსანიშნავია, რომ ყარაბაღთან დაკავშირებით გაეროს რეზოლუციაში საგანგებოდ წერია, რომ ტერიტორიის ანექსია მოხდა და სეპარატისტული ხელისუბლება იძებნება, რაც ყველა რეზოლუციაში ხასგასმითაა ჩაწერილი. ჩვენთან დაკავშირებით, გაეროს რეზოლუციაში აფხაზეთში ეკონომიკის აღორძინებაზე საუბრობს.

საჭიროა აღიძრას საქმე და გამოცხადდეს ძებნა იმ პირებზე, ვინც აფხაზეთში დანაშაული ჩაიდინა. ფნუ უნდა დაიწყოს სამართლებლივი ძებნა სეპარატისტთა ლიდერების მით უფრო, რომ სააკაშვილმა გაეროში აფხაზეთის საკითხის განხილვისას განაცხადა, რომ ტერიტორიებს არავითარ შემთხვევაში არ დათმობს. ის კი სამართლებრივად უნდა იქნეს დამტკიცებული რომ აფხაზეთში მოხდა დიდი დანაშაული.

კოსოვოს აღიარებით შეიქმნა პრეცედენტი როდესაც სეპარატისტული მხარე მთელ რიგ წამყვან ქვეყნებმა დამოუკიდებლად სცნეს. თუმცა კოსოვოს მოდელს აფხაზეთთან მიმართებაში ვერასდროს ვერავინ გამოიყვებს რადგან კოსოვოს განსხვავებით აფხაზეთის რეგიონიდან იქნა გამოდევნილი დაახლოებით 300.000 დევნილი.

ჩვენი აზრით კონფლიქტის მოსაგვარებლად, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მისცეს რეალური გარანტიები აფხაზეთს, რათა აფხაზეთს ჰქონდეთ სარეზერვო გეგმა, რადგან რუსეთმა კარგად დაანახა აფხაზეთს თუ რა მიზნები ამოძრავებთ მათ. გავიხსენოთ ვლადიმერ ჟირინოვსკის სატელევიზიო ინტერვიუ სადაც მან განაცხადა, რომ აფხაზეთი მცირერიცხოვანი ხალხია ჩვენ მათ მონებათ გამოვიყენებთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის გამსვლელებში სადაც ის მიმართავს ოს და აფხაზ ხალხს ის არასდროს არ აკონკრეტებს თუ რა გარანტიები უნდა შევუქმნათ აფხაზეთს, რომ მათ ქართველების შურისძიების შიში გაუქრეთ.

კარგი იქნება საქართველოში გაიხსნას აფხაზეთის კულტურის ცენტრი ვინაიდან კულტურა ყოველთვის იყო და იქნება ყველაზე ეფექტური საშუალება სახალხო დიპლომატიის ყველაზე ეფექტური საშუალება, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კონფორმაციის განეიტრალებაში. ისევე უნდა განახლდეს ქართულ-აფხაზეთი ბანაკები, რაც ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს დაახლოვებს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

საქართველოს ეკონომიკა უნდა განვითარდეს დინამიურად. სახელმწიფოს ეკონომიკას უნდა შესწევდეს უნარი, შესთავაზოს ორივე მხრიდან რესტიტუცია ან ფულადი ანაზღაურება. აფხაზეთი უნდა დარწმუნდნენ, რომ ჩვენ მათთან გასაყოფი არაფერი გვაქვს.

ჩვენ უნდა მოვახერხოდ აფხაზეთთან შეთანხმებას რუსეთის გვერდის ავლით. მათ უნდა შევთავაზოთ აფხაზეთის

ინფრასტრუქტურის ერთობლივი აღდგენა, ეკონომიკური პროექტები. განვაახლოთ სპორტული ურთიერთობები, სპორტულ სახეობებში საქართველოს ჩემპიონატებში ჩაბმა, ფართო მასშტაბიანი ჰუმანიტარული დახმარება და ა.შ.

ჩვენი აზრით ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს, რათა განხორციელდეს დ.ს.თ-ს კონტინგენტის ჩანაცვლება საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტით რაც აფხაზებს და ქართველებს მისცემს გარანტიას განახლდეს ჩიხში შესული მოლაპარაკებები, კერძოდ საუბარი დევნილების დაბრუნებაზე და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრაზე.

აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარდა საქართველოს ავტორიტეტს საერთაშორისო მაშტაბით ერთიორად გაზრდის. მსოფლიოში შეიქმნება პრეცედენტი შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

**გამოყენებული ლიტერატრა:**

1. ზურაბ პაპასკირი „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“ ნაკვეთი მე-26 1917-1993 გამ. 2007წ.
2. გაზ. „ალია“ 2008 წ. 26-28 აპრილი, № 50(2175).

## **Summary**

**Giorgi Aladashvili**

### **New vision of a peaceful settlement of the Abkhazian conflict**

Today, in the course of globalisation in the world, all to become a question on settlements of ethnic and regional conflicts more actually. Conflicts arise in the injured society which has transferred pressure of a totalitarian mode more often. After disintegration of the Soviet union in Georgia there were inside ethnic conflicts. The conflict in Abkhazia is tragic on either side of the conflict. After the termination of the armed opposition there have passed 15 years and the conflict is not resolved to this day. The peace permission of the Abkhazian conflict will promote growth of authority of Georgia on international scene. In the world to appear precedent of a peaceful settlement of a confrontation.

## **Резюме**

**Георгий Аладашвили**

### **Новое видение урегулирования Абхазского конфликта**

Сегодня, в процессе глобализации в мире, все актуальнее становится вопрос о урегулировании этнических и региональных конфликтов. Конфликты чаще всего возникают в травмированном обществе, которое перенесло давление тоталитарного режима. После распада советского союза в Грузии возникли внутри этнические конфликты. Конфликт в Абхазии трагичен по обе стороны конфликта. После окончания вооруженного противостояния прошло 15 лет а конфликт по сей день не разрешен. Мирное разрешение абхазского конфликта будет способствовать росту авторитета Грузии на международной арене. В мире появиться прецедент мирного урегулирования вооруженного конфликта.

**ნინო მელელაშვილი  
წარსულის გააზრებისა და მესხიერების  
პოლიტიკის როლი კონფლიქტური იდენტობის  
ჩამოყალიბებაში  
(მთიანი ყარაბაღის მაგალითზე)**

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მთიანი ყარაბაღის გამო დაწყებულ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტს ბევრი რამ აერთიანებს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებთან, მაგრამ თავისი სტრატეგიული და ზოგადრეგიონალური მნიშვნელობით ის მაინც განსხვავებულია მათგან. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი ერთადერთია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რომელიც ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის წარმოიშვა. გარდა ამისა, 90-იანი წლების ბოლოს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა განაპირობა კავკასიაში და მის გარშემო სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფების ჩამოყალიბება.

როგორც აზერბაიჯანელები, ისე სომხები ეყრდნობიან სხვადასხვა ისტორიულ არგუმენტს მთიან ყარაბაღზე თავიანთი პრეტენზიების არგუმენტაციისათვის. აზერბაიჯანელები ამტკიცებენ, რომ ეს რეგიონი ყოველთვის აზერბაიჯანული ხელისუფლების იურისდიქციაში იყო. სომხები აცხადებდნენ, რომ მთიანი ყარაბაღში ყოველთვის თვითონ ცხოვრობდნენ, ხოლო აზერბაიჯანული მმართველობა არალეგიტიმური იყო.

ჩემი აზრით, წარსული განსაკუთრებით აქტუალური კონფლიქტის დროს ხდება. დაპირისპირებული მხარეები მას ტერიტორიული თუ სხვა სახის პოლიტიკური პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად იყენებენ. ამ დროს ისტორია დამოკიდებული ხდება პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. როგორც ინგლისელი მეცნიერი პბერკი აღნიშნავს, ისტორიკოსების შემოქმედება სულაც არ არის დამახსოვრების უწყინარი აქტი, ის სხვების მესხიერების ჩამოყალიბების მცდელობაა (2; 100-101). შეიძლება ითქვას, რომ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის წარმოშობაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ მათმა განსხვავებულმა ისტორიის აღქმამ ითამაშა.

ფრანგი სოციოლოგი მორის ჰაღბვაკის პირველი იყო ვინც დამახსოვრების პროცესში სოციალური ფაქტორი გაითვალისწინა. მას ეკუთვნის ტერმინი “კოლექტიური

მეხსიერება”. მისი განსაზღვრებით, კოლექტიური მეხსიერება საერთო მეხსიარებაა, რომელიც გადაიცემა და კონსტრუირდება ჯგუფის მიერ. (2; 97-98)

ამერიკელი სოციოლოგის ევიათარ ზერუბაველის აზრით, კოლექტიური მეხსიერება საერთოა ოჯახებისთვის, ეთნიკური ჯგუფებისთვის, ნაციებისათვის და სხვა მნემონიკური ერთობებისთვის. კოლექტიური მეხსიერება არ არის რომელიმე ერთობის წევრთა პირადი მოგონებების უბრალო ერთობლიობა. ის მოიცავს იმ მოგონებებს, რომელნიც საერთოა ერთობის ყველა წევრისთვის. (3:4)

რამდენადაც მეხსიერების ფორმირებაში ისტორიკოსების როლზე ვსაუბრობ, ვითვალისწინებ ამ საკითხთან დაკავშირებულ კონცეფციებს. მაგალითად: კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში ისტორიკოსების “დამსახურებაზე” საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ჯ.ვერინი, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა ისტორიული ხასიათის მოთხრობებით.

ასევე საინტერესო განსაზღვრებას გვთავაზობს პიერ ნორა, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს კოლექტიურ და ისტორიულ მეხსიერებას. მისი აზრით, “კოლექტიური მეხსიერება” არის ყველაფერი ის, რაც წარსულიდან არის შემორჩენილი, როგორც ჯგუფების მიერ მიღებული გამოცდილება. კოლექტიური მეხსიერება ჯგუფებთან ერთად ვითარდება და შეიძლება გახდეს მანიპულირების ობიექტი ან ძალაუფლების იარაღი.

მკვლევარები წარსულის დამახსოვრების და მეხსიერების გადაცემის სხვადასხვა ფორმას გამოყოფენ. მაგალითად, ბერიკი საუბრობს ხუთ მედიუმზე, რომელთა მეშვეობითაც ხდება მეხსიერების გადაცემა. ესენია ზეპირი ტრადიციული ისტორიკოსების შემოქმედება; გამოსახულებითი და ფოტოგრაფიული ხატები; მოქმედებები, რიტუალები და სხვა; ბოლო მედიუმი სივრცე, სადაც ხდება მეხსიერების “ხატების” ლოკალიზაცია (burke 1980:100-101)

ამ ჩამონათვალიდან ისტორიკოსი და მისი შემოქმედება, ალბათ, ერთ-ერთი მთავარი მედიუმი წარსულსა და აწმყოს შორის. ისტორიკოსების გავლენა სულაც არ არის მეორეხარისხოვანი. სწორედ ისტორიკოსები არიან მთავარი მსაჯულები იმისა, თუ რა ჩაითვალოს დამახსოვრების ღირსად და რა არა.

სომხურ-აზერბაიჯანულ შეიარაღებულ კონფლიქტს წინ ე.წ. “ისტორიკოსების ომი” უძღოდა

წარსულის გამოყენებითა და პარალელური ისტორიების “თხზვით ქართველებისა და აფხაზების მსგავსად, სომხებიც და

აზერბაიჯანელებიც ერთმანეთისთვის ტერიტორიული პრეტენზიების დასაბუთებას ცდილობდნენ. ყარაბაღის ისტორიის სომხური და აზერბაიჯანული ვერსიები ერთმანეთისგან იმდენადაა დაცილებული, რომ “ისტორიათა ომი” მოგვიანებით რეალურ სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა.

სომხებიც და აზერბაიჯანელებიც თავიანთი ინტერესების შესაბამისად იყენებენ ისტორიას. ისინი წარსულის დაკავშირებას ახდენენ აწმყოსთან და ის ნარატივები, რომელთა მეშვეობითაც ყოველივე ხორციელდება, თანამედროვე ისტორიკოსების მიერაა შექმნილი.

კონფლიქტის დროს დაპირისპირებული მხარეები განსხვავებულად აღიქვამენ და აფასებენ წარსულის ერთსა და იმავე პერიოდს. ეზერუბაველი თავის წიგნში “დროის რუკები, კოლექტიური მემკვიდრეობისა და წარსულის სოციალური სახე” ამ სიტუაციას ე.წ. “პროგრესისა” და “დადმასვლის” ნარატივის მიხედვით აანალიზებს.

პროგრესის ნარატივის საფუძველზე, ეთნოსი საკუთარ ისტორიას სრულყოფილი პროცესის სახით წარმოადგენს, ხოლო “დადმასვლის” ნარატივში აწმყო და მომავალი შავ ფერებშია, ხოლო წარსული დიდებულად არის წარმოდგენილი, რომელიც “საუბედუროდ, სამუდამოდ წავიდა”(3;15-17)

უფიქრობ, ახლა დროა მიმოვიხილოთ ყარაბაღის ისტორია, რომელიც უძველეს დროში იღებს სათავეს. შევეცდები დავეყრდნო იმ ისტორიკოსთა წყაროებს, რომელნიც ობიექტურადაა მიჩნეული, იმის გამო რომ მათ პირადი განცდები ან ინტერესები არ გააჩნდათ. გულისხმობ, თუნდაც ქართველ ისტორიკოსებს.

დღევანდელი ყარაბაღის ტერიტორია (ძველი ალბანური სახელწოდებაა “არსახა”) ჩვ.წ.ად-მდე IV საუკუნიდან VIII საუკუნემდე ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ყველაზე ძველი ალბანეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ოლქი. ალბანეთის სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ყარაბაღი საჯიდების აზერბაიჯანული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. X-XV საუკუნეებში ჯერ საღარიდების, არა-ყოინღუსა და ალ-ყოინღუს შემადგენლობაში. XVI-XVII საუკუნეებში ყარაბაღი, როგორც ერთ-ერთი საბეგლარბეგო შედიოდა სეფევიდების სახელმწიფოში შირვანთან, ჩეხურსადთან (ერვენის) და აზერბაიჯანის ტებრიზთან ერთად. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ყარაბაღის ტერიტორია ყარაბაღის სახანოს ეკუთვნის და ირანის დაქვემდებარებაშია. (ყარაბაღის სახანოს დამაარსებელი იყო აზერბაიჯანელი ჰანახალიხანი, რომელმაც ააგო ციხე-სიმაგრე შუშა, რომელიც ჰანახებად იწოდებოდა.)

ყარაბაღის მოსახლეობას ანტიკურ პერიოდში შეადგენდნენ ალბანელები, ადრე შუა საუკუნეებში ალბანელებთან ერთად თურქულენოვანი ტომები – ბარსიდები, სავირები, ჰუნები, ყაზარები კომპაქტურად სახლობდნენ. ალბანური ენა მიეკუთვნება ჩრ-აღმოსავლურ კავკასიურ ოჯახს.

რაც შეეხება სომხებს, ისინი არ ყოფილან ავტოქტონური მოსახლეობა არც მცირე აზიაში და არც კავკასიაში. არმენოლოგთა აზრით, სომხები წარმოიშვნენ ფრიგიის ტომებისგან, რომელიც ბალკანეთზე სახლობდა. მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია კიმერიელების მიერ იქნა ათვისებული, (ძვ.წ. VIII ს) ისინი განსახლდნენ აღმოსავლეთში მდ. ევფრატამდე.

პირველი სომხური სახელმწიფო მცირე აზიაში ჩვ.წ- აღმდე VI საუკუნეში წარმოიშვა და არსებობდა 428 წლამდე. თავისი სტატუსით ის ფაქტიურად სპარსეთისა და რომის იმპერიის პროვინცია იყო. სომხეთის სამეფოს შექმნის მცდელობა იყო IX-XI საუკუნეებში, როცა ყარსისა და ერზრუმის რაიონებში ბაგრატუნების სომხური სამეფო აღმოცენდა.

მას შემდეგ რაც კათოლიკური ცენტრი 1441 წელს კილიკიიდან (XII-XIV) გადმოიტანეს ენშიაძინში, რომელიც ერევნის სიახლოვეს მდებარეობს, სწორედ ენშიაძინი გახდა სომხეთის პოლიტიკური ცენტრი და სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული სომხების გამაერთიანებელი რგოლი.

ოსმანთა იმპერიის წარმოშობის შემდეგ სომხებმა დაკარგეს იმედი თავიანთი სახელმწიფო ჩამოეყალიბებინათ მცირე აზიაში და გადაწყვიტეს ისტორიული აზერბაიჯანის ტერიტორიის მითვისება. სომეხი ისტორიკოსების მიერ შემოტანილ ტერმინ “აღმოსავლეთ სომხეთში” სწორედ ის მიწები მოიაზრება, რომელიც XVI საუკუნიდან აზერბაიჯანის შემადგენელი ნაწილები იყო. (ყარაბაღი, ერევანი, განჯა და ა.შ)

როგორც ვიცით, 1804 წლიდან 1829 წლამდე რუსეთმა ირანიდან და თურქეთიდან ბრძოლებს შედეგად ამიერკავკასიაში ხელთ იგდოს მიწები რომლებიც დღეს სომხეთის ან აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. ყარაბაღის სახანოც ირანის ნომინალური კონტროლიდან 1813 წლის გიულისტანის ზავით რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცა.

ამ პერიოდში ყარაბაღის სახანოში ცხოვრობდა 90000 ადამიანი. 600 სოფლიდან მხოლოდ 150 იყო სომხური დასახელების. შუშაში ცხოვრობდა 1048 ოჯახი. აქედან 474 იყო სომხური და დანარჩენი აზერბაიჯანელი.

თურქმინჩაის (1828) და ადრიანოპოლის (1829) ზავებით ნება დართეს, რომ სომხები გადაესახლებინათ საქართველოსა



და აზერბაიჯანში. აქედან განდა პირველი კომპაქტური დასახლებანი ყარაბაღში.

სან-სტეფანოს (1878წ) ზავით და ბერლინის (1878წ) კონგრესის გადაწყვეტილებით თურქეთი ვალდებული იყო გაეტარებინა რეფორმები ვილაიეთებში, რათა სომეხი ხალხის ყოფა გაეუმჯობესებინა.

XIX საუკუნის ბოლოს მთიან ყარაბაღში დემოგრაფიული ვითარება სომეხების სასარგებლოდ შეიცვალა. აქ სომხური მოსახლეობა შეადგენდა 58%, ხოლო აზერბაიჯანული - 42%-ს.

1905-1907წლებში მოხდა პირველი სერიოზული დაპირისპირება სომეხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. მღელვარების ეპიცენტრი ბაქო იყო, მაგრამ მალე შუშაშიც გადმოვიდა აღშფოთების ტალღა, სადაც სისხლიან კონფლიქტს 10000 კაცი შეეწირა.

სადავო ტერიტორიებზე სომეხთა კონცენტრაცია კვლავ გრძელდებოდა. რუსეთის მონარქიის დამხობის შემდეგ, შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება, რომ საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ.

1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, მისი მთავრობის პირველი იძულებითი ნაბიჯი იყო 29 მაისს ქერევენის დათმობა სომეხებისათვის.

აზერბაიჯანელთა და სომეხთა შეტაკებებს ადგილი ჰქონდა 1920 მარტ-ივლისში ყარაბაღში, შუშაში, ნახიჩევანში. 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა დაკარგა. ნოემბერში სომხეთმა.

ბრძოლა ყარაბაღისთვის არც საბჭოთა პერიოდში შეწყვეტილა. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისებურად გადაჭრა ეს პრობლემა.

1920წელს დეკემბერში ცენტრალური ხელისუფლების ზეწოლით, საბჭოთა აზერბაიჯანის რეკომმა ყარაბაღი სომხეთს გადასცა, თუმცა ოთხი თვის შემდეგ კვლავ აზერბაიჯანს დაუბრუნა. 1923 წლის 7 ივლისს შეიქმნა ყარაბაღის ავტონომიური ოლქი აზერბაიჯანის სსრ შემადგენლობაში, რომლის დედაქალაქი გახდა შუშა. ერთი თვის შემდეგ დედაქალაქი გადატანილ იქნა ხანკენდში, რომელსაც სტეფანაკერტი ეწოდა. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის შექმნა ოფიციალურად გამოცხადდა 1924 წლის ნოემბერში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სომხეთი ცდილობდა, რომ თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა ყარაბაღის საკითხი, მაგრამ არსებულმა ვითარებამ ხელი არ შეუწყო მას.

1936 წელს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ.ხრუშჩოვს გაეგზავნა წერილი 2500 ყარაბაღელი სომხის ხელმოწერით, რომელნიც აპროტესტებდნენ აზერბაიჯანის დამოკიდებულებას ყარაბაღის ოლქისადმი, კერძოდ მას ბრალს სდებდნენ ეკონომიკურ დისკრიმინაციაში. ამ ქმედებას მოსკოვის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

1987 წლიდან ყარაბაღში მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. მოსკოვის მხრიდან მომდინარეობდა ინფორმაცია, რომ მათ უგზავნიდნენ წერილებს ყარაბაღის სომხეთზე გადაცემის მოთხოვნით. 0987 წელს სომეხი მეცნიერები მოითხოვდნენ არა მარტო ყარაბაღის, არამედ ნახიყევანის გადმოცემასაც, რომლის მოსახლეობის 97% აზერბაიჯანელები შეადგენდნენ.

ვიტარების გამწვავებას ახალი სული შთაბერა ჩარდულის (ჩრ-დას აზერბაიჯანის) მოვლენებმა. აქ სომხურმა მოსახლეობამ ვერ აიტანა ის, რომ აზერბაიჯანელი დაინიშნა მეურნეობის დირექტორად.

ჩარდულის მოვლენების შემდეგ სომხებმა დაიწყეს აზერბაიჯანელთა გამოდევნა თავიანთი რესპუბლიკიდან. 1988 წლის ბოლოს გამოჩნდა დევნილთა პირველი ტალღა, რომელიც ბაქოს მოაწვდა. 1988 წლის 11 თებერვლიდან დემონსტრაციები დაიწყო ყარაბაღში. 20 თებერვალს აქ საოლქო საბჭომ 110 ხმით მოითხოვა მთიანი ყარაბაღის სომხეთზე გადაცემა.

ერევანში ჩამოყალიბდა კომიტეტი, ე.წ. “ყარაბაღი”, როგორც მიმდინარე მოვლენებისადმი ხელმძღვანელი ორგანიზაცია.

კონფლიქტი გაღრმავდა 1988 წლის 26 თებერვლიდან, როცა გავრცელდა ხმები სტეფანაკერტში სომეხთა მიერ განხორციელებული ძალადობრივი აქტების შესახებ, რასაც მოჰყვა მსხვერპლი.

1988 წლის ნოემბრიდან ბაქოსა და ერევანში ისევ განახლდა მრავალათასიანი მიტინგები. ერევანში “ყარაბაღის” კომიტეტმა გააერთიანა სხვა პოლიტიკური პარტიები და შეიქმნა სომხეთის საერთო -ეროვნული მოძრაობა ლავონ ტერ-პეტროზიანის თავმჯდომარე და 1989 წლის აზერბაიჯანში ჩამოყალიბდა სახალხო ფრონტი აბულაგაზ ელჩიბეის მეთაურობით.

1989 წლის ზაფხულში სომხეთის მიერ ნახიყევანის ბლოკადის გამოცხადებას აზერბაიჯანმაც ადეკვატურად უპასუხა.

სიტუაცია უმართავი ხდებოდა ყარაბაღში. 1989 წლის 28 ნოემბერს გაუქმდა ოლქის უშუალოდ ცენტრისადმი დაქვემდებარება. ამით ისარგებლა სომხეთმა და მთიანი

ყარაბაღი საკუთარი რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილად სცნო. როტესტის ნიშნად 1990 წლის 13-14 იანვარს ბაქოში მყოფმა აზერბაიჯანელებმა სომხები დაარბიეს, რასაც 88 ადამიანი ემსხვერპლა.

1990 წლის 20 იანვარს 29000- ზე მეტი რუსი ჯარისკაცი შევიდა ბაქოში, რასაც მოჰყვა მსხვერპლი, სხვადასხვა წყაროებით 100-დან 500 კაცამდე. საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ყარაბაღში, სადაც რუსეთის ჯარები შევიდა.

1988-1989 წლებში აზერბაიჯანელთა დაპირისპირებას მოჰყვა 185000 აზერბაიჯანელის და 11000 მუსლიმი ქურთის გამოძევება სომხეთიდან. იმავე მიზეზით დაახლოებით 300 000 სომხები განდევნეს აზერბაიჯანიდან.

1991 წლის 2 სექტემბერს ყარაბაღის ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა დამოუკიდებელი მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის შექმნა არსებული ოლქისა და აზერბაიჯანის შაუმიანის რაიონის ტერიტორიის ფარგლებში, რამაც ახალი ბიძგი მისცა შეიარაღებულ კონფლიქტს.

1991 წლის 8 დეკემბერს ყარაბაღში ჩატარდა რეფერენდუმი და რაკი აზერბაიჯანელებმა მას ბოიკოტი გამოუცხადეს, მონაწილეთა 99%-მა ხმა მისცა მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ხმა მიეცა დამოუკიდებლობას და არა სომხეთთან შეერთებას.

1991 წლის 21 დეკემბერს სომხეთსა რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ისახავდა მიზნად – თანამშრომლობასა და მეგობრობას. აქტიურად, სომხეთმა რუსეთისაგან სამხედრო გარანტიები მიიღო.

1992 წელს სომხებმა დაიკავეს აზერბაიჯანის დასახლებული პუნქტები (აგდაბანი, ყარაბაღი) რასაც 99 ადამიანი შეეწირა, 140 კაცი დაიჭრა. 27 თებერვალს სასომხეთის ჯარებმა რუსეთის 366-ე ქვეითი პოლკის დახმარებით დაიკავეს ქ.ხოჯალი. ამ ქალაქის აღებამდე მისი მოსახლეობა 17 000 იყო. შეტევის დაწყებისთანავე სომხებმა დახოცეს 623 კაცი, მათ შორის 106 ქალი და 83 ბავშვი. 56 კაცი სასტიკი წამებით იქნა მოკლული. ( ხოჯალის გენოციდი)

1992 წლის მაისში ქ. შუშაც აიღეს. მალე სომხებმა ლაჩინიც დაიკავეს, რითაც მიიღეს დერეფანი, რომელიც სომხეთს ყარაბაღთან აკავშირებდა.

1992 წლის ზაპხულში აზერბაიჯანულმა მხარემ განახორციელა კონტრშეტევა და დაკარგული რაიონები დაიბრუნა, თუმცა დროებით. . .

1993 წელს მარტსა და აპრილში სომხებმა კვლავ ჯარის ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინეს. მათ აქ ეთნიკური წმენდა

მოაწვევს. არტო ამ რაიონში მიყენებულმა ზარალმა 761 მლნ დოლარი შეადგინა. (ხოჯალის გენოციდი)

სომხების ხელში აღმოჩნდა კიდევ ერთი აზერბაიჯანული დასახლება ფიზული და ამ წარმატების შემდგომ 1993 წლის 13 აპრილს სომხურმა მხარემ გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტა, რომელიც მალევე დაირღვა.

1993 წლის ზაფხულში სომხეთმა ქ. აგდამი მიწასთან გაასწორა. აგვისტოში ქ. ფიზულიც დაეცა.

1994 წელს აზერბაიჯანულმა მხარემ წარუმატებელი კონტრშეტევა განახორციელა. ეუთოს დამკვირვებელთა ცნობით 1994 წელს საშუალოდ დღეში 1 ადამიანი იღუპებოდა .ისე, რომ 199 წლის დასაწყისში დაღუპულთა რაოდენობა 1600-ს აღწევდა.

1995 წელს სომხეთსა და რუსეთს შორის დაიდო 25 წლიანი ხელშეკრულება. ამგვარადსომხეთი გახდა რუსეთის აქტიური სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე ამიერკავკასიაში.

სამწუხაროდ, სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი დღემდე გადაუწყვეტელია. აზერბაიჯანის წარუმატებლობა გამოწვეული იყო არაორგანიზებული სამხედრო ძალებით; აზერბაიჯანი საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდა, როცა სომხეთი სისტემატურად მხარდაჭერას ღებულობდა მსოფლიო საზოგადოებებისგან, რაშიც დიდი იყო სომხური დიასპორის წვლილი.

ამ კონფლიქტის შედეგები, ვფიქრობ, ძალიან აღმაშფოთებელია სომხეთის აგრესიის შედეგად შემცირდა აზერბაიჯანის ტერიტორია და მკვეთრად შეიცვალა დემოგრაფიული სიტუაცია აზერბაიჯანელთა საზიანოდ.

მთიანი ყარაბაღის დაწყებამდე , 1988 წელს აზერბაიჯანში ცხოვრობდა 390 ათასი სომეხი. 1989 წელს აღწერით სომხეთში 85000 აზერბაიჯანელი მოსახლეობდა. 1988-1994 წლებში მიმდინარე კონფლიქტის “წყალობით” 30 000 აზერბაიჯანელი და 10 000 სომეხი დაიღუპა.

კონფლიქტის შედეგად აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა თავისი ქვეყანა არსებობის საშუალების ძიების მიზნით.

არსებულ წყაროთა და მონაცემთა დაყრდნობით, შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთის წვლილი დიდია ამ კონფლიქტში. როგორც ვიცით, სომხეთმა რუსეთისგან საიდუმლოდ მიიღო 1994-1996 წწ 1 მილიარდი დოლარის საბრზოლო იარაღი.

ასეა თუ ისე, დე-ფაქტოდ ეს ტერიტორია (ყარაბაღი) მთლიანად სომხეთზეა დამოკიდებული. 1992 წელს სომხეთმა მიიღო კანონი, რომ ის არცერთი საერთაშორისო შეთანხმებას არ ცნობს, რომელიც ყარაბაღის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე

მოიაზრებს .სომხურ მხარეს იმის იმედი აქვს რომ სამხედრო წარმატებებით და ყარაბაღზე დე-ფაქტო კონტროლით მიაღწევს შექმნილი ვითარების საერთაშორისო აღიარებას.

ამგვარად, კონფლიქტის შედეგად აზერბაიჯანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი სომეხთა კონტროლს დაექვემდებარა. მაშინ, როცა სომეხთი ამტკიცებს, რომ კონფლიქტი მხოლოდ მთიანი ყარაბაღის სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორისაა.

სომეხთ-აზერბაიჯანის შეიარაღებული კონფლიქტის დარეგულირება ხდება ე.წ. ეუთოს მინსკის პროცესის ჩარჩოებში.

გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუციები, რომლებშიც სომეხთს მოთხოვა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებებისა, გაეროს უშიშროების საბჭომ ვერ უზრუნველყო მათი განხორციელება.

2001 წლის დასაწყისში სომეხ და აზერბაიჯანელ ლიდერთა კივსტის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ სამშვიდობო მოლაპარაკებები შეწყდა.

სომეხთის მხარის არგუმენტები არ იცვლება. ისინი აცხადებენ, რომ :

- 1) იმ დროს, როცა დამოუკიდებელი ყარაბაღი გახდა სსრ კავშირის ნაწილი, ყარაბაღი არ იყო მის იურისდიქციაში, რაზეც მეტყველებს ერთა ლიგის გადაწყვეტილება, რომელშიც აზერბაიჯანი არ მიიღეს იმის გამო, რომ მას პრეტენზია ჰქონდა ყარაბაღზე.
- 2) მათ არგუმენტად მიჰყავთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის უარი საბჭოთა პერიოდის სამართალმემკვიდრეობაზე და ა.შ.

აზერბაიჯანი რასაკვირველია კატეგორიულად უარყოფს სომეხთის არგუმენტებს და ამას ასაბუთებს იმით რომ:

- 1) იმ დროს, როცა ერთა ლიგა იხილავდა აზერბაიჯანის მიღების საკითხს, მისი ტერიტორია ოკუპირებული იყო, ხოლო მთავრობა, რომელმაც განაცხადი გააკეთა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე. იმავე პერიოდში ერთა ლიგამ სომეხთიც არ ცნო სახელმწიფოდ გამომდინარე იქიდან რომ ამ გაერთიანებას არ გააჩნდა აღიარებული საზღვრები, არ ჰქონდა სტატუსი და კონსტიტუცია.
- 2) იმ პერიოდისთვის, როცა სსრკ შეწყვიტა არსებობა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა ,

1990წლის 3 აპრილს კანონი არ იყო გამოყენებული და შესაბამისად არ გასაჩნდა იურიდიული ძალა, რადგანაც არცე რთმოკავშირე რესპუბლიკას არ გამოუყენებია საბჭოთა კავშირიდან გასვლას ეს პროცებურა;

- 3) რაც შეეხება არგუმენტს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918-1920) აზერბაიჯანს არ ჰქონდა უფლება საბჭოთა პერიოდს საზღვრებზე პრეტენზიისა, გაბათილებულია ვენის კონვენციის მე-11 მუხლით, რომლითაც სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა საზღვარს არ ეხება.

მინდა ვითხრათ, რომ სომხეთის პრეტენზიები დღესაც გრძელდება იგნორირებას უკეთებს რა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, გაეროს, ეუთოს რეზოლუციებს, იგი დღესაც არ ათავისუფლებს აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიებს.

ეს კონფლიქტიც, მსგავსად ქართულ-აფხაზურისა დღემდე “გაყინულია”. მისი გადაწყვეტა კი მომავლის საქმეა....

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1) დოდო პერტაია. სსრ კავშირის დაშლა და შეიარაღებული კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში. თბ., 2007.
- 2) Peter Burke; Memory, History, Culture and thi Mind;
- 3) Zerubavel; I xxue; 2007.
- 4) Svante. E, Cornel Small nations and great powers. 2000.
- 5) [www.azembassy.kz/data/fille/history conflict.pdf](http://www.azembassy.kz/data/fille/history conflict.pdf)
- 6) [www.conflicts.aznet.org.conflicts/konf/konf=k12.htm](http://www.conflicts.aznet.org.conflicts/konf/konf=k12.htm)
- 7) [www.agerbembassy.org.cn/rus/khojaly01.htm](http://www.agerbembassy.org.cn/rus/khojaly01.htm)

## Summary

**Nino Melelashvili**

**About understanding of the past and the role of "a historical enmity" for the forming of conflict identity (on the sample of Nagorno-Karabakh)**

The topic deals with the conflict between the Armenians of Nagorno-Karabakh and Azerbaijan. The focus of the paper is on the representations of history within the Armenian and Azerbaijani nationalist discourses and on how these representations influence the perceptions of the conflict in the Armenian and Azerbaijani societies. The paper challenges the simplifying primordialist approaches which explain the Armenian-Azerbaijani conflict as a return of "a historical enmity", which has existed before the inclusion of the two peoples into the Soviet Union. The paper argues that the role played by history is much more complicated: the narratives of history are used to justify certain political demands and to mobilize societies around them. Finally, the differences and similarities between the politics of history in the Armenian and the Azerbaijani cases are discussed.

## Резюме

**Нино Мелелашвили**

**Об осмыслении прошлого и роль политики памяти в формировании конфликтной идентичности (на примере Нагорного Карабаха)**

Тема касается ситуации, которая сложилась вокруг Горного (Нагорного) Карабаха. Она вызвала конфликт между Азербайджаном и Арменией. Я полностью ознакомилась с историей конфликта и сделала акцент на том, что насколько огромное значение имеет «политика памяти» в упомянутой ситуации. А как старались употребить исторические факты в пользу себя, как армянские, так и азербайджанские историки и политики. Они так интерпретировали факты, как требуют государственные интересы, а не объективно. А это препятствует мирным переговорам и еще напрягает ситуацию.

ნინო ჩიქობავა  
ახალი მსოფლიო წესრიგისა და გეოპოლიტიკური  
ტრანზაციის საკითხები ჰენრი კისინჯერის  
“დიპლომატიაში”

ჰენრი კისინჯერი თავის ნაშრომში “დიპლომატია” განიხილავს ახალ მსოფლიო წესრიგს. მისი აზრით: ყოველ საუკუნეში, თითქოსდა რაღაც კანონზომიერებით, ჩნდებოდა ქვეყანა რომელსაც გააჩნდა ძალაუფლება, ნება, ინტელექტუალური და მორალური სტიმულები, რაც აუცილებელი იყო იმისათვის რომ მთელი საერთაშორისო სისტემა მოიყვანა თავის ფასეულობებთან მიმართებაში.

XVII საუკუნეში საფრანგეთმა კარდინალ რიშელიეს დროს შემოიღო იმ პერიოდისათვის ახალი მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც გეთავაზობდა ნაციონალური ინტერესების პირველ პლანზე წამოწევას.

XVIII საუკუნეში დიდმა ბრიტანეთმა შეიმუშავა ძალთა თანაფარდობის კონცეფცია, რომელიც შემდგომი 2 საუკუნე მეფობდა ევროპაში. XIX საუკუნეში მეტენრიხის ავსტრიამ ააგო “ევროპული კონცერტი”. ბისმარკის გერმანიამ კი დაშალა იგი და აქცია ევროპული დიპლომატია ძალისმიერ და ცივისსხლიან პოლიტიკად.

XX საუკუნეში ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე ისე, როგორც ეს შეძლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. არც ერთი საზოგადოება არ უჭერდა ისე მტკიცედ მხარს მეზობელი ქვეყნების შინაურ პოლიტიკაში ჩაურევლობას და არც ერთი სხვა ქვეყანა არ ყოფილა იმდენად თავშეკავებული საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობისას როგორც ამერიკის შეერთებული შტატები იმ პერიოდისათვის. ამერიკას გააჩნდა ორი სრულიად საპირისპირო მიდგომა საგარეო პოლიტიკის საკითხებთან. პირველი მიდგომარეობდა იმაში, რომ შეერთებული შტატები ამყარებდა თავის ფასეულობებს, ქვეყანაში დემოკრატიის გამყარებით. მეორე კი ის იყო, რომ თვით ეს ფასეულობები აკისრებდნენ ამერიკას, მსოფლიო მასშტაბით ებრძოლა მათი განმტკიცებისათვის.

ამერიკის ეს ორი მიდგომა ითავსებდა გლობალურ საერთაშორისო წესრიგს, რომლის საბაზისო წერტილი იყო დემოკრატია, ვაჭრობის თავისუფლება და საერთაშორისო



სამართალი. ვინაიდან თავისუფალი სისტემა იმ დრომდე არ არსებულა, მისი წარმოქმნა ითვლებოდა უტოპიად.

იმ პერიოდთან როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები გავიდა მსოფლიო პოლიტიკის არენაზე (1917 წელს), ის იმ დონემდე იყო დარწმუნებული თავის ძალებში და თავისი იდეების სამართლიანობაში, რომ XX საუკუნის უმთავრესი საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენდნენ ამერიკული ფასეულობების ხორცშესხმას, დაწყებული ერთა ლიგიდან და ბერლინის პაქტიდან დამთავრებული გაეროს წესდებითა და ჰელსინკის თათბირის შემაჯამებელი აქტით.

საბჭოთა კავშირის დაშლამ თითქოსდა გაამარჯვება მოუტანა ამერიკულ იდეებს, მაგრამ ამავე დროს ამერიკა პირისპირ დააყენა ისეთ სამყაროსთან რომლის გამოჩენასაც იგი გაუბოლდა მთელი თავისი არსებობის მანძილზე. წარმოქმნილი მსოფლიო წესრიგის ჩარჩოებში ნაციონალიზმმა კვლავ წამოჰყო თავი. ერები უფრო ხშირად მეტოქეობდნენ ვიდრე თანამშრომლობდნენ.

სინამდვილეში სიახლე ახალ მსოფლიო წესრიგში არის ის, რომ ამერიკას არ შეუძლია არც გამოეყოს მსოფლიოს და არც იბატონოს მასზე.

როდესაც ამერიკა გამოვიდა საერთაშორისო არენაზე ის იყო მძლავრი, ახალგაზრდა და ჰქონდა ძალაუფლება იმისა რომ დაემორჩილებინა და აეყოლიებინა მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობების მისეულ ხედვაში. მეორე მსოფლიო ომის ბოლოსათვის 1945 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნდა იმდენი ძალაუფლება და გავლენა რომ შეეძლო გადაეკეთებინა მსოფლიო თავისი შეხედულებებისამებრ.

ჯონ კენედიმ დარწმუნებით განაცხადა 1961 წელს, რომ ამერიკა საკმაოდ მძლავრია “გადაიხადოს ნებისმიერი საფასური, გადაიტანოს ნებისმიერი სიძნელე” იმისათვის რომ წარმატებით განახორციელოს თავისუფლების იდეები. სამი ათეული წლის შემდეგ ამერიკას უფრო ნაკლები მტკიცებით შეეძლო განეცხადებინა თავისი იდეების და სურვილების განხორციელების შესახებ. ამასობაში სხვა სახელმწიფოებზე მოძლიერდნენ. ამიტომაც ამერიკის შეერთებულ შტატებს უწევს თავისი მიზნების თანმიმდევრობით მიღწევა: ყოველი საფეხური წარმოადგენს ამერიკული ფასეულობებისა და გეოპოლიტიკური მოთხოვნილებების შერწყმას. ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ის, რომ მსოფლიო რომელიც მოიცავდა სხვა მძლავრ სახელმწიფოებსაც უნდა დაემყარებინა თავისი წესრიგი ძალთა თანაფარდობის კონცეფციაზე, ანუ იმ იდეებზე სადაც ამერიკა დისკომფორტს განიცდიდა.

1919 წელს პარიზის მსოფლიო კონფერენციაზე ერთმანეთს შეეჯახა საგარეო პოლიტიკის ამერიკული მოდელი და ევროპული დიპლომატიური ტრადიციები. იქ თვალნათელი გახდა სხვაობა მათ

ისტორიულ გამოცდილებაში. ევროპელი ლიდერები ცდილობდნენ შეესწორებინათ არსებული სისტემა ჩვეული მეთოდებით. ამერიკას კი სჯეროდა რომ დიდი ომი იყო არა არსებული გეოპოლიტიკური კომფლიქტების მიზეზი, არამედ ევროპისათვის დამახასიათებელი ინტრიგების ბრალი. უილსონმა ანახა ევროპელებს რომ ამ პერიოდიდან საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა უნდა გამომდინარეობდეს არა ძალთა თანაფარდობიდან, არამედ ეთნიკური თვითგამორკვევის პრინციპებიდან. რომ მათი დიპლომატია არ უნდა იყოს ფარული არამედ იყოს დამყარებული ღია გადაწყვეტილებებზე და მოლაპარაკებებზე. უილსონი არა იმდენად ცდილობდა ომის დამთავრების საკითხების გადაწყვეტას არამედ უკვე არსებული სამ საუკუნოვანი საერთაშორისო სისტემის გარდაქმნას.

როდესაც ამერიკელები განიხილავდნენ საგარეო პოლიტიკის საკითხებს მიდიოდნენ იმ აზრამდგომ რომ ყველა სიძნელე რომელიც გადაიტანა ევროპამ, ჩაისახა ძალთა თანაფარდობის სისტემის მეშვეობით. იმ დროისათვის როდესაც ევროპა პირველად გახდა იძულებული გამოეჩინა ინტერესი ამერიკული საგარეო პოლიტიკისადმი, მისი ლიდერები ეკვისთვალთ უყურებდნენ ამერიკის მსოფლიო რეფორმებს.

ამერიკელები დასახლდნენ თითქმის ცარიელ კონტინენტზე, რომელიც გამოყოფილი იყო სხვა დამყრობელი სახელმწიფოებისაგან ორი ოკეანით. ვინაიდან ამერიკა არ შეჯახებია არც ერთ დიდ სახელმწიფოს, რომლის ძალებთან მიმართებაში მას დასჭირებოდა თანაფარდობა, რატქმაუნდა ის არ დაუჭერდა მარს არავითარ თანაფარდობას. უსაფრთხოების დილემაები რომლებიც სტანჯავდა ევროპას არანაირ კავშირში არ იყო და არ ეხებოდა ამერიკას თითქმის 150 წელი. როდესაც დილემაები ამერიკას შეეხო ამერიკამ 2-ჯერ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ომებში, რომლებიც წამოწყებული იყო ევროპული სახელმწიფოების მიერ. ყოველი იმ მომენტისათვის როდესაც ამერიკა ჩათრეულ იქნა ომში, ძალთა თანაფარდობის პრინციპი უკვე აღარ მოქმედებდნენ. აქედან გამომდინარეობდა პარადოქსალური სიტუაცია: სწორედ ის ძალთა თანაფარდობა, რომელიც უარყვეს ამერიკელებმა, აღმოჩნდა რომ უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოება. სწორედ ამ თანაფარდობის დაშლამ გამოიწვია ამერიკის გამოსვლა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში.

ძალთა თანაფარდობის სისტემა არ გულისხმობდა კრიზისებისა და ომების თავიდან აცილებას, ის უბრალოდ ზღუდავდა კომფლიქტების მასშტაბებს და ერთი სახელმწიფოს ბატონობას მეორეზე. მისი მიზანი იყო არა იმდენად მშვიდობა, რამდენადაც სტაბილურობა. სინამდვილეში კი ეს სისტემა კაცობრიობის ისტორიაში გვხვდება ძალიან იშვიათად.

არცერთხელ თავისი ისტორიის მანძილზე ამერიკას მონაწილეობა არ მიუღია ძალთა თანაფარდობაში. მსოფლიო ომამდე პერიოდში ამერიკა სარგებლობდა ძალთა თანაფარდობის პრინციპის ფუნქციონირებით და ამავე დროს არანაირ მონაწილეობას არ იღებდა მასში. „ცივი ომის“ პერიოდში კი ამერიკა ჩართული იქნა საბჭოთა კავშირთან იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ ბრძოლაში. ამ პერიოდში კი მსოფლიოში არანაირი ძალთა თანაფარდობა არ მოქმედებდა. ჭიდილი მიდიოდა ორ ზესახელმწიფოს შორის. ბიპოლარულ სამყაროში თითქოსდა კონფლიქტი მოიტანდა საყოველთაო სარგებელს, მაგრამ, ნებისმიერის მოგება ნიშნავდა მეორის წაგებას. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, საფრთხე აღარ ატარებდა უნივერსალურ ხასიათს და ყოველი მხარე აფასებდა და გამოდიოდა თავისი ნაციონალური ინტერესებიდან. ის საზოგადოებები რომლებიც იმყოფებოდნენ ამერიკის ფრთის ქვეშ იძულებულები იყვნენ მიეღოთ უფრო მეტი ვალდებულებები თავიანთი უსაფრთხოებისათვის.

XXI საუკუნეში სახელმწიფოთა ურთიერთობის დონეზე ახალი წესრიგი, რომელმაც შეცვალა „ცივი ომი“ მოგვაგონებს ევროპული სახელმწიფოების სისტემას XVIII-XIX საუკუნეებში. მისი შემადგენელი ნაწილები იქნება აშშ, ევროპა, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი და შეიძლება ინდოეთიც. ამასთანავე ბევრი საშუალო და პატარა სახელმწიფოები. იმ დროსათვის საერთაშორისო ურთიერთობები მიიღებდნენ გლობალურ ხასიათს.

არცერთი ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან, რომელთაც მოუწევთ ახალი მსოფლიო წესრიგის შემუშავება არ გააჩნიათ ცოტადენი გამოცდილება მრავალსახელმწიფოებრივი სისტემაში. არასოდეს ახალი მსოფლიო წესრიგი არ ყოფილა ასე განსხვავებული შეხედულებების მქონე და ასეთი გლობალური მაშტაბებით. აქამდე არ ყოფილა წესრიგი, რომელიც ითავსებდა როგორც ძალთა თანაფარდობას ასევე მსოფლიო დემოკრატიულ აზროვნებას.

ჰენრი კისინჯერის აზრით: იქნება თუ არა ახალი მსოფლიო წესრიგი სტაბილური, როგორც ვენის კონგრესის შემდეგ თუ არასტაბილური როგორც ვესტფალიის მშვიდობისა და ვერსალის ხელშეკრულების შემდგომ, დამოკიდებული იქნება იმაზე თუ როგორ და რა სახით შეუთანხმებენ ეს სახელმწიფოები ამ ორ პრინციპს და რას მიიჩნევენ მართებულად.

ახლად შექმნილი წესრიგი უნდა დაამყარონ პოლიტიკოსებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებიც სრულიად სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან. ერთადერთი მოქმედი მოდელი მრავალსახელმწიფოებრივი სისტემისა შექმნილი იყო დასავლური საზოგადოებების მიერ, და ბევრმა საერთაშორისო წესრიგის მონაწილემ ის შეიძლება უარყოს ამბობს კისინჯერი თავის ნაშრომში.

და მაინც ამაღლება და შლა მანამდელი მსოფლიო წესრიგებისა ვესტვალდიან ჩვენ დრომდე, არის ერთადერთი გამოცდილების წყარო, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

Генри Киссинджер. Дипломатия. М.: 1997

### Резюме

**Нино Чикобава**

### **Новый мировой порядок и геополитическая транзакция по “Дипломатии” Генри Киссинджера**

По мнению Генри Киссинджера возникающий сейчас порядок должны будут строить государственные деятели, которые представляют совершенно разные культуры. Они руководят бюрократическими системами такой сложности, что зачастую энергия этих государственных деятелей в большой степени уходит на приведение в действие административной машины, а не на определение цели. Они добились высокого положения благодаря качествам, не всегда нужны для управления, а еще менее годятся для создания международного порядка. При этом единственная действующая модель многогосударственной системы была создана западными обществами, и многие из участников международного порядка ее могут отвергнуть.

### Summary

**Nino Chikobava**

### **Issues of New World Order and Geopolitical Transation in Henry Kissinger “diplomacy”**

Aocording to Kissinger, to the present day, order should be formulated by state figures, who are representatives of totally different cultures. They manage so difficult bureaucratic systems that their energy is used mostly for putting in order of administrative machine and not for distinct goals. In addition only one active model of multi-state system was created by the western societies due do which it may be rejected by many international order participants.

**ნათია ფირანიშვილი, ინგა ყულაშვილი  
პაპი ბენედიქტე XVI**

რომის პაპები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ყოველთვის ცდილობდნენ მსოფლიო თეოკრატიული მონარქიის შექმნას, რაც თავისთავად საერო ძალაუფლების დაქვემდებარებასაც გულისხმობდა. ამ მიზნით VIII საუკუნეში მათ შექმნეს ყალბი დოკუმენტი “კონსტანტინეს ნაბოძარი” რაც პაპებს სამართლებრივად აძლევდათ “ორი მახვილის” ფლობის უფლებას. ამ დოკუმენტის სიყალბე მხოლოდ XV საუკუნეში დაამტკიცა ცნობილმა იტალიელმა ჰუმანისტმა ლორენცო ვალამ. მანამდე კი “კონსტანტინეს ნაბოძარმა” უდიდესი როლი შეასრულა არამართო ევროპის, არამედ აღმოსავლეთის ისტორიაშიც. პაპები თავს ქრისტეს მოადგილეებად თვლიდნენ და ვინაიდან მათ პრეროგატივას წარმოადგენდა საერო ხელისუფალთა კორონაცია. მიაჩნდათ, რომ კაცობრიობის მიწიერი და სულიერი ცხოვრების განკარგვის სრული უფლება ჰქონდათ. “პაპების დიქტატი,” რომელიც პაპმა გრიგოლ VII-მ შეადგინა, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. მასში გარკვევით წერია: “ყველა მეფე და იმპერატორი პაპს ფეხზე უნდა ჰკოცნიდეს”.

პაპების პოლიტიკა განმსაზღვრელ როლს თამაშობდა მსოფლიოში. მათი ინიციატივით არაერთ პოლიტიკურ ომს ჰქონია ადგილი ისტორიაში. XI-XII სს-ში პაპები გვევლინებიან ჯვაროსნული ლაშქრობების მთავარ სულისჩამდგმელად. სწორედ პაპ ურბან II-ის ინიციატივით დაიწყო ბრძოლა ქრისტეს საფლავის განთავისუფლებისთვის.

პაპების პოლიტიკა უმეტესად იყო ამბიციური და ნაკლებად ითვალისწინებდა ტოლერანტულ-შემწყნარებლურ დოგმებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომის პაპების მისწრაფება, ვატიკანის და კერძოდ რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენის ქვეშ მოექციათ მართლმადიდებლური ეკლესია და სხვა კონფესიები. ამისათვის რამოდენიმე მსოფლიო კრებაც კი მოიწვიეს. ფერარა-ფლორენციის კრებაზე კი ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი აიძულეს, რომ ხელი მოეწერა უნიაზე, რაც შემდეგ აღშფოთებულმა ბიზანტიელებმა უარყვეს. პაპების ამავე მიზნის ნაწილს წარმოადგენდა მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის დაქორწინება სოფიო(ზოია პალეოლოგოსზე), რისთვისაც მოსკოვმა III რომის ტიტული მიიღო. XVIII ს. როდესაც პაპლე I-მა მალტის ორდენის დიდი მაგისტრობა მიიღო და მალტის ჯვარი სახელმწიფო ატრიბუტიკაში შეიტანა, პაპმა უარი განაცხადა მის აღიარებაზე. პიუს VII-მ პაპლე I-ს შესთავაზა რომაულ-კათოლიკური ეკლესიისა და ბერძნულ-მართლმადიდებლური

ეკლესიის გაერთიანება, სანაცვლოდ კი აღიარებას ჰპირდებოდა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მანამდე პაპმა პიუს II-მ მეჭმედ II-ს წერილი გაუგზავნა და რჯულის შეცვლის სანაცვლოდ ერთიანი მსოფლიოს გერგვინს სთავაზობდა. პოლიტიკური ვითარება გარკვეულწილად შეიცვალა ვატიკანის II კრების შემდეგ, როდესაც პაპობამ ტოლერანტობის საკითხი დააყენა დღის წესრიგში და მსოფლიოს რელიგიათა დიალოგი შესთავაზა. პაპმა იოანე-პავლე II-მ თავისი პონტიფიკატის პერიოდში ვატიკანის კურსი წარმატებით განახორციელა. მისი შეხვედრები სხვადასხვა კონფესიებთან და თურქი ტერორისტის შეწყალებამ პაპს მსოფლიო ავტორიტეტი მოუპოვა. მისი პოლიტიკის გამგრძელებელია დღევანდელი პაპი ბენედიქტე XVI.

2005 წლის 19 აპრილს, კონკლავის მიერ არჩეულ იქნა 265-ე პაპი, გერმანელი კარდინალი იოსებ ალოიზ რატცინგერი. ბენედიქტე XVI არის ყველაზე წლოვანი კარდინალი არჩეული პაპად კლიმენტ XII-ის შემდეგ და პირველი გერმანელი პონტიფიკატი ვიქტორ II-ის შემდეგ (1055-1057 წ.წ.) [7]

სიტყვა “ბენექტი” ნეტარს ნიშნავს და უკანასკნელად მას პაპი ბენედიქტე XV ატარებდა, რომელიც პაპის ტახტზე I მსოფლიო ომის დროს იყო. იგი მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფას ცდილობდა და შესაძლოა, XXI საუკუნეში, მასობრივი ტერორიზმის ეპოქაში არჩეულმა პაპმა სწორედ ამიტომ აიღო მშვიდობის მატარებელი სახელი—“ბენედიქტი”.

ბენედიქტე XVI პაპად არჩევამდე მრავალმხრივი საქმიანობით გამოირჩეოდა. ის ითვლება თავისი დროის ერთ-ერთ საუკეთესო თეოლოგად, შექმნილი აქვს არაერთი ნაშრომი.

პაპად არჩევამდე რატცინგერი იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება რომის კურიაში, კარდინალთა კოლეგიის დეკანი, პაპ იოანე-პავლე II-ის უახლოესი მეგობარი [6]. შესაძლოა, სწორედ ამან განაპირობა მისი არჩევა პაპად. ბენედიქტე XVI არის პაპ იოანე-პავლე II-ის კურსის გამგრძელებელი. იგი ცდილობს შეინარჩუნოს ტოლერანტული დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიების მიმართ. კათოლიკური ეკლესიის მესაჯე კათოლიკობის პროციების განმტკიცებას ცდილობს მიუღწიოს მსოფლიოში. მისი პონტიფიკატის მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევენ ურთიერთობის გაუმჯობესებას ქრისტიანებს შორის, რაც დაადასტურა მისმა გამოსვლამ პაპად გახდომისთანავე, როდესაც ქრისტიანებს გაერთიანებისაკენ მოუწოდა.

პაპი ბენედიქტე XVI ხშირად აწარმოებს შეხვედრებს მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებთან. საინტერესოა 2006 წელს სტამბოლში პაპისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოს I-ის შეხვედრა, სადაც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ საუკუნეების მანძილზე ვერ ახერხებდა მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესია ერთად

ლოცვას და გაერთიანების ერთგვარი სურვილი გამოთქვა [10]. ეს ფაქტი დასაფიქრებელია, ვინაიდან სახეზეა გაერთიანების მცდელობა კონსტანტინოპოლის ეკლესიასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის და შესაძლო განხეთქილება მართლმადიდებლურ ეკლესიაში. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II უარყოფითად უყურებს რელიგიათა გაერთიანებას. ილია II რელიგიათა დიალოგს შესაძლებლად მიიჩნევს, ოღონდ თუ არ შევხებით დოგმატიკას, მრწამსს, რელიგიის არსს. რადგან კამათმა, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის რელიგია, შესაძლოა კონფლიქტი გამოიწვიოს.

პაპი ბენედიქტე XVI აქტიურად უჭერს მხარს დაპირისპირების აღმოფხვრას მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის. მნიშვნელოვანია პაპის პოლიტიკა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. აღსანიშნავია რომის პაპის შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან და სასულიერო პირებთან. პაპმა და პრეზიდენტმა პუტინმა განიხილეს ის გზები რომლითაც მოხდება კათოლიკური ეკლესიისა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის გაუმჯობესება და დაძაბულობის მოხსნა. უთანხმოების მიზეზი კი არის ურთიერთბრალდებები: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკურ ეკლესიას ბრალს სდებს პროზელიტიზმში, იმ ტერიტორიებზე, რომელიც ტრადიციულად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის. ვატიკანი უარყოფს ამ ბრალდებას და ამტკიცებს, რომ ის ეხმარება რუსეთის მცირე კათოლიკურ საზოგადოებას, რომელიც დაახლოებით 600 000 ადამიანს შეადგენს. პაპის ასეთი პოლიტიკა მიმართულია ერთი მხრივ, რუსი კათოლიკების დაცვისკენ, მეორე მხრივ კი მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან და პრეზიდენტთან შეხვედრებით ცდილობს ურთიერთობის გაუმჯობესებას რუსეთის ეკლესიასთან, რასაც ცდილობდა მისი წინამორბედი პაპი.

პაპი ბენედიქტე XVI კონსერვატიულ პონტიფიკატად ითვლება. ის ქადაგებს ჰუმანურ იდეებს, გამოდის სოციალური პრობლემების წინააღმდეგ. განსაკუთრებით საყურადღებოა პაპის პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიური უმცირესობების მიმართ. რელიგიებს მოუწოდებს დიალოგებისაკენ. მეტად მნიშვნელოვანია პაპის პოლიტიკა ევროპის პროტესტანტული ქვეყნებისადმი. ვატიკანის პოლიტიკა შესაძლოა მიმართული იყოს ევროპის პროტესტანტული ქვეყნების კათოლიკურ მრწამსზე მოქცევისაკენ. შესაძლოა ამანაც განაპირობა გერმანელი კარდინალის არჩევა პაპად. ბენედიქტე XVI პაპების ისტორიაში მე-8 გერმანელი პაპია.

წლების განმავლობაში ვატიკანმა თავისი პოლიტიკით უარყოფითად განაწყო პროტესტანტები, მართლმადიდებლები და მუსლიმები. პაპ იოანე-პავლე II-ის მსგავსად პაპი ბენედიქტე XVI ცდილობს ტოლერანტული იყოს სხვადასხვა კონფესიების მიმართ. დღევანდელ ევროპაში აღმოსავლური რელიგიების პოპულარობა

დღითიდღე იზრდება. გერმანიაში 44% დალაილამას უფრო მეტ პატივს სცემს, ვიდრე რომის პაპს [15]. შესაძლოა ამის გამოა პაპის ხშირი ვიზიტები პროტესტანტულ ქვეყნებში. ვატიკანიდან იგზავნება დელეგაციები, რომლებსაც პაპი ხშირად თავადვე ხელმძღვანელობს. 2005 წლის აგვისტოში, ახლად არჩეული პონტიფიქსი გაემგზავრა კიოლნიში(გერმანია), მსოფლიოს ახალგაზრდა კათოლიკეების დღესასწაულზე. შეხვდა კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს, ასევე გამართა მოლაპარაკება ხელისუფლების წარმომადგენლებთან, კანცლერ გერჰარდ შროიდერთან. გერმანიაში ვიზიტის დროს პაპმა მონაახულა სინაგოგა, შეხვდა გერმანელ პროტესტანტებს და მუსლიმებს[12]. პაპი ბენედიქტე XVI აქტიურად აგრძელებს ურთიერთობას ახალ კანცლერ ანგელა მერკერთან. 2006 წელს მოხდა მათი შეხვედრა. აქტიური შეხვედრებით პაპი ცდილობს გერმანელი პროტესტანტების კეთილგანწყობის მოპოვებას. ამითაა განპირობებული, რომ პაპი აპირებს გერმანელი რეფორმატორის მარტინ ლუთერის რეაბილიტაციას. ბენედიქტე XVI აცხადებს, რომ “მარტინ ლუთერი ცდილობდა არა ქრისტიანული ეკლესიის დარღვევას, არამედ სურდა მისი გაწმენდა მანგე ჩვევებისაგან” [13]. ასეთი ქმედებებით შესაძლებელია დიალოგი შედგეს პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის.

ვატიკანში ხშირად იმართება საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლების ვიზიტები. უახლოეს მომავალში პაპი თავად გემგავს საფრანგეთში ჩასვლას.

პაპი ბენედიქტე XVI აქტიურად აწარმოებს შეხვედრებს სხვადასხვა ქვეყნის კათოლიკებთან. პაპი საზაფხულო რეზიდენციაში შეხვდა უკრაინის ლათინ და ბერძენ კათოლიკე ეპისკოპოსებს და მოუწოდა გაერთიანებისაკენ და მისიონერული საქმიანობის გაძლიერებისაკენ უკრაინაში [14].

პაპი ბენედიქტე XVI აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებას სომეხ კათოლიკებთან. მნიშვნელოვანია პაპის დამოკიდებულება ებრაელებთან. აღსანიშნავია, რომ პაპმა იოანე-პავლე II-მ თავისი პონტიფიკატის დროს, ებრაელ ხალხს ოფიციალურად მოუხადა ბოდიში შუა საუკუნეებში კათოლიკური ინკვიზიციის მიერ ებრაელების დევნის გამო. პაპი იცავს ქრისტიანთა უფლებებს ისრაელში. მისი ძალისხმევით ერთგვარი დიალოგი შედგა ისრაელსა და ვატიკანს შორის.

საყოველთაოა პაპის პოლიტიკა და მისი დამოკიდებულება აშშ-ს და ლათინური ამერიკის კათოლიკური ეკლესიისადმი. როგორც ცნობილია, კათოლიკეთა უმრავლესობა ცხოვრობს ამ ქვეყნებში. პაპი ცდილობს ფრთხილი პოლიტიკა აწარმოოს აღნიშნული ქვეყნების კათოლიკეებისადმი, რათა მოიპოვოს მათი ნდობა რწმენის გამტკიცებისათვის. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია 2007წლის მაისში პაპის ვიზიტი ბრაზილიაში, სადაც შეხვდა როგორც



ბრაზილიელ კათოლიკებს, ასევე ლუთერეანებს, რეფორმატორებს, ანგლიკანებს, მუსლიმებს და იუდეველებს. პაპმა მოახდინა ბრაზილიელი ფრანცისკანელი ბერის ანტონიო დი სანტ ანა გალვას (1739-1822წ.წ.) კანონიზირება [13].

პაპის ვიზიტებიდან აშშ-ში განსაკუთრებით საინტერესოა მისი ვიზიტი 2008 წლის აპრილში, როცა შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს თეთრ სახლში. მათ შორის გაიმართა საუბრები ისეთ თემებზე, როგორცაა მშვიდობის მიღწევა მახლობელ აღმოსავლეთში და სხვა რეგიონებში, ადამიანის უფლებების და რელიგიური თავისუფლების, ურთიერთობების განვითარება სხვადასხვა კონფესიებს შორის. პაპი ბენედიქტე XVI შეშფოთებას გამოთქვამს ერაყის მოსახლეობის გამო. კრიტიკულადაა განწყობილი ერაყში მიმდინარე საომარ ოპერაციებზე. პაპი მოუწოდებს ამერიკას ფრთხილი დიპლომატიით მოაგვაროს ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში. აშშ-ში სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ბენედიქტე XVI-მ გააკრიტიკა აშშ-ის ეკლესიებში გაბატონებული ვითარება პედოფილია, გარყვნილობა და დაგმო ამგვარი ფაქტების ყოველგვარი გამოვლინება [15].

საინტერესოა, რომ აშშ-ს და ვატიკანს შორის არის უთანხმოება სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით, რაც კანონით დაშვებულია აშშ-ში. ვატიკანის მეთაური თვლის, რომ ადამიანის სიცოცხლე არის წმინდა, ღვთითბოძებული და მის ხელყოფას მიიჩნევს ადამიანური ღირსების შელახვად [15].

აშშ-ში ვიზიტის დროს პაპი შეეხო ისეთ დელიკატურ თემებს, როგორცაა აბორტი, კონტრაცეპტივების მოხმარება, ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინებები, კლონირება. პაპმა დაგმო აღნიშნული ფაქტები რაც ეწინააღმდეგება არამარტო ქრისტიანული ეკლესიის, არამედ საერთოდ ყველა რელიგიის დოგმას.

აშშ-ში ყოფნის დროს პაპი ოფიციალური ვიზიტით ეწვია გაეროს შტაბბინას, სადაც სიტყვით გამოვიდა. გაეროს ისტორიაში ეს არის მე-4 შემთხვევა, როდესაც კათოლიკური ეკლესიის მეთაური სიტყვით გამოვიდა. უკანასკნელად გაეროში 1995 წელს გამოვიდა სიტყვით პაპი იოანე-პავლე II [16].

პაპმა ბენედიქტე XVI-მ გაეროში გამოსვლისას ისაუბრა საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებაზე, ადამიანის უფლებების და მშვიდობის დაცვაზე, ეკლესიის როლზე, რომელსაც შეუძლია მოაგვაროს მწვავე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები. სიტყვით გამოსვლის დროს საუბრობდა “სამართლიან წყობაზე” რომელმაც უნდა მოსპოს მსოფლიოს უდიდესი გამოწვევა—სიდარბე.

2006 წელს პაპმა ბენედიქტე XVI-მ ჩინეთში გაგზავნა დელეგაცია კათოლიკების მხარდასაჭერად. ამ ვიზიტის მიზანი იყო ისევ და ისევ ჩინელი კათოლიკების მხარდაჭერა და მიმართულია კათოლიციზმის გაძლიერებისაკენ.

პაპის პოლიტიკაში უდიდეს ყურადღებას იპყრობს დამოკიდებულება მუსლიმებისადმი. როგორც აღვნიშნეთ, პაპი ტოლერანტულია რელიგიების მიმართ, მათ შორის მუსლიმების მიმართაც. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ კათოლიკე პაპი აქტიურად უჭერს მხარს მუსლიმური თურქეთის შესვლას ევროკავშირში. 2006 წლის დეკემბერში პაპი ბენედიქტე XVI ოფიციალური ვიზიტით ეწვია ანკარას, სადაც შეხვდა პრემიერ-მინისტრ ერდოგანს. პაპმა მას აღუთქვა მხარდაჭერა ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. პაპი შეხვდა თურქეთში ყველაზე გავლენიან ავტორიტეტულ რელიგიურ მოღვაწეს ალი გარდაკოჰლუს, რომელიც უარყოფითად იყო განწყობილი პაპისადმი იმ ფაქტის გამო, რომ ამავე წლის სექტემბერში, რეგენსბურგის უნივერსიტეტში ლექციის დროს მუჰამედი გააკრიტიკა. პაპმა ლექციისას მოახდინა XIV საუკუნის ბიზანტიელი იმპერატორის მანუელ II პალეოლოგის სიტყვების ციტირება: “მაჩვენეთ მე რა მოიტანა მუჰამედმა და თქვენ ნახავთ ბოროტებისა და არაადამიანობის ნივთმტკიცებას, რომელიც ქადაგებდა, რომ ხმლით დავიცვათ ჩვენი რწმენაო” [6] [17]. აღნიშნულმა განცხადებამ გამოიწვია მუსლიმური სამყაროს უკმაყოფილება და პაპის კრიტიკა. თურქული ისლამური პარტიები აცხადებდნენ, რომ “პაპს სურს აღადგინოს ჯვაროსნული ლაშქრობების სული და იგივეს იმეორებს, რასაც აკეთებდა ჰიტლერი და მუსოლინი” [17]. პროტესტის ნიშნად, ისლამისტები იმუქრობდნენ ვატიკანზე შეტევით. პალესტინაში დაწვეს ორი ქრისტიანული ეკლესია, ერაყელმა მუსლიმებმა დაწვეს ბენედიქტე XVI-ის ფოტოები [6]. პაპმა სინანული გამოთქვა, რომ მისი ნათქვამი არასწორად გაიგეს და რომ მან მხოლოდ ციტირება მოახდინა.

ბენედიქტე XVI-ის თურქეთში ვიზიტმა მშვიდობიანად ჩაიარა. სტამბოლის სულიწმინდის ტაძარში წირვის ჩატარების წინ პაპმა ცაში ააფრინა მშვიდობის სიმბოლო ოთხი მტრედი. გახსნა თავისი ერთ-ერთი წინამორბედის იოანე XXIII-ის ძეგლი, რომელსაც თურქები დიდ პატივს სცემდნენ. პაპმა მონახულა ცისფერი მეჩეთი. ეს ისტორიაში მეორე შემთხვევაა—პირველად დამასკოს მეჩეთში პაპი იოანე-პავლე II შევიდა 2001 წელა [5].

თურქეთის მხარდაჭერით პაპი ცდილობს მუსლიმების კეთილგანწყობის მოპოვებას. პაპის ვიზიტი თურქეთში და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა და მათი მხარდაჭერა პოზიტიურ როლს შეასრულებს თურქეთისთვის ევროკავშირის გაერთიანების საქმეში. შაინტერესია რითია განპირობებული პაპის მხარდაჭერა მუსლიმური თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე. ევროკავშირი არის გლობალიზაციის ერთერთი ცენტრი. აქ გაერთიანებული ქვეყნები გვევლინებიან საზღვრებს გარეშე სახელმწიფოებად და თურქეთის გაწევრიანებით უფრო ადვილად იქნება შესაძლებელი ქრისტიანული მრწამსის გავრცელება. შესაძლოა პაპის პოლიტიკის მიზეზი იყოს ის,

რომ თურქეთი აღმოცენდა ქრისტიანული ცივილიზაციის, ბიზანტიის ნანგრევებზე. თურქეთის ტერიტორიაზე არის უამრავი ძეგლი, რაც უმნიშვნელოვანესია ქრისტიანობისათვის.

ჩნობილია, რომ პაპი სარგებლობს იეზუიტური ორდენის ფინანსური დახმარებით. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასულიერო ორდენი, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობდა და თამაშობს ეკლესიის და პოლიტიკურ ცხოვრებაში. იეზუიტური ორდენი შეიქმნა 1539 წელს ესპანელი ფანატიკოსის ეგნატე ლოიოლას მიერ. ორდენი დაამტკიცა პაპმა პავლე III-მ 1540 წლის 27 სექტემბერს [18].

იეზუიტური ორდენი შეიქმნა პროტესტანტებისა და რეფორმატორების წინააღმდეგ. იეზუიტების მიზანი იყო, რომ კათოლიკურ ეკლესიას თავისი სახე არ დაეკარგა. იეზუიტები აქტიურად უჭერდნენ მხარს პაპის საქმიანობას. მათ ხელში იყო საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები დასავლეთ ევროპაში [18]. იეზუიტები მასობრივად განდევნეს XVIII საუკუნეში, მაგრამ ეს ორდენი აღადგინა 1814 წელს პაპმა პიუს VII-მ. მათ დაიბრუნეს ხელმძღვანელის როლი კათოლიკურ სამყაროში. ორდენის გენერალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა პაპის არჩევის და კურის პოლიტიკის განსაზღვრაში [2,9]. 1958 წლისთვის იეზუიტური ორდენის კაპიტალდაბანდება 5მლრდ დოლარს ითვლიდა.

დღევანდელ მსოფლიოში უდიდესი ძალაუფლება აქვს იეზუიტურ ორდენს. მის ხელშია მსოფლიოს ცნობილი უნივერსიტეტები, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები. პაპი სარგებლობს ორდენის აქტიური მხარდაჭერით.

ამრიგად, პაპი ბენედიქტე XVI გვევლინება თავისი წინამორბედის “მოგზაური პაპის” კურსის გამგრძელებლად.

ბენედიქტე XVI ცდილობს გაამყაროს ურთიერთობა კათოლიკე ქრისტიანებთან და აქტიურად მოუწოდებს სხვადასხვა რელიგიებს დიალოგისაკენ. პაპი ქრისტიანებს მოუწოდებს გაერთიანებისაკენ და ადვილი მისახვედრია, რომ სურს თავისი ხელისუფლების გაძლიერება და ავტორიტეტის ამაღლება. როგორც ვხედავთ, პაპი აქტიურად ერევა მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებში, მაგრამ მის სიტყვას ისეთი ძალა და გავლენა აღარ აქვს, რასაც ფლობდა საუკუნეების წინ. პაპი გვევლინება სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების ინიციატორად. შესაძლოა ამ მოხუცი პაპის ჰუმანური პოლიტიკა აღმოჩნდეს ილუზია და ეს უბრალოდ შორს გამიზნული ნაბიჯი იყოს, თანდათანობით მოახდინოს რელიგიათა გაერთიანება და დაუპირისპიროს იგი საერო ხელისუფლებას. შესაძლოა ეს ვარაუდი ხმამაღალია, მაგრამ ის ცხადია, რომ პაპობა ყველანაირად ცდილობს დაიბრუნოს ძველი დიდება და გააძლიეროს თავისი გავლენა საზოგადოებაზე, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის

შეუქცევად პროცესს ერთიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემასთან ერთად ერთიანი კულტურა და მონათეიზმი უდევს საფუძვლად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1.М. В. Андреев, Таины Ватикана, 1961г.
- 2.О.А. Артуров, Ватикан и его политика, 1947г.
- 3.Гергей Е. История Папства, м.1999 г.
4. იხუბაშვილი, ვენეციისა და ფლორენციის დიპლომატია XIII–XVსს, თბ.2004
5. გაზეთი კვირის პალიტრა, N50, 2006
6. [www.Wikipedia.org](http://www.Wikipedia.org)
7. [www.patriarchia.ru](http://www.patriarchia.ru)
8. [www.voanews.com](http://www.voanews.com)
9. [www.religion.ge](http://www.religion.ge)
10. <http://mamuli.net>
11. <http://forum.ge>
12. [www.rg.ru](http://www.rg.ru)
13. [www.ewangelia.ru](http://www.ewangelia.ru)
14. [www.mk.ru](http://www.mk.ru)
15. [www.regions.ru](http://www.regions.ru)
16. [www.intelros.ru](http://www.intelros.ru)
17. [www.exspert.ru](http://www.exspert.ru)
18. <http://www.hrono.info/religia/katolik/iezuity.html>

### **Summary**

**Natia Piranishvili, Inga Quloshvili**  
**Pope Benedict the XVI**

During the whole history, the popes were trying to prove their management advantages against the national management.

Throughout the time they have lost their power and nowadays, the present pope Benedict the XVI, as well as his predecessor pope John-Paul the II is trying to restore the previous role in the frames of democracy. Because of the above mentioned he is traveling in different foreign countries, has meetings with the representatives of national government, provides negotiations about unification of religion, and tries to take part in current political processes.

### **Резюме**

**ნათია ფირანიშვილი, ინგა კულოშვილი**  
**პაპ ბენედიქტ XVI**

Римские папы всегда пытались доказать свое преимущество над национальным руководством. На протяжении времени они потеряли свою власть. Современный пап Бенедикт XVI, как и предыдущий пап Иоанн-Павел II, пытается вернуть старую роль пап в рамках демократии, для этого он часто путешествует в разных странах мира, встречается с членами правительства, ведет договоры об объединении религии, пытается принять участие в мировой политике.

ირაკლი თედორაძე  
ქართულ-რუსული ურთიერთობები გეორგიევსკის  
ტრაქტატამდე

საქართველო რუსეთის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობა ხუთ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის. იწყება ალექსანდრე I-ის (1476-1511) მიერ 1483 მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის (1476-1511) კარზე ელჩობის გაგზავნით და გრძელდება დღემდე. მთელი ეს პერიოდი განსხვავებული მნიშვნელობის ეტაპებად იყოფა.

I ეტაპი: იწყება რუსეთში კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის ელჩობით (1483 წ) და გრძელდება რუსეთის იმპერიასა და საქართველოს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე.

II ეტაპი: იწყება გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან და გრძელდება რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყნის დაპყრობის მომზადებამდე (1801 წ).

III ეტაპი: იწყება რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით და გრძელდება რუსეთის იმპერიის აღსასრულამდე (1917 წლის თებერვალ მარტამდე)

IV ეტაპი: მოიცავს პერიოდს ამიერკავკასიასა და საქართველოში რუსეთის დროებითი მთავრობის მმართველობის დამყარებიდან (1917 წლის მარტიდან) ამ მმართველობის დასრულებამდე (1917 წლის ოქტომბრამდე).

V ეტაპი: საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალათა მიერ საბჭოთა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტიდან (1917 წლის ნოემბრიდან) იწყება და გვირგვინდება საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენით.

VI ეტაპი: იწყება იწყება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით (1918 წლის მაისი) და მთავრდება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობით (1921 წლის თებერვალი მარტი).

VII ეტაპი: იწყება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობით და საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდება (1991 წლის დეკემბერი).

VIII ეტაპი: იწყება საბჭოთა კავშირის დაშლიდან და გრძელდება დღემდე.

რუსეთის მოსვლა ამიერ კავკასიაში და ქართული სამეფო სამთავროების დაპყრობა დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა,

როგორც დიპლომატიური ასევე, სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით.

XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს შიგნით დამღუპველი პროცესები განვითარდა კერძოდ: ერთიანი ქართული მონარქია სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის დაიწყო ხანგრძლივი დაპირისპირება და ომები, სამეფო სამთავროების შიგნით დაიწყო სათავადოების წარმოქმნა გაძლიერება, ასევე იყო ცდები საქართველოს ეკლესიის ერთიანობის დარღვევისა, საქართველოს პოლიტიკურმა დაშლამ დიდი ზიანი მიაყენა ეროვნულ ცნობიერებას. საქართველოს შიდა არეულობას დაერთო საგარეო პრობლემებიც, კერძოდ: I. საქართველოს სამხრეთით წარმოიშვა ორი ძლიერი მუსლიმანური სახელმწიფო ოსმალეთი (თურქეთი) და სპარსეთი (ირანი). 1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. 1461 წელს ოსმალებმა ქალაქი ტრაპიზონი დაიკავეს, ხოლო 1475 წელს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიც დაიპყრეს. 1514 წელს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო ომი, რომლის მიზანს წარმოადგენდა გაბატონება სამხრეთ კავკასიაში. 1555 წლის ამასიის ზავიდან საქართველოს ტერიტორია რამდენჯერმე გადანაწილდა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის. სპარსეთმა – კასპიის ზღვისპირეთიდან და ოსმალეთმა – შავი ზღვისპირეთიდან იწყეს საქართველოს შევიწროვება და ქართულ მოსახლეობაში ისლამის გავრცელება. ქართული სამთავროები მუსლიმანურ რკადში აღმოჩნდნენ. ევროპის ქვეყნები კავკასიაში განვითარებულ მოვლენებში ვერ ერეოდნენ, სპარსეთს ანტიოსმალური კოალიციის წამყვან ძალად მიიჩნევდნენ და საქართველოს გამო ირანთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ. ასეთ ვითარებაში საქართველო ევროპისაგანაც განწირული იყო. ორ მოწინააღმდეგესთან უთანასწორო ბრძოლაში საქართველომ დაკარგა: ჭარ-ბელაქანი (საინგილო), კაკ-ენისელი და სამცხე საათაბაგო, აჭარა, აფხაზეთი, შავი ზღვის სანაპირო.

ასეთი რთული მდგომარეობის გამო ქართველმა დიპლომატებმა გადაწყვიტეს ამ მოვლენებში მესამე ძალის რუსეთის ჩართვა. პირობები ორიენტაციის ჩამოყალიბება ალექსანდრე I –ის კარზე დაიწყო. მსგავსი ნაბიჯის გადასადგმელად მეფეს კარგად უნდა ჰქონოდა გააზრებული, მუსლიმანურ სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენები. ასევე ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულება სამხრეთ-კავკასიის მიმართ და ღრმა რწმენა უნდა ჰქონოდა იმისა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მუსლიმანური სახელმწიფოების აგრესიისაგან თავის დაცვა.

ახეთის მეფის ალექსანდრე I-ის რუსი კოლეგა ივანე III, ქვეყნის მართვას რუსეთისათვის ძალზე რთულ პერიოდში შეუდგა, ამ

პერიოდში ოქროს ურდოს ხანი რუსეთის უმაღლეს ხელისუფლად ითვლებოდა, მართალია რუსეთი განთავისუფლდა ოქროს ურდოს ბატონობისაგან მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც რეალურად ძლიერ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც რუსეთისათვის დიდი ზიანის მიყენება შეეძლო. ასევე რუსეთი 1477-1479 წლებში აწარმოებდა ომს დიდი ნოვგოროდის შემოერთებისათვის. დიდი ნოვგოროდის რუსეთთან შეერთებას ეწინააღმდეგებოდა პოლონეთ-ლიტვის მეფე კაზიმი IV. რომელიც ცდილობდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ოქროს ურდოს ხანი აჰმედი მიემხრო. დიდი ნოვგოროდი რუსეთს 1479 წელს შეუერთდა, რამაც რუსეთში მონღოლთა ბატონობას ბოლო მოუღო. მაგრამ მალე ტვერის სამთავროს შემოერთებისათვის მოუწია ბრძოლა 1485 წელს. ასევე 1492-1494 წლებში რუსეთი ლიტვასთან იყო ომში ჩაბმული.

მსგავსი ვითარება იყო რუსეთში 1483 წელს, როდესაც კახეთის მეფის ელჩები ჩავიდნენ დახმარების სათხოვნელად. მაგრამ რუსეთის მთავარს ივანე III-ეს არამცთუ სამხედრო არამედ დიპლომატიური თანადგომის გაწევაც არ შეეძლო საქართველოსათვის, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე. ამ პერიოდში არ შეიძლება არსებულყო კავკასიაში რუსეთის შესვლის მონახაზიც კი. რადგან ამას დამატებითი შეფერხებებიც ერთვოდა. კერძოდ: ყირიმის, ყაზანისა და ასტრახანის სამთავროები. ამ სამთავროების დამორჩილების გარეშე რუსეთი ვერ შეძლებდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში რეალური ძალა გამხდარიყო.

ქართველმა დიპლომატებმა რუსეთთან მიმართებაში შემდეგი შეცდომა დაუშვეს, კერძოდ: მათ ვერ გათვალეს რომ რუსეთის მოსვლა კავკასიაში იქნებოდა რუსეთ –სპარსეთ-ოსმალეთის ომებისდაწყების საწინდარი. ასევე რუსეთის გაძლიერება არ აწყობდათ მის მეზობლებს: პოლონეთს, ლიტვას, ლივონიის ორდენს, შვეციას. ზემოთ ხსენებულ მიზეზთა გამო რუსეთი ვერ შეძლებდა ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა სამხრეთში.

ივანე III-ისა და ვასილი III-ის პოლიტიკურმა კურსმა ცვლილებები განიცადეს ივანე მრისხანეს მეფობის პერიოდში (1533-1584). ივანე მრისხანეს რუსეთისათვის უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა, ბალტიისპირეთში საკუთარი ქვეყნის ძალების განმტკიცება, რაც ლიტვასთან და პოლონეთთან ომის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა. ამ მისიას ემსახურებოდა სწორედ ლივონიის ომი (1558-1583). ივანე მრისხანემ ასევე შეძლო 1552 წ. ყაზანისა და 1556 წ. ასტრახანის სახანოების დამარცხება. მიუხედავად იმისა რომ ვერ შეძლო ყირიმის სახანოს დაუფლება მისი პოზიცია მაინც ხელსაყრელი იყო ჩრდილო კავკასიაში.

კახეთის სამეფო კარმა კვლავ გამოიჩინა ინიციატივა, კავკასიაში მიმდინარე პროცესებში რუსეთის ჩასართავად. ივანე მრისხანე დაინტერესებული იყო კავასიით. იგივე ვითარება იყო მისი მემკვიდრე



თევდორეს (1584-1598) დროსაც. თუმცა მათი ინტერესთა სფერო მოიცავდა ჩრდილო და არა სამხრეთ კავკასიას. მაგრამ რუსეთის ლივონიის ბრძოლაში დამარცხებას მისი ძლაუფლების შესუსტება მოჰყვა ბალტიისპირეთში. ასეთ ვითარებაში რუსეთი, სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმას ვერ შეძლებდა. თუ სპარსეთი და ოსმალეთი ჩრდილო კავკასიის ბარში რუსეთის შეღწევას შეეგუებოდნენ ქართული დიპლომატიების გაგმა მაინც ძნელად განსახორციელებელი რჩებოდა. რუსეთი სამხრეთ კავკასიაში მაინც არარეალურ ძალად რჩებოდა.

კახეთის სამეფოში მეფე ლევანის (1518-1574) მეფობის პერიოდში, ივანე მრისხანემ მდინარე თერგის ხეობაში ციხე-სიმაგრეების მშენებლობა დაიწყო. თუ რუსეთი შეძლებდა ეკონტროლებინა გზები, რომელთა საშუალებითაც კახეთის სამეფოში მოხდებოდა რუსეთის ჯარების შემოყვანა მაშინ ქართველ დიპლომატიების გეგმა განხორციელებადი ხდებოდა. ოსმალეთმა სიტუაცია სწორად შეაფასა და მოახლოებული საფრთხის თავისიდან ასაცილებლად ყირიმის ხანი რუსეთის წინააღმდეგ წააქეზა. ეს უკანასკნელი რუსეთის საზღვრებში შეიჭრა. ამ ვითარებამ რუსეთი აიძულა თავი აერიდებინა სპარსეთსა და ოსმალეთთან სიტუაციის გართულებას. რუსეთმა თერგის ხეობაში აგებული ციხე-სიმაგრეები გაანადგურა და კახეთში მყოფი რუსთა რაზმიც ჩრდილო კავკასიაში დააბრუნა.

ქართველი პოლიტიკოსების კიდევ ერთი სტრატეგიული შეცდომა შემდეგში მდგომარეობდა, კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605)

სპარსეთისა და ოსმალეთის აგრესიის წინააგმდეგ კვლავ რუსეთის ძალის მიმართვას ცდილობდა. ამ დროს რუსეთს სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაც სპარსეთ-ოსმალეთის გავლენის სფეროდ ჰქონდა აღიარებული. ამ პერიოდისათვის, რუსეთი დასუსტებული იყო, ლივონიის ომის შემდეგ რუსეთ შევიცარიის ურთიერთობები გაურკვეველი რჩებოდა და მიმდინარეობდა მზადება ახალი ომისათვის.

1586 წელს 9 ოქტომბერს რუსეთის მეფე თევდორე ივანეს ძემ ალექსანდრე II-ის ელჩობი: მღვდელი იოაკიმე, ბერი კირილე და ჩერქეზი ყურშიტა მოსკოვში მიიღო. ოფოციალურ დოკუმენტებში ალექსანდრე II არა მეფედ არამედ კახეთის მთავრად იწოდებოდა. ამ დროს რუსეთის მეფე ხაზს უსვამდა თავის მეფურ ღირსებას: “Великий государ, царь и великий князь Федор Иванович”. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ესმებოდა ხაზი ალექსანდრე II-ეს მეფურ ღირსებას. რუსეთის მეფის კარზე თვლიდნენ, რომ კახეთის მეფე თავისი ღირსებით უტოლდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების მთავრებს.

კახეთის მეფის ელჩებმა რუსეთის მეფეს ალექსანდრე II-ის შემდეგი შინაარსის თხოვნა გადასცეს: 1. მფარველობაში მიეღო კახეთის სამეფო. 2. დაეცვა კახეთის სამეფო მტრებისაგან. მეფე

აღექსანდრე ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ რუსები და ქართველები ერთმორმუნენი იყვნენ, რომ მათ ერთი რელიგია ქრისტიანობა აერთიანებდათ.

თეველორე ივანეს ძემ კახეთის მეფის თხოვნა შეიწვნარა და მტრებისაგან სამხედრო ძალით დაცვას დაჰპირდა.

ქართველ ელჩობას საქართველოში რუსი ელჩებიც გამოჰყვნენ, თავადი როდიონ ბირკინი, პეტრე პიპოვი და სტეფანე პოლუხანოვი. ელჩობა აღექსანდრე II-ის სამეფო კარზე 1587 წლის 26 აგვისტოს წარსდგა. 29 აგვისტოს კი რუსეთის ელჩებმა კახეთის მეფეს მეფე თეველორეს სიგელი გადასცეს. სადაც აღნიშნული იყო, რომ: 1. რუსეთის მეფემ შეიწვნარა კახეთის მეფის თხოვნა. 2. კახეთის სამეფომიღებულ იქნა რუსეთის მფარველობაში. 3. რუსეთი სამხედრო ძალით დაცავდა საქართველოს მტრებისაგან.

1587 წლის 28 სექტემბერს კახეთის მეფე აღექსანდრე II-მ თავისი მემკვიდრეების, სამეფო კარის მოხელეების და რუსეთის ელჩობის თანდასწრებით დაიფიცა თეველორე ივანეს ძის ერთგულებაზე, დაფიცების შემდეგ მეფემ სიგელს (“ფიცის წიგნი”) ხელი მოაწერა, სიგელს ბეჭედი დაესვა და რუსეთის მეფის ელჩებს როდიონ ბირკინს, პეტრე პიპოვსა და სტეფანე პოლუხანოვს გადაეცა.

1598 წელს გარდაიცვალა რუსეთის მეფე თეველორე, ამის შემდეგ რუსეთში დაიწყო შინააშლილობა, დიდი სოციალური ამბოხი და ჟენ-პოსპოლიტასა(პოლონეთ-ლიტვის) და შვეციის აგრესია რამაც რუსეთი ძლიერ დაასუსტა. ამით ისარგებლა სპარსეთის შაჰმა აბას I-მა და 1605 წელს აღექსანდრე II-ე და მისი ვაჟი გიორგი მოაკვლევინა.

დიდი სოციალური ამბოხის, ჟენ-პოსპოლიტასა და შვეციის აგრესიისაგან დასუსტებული რუსეთი წელში მეფე აღექსის(1645-1676) დროს გაიმართა და ძლიერ ძალადაც იქცა. ამ პერიოდში რუსეთის მთავარ ამოცანას უკრაინიდან ჟენ-პოსპოლიტას განდევნა და შვეციის აგრესიის აღკვეთა წარმოადგენდა. უკრაინიდან ჟენ-პოსპოლიტას განდევნას რუსეთმა ამ უკანასკნელთან ხანგრძლივი ომით მიადწია რომელიც 1667 წელს დასრულდა. არანაკლებ მძიმე იყო ომი შვეციასთან 1656-1658 წლებში. როსეთმა საბოლოო გამარჯვება მიინც ვერ მოიპოვა. კერძოდ უკრაინა სრულად ვერ გაათავისუფლა ჟენ-პოსპოლიტასაგან ხოლო შვეციას ვერ წაართვა ბალტიის ზღვის სანაპირო. ამავდროულად ყირიმის სახანო ისევ დიდ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის სამხრეთ რეგიონებს.

მეფე აღექსის მეფობის პერიოდში რუსეთის სამეფო კარზე არ შექმნილა გეგმა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიით დაინტერესების შესახებ, რადგან რუსეთს საამისო დრო არ ჰქონდა. აქ ქართველმა დიპლომატებმა მორიგი შეცდომა და მარცხი იწვნეს. 1606 წელს თეიმურაზ I კახეთში გამეფდა, ხოლო 1625 წელს ქართლის ტახტზეც ავიდა. მაგრამ თეიმურაზმა ქართლ კახეთში მხოლოდ 8

წელი იმეფა, 1633 წელს მან ჯერ ქართლის მეფობა დაკარგა, ხოლო 1648 წელს კი კახეთისა. მეფობა დაკარგული თეიმურაზ I-ი 1648 წელს მოსკოვში ჩავიდა დახმარების სათხოვნელად, საიდანაც ხელმოცარული დაბრუნდა, რუსეთს საკუთარი პრობლემები აწუხებდა, ერთის მხრივ ექვ-პოსპოლიტასთან მიიმე ომი, ხოლო მეორეს მხრივ შვეციასთან დროებითი ზავი.

პრორუსული ორიენტაცია მარცხის შედეგი იყო პროსპარსული ორიენტაციის გადავიწყობა. პროსპარსულ ორიენტაციას ადგენდნენ ერეკლე I-ი; დავით II-ე; გიორგი XI-ე;

ორსაუკუნოვნმა პრორუსულმა პოლიტიკამ შემდეგი სურათი მოგვცა: ქართლისა და კახეთის სამეფოები სპარსეთს დარჩა, იმერეთის სამეფო, გურიის სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები კი ოსმალეთს.

ქართული დიპლომატიის მიერ პრორუსული ორიენტაციის შემუშავების ახალი ეტაპი იწყება XVIII ს-ის 10-იანი წლების ბოლოდან. ეს პერიოდი საქართველოს ჯანიშინის ვახტანგ VI-ის (1703-1724) და რუსეთის მეფის პეტრი I-ის (1669-1725) სახელებს უკავშირდება.

ვახტანგ VI-ე საქართველოში ჯანიშინად (მმართველად) 1703 წელს დაინიშნა. ვახტანგ VI-ის წინამორბედი მეფეები ისლამის აღმსრულებლები იყვნენ. ისინი შაჰის მსახურებას შეეწირნენ. გიორგი XI-ე (1709 წ.) ხოლო ქაიხოსრო(1711 წ.). ამის შემდეგ მეფობის რეალური კანდიდატი ვახტანგ VI -ე გახდა. მაგრამ წინამორბეთა მსგავსად აუცილებელი ხდებოდა ქრისტიანობის უარყოფა და ისლამის აღიარება. 1712 წელს ვახტანგ VI-ე სპარსეთში გაემგზავრა. მეფე რუსული ორიენტაციის მიღებაზე არ ფიქრობდა, მაგრამ არც თავისი წინამორბედების მეფე გიორგი XI-ისა და მეფე ქაიხოსროს პროსპარსული კურსის გაგრძელებას აპირებდა. ვახტანგს სურდა რომის პაპისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან მიღებული დახმარებით თავი დაეხსნა სპარსეთის ბატონობისაგან. ვახტანგ VI შემდეგი არჩევანის წინაშე დადგა: პროსპარსული ორიენტაციის შენარჩუნება, პრორუსული ორიენტაციის მიღება, პროდასავლური ორიენტაციის მიღება. ვახტანგ მეფეს კარგად ფქონდა გააზრებული პრორუსული ორიენტაციის შედეგები. რის ნათელ მაგალითსაც წინა საუკუნეებიდან იღებდა. მეფე ასევე ხედავდა, რომ სპარსეთი ძალზე დაუძლეურებული იყო და ავღანელთა შემოტევებს ძლივს იგერიებდა. ყოველივე ამან უბიძგა ვახტანგს ზურგი შეექცია სპარსეთისათვის.

რეალობას მოკლებული იყო ვახტანგ VI-ის ნაბიჯი, როცა მან სულხან-საბა ორბელიანის მეთაურობით დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მისია მიავლინა სპარსეთის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. მაგრამ, ამ დროს ევროპა სპარსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანეს ძალად განიხილავდნენ და ქართლის

სამეფოს ინტერესებისათვის სპარსეთს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებია არ გაანაწილებდნენ. შესაბამისად 1715 წელს სულხან-საბა ორბელიანი ევროპიდან ხელმოცარული დაბრუნდა სამშობლოში. ამ მარცხმა ვახტანგ VI-ე აიძულა ისლამი მიეღო 1716 წელს. შაჰმა ვახტანგი ქართლის მეფედ დაამტკიცა, მაგრამ 1719 წლამდე სპარსეთში დატოვა. სავარაუდოდ შაჰს უნდა სცოდნოდა ქართველ დესპანთა ვოიაჟის შესახებ ევროპაში ასევე შაჰის კარზე მივლენილი რუსეთის დესპანის ვოლინსკისა და ვახტანგ VI-ის საიდუმლო კონტაქტების შესახებ, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შაჰს დაეკარგა ქართველი მეფის ნდობა.

ევროპიდან უიმედოდ დაბრუნებულმა დელეგაციამ ვახტანგ VI-ეს საბოლოოდ გადააწყვეტინა პრორუსული ორიენტაციის მიღება. აუცილებელი ხდებოდა ქართლში დაბრუნება და რუსეთთან ახალი კავშირების დამყარება. ამით შეიძლება აიხსნას ვახტანგ VI-ის მიერ ოთხწლიანი ყოყმანის შემდეგ 1716 წელს ისლამის მიღება. ამის შემდეგ შაჰს აღარ უნდა ჰქონოდა მასში ეჭვი შეტანის საფუძველი, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც ბოლომდე ცდილობდა მეფის სპარსეთში დატოვებას. 1719 წელს ვახტანგ VI-ე საქართველოში დაბრუნდა და დაიწყო მზადება რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის დასამყარებლად. ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაცია იძულებითი ნაბიჯი იყო. რაც განპირობებული იყო მეფის ანტისპარსული განწყობითა და ევროპისაგან დახმარებაზე უარის თქმით. მაგრამ ამას გარდა ამ საქციელს მაინც გააჩნდა თავისი საფუძველები.

პირველი: ვახტანგ VI-ეს მიაჩნდა რომ რუსეთს შეეძლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიიდან, ქართლიდან და კახეთიდან, ასევე აზერბაიჯანიდან სპარსეთის განდევნა.

მეორე: ვახტანგ VI ვერ გაითვალისწინა, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შეჭრას არ დაუშვებდა ოსმალეთი, და რუსეთს სპარსეთის გავლენის სფეროების ხელში ჩაგდებას ნებას არ მისცემდა.

მესამე: ვახტანგ VI ვერც ის გაითვალისწინა, რომ საჭიროების შემთხვევაში სპარსეთი და ოსმალეთი აქტიურად გამოიყენებდნენ ჩრდილო კავკასიულ ისლამის აღმსარებელ ხალხს, რაც სირთულეებს შეუქმნიდა სამხრეთ კავკასიაში შეჭრილ რუსეთს.

მეოთხე: ამ პერიოდისათვის რუსეთს პრაქტიკულად გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი გეოსტრატეგიული ამოცანა, ბალტიის ზღვის სანაპიროს ხელში ჩაგდება, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში გაბატონება ჯერ კიდევ არ იყო მისი ძირითადი ამოცანა. რუსეთისათვის უფრო მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ჩრდილო შავი ზღვისპირეთში განმტკიცება, დუანისპირეთის ხელში ჩაგდება და ბალკანეთში შეჭრა. ამ მიზნების განხორციელების საწყისი აზოვისა და ყუბანისპირეთიდან ოსმალეთის განდევნით და ყირიმის სახანოს დაპყრობით უნდა დაწყებულიყო. ეს უკანასკნელი

კი ოსმალეთთან ომი წინაპირობას წარმოადგენდა. დუნაისპირეთსა და ბალკანეთში რუსეთის შეჭრას ასევე ეწინააღმდეგებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ასეთ ვითარებაში რუსეთი სპარსეთის წინააღმდეგ დიდ ომში არ ჩაებმებოდა და ქართლის სამეფოს მოკავშირედ არ გაიხდიდა.

1722 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა კასპიისპირეთში ლაშქრობა დაიწყო და სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობა ვახტანგ VI-ეს შესთავაზა.

რუსეთთან სამხდრო პოლიტიკური კავშირის წინააღმდეგი იყო ქართლის სამეფო დარბაზის უმრავლესობა, ასევე ტახტის მემკვიდრე ბაქარი. ბაქარი მამას ურჩევდა სპარსეთს დახმარებოდა ავღანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ვახტანგ VI საბოლოოდ თქვა უარი პროსპარსულ ორიენტაციაზე და პეტრე I –თან შეთანხმებისამებრ 40000 ჯარი შეკრიბა და განჯასთან დაბანაკდა. ამ დროს ავღანელებმა უკვე დაიკავეს სპარსეთის დედაქალაქი ისპაჰანი. სპარსეთი ძლიერ დასუსტდა, იგი უკვე ვეღარ შეძლებდა საქართველო რუსეთის კოალიციური შეტევების მოგერიებას. სიტუაცია ოსმალეთმა სწორად შეაფასა. სპარსეთის დამარცხების შემთხვევაში მას რუსეთის სახით ძლიერი კონკურენტი უჩნდებოდა სამხრეთ კავკასიაში. ამიტომ ოსმალეთი შეეცადა ვახტანგ მეფის გადაბირებას და მოკავშირეობა შესთავაზა. ქართლის მეფე სწორად მიუხვდა ოსმალეთს განზრახვას და უარი განაცხადა. მაგრამ ეს მაინც არ იყო მართებული ნაბიჯი, რადგან: ქართლის ბედი პეტრე I-ის მიერ სპარსეთის წინააღმდეგ დაწყებულ ლაშქრობას დაუკავშირდა, და უკან დასახვევი გზა, სპარსეთთან და ოსმალეთთან მორიგების შანსი აღარ დაიტოვა.

პეტრე I-ს კარგად ჰქონდა გააზრებული ყველა ის გართულება რაც, კასპიისპირეთში მის შეჭრას მოჰყვებოდა, 1722 წლის ლაშქრობას გეოსტრატეგიული მიზნები არც ჰქონია, ასე, რომ შესაძლო შესაძლო გართულებების დანახვის თანავე პეტრე I-მა დარუბანდის აღების შემდეგ ლაშქრობა შეწყვიტა, საქართველო კი გადიხიანებული სპარსეთისა და ოსმალეთის წინაშე მარტო დარჩა. 1724 წელს ვახტანგ VI-ე რუსეთში გადაიხვეწა.

ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის წყალობით გაჩინავებული ქვეყანა კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენლებმა თეიმურაზ II-ისა და მისი ვაჟის ერეკლე II-ს პროსპარსულმა ორიენტაციამ იხსნა. მათთვის ვახტანგ VI-ის დამღუპველი პოლიტიკის შედეგები კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა. სპარსეთის შაჰმა ნადირშაჰ (1736-1747) სწორი დასკვნები გააკეთა, იგი მიხვდა რომ ქართველ მეფეებს პრორუსული ორიენტაციისაკენ სპარსეთის აუტანელი პოლიტიკა უბიძგებდათ, სპარსეთისაგან შევიწროვებული ქართლი იძულებული იყო მფარველობა ისევ რუსეთისათვის ეთხოვა. ამიტომ ნადირ-შაჰი რაღაც დათმობებზე

წავიდა, რათა ქართლ კახეთი ისევ პროსპარსულ ორიენტაციაზე დაეყენებინა. ამ კომპრომისის ფარგლებში იყო შაჰის მიერ 1744 წელს ქართლის მეფედ თეიმურაზ II-ისა და კახეთის მეფედ ერეკლე II-ეს სამეფო ტახტზე ქრისტიანული წესით.

ნადირ შაჰის მკვლელობის შემდეგ სპარსეთში შიდააშლილობა დაიწყო, რამაც სპარსეთი ძლიერ დაასუსტა. ამით კარგად ისარგებლეს ქართლ-კახეთის მეფეებმა და თავიანთ გავლენას დაუმორჩილეს ერევნის, განჯის, ნახჭევანისა და ყარაბაღის სახანოები. ეს იყო დიდი წარმატება. მაგრამ თეიმურაზმა და ერეკლემ ვერ შეძლეს უძველესი ქართული პროვინციის ჭარბელაქანის (საინგილო) დამორჩილება. ჭარბელაქანში გამაგრებული დაღესტნელები სისტემატურად თავს ესხმოდნენ კახეთს, იტაცებდნენ მოსახლეობას და დიდ ზიანს აყენებდნენ ქვეყანას. ჭარბელაქანის დამორჩილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ ამ უკანასკნელის დასამორჩილება რუსეთის დახმარებით სცადეს და 1752 წელს რუსეთში საგანგებო ელჩობა მიაგლინეს. მაგრამ რუსეთის სამეფო კარმა არამტოუ სამხედრო არამედ ფულად დახმარებაზეც უარი განაცხადა, სპარსეთთან და ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით.

XVII-ე საუკუნის 50-60 იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოებში ჩამოყალიბება დაიწყო ახალმა პრორუსულმა კურსმა, რასაც შემდეგი საფუძვლები ჰქონდა: I-თეიმურაზიცა და ერეკლეც გრძნობდნენ, რომ ნადირ შაჰისა და მისი მემკვიდრის ქერიმ ხანის პილიტიკაც შეიძლებოდა ნებისმიერ მომენტში შეცვლილიყო, და ქართლ-კახეთს თავს ისევ სეფიანთა აგრესია დატყდომოდა. II-მეფეები ხვდებოდნენ რომ სპარსეთს საერთოდ არ სიამოვნებდა ქართლისა და კახეთის დიქტატი სპარსულ სახანოებზე(ერევნის, განჯის, ნახჭევანისა, ყარაბაღი) მეფეები ხვდებოდნენ, რომ სპარსეთში სიტუაციის დალაგების შემთხვევაში ეს სახანოები ქართლ-კახეთისათვის დიდ საფრთხედ იქცეოდნენ. III-დაღესტნელთა ამოხრებელი შემოსევების მოგერიება ქართლ კახეთის სამეფოებს, თავისი ძალებით არ შეეძლოთ. საჭირო იყო ჭარბელაქანის, კაკ-ენისელის დაკავება და დაღესტნელთათვის კახეთში შესაჭრელი ხელსაყრელი პლაცდარმის წართმევა. ეს კი რუსეთის დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. IV-შიდააშლილობის შემდეგ სპარსეთის ხელისუფლება თუ ვერ გაძლიერდებოდა, ქართლ-კახეთის სამეფოში ოსმალეთის აგრესიის შემოჭრის საფრთხე დგებოდა.

თეიმურაზ II სა და ერეკლე II სურდათ რუსეთის დაინტერესება, რათა რუსეთს კასპიისზღვისპირეთში სპარსეთის ადგილი დაეკავებინა, თუ რუსეთი დარუბანდიდან ბაქომდე კასპიის ზღვის სანაპიროს დაიპყრობდა ქართლისა და კახეთის სამეფოები ორ მიზანს მიაღწევდნენ, კერძოდ: დაღესტნელთა თარეში სამუდამოდ

ადიკვეთებოდა და სპარსელთა აგრესია საშიში აღარ იქნებოდა. სპარსული სახანოები იძულებულნი გახდებოდნენ პროქართული ორიენტაცია ელიარებინათ. რუსეთით ზურგამაგრებული ქართლისა და კახეთის მიმართ ახალციხის ფაშაც დამთმობი უნდა გამხდარიყო.

ამ მიზანს ემსახურებოდა რუსეთში თეიმურაზ მეფის ვიზიტი 1760-1762) წლებში. მაგრამ ამ დროს რუსეთს სხვა გეოსტრატეგიული ამოცანები ჰქონდა, ინგლისით ზურგამაგრებულ პრუსიასთან ბრძოლა (1757-1763წწ), ამავდროულად ევროპის დიდი სახელმწიფოები დასუსტებული პოლონეთის დასაპყრობად ემზადებინან. პოლონეთის საკითხს კი სერიოზულად შეუძლია რუსეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობათა დაძაბვა. ასევე უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული პირობას რუსეთისათვის წარმოადგენს ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთიდან (ყირიმი სახანოს ლიკვიდაცია), დუნაისპირეთის ხელში ჩაგდება და ბალკანეთში შეჭრა. ამრიგად სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში დამკვიდრება XVIII-ე საუკუნის 50-60 იან წლებში რუსეთის უახლოეს გეოსტრატეგიულ ამოცანას არ წარმოადგენდა. ამდენად თეიმურაზისა და ერეკლეს პრორუსულმა პოლიტიკამ კრაზი განიცადა. რაც თეიმურაზ მეფემ ცხადად იგრძნო პეტერბურგში ყოფნიისას. ამჯერადაც არ გაამართლა პრორუსულმა ორიენტაციამ, საქართველო ისევ მარტო რჩებოდა მტრის წინააღმდეგ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბილისი 1960.
2. **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები. თბილისი 1983.
3. **საქართველოს ისტორიული ნარკვევები** რვა ტომად. ტომი IV. თბილისი, 1973.
4. **ვანტანგ გურული** ერთმორწმუნე რუსეთი -. გამომცემლობა “უნივერსალი” თბილისი 2008.
5. **ვანტანგ გურული მერაბ ვაჩნაძე** - რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. გამომცემლობა არტანუჯი თბილისი 2007 წელი.

## Summary

### **Irakli Tedoradze Georgian-Russian relations**

Within the given period, the Georgian-Russian relations have always been characterized with unilateral interests, notwithstanding the fact, that both Russia and Georgia could direct the conditions in such way, that the relations between those countries might be profitable for both of them. Common faith might be discussed as the major bases of strengthening of their relations. Georgia has been the key of the Caucasus, the Caspian and the Black Sea Coastal Area for its strategic location, the Persians and ottomans had to avoid the country supported by Russia. The Russian-Georgian coalition could be formed as strong force against the Muslim World. But the conditions developed otherwise.

## Резюме

### **Ираклий Тедорадзе Русско-Грузинские отношения до георгиевского трактата**

В данный период Русско-Грузинские отношения все время характеризовались односторонними интересами, несмотря на то, что как Россия так и Грузия могли так отрегулировать положение, что отношения между этими странами могли быть выгодными как для одной так и для другой страны. Одинаковое вероисповедование могло быть главной основой упрочения их взаимоотношений. Своим стратегическим положением Грузия была ключом Кавказа, Каспийского и Черного морей, с другой стороны с укрепленной со спины Россией страной не связалась бы и Персидско-Османская империя. Грузинско-Русская коалиция могла выродиться в мощную силу против мусульманского мира, но обстоятельства развились по другому.



დავით ბრაგვაძე, გიორგი გონაშვილი  
“თურქი მესხები” რეპატრაციის საკითხის შესახებ

1944 წლის 15 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მასშტაბური და გასაიდუმლოებული ოპერაცია ჩაატარა. ოპერაციის მიზანი იყო რეგიონში მცხოვრები ისლამური რელიგიის მიმდევართა გადასახლება შუა აზიის ტერიტორიაზე. აღნიშნული ოპერაცია სსრკ-ს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის №6279-CC დადგენილებისა და იმავე წლის 20 სექტემბრის სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს №00117 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა. ეს დოკუმენტები ინსტრუქციას იძლეოდა საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან თურქების, ქურთების, აზერბაიჯანელების, ხემშილების, იეზიდებისა და თათრების დეპორტაციის თაობაზე. ოპერაცია საკმაოდ სწრაფად ჩატარდა. ათასობით ადამიანი ეშელონებით გაუყენეს შუა აზიის გზას. მათ უფლება მისცეს თან წაეღოთ საყოფაცხოვრობო ნივთები, სამოსი, ფული და ა.შ. დეპორტირებულთა ნაწილმა ვერ გაუძლო ხანგრძლივ მგზავრობას და აუტანელ პირობებს, რის შედეგადაც მრავალი მათგანი გზაშივე დაიღუპა. გადარჩენილების უმრავლესობა უზბეკეთში, ფერგანაში ჩაასახლეს. დეპორტაციას არ დაექვემდებარენ მხოლოდ ზემოდსსენებული ეროვნების ის ქალები, რომლებიც კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. (1)

როგორ უნდა მოვისხენიოთ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეისათვის ძალზედ პრობლემატურ საკითხად იქცა. გადასახლებული მოსახლეობის ეთნიკური სურათი საკმაოდ ჭრელია არც მათი ერთი სახელის ქვეშ გაერთიანების შესაძლებლობას რთულებს. 70-იანი წლების საბჭოთა პრესაში მათ მოიხსენიებდნენ ტერმინებით: “კავკასიელი თურქები,” “საბჭოთა თურქები,” “მესხეთელი თურქები” და “თურქი მესხები.” ამათგან ფართო გავრცელება პპოვა უკანასკნელმა ორმა ტერმინმა. დღეისათვის კი მათ ყველანი “თურქ მესხებად” მოიხსენიებენ. დეპორტირებულთა ის ნაწილი რომელიც საქართველოში დაბრუნდა საკუთარ თავს “მაჰმადიან მესხებს” უწოდებს. რადგანაც ერთიანი პოზიცია ამ საკითხის ირგვლივ ჯერ კიდევ არ არსებობს, ჩვენც თავს უფლებას მივცემთ გამოვიყენოთ ტერმინი “თურქი მესხები” და ვიმედოვნებთ, რომ ეს საზოგადოების პროტესტის საფუძველი არ გახდება.

სამომავლოდ კი მივიჩნევთ, რომ ეს ტერმინი უნდა შეიცვალოს, რადგან დაბრუნებულ მესხებში ის, ხშირ შემთხვევაში, წყენისა და სამართლიანი აღშფოთების მიზეზი ხდება. ვინაიდან დეპორტირებული მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ორი ფაქტორი: რელიგიური კუთვნილება (ისლამი) და თავდაპირველი განსახლების ადგილი (მესხეთი) აერთიანებს, უპირანი იქნებოდა დამკვიდრებულიყო ტერმინი: “მუსლიმი მესხები” ან “მაჰმადიანი მესხები.”

დღეისათვის “თურქი მესხების” რეპატრიაციის საკითხი ძალზედ მწვავედ დგას. სამწუხაროდ არ არსებოს საკმარისი ლიტერატურა, იმისათვის რომ დაინტერესებული პირები ჯეროვნად გაეცნონ საკითხს. ძალზედ მწირი ინფორმაციაა განთავსებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზეც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2008 წელს, როდესაც კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა გამოსცა კრებული “უმცირესობები საქართველოში: სიტუაციური ანალიზი. იძულებით გადაადგილებული პირები, მუსლიმი მესხები, რელიგიური უმცირესობები, ეთნიკური უმცირესობები.” მასში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი “თურქი მესხების” პრობლემას. (2)

1944 წლის შემდეგ დეპორტირებულთა საკითხი რამდენჯერმე დადგა დღის წესრიგში. 1944 წელსვე რამდენიმე ქართველმა მეცნიერმა წერილი მისწერა სტალინს მათი უკან დაბრუნების თხოვნით, რასაც, ბუნებრივია, შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოში დაბრუნებისათვის აქტიურ ბრძოლას გადასახლებულები 1957 წელს იწყებენ, მათ მხარდაჭერას უცხადებს ქართველ დისიდენტთა გარკვეული ნაწილი, თუმცა არც ეს მცდელობა დასრულდა შედეგიანად. მათი წარმატება იმით შემოიფარგლა, რომ უფლება მისცეს მეზობელ აზერბაიჯანში შეექმნათ კომპაქტური დასახლებები. მცდელობა საქართველოში დამკვიდრებისა, მესხებს 60-იან წლებშიც ჰქონდათ მაგრამ ასევე უშედეგოდ. 80-ანი წლებში აგორდა დიდი ტალღა მათი სამშობლოში დაბრუნების მოთხოვნით. ამ მოთხოვნას იმდროინდელი ქართველი დისიდენტები აქტიურად უჭერდნენ მხარს. 1989 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე საქართველოში 300 მესხური ოჯახი ჩამოსახლდა. “თურქი მესხების” მიმართ აგერესიულმა დამოკიდებულებამ იჩინა თავი 1989 წლის 23 მაისის შემდეგ. ამ დღეს, უზბეკეთში, ფერგანას ველზე, იფეთქა სასტიკმა რეპრესიებმა მესხთა წინააღმდეგ. ეს მღვთმარება 17 დღის მანძილზე გაგრძელდა და მხოლოდ საჯარისო ნაწილების ჩარევის შედეგად დასრულდა. ამან გამოიწვია “თურქი მესხების” ლტოლვილთა ნაკადის შესვლა აზერბაიჯანში, რუსეთსა და უკრაინაში. ამ მოვლენამ სათანადო ასახვა ჰპოვა საქართველოშიც

და ის ძალები, რომლებიც ადრე მესხების დაბრუნების მოთხოვნით გამოდიოდნენ, მათი რეპატრაციის პირველ მოწინააღმდეგეებად იქცნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი დაბრუნებული ოჯახების უმრავლესობამაც დატოვა ქვეყნის ტერიტორია. (3)

როგორი ურთიერთობა ჰქონდათ “თურქ მესხებს” მესხეთის სხვა მცხოვრებლებთან დეპორტაციამდე? ალაქსანდრე ფრონელის წიგნ “დიდებული მესხეთი”-ს მიხედვით, რომელიც 1910 წელს გამოიცა, “მუსლიმ ქართველსა და ქრისტიან ქართველს შორის შუღლი ჯერ არავის გაუგონია და ახსოვს.” (3) თუმცა მოგვიანებით სიტუაცია მძიმდება და 1918 წლიდან “თურქი მესხები” არნახულ სისასტიკეს იჩენენ ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დღეისათვის სამხრეთ საქართველოში მცხოვრები იმ ადამიანთა მოგონებები, რომელთაც კარგად ახსოვთ დეპორტაცია და მისი წინა პერიოდი. ისიც აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობისაგან დეპორტირებულები უბრალოდ “თათრები” არიან და მათ სხვა სახელით არ მოიხსენიებენ. ჩვენთან საუბრაში ასპინძის მცხოვრებმა, აწ გარდაცვლილმა შუშანა მაისურაძემ მრავალ საყურადღებო დეტალზე გაამახვილა ყურადღება. ის აღნიშნავდა, რომ ხშირი იყო “თათრების” მხრიდან ქრისტიანებისადმი გამოჩენილი გაუმართლებელი სისასტიკის შემთვევები (კონკრეტული ფაქტების მოყვანასისაგან შეგნებულად ვიკავებთ თავს), თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ისინი განსაკუთრებულ სიმპათიას იჩენდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დევნილი ადამიანების მიმართ და მათ ყოველთვის უმართავდნენ ხელს. ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებული შეშფოთების საგანი დეპორტაციის დამეს ეშელონებისაკენ მიმავალი “თათრების” შეძახილები გამხდარა. ისინი მომხდარში ქართველებს ადანაშაულებდნენ და მომავალში დაბრუნებითა და შურისძიებით იმუქრებოდნენ. ანლოგიური ფაქტები დაადასტურეს ასპინძის სხვა მცხოვრებლებმაც, რომელთაც კარგად ახსოვთ “თურქი მესხების” რეგიონში ცხოვრების პერიოდიც და მათი დეპორტაციის დღეც. ძნელი სათქმელია, რამდენად შესაბამისა სიმართლეს ადგილობრივთა მონაყოლი, თუმცა მათი იგნორირება დაუშვებელია. “თურქი მესხების” რეპატრაციის საკითხი აქტიურად დადგა დღის წესრიგში საქართველოში შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. 1993 წლიდან საქართველოში კვლავ იწყება მესხების დაბრუნება. 1996 წლიდან ამ პრობლემით ინტერესდებიან ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები. მათ შორის: ეუთო და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი. 2000 წლისათვის ქვეყანაში 643 რეპატრიანტი ცხოვრობდა, აქედან 64 სტუდენტი, რომელთა ოჯახებიც სხვა ქვეყანაში ბინადრობდნენ.<sup>3</sup>(3)

“თურქი მესხების” რეპატრაციის საკითხი ყველაზე აქტიურად 1999 წელს დადგა. ამ წელს საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი და აიღო ვალდებულება 2 წლის განმავლობაში შეექმნა საკანონმდებლო ბაზა მათი რეპატრაციისათვის. 3 წლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ჩამოსახლების პროცესი და 12 წლის განმავლობაში უნდა დასრულებულიყო. დღეისთვის ცხადია, რომ ამ ვადებში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხდება. რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზას. დიდი ხნის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა (“ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,” “მესხეთელი”), ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეპატრაციის სამსახურისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ძალისხმევით შეიქმნა კანონპროექტი, რომელიც 2007 წელს დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა. კანონი “ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრაციის შესახებ” 2007 წლის 11 ივლისს ხელმოწერილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ. ამ კანონის მიღება უდავოდ წინ გადაგმული ნაბიჯია, რითაც დეპორტირებულთა რეპატრაციას მყარი სამართლებრივი საფუძველი შეექმნა.

უნდა დაბრუნდნენ თუ არა “თურქი მესხები” საქართველოში? ეს არის კითხვა, რომელიც ისმის მათი დეპორტაციის დღიდან მოყოლებული და განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში. ამ საკითხის მიმართ მესხეთის მოსახლეობის უმეტესობა (ყოველშემთვევაში, ის ნაწილი, ვისთანაც ჩვენ გვექონდა საუბარი) უარყოფითადაა განწყობილი და ამის მთავარი მიზეზი მათი ქვეცნობიერი შიშია. შიში იმასა, რომ “თათრები” ქართველებზე შურისძიებას ეცდებიან (იხ. ზემოთ). ქართველ საზოგადოებაში ორი რადიკალურად განსავენებული დამოკიდებულებაა გაბატონებული. ერთნი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მათ დაბრუნებას. მიაჩნიათ, რომ მესხები საფრთხეა დღევანდელი ქართული საზოგადოებისათვის და მათი დაბრუნება ქვეყანას კარგს არაფერს უქადის. მეორენი კი პირიქით, მათ უპირობო დაბრუნებას უჭერენ მხარს. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მოსაზრება რადიკალურია და ხშირ შემთვევაში ორივე მათგანს აკლია სათანადო არგუმენტაცია.

ჩვენი აზრით, “თურქი მესხების” საქართველოში დაბრუნება ისტორიული სამართლიანობის საკითხია და ადრე თუ გვიან ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას. აქედან გამომდინარე მხარს უჭერთ მათ რეპატრაციას, თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის ნაჩქარევად გადაწყვეტა დაუშვებელია. აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მრავალ საკითხზე, მათ შორის არ შეიძლება მესხეთის დღევანდელი მოსახლეობის განწყობათა იგნორირება. აუცილებელია შემზადდეს ნიადაგი, რომ რეპატრაციამ ახალი პრობლემები არ წარმოშვას. ასავე მნიშვნელოვანია ისიც, თუ დეპორტირებულთა რა ნაწილის

დაბრუნება უნდა მოხდეს საქართველოში. პირველ რიგში უნდა მოხდეს იმ კატეგორიის ჩამოსახლება, ვისაც თავი ქართველებად და ქართული სახელმწიფოს შვილებად მიაჩნია. საჭიროა მოხდეს თითოეული, თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალის სიღრმისეული გააზრება. ბუნებრივია დეპორტირებულთა შორის კიდევ შემორჩნენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ქართველებად თვლიან და მათ ნაწილს შენარჩუნებული აქვს ქართული ენა. სწორედ ესაა ის კატეგორია, რომლებიც პირველ რიგში უნდა დაბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოში. არსებობს კატეგორია, რომელიც თავს თვლის ქართველად, მაგრამ დროთა განმავლობაში, მათში წაიშალა ის ტრადიციები, რომლებსაც საქართველოში ატარებდნენ. თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი მათი პროქართული განწყობაა და ისინიც აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ. არსებობს კატეგორია, რომელიც თავს თვლის თურქად, მაგრამ ყველანაირად ცდილობს საქართველოში დაბრუნებას. ეს დეპორტირებულთა სწორედ ის ნაწილია, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინია მესხეთის დღევანდელ მოსახლებას და ზოგადად ქართულ საზოგადოებაში რეპატრაციის მოწინააღმდეგეთა კატეგორიას. დეპორტირებულთა ერთ ნაწილს საქართველოში დაბრუნების სურვილი საერთოდ არ გააჩნია.

აუცილებლადაა გასათვალისწინებელი რეპატრაციის ეკონომიკური მხარე. ბუნებრივია, დეპორტირებულთა დაბრუნება უბრალოდ ვერ მოხდება. მათ სჭირდებათ გარკვეული კომპენსაცია და სოციალური დაცვის მყარი გარანტიები, რათა მათ ქართული საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ თავი. დღევანდელ ქართულ სახელმწიფოს არ აქვს იმის ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ დაბრუნებული მესხების ღირსეული ცხოვრება უზრუნველჰყოს. იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანის მოქალაქეთა დიდი ნაწილი სიღარიბეში და სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს გაუმართლებელია მასობრივი რეპატრაცია. ეს ტვირთად დააწვევა საქართველოს ისედაც მიიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და ამავე დროს ხელს შეუშლის “თურქი მესხების” ღირსეულ დაბრუნებას. აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში ამ საკითხის მოგვარება გადაუჭრელ ამოცანად გვესახება. თუმცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარალელურად მესხების ეტაპობრივი დაბრუნება სრულიად შესაძლებელია.

როგორ უნდა მოხდეს “თურქი მესხების” განსახლება მათი დაბრუნების შემდეგ? ეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემაა, რომლის იგნორირებაც სასურველ შედეგამდე ნამდვილად ვერ მიგვიყვანს. დეპორტირებულთა უმრავლესობას დაბრუნება სურს იმ მიწაზე, რომლიდანაც ისინი იძულებით აყარეს. თუმცა დასაწყისშიც აღვნიშნეთ, რომ ადგილობრივი მოსახლების დამოკიდებულება მათ მიმართ ამის საშუალებას არ იძლევა. ამასთან აღსანიშნავია, რომ

მათ მიერ დატოვებულ მიწებს დღეს სხვა ამუშავებს. ბუნებრივია, მათი დღევანდელი მფლობელი თავის საკუთრებაში არსებულ მაწას არ დათმობს, შესყიდვა კი ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ მესხების მასიურად ჩასახლება იმ ტერიტორიაზე, რომლიდანაც ისინი გადაასახლეს, შეუძლებელია.

კიდევ ერთი დეტალი მათი კომპაქტურად თუ არაკომპაქტურად ჩასახლების საკითხია. საბედნიეროდ, ჩვენ უკვე გვაქვს იმის მაგალითი, თუ რომელი მათგანია უმჯობესი. “თურქი მესხები” კომპაქტური დასახლება არსებობს იმერეთში, სოფელ იანეთში. აქ რეპატრიანტთა ინტეგრაციის პროცესი შენებულა, მათი თემი ჩაკეტილია და ფაქტიურად არ აქვს კონტაქტი დანარჩენ მოსახლეობასთან, მიიმე პრობლემად რჩება ენის არცოდნის საკითხი, რაც მათ ინტეგრაციას საგრძნობლად ანელებს. გურიის რეგიონში კი მესხები არაკომპაქტურად არიან ჩასახლებულები. აქ მათი ინტეგრაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. იხსნება ენის ბარიერი, გასაკუთრებით ახალ თაობაში. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ რეპატრიანტთა ჩასახლება უნდა მოხდეს არაკომპაქტურად. ეს უმჯობესია ქართული სახელმწიფოსთვისაც და თავად “თურქი მესხებისთვისაც,” რადგან ინტეგრაციის გარეშე მათი სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ ფორმალბაა და მეტი არაფერი. ქართულ საზოგადოებასთან სრული ინტეგრირების გარეშე, მესხები ვერ შეძლებენ ამ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებას და საკუთარი ადგილის პოვნას თანამედროვე ქართულ რეალობაში. არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ კომპაქტურად ჩასახლებული “თურქი მესხები” განწირულნი იქნებიან საზოგადოებისაგან იზოლირებისათვის.

დასარულს კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ “თურქი მესხების” საქართველოში დაბრუნება ისტორიული გამართლიანობის საკითხია და ადრე თუ გვიან ეს საკითხი უნდა გადაიჭრას. თუმცა ღირსეული დაბრუნება ვერ მოხდება მანამ სანამ ქვეყანა არ მოაგვარებს მის წინაშე მდგარ სხვა ამოცანებს. პირველ რიგში ეს ეხება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც აუცილებელია რეპატრიანტთა მყარი სოციალური გარანტიების შექმნისათვის. ვიზიარებთ ბატონი თეიმურაზ ლომსაძის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს რომ: “დღეს საქართველოს უფრო სჭირდება მესხები, ვიდრე მესხებს საქართველო.” (3) ამ სიტყვების მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. მიგვაჩნია, რომ “თურქი მესხების” რეპატრიაციის საკითხი არის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა თანამედროვე ქართული სახელმწიფოსათვის. ვისურვებდით, რომ მალე გვეცხოვრა იმ საქართველოში, რომელიც ჯეროვნად გადაჭრიდა ამ პრობლემას. სამწუხაროდ ვთვლით, რომ უახლოეს მომავალში საკითხის სრულად გადაწყვეტა ზემოთ ჩამოთვლილი

მთელი რიგი მიზეზების გამო შეუძლებელია, თუმცა ამ მიმართულებით ღონისძიებათა გააქტიურება აქედანვეა აუცილებელი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრის კრებული: “უმცირესობები საქართველოში: სიტუაციური ანალიზი. იძულებით გადაადგილებული პირები, მუსლიმი მესხები, რელიგიური უმცირესობები, ეთნიკური უმცირესობები.” თბ. 2008
2. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მონაცემები “თურქი მესხების” შესახებ.  
<http://archive.security.gov.ge/meskhebi.html>
3. კანონი “ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრაციის შესახებ.”  
[http://www.parliament.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=69&kan\\_det=det&kan\\_id=2700](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=2700)

**Summary**

**David Bragvadze, Giorgi Gochashvili  
About the Matter of “Turk Meskhs” Repatriation**

This paper is about the matter of “Turk Meskhs” repatriation, deported from south side of Georgia 40-s years of XX century. We are tasking about the history of repatriation and accommodation of “Turk Meskhs.” We think that Georgia must settle its economical and social problems before the starting of repatriation. In our opinion repatriation of deported Meskhs is question of historical fairness and we hope that Georgia will find the ways to settle this problem in the future.

**Резюме**

**Давид Брагвадзе, Гиорги Гочашвили  
К Вопросу Репатриации «Турков Месхетинцев»**

Данная тема касается к вопросу репатриации «Турков месхетинцев», депортированных из Южной Грузии 40-ых годов XX века. Рассмотрены вопросы истории депортации и расселения «Турков Месхетинцев». Высказано предположения, что прежде чем решат проблемы связаны к процессу репатриации, должно решится ряд многочисленных экономических и социальных проблем, стоиашие перед Грузинского государства. По нашему мнению, репатриация «Турков Месхетинцев» вопрос исторической справедливости и надеемся, что Грузия наедёт пути решению этой проблемы.

**CONTENTS**

**THEORY AND PRACTICE OF POLITICS, LAW**

<b>Georgi Astamadze</b>	<b>7</b>
The concept of political realism	
<b>Irma Khychishvili, Tereza Djaparidze</b>	
Political paradigms in the creativity Nicolo Machiavelli and Francesco Guicciardini	16
<b>Shalva Kikalishvili</b>	
To The Sources Of The Informational War.	28
<b>Ksenia Gelovani</b>	
The intellectual property right	39
<b>Teona Lavrelashvili</b>	
The future state model in west philosophy sence (Thomas Hobbes and John Locke)	43
<b>Nino Rodonaia</b>	
The news media and democracy	54
<b>Tinatin Diakonidze</b>	
The nationalism and pan national events	59
<b>Natalia Aprilashvili</b>	
The meaning of the international relations for the modern state	73
<b>Tamar Dalakishvili</b>	
Gender balance in electoral campaigns	80
<b>Oliko Gozalishvili</b>	
Some matters of the technology of running a political campaign	84
<b>Nutsa Javakhishvili</b>	
Visual components of image ( Non-verbal communications)	92

**PUBLIC ADMINISTRATION AND PUBLIC POLICY**

<b>Nino Murgulia</b>	
The Best Educational System in the World – What We Learn from Finnish Experience	99
<b>Maria Geliashvili, Maia Geliashvili</b>	
Science and religion	114
<b>Natia Kakulia</b>	
Labor ethics in the public service	124
<b>Irakli Kheladze</b>	
European Institutions and Integration of Georgia in Europe	133
<b>Shorena Chigladze</b>	
Constitutional management of state institutions in Georgia	141
<b>Ramin Siradze</b>	
OSCE and Georgian Early Presidential Elections January 05.2008	151



<b>Nino Pagava</b>	
PR and marketing	160
<b>Sophio Sturua</b>	
The idea, role and importance of negotiations	166
<b>Gvantsa Gogishvili</b>	
Georgian oratory	172
<b>Dachi Taktakishvili</b>	
Three Improvisations – Three Guards of Georgian Word	181
<b>Mariam Lomidze</b>	
Forestry sector of Georgia	189
<b>Zurab Girgvliani</b>	
Theories of Public Administration	197

HISTORY AND POLITICAL-ECONOMIC AND PHILOSOPHY  
LESSONS OF HISTORY

<b>Giorgi Aladashvili</b>	
New vision of a peaceful settlement of the Abkhazian conflict	205
<b>Nino Melelashvili</b>	
About understanding of the past and the role of "a historical enmity" for the forming of conflict identity (on the sample of Nagorno-Karabakh )	213
<b>Nino Chikobava</b>	
Issues of New World Order and Geopolitical Transation in Henry Kissinger “diplomacy”	224
<b>Irakli Tedoradze</b>	
Georgian-Russian relations	229
<b>Natia Piranishvili, Inga Quloshvili</b>	
Pope Benedict the XVI	238
<b>David Bragvadze, Giorgi Gochashvili</b>	
About the Matter of “Turk Meskhs” Repatriation	249

## СОДЕРЖАНИЕ

### ТЕОРИЯ И ПРАКТИКА ПОЛИТИКИ, ПРАВО

**Георгий Астамадзе**

Суть политического реализма

**Ирма Хуцишвили, Тереза Джапаридзе**

Политические парадигмы в творчестве Николло Макиавелли и Франческо Гвичардини

**Шалва Кикалишвили**

К источникам информационной войны.

**Ксения Геловани**

Право интеллектуальной собственности

**Теона Лаврелашвили**

Государственные модели будущего в западной философии (Томас Гоббс и Джон Локк)

**Нино Родоная**

Современное демократическое государство и средства массовой информации

**Тинатин Диаконидзе**

Национализм и паннациональные события

**Наталья Априлашвили**

Значение международных отношений для современного государства

**Тамара Далакишвили**

Гендерный вопрос в избирательных компаниях

**Олико Гозалишвили**

Некоторые вопросы технологии ведения политической компании

**Нуца Джавахишвили**

Внешние компоненты имиджа (невербальные коммуникации)

### ГОСУДАРСТВЕННОЕ УПРАВЛЕНИЕ И ПУБЛИЧНАЯ ПОЛИТИКА

**Зураб Гиргвлиани**

Теория государственного управления

**Нино Мургулия**

Лучшая система образования в мире – чему мы учимся на финском опыте

**Маиа Гелиашвили, Мариам Гелиашвили**

Вопрос взаимослияния знания и веры-----

**Натия Какулия**

Трудовая этика в государственной службе

**Ираклий Хеладзе**

Европейские институты и интеграция Грузии в Европу

**Шорена Чигладзе**

Конституционное управление государственными учреждениями в Грузии

**Рамин Сирадзе**

ОБСЕ и грузинские внеочередные президентские выборы 5 января 2008 г..

**Нино Пагава**

PR и маркетинг

**Софья Стура**

Суть, роль и значение переговоров

**Гванца Гогишвили**

Грузинская риторика

**Дачи Тактакишвили**

Три экспромта хранителям ценногоклада грузинской словесности

**Мария Лимидзе**

Лесной сектор в Грузии

ИСТОРИЯ И ПОЛИТИКО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ  
И ФИЛОСОФСКИЕ УРОКИ ИСТОРИИ

**Георгий Аладашвили**

Новое видение урегулирования Абхазского конфликта

**Нино Мелелашвили**

Об осмыслении прошлого и роль политики памяти в формировании конфликтной идентности (на примере Нагорного Карабаха)

**Нино Чикобава**

Новый мировой порядок и геополитическая транзакция по “Дипломатии” Генри Киссинджера

**Натиа Фиранишвили, Инга Кулошвили**

Римский папа Бенедикт XVI

**Ираклий Тедорадзе**

Русско-грузинские отношения до Георгиевского трактата

**Давид Брагвадзе, Георгий Гочашвили**

К вопросу о репатриации «турков-месхетинцев»

## ავტორები

- გიორგი ალადაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- თამარ ანთაძე** – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
- ნატალია აბრიაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- გიორგი ასტამაძე** – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სტუდენტი
- დავით ბრაგვაძე** – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი
- ნანი გელოვანი** – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- თენგიზ გრიგოლია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
- მაია გელიაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- მარიამ გელიაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- ზურაბ გირგვლიანი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- გვანცა გოგიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- გიორგი გორიაშვილი** – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი
- ქსენია გელოვანი** – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი
- ოლიგო გოზალიაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- თინათინ დიაკონიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- თამარ დალაქიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- ირაკლი თედორაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- დაჩი თაქთაქიშვილი** – ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მაგისტრანტი
- ნათია კაკულია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი



ჟურნალის რედკოლეგია

- რუდიგერ ანდრესენი – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ეკონომიკის დარგში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი
- ნანა ავალიანი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
- მეუფე აბრაამი (გარმელია) – დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი
- ევგენი ბარათაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
- გიორგი ბალათურია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- ოთარ ბალათურია – პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
- ვახტანგ გურული – ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
- შოთა დოლონაძე – მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი
- პარალდ ვერტცი – სორბონას უნივერსიტეტის „პარი-8“-ის პროფესორი ინფორმატიკის დარგში
- გენადი იაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- Temur Todua – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- როინ მეტრეველი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
- ქეთი ქოქრაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
- ოთარ ქოჩორაძე – მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- რუსუდან ქუთათელაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი
- მაია ჩხეიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, უცხო ენებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

**EDITORIAL BOARD**

- RUDIGER ANDRESEN** – Professor of Economics of Berlin University, Doctor of Honour of Georgian Technical University
- NANA AVALIANI** – Ambassador at large, PhD of History
- His Eminence ABRAHAM (GARMELIA)** – Metropolitan of Western Europe
- EVGENI BARATASHVILI** – Professor of Georgian Technical University, Head of Department of Economics and Business Management
- GIORGI BAGATURIA** – Professor of Georgian Technical University
- OTAR BAGATURIA** – Responsible Editor, Georgian Technical University, Doctoral Candidate
- TEMUR TODUA** – Professor of Georgian Technical University
- VAKHTANG GURULI** – Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
- SHOTA DOGONADZE** – Chief Editor, Professor of Georgian Technical University, Head of Public Administration Department
- GENADI IASHVILI** – Professor of Georgian Technical University
- ROIN METREVELI** – Academician of the Academy of Science of Georgia
- KETI KOKRASHVILI** – Professor of Georgian Technical University, Head of the Administration
- OTAR KOCHORADZE** – Deputy Editor-in-Chief, Professor of Georgian Technical University
- RUSUDAN KUTATELADZE** – Professor of Georgian Technical University, Dean of Humanitarian-Social faculty
- MAIA CHKHEIDZE** – Professor of Georgian Technical University, Head of the Department of Foreign Languages and Communication
- HARALD WERTZ** – Professor of Informatics of Sorbona University "Pari-8"

## **РЕДКОЛЛЕГИЯ**

- НАНА АВАЛИАНИ** – Посол по особым поручениям, доктор исторических наук
- Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ)** – Митрополит Западной Европы
- РУДИГЕР АНДРЕСЕН** – профессор экономики Берлинского университета, почетный доктор Грузинского технического университета
- ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ** – профессор Грузинского технического университета
- ОТАР БАГАТУРИЯ** – ответственный секретарь, докторант Грузинского технического университета
- ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ** – профессор Грузинского технического университета, руководитель департаментга экономики и управления бизнесом
- ХАРОЛЬД ВЕРТЦ** – профессор информатики Сорбонского университета «Пари-8»
- ВАХТАНГ ГУРУЛИ** – профессор Тбилисского государственного университета им. Ив.Джавахишвили
- ШОТА ДОГОНАДZE** – главный редактор, профессор Грузинского технического университета, руководитель направления государственного управления
- КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ** – профессор Грузинского технического университета, глава администрации университета
- ОТАР КОЧОРАDZE** – заместитель главного редактора, профессор Грузинского технического университета
- РУСУДАН КУТАТЕЛАDZE** – профессор Грузинского технического университета, декан гуманитарно-социального факультета
- РОИН МЕТРЕВЕЛИ** – академик АН Грузии
- ТЕМУР ТОДУА** – профессор Грузинского технического университета
- МАЙА ЧХЕИDZE** – профессор Грузинского технического университета, руководитель департамента иностранных языков и коммуникации
- ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ** – профессор Грузинского технического университета